644/
1962/5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერყანი

6

1962/5

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს ალკა ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

88995

6

1962

ივნისი
გამომცემლობა
„ხელოვნება მწერალი“

შინაარსი

ალ. ტვარდოვსკი — ლექსები (თარგმნა შ. ნიშნიანიძემ) 3
ალ. სურკოვი — * წერს ნახევარწრეს ყოველი ტყვია... (ლექსი. თარგმნა ხ. ბერულავამ) . 5
ვ. სოლოუხინი—* ადამიანებს გაარნიათ მაღალი გრძნობა... (ლექსი. თარგმნა ხ. ბერულავამ) 6
ბ. ახმადულინა — ქართველ ქალთა სახელები (ლექსი. თარგმნა ო. ჭილაძემ) 8
ევ. ევტუშენკო — (ლექსები. თარგმნა ვ. ჯავახაძემ) 9
ან. ვოზნესენსკი — უკანასკნელი მატარებელი (ლექსი. თარგმნა მ. კახიძემ) . . . 10
ი. მორიცი—ზღვასთან (ლექსი. თარგმნა ტ. მეზურიშვილმა) 11

მ. მაჯაპარიანი — ლექსები 12
ჯ. ჩარკვიანი— მთები (ლექსები) . . . 14
რ. ბეჟანიშვილი — ჩვენი უკანასკნელი თამაში (რომანი. პირველი წიგნის დასასრული) . . 17
ს. ნარიმანიძე — ლექსები 43
კ. გოგიბავა — შეხვედრა წვიმაში (მოთხრობა) 46
ო. ჭილაძე — დეფეებით სავსე ქუდი . . . 79
ვ. ჯაფარაძე — ლექსები 86
ლ. სტეფუა — ლექსები 88
ი. ჩაფლნელი — ცხოვრების ზღურბლზე (რომანი. გაგრძელება) 90
ი. არაგული — ლექსები 105

შ. სამადაშვილი—ჩემი მეზობელი (ლექსი) . 106
ი. ბუნინი—კვეკასია (თარგმნა ნ. ცაგარეიშვილმა). 107
ჰ. ჰაინე — ჩრდილოეთის ზღვა (გერმანულიდან თარგმნა ხ. ვარდოშვილმა) 111
ა. სტრინდბერგი — სიყვარული და პური (ინგლისურიდან თარგმნა ა. გახოკიძემ) . . 114

მწერლის არქივიდან

აკ. ბელიაშვილი — მოგზაურობა ამერიკაში . 120

ჩვენი ადამიანები

შ. ამისულაშვილი — დღეები გურიაში . . 129

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ზ. ჭარხალაშვილი — ფაუსტი და თანამედროვეობა 133
ა. ცამციშვილი — მივიწყებული რეჟისორი და „ღალატი" ბერლინის სცენაზე . . . 138

სპორტი

თ. ნორგეი — ევერესტზე (ნარკვევი. გაგრძელება. თარგმნა ლ. ჩხეიძემ) 142

ყოველი მხრიდან

ქრონიკა 150

რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:
კ. კალაძე, რ. მეტრეველი, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, ვ. ჩარკვიანი (პ/მგ. მდივანი), გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-62 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 568. უე 03817. ქაღალდის ზომა 70 × 108. ტირაჟი 6500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სტატუსის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული პოეზიის დეკადა საქართველოში

ალექსანდრე ფეაღდოვსკი

მგზავრი

დაბარდნილია ცაცხვის ყვავილით
ორღობეები, გზები, სახლები.
ყველგან სიხარულს მივეახლები,
მშობელ კუთხეში სადაც გავივლი.

სადაც გავივლი, სუნთქვას მიდიდებს
სიმღერის ჟინი მოუთოკავი.
სიმღერასავით ჰქუხს კიდითკიდე
სხვადასხვა ენა და კილოკავი.

მივესალმები ყველგან მეგობრებს
და ყველასადმი მმართებს მადლობა;
ასე:
ხელს ართმევს ერთიმეორეს
სიყვარული და გულითადობა.

მე ვარ სტუმარიც და მასპინძელიც
და ეს სიყვარულს უფრო მავალებს,
და თუ მოვკვდები, სულ ერთი არი,
სად გაითხრება ჩემი სამარე.

ჰეი არყნარო,
ეჰეი ვერხვნარო,
მფარავდეს მადლი თქვენი ტოტების,
ოღონდ სამშობლოს მიწა მეყაროს
და სულერთია, სადაც მოვკვდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსარება

დიდი ხანია, არ შემიქია
კვირტი, რომელიც ბრმაა ნახევრად,
არ დამიხატავს, როგორც რიგია,
მისი ბარტყიანით თვალის ახელა.

რა დაგიმალოთ, გამკვირვებია
ეს გვირილები, იასამნები, —
ისე ჩნდებიან, ისე ჰქრებიან,
ღმერთმანი, ვერც კი მიესალმები.

დიდი ხანია არ დამიხატავს
ყამი გაფოთვლის, აჯეჯილების,
არ დამიხატავს თივის ზვინები,
წვიმებისაგან გაჩეჩილები.

დიდი ხანია ლექსად არ მითქვამს:
რასაც სიყრმიდან გული მღეროდა, —
სამხრეთისაკენ როგორ გაფრინდა
გულამოსკვნილი გუნდი წეროთა.

არ მიმღერია მწუხრის ფერთათვის,
არ დამიხატავს ქროლა სიოთა.
დიდი ბუნების ხოტბა ვერა ვთქვი,
ვერაფრით ვერ ვთქვი ის, რაც მტკიოდა.

ახალგაზრდობა ისე გავიდა,
მართლაც ვერა ვთქვი ჩემი სათქმელი;
თითქო სიცოცხლეს ვიწყებ თავიდან —
ვარ უზრუნველი და უდარდელი.

ისევ სიმღერის ცეცხლად ვანთივარ,
ისევ სიტყვაა ჩემი ნუგეში.
სიჭაბუკიდან ისე გავდივარ,
თითქო შევდივარ სიჭაბუკეში.

თარგმნა **შოთა ნიშნიანიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსეი სურკოვი

*

წერს ნახევარწრეს ყოველი ტყვია,
როცა ჰაერში მიფრინავს ჩქარა,
და იგი სადმე თუ მომეწია,
მიიღებ ჩემი მეგობრის ბარათს.

საზენიტოთა ცეცხლი თუ ტყვია,
როს შეადუღებს ქვასა და ლითონს,
მოგითხრობს მოძმის წერილი ღია
ყველაფერს, რასაც გეტყოდი თვითონ:

რომ სივრცეს ნისლი ეხვია რკალად,
როცა მეომარს მიმუხთლა ძალამ,
ჩემი სიცოცხლის დასასრულამდი
რომ გულზე მედო შენი სურათი:

რომ იმ სურათზე მომახულ წვერით
რკინამ დასტოვა სიკვდილის კვალი;
რომ ჰოსპიტალში შენს ყოველ წერილს
მე მიკითხავდა მეგობრის თვალი;

რომ შენი სიტყვით გამთბარი კაცი
ვდუმდი, მგმინავი ვერასდროს მნახეს;
რომ სიკვდილის წინ, ვით სულის ნაწილს,
მე ვახსენებდი შენს მოკლე სახელს.

კაცი სიკვდილზე არ ფიქრობს რიგით
შეტევის ქარში და ბრძოლის გზაზე
მაგრამ თუ მაინც მეწვევა იგი, —
იქნება ასე.

თარგმნა **ხუტა ბერულავამ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სოლოუხინი

*

ადამიანებს გააჩნიათ მაღალი გრძნობა
მშვენიერების. საუკუნეთა მსვლელობაში ისწავლა კაცმა,
გადასცეს ფერებს, ბგერებსა და ბრინჯაოს ბწკარებს
ნათელი ცისკრის, დარდი გულის, ხატება ქალის.

ხშირად ვუყურებთ ჩვენ სამხატვრო გამოფენებზე
ტილოზე ფუნჯით გადატანილ განთიადებსაც,
და როცა ვხედავთ ცას ელვარეს გამთენიისას,
ზაფხულის ტყეს და შემოდგომის ოქროსფერ სურათს,
არ შეგვიძლია უნებურად არ შევადაროთ
დიდოსტატების საოცარ და უკვდავ ქმნილებებს
მშვენიერება ბუნებისა, ნედლი, ცოცხალი.

მაგრამ ხანდახან დაინახავ ისეთ რაიმეს,
რომ მუნჯდებიან ფერებიც და სიტყვებიც მის წინ,
არის ამქვეყნად, გეუბნები, რაღაც იმგვარი,
რომ არცა ფუნჯს და არცა სიმებს ემორჩილება,
ვერავითარი ვერ უშველის მას ოსტატობა.
ნაზთა ყვავილთა უფაქიზეს და მსუბუქ ფრთებზე
თუნდ მოქანდაკემ მიამსხვრიოს რკინა საჭრეთლის,
ტოლსა და ბადალს ვერ კი შექმნის იმა ყვავილთა.

არის ამ ქვეყნად, ვიმეორებ, იმგვარი რაღაც,
რასაც ვერაფრით ვერ გადმოსცემ, — ნურც შეეცდები, —
რაც მაღალია ყველა ცნობილ ხელოვნებაზე,
რადგანაც იგი ცოცხალია ყველაზე უფრო
გენიალური მიწიერი უბრალოებით.
გირჩევ ანგბო თავი სიტყვას. თაყვანი ეცი
და გაირინდე, როცა უმზერ მშვენიერებას.

რაღა ვთქვა შენზე?
ვისაც სურდეს, მოვიდეს, მკითხოს.
რანაირი ხარ და რაოდენ ხარ მშვენიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაე, მოვიდნენ, შემეკითხონ: — გვიამბე მაინც,
როგორი ხმა აქვს, როგორი აქვს ღიმილი, მზერა,
ან დალალები, მხრებზე ძმიმედ თუ აფენია,
ან წელი მისი, ქარში რარიგ მიმოირხევა...

მე ვიოლინოს დიდოსტატებს არ დავუძახებ
(თვით პაგანინიც შენს გულისთქმას ვერ გადმოსცემდა);
მე არ მივმართავ სტრიქონების ტკბილხმოვანებას,
არც ამ სტრიქონთა ელვარებას და ძლიერებას;
მე არ მოვუხმობ არცა მხატვრებს, ფერთა ჯადოქრებს,
რომ შთაგონების ძალითა და სიღებავებით
ტილოზე შუქი შენი სახის გადაიტანონ.
მაგრამ ხარ ყველგან, ყველაფერში!
დაე, მოვიდნენ, შემეკითხონ. ხილვა სურთ შენი?
წასვლის დრო არის, ნისლი უკვე გადაიფინტა.

და მათ ვაჩვენებ ოქროს წვიმებს, ჟუჟუნა წვიმებს,
აღორძინების ძალასა და ეშხს რომ აძლევენ
გადამწვარ მიწის მწირ ბელტებში ჩაფრქვეულ თესლებს.

და მათ ვაჩვენებ მე ტყეების სამალავებში,
შუადამისას, მზეთუნახავს — ღამის დედოფალს,
მომთვარისფერო საქორწინო კაბა რომ მოსავს,
იმდენად მორცხვს და მოკრძალებულს, რომ მხოლოდ ღამით
დამათრობელი, ტკბილ სურნელით ავსებს მიდამოს,
ტყეთა ნიადაგ უცვლელსა და ნესტიან ჰაერს.

მე მათ ვაჩვენებ დამწიფებულ ნაყოფს, რომელიც
მზით და სიცოცხლის მადლით არის აელვებული.

ვაჩვენებ მთათა დაუდგრომელ, მდუღარ ნიაღვრებს,
რომ არ იციან, ვით ვნებებმა, რაა ჯვებირი,
და მდინარეთა დაუცხრომელ, მუდმივ დინებას,
რომელნიც ისე წყალუხვნი და მძლავრნი არიან,
ისე სავსენი, სამუდამოდ დაუშრეტელნი,
ვით მიწიერი სიხარული დედობრივ გრძნობის.

მე მათ ვაჩვენებ დედამიწას კიდით-კიდემდე, —
ზღვებსა და მინდვრებს, მთებსა და ველებს.
და ბოლოს ვიტყვი: აი, უკვე იხილეთ იგი!
მაგრამ რაც ნახეთ ცალცალკე და ნაწილ-ნაწილად,
ბუნებამ მასში მოათავსა, ერთ არსებაში,
და მოათავსა გონიერად და ბედნიერად.

შენ ღამაზი ხარ ამ მიწიერ მშვენიერებით
და დედამიწას, საყვარელო, შენ ალამაზებ!

თარგმნა **ხუტა ბერულავამ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელა ახმადულინა

ქართველ ქალთა სახელები

აფრები სუნთქვას იწყებდნენ ადრე,
მოთენთილები ზღვითა და მთვარით,
და აფრებს ჩუმად თვლიდნენ ჭადრები
და თვალწინ ედგათ დეკემბრის ქარი.

და ძველი ბაზრის აურზაური
ქალაქში უცებ იდგამდა ფესვებს,
და როგორც ყველა მთის მეთაური,
თეთრი მწვერვალი ბრწყინავდა მზეზე.

ჩვენ ყველაფერი თავბრუს გვახვევდა
და მიგვაფრენდა უჩინარ აფრით
და ქართველ ქალთა ლამაზ სახელებს
ჰქონდათ სურნელი ყურძნის და თაფლის;

ისინიც ჰგავდნენ ფარფატა აფრებს,
დიდებულ გედებს და ოქროს თევზებს.
და მიცურავდნენ... და მიცურავდნენ
და იშლებოდნენ ზღვაზე და მზეზე.

ზღვასთან ამაყად იდგა ლამარა
ტუჩშეღებილი ალისფერ ღვინით
და ხელს უქნევდა აფრებს ლამარა,
მხურვალე, როგორც აგვისტოს ზვინი.

ეფერებოდა ჩანჩქერს მედეა,
თითქოს ესმოდა სატრფოს ჩურჩული,
და მკერდს უშვერდა ჩანჩქერს მედეა,
მზით მოთენთილი და გარუჯული.

და მაგნოლიის ფოთლები ნაზი
ეძებდნენ ქარში გაფრენის მიზეზს.
— ცისანა! — ვიღაც ყვიროდა გზაზე.
— ნათელა! — ვიღაც ყვიროდა ისევ.

თარგმნა **ოთარ ჭილაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი ევგუშენკო

დედები მიდიან

შიდიან ჩვენგან ჩვენი დედები,
ფეხისწვერებზე,
ფრთხილად მიდიან,
ჩვენ კი ვერ ვამჩნევთ,
გულმშვიდად გვძინავს,
ჩვენ წინ არასდროს არ ვიხედებით.
მიდიან არა ერთბაშად,
არა,
ეს ასე მხოლოდ ჩვენ გვეჩვენება,
მიდიან,
წლების საფეხურებზე
მიაბიჯებენ ნელა და წყნარად.
ზოგჯერ შემთხვევით ვიხსენებთ
თარიღს
და ვუხდით ხოლმე დღეობას დედებს...

ამ ნაგვიანევ ამაგის შემდეგ
წაწყმედა ელის ჩვენს სულებს მაინც.
მიდიან ცალკე,
მიდიან ერთად,
ჩვენ მივდევთ,
გვინდა ჩავიკრათ გულში.
მაგრამ ჰაერი შეგვრჩება ხელთა, —
გზას გადაგვეჭრის კედელი შუაში.
უკვე სასტიკი საათი რეკავს,
დაგვაგვინდა,
ჩვენ ცრემლებს ვმალავთ:
დარაზმულები,
ნელა და წყნარად —
ჩვენი დედები მიდიან ჩვენგან.

*

ნუ ეუბნებით ტყუილს პატარებს,
ნუ დაუშალავთ კაშნის ღრუბელს,
თითქოს
არ იცის ქვეყნად ავდარი
და მარტოოდენ სიკეთე სუფევს.
ბავშვები დიდებს კარგად გვიგებენ,
დაე, იცოდნენ სიმართლე მიწის:
არა მარტო ის,
რაც ხვალ იქნება,
არამედ —
რაც დღეს არსებობს,
ისიც.

ბევრი ღორღია ცხოვრების გზაზე,
ხშირია
მწარე დღეების რიგი,
ბედნიერებას ვინც არ აფასებს,
ბედს ემდურება ყოველთვის იგი.
არ აპატიოთ ბავშვებს
მცირედი
შეცოდებანი ხვალის იმედით,
თორემ
ხვალ თვით არ გვაპატიებენ
სწორედ იმას,
რომ ვაპატიებდით.

თარგმნა **ვახტანგ ჯავახაძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრეი ვოზნესენსკი

უკანასკნელი მატარებელი

მატარებელში თვლემენ მგზავრები,
და მათთან ერთად გზად თვლემს ვაგონი;
ვიღაცა უკრავს გაუთავებლივ.
მაგრამ არავინ არის გამგონი.
პოღმამ თვალები ჩამომიბურა,
ჩემს წინ ხვავია ვაშლის ნაფცქვენის,
ჰოდა, ამ ხალხთან ჩემს უნებურად
დადუმებული ბაგე გავხსენი.
უცებ გავფანტე ღამის ბურანი,
მოვარდა ლექსი, სიტყვა აზვავდა,
ყველას თავისი აქვს საზრუნავი,
ყველამ თავისი იცის მაზანდა.
მე დამცინიან გულში ეგება,
კუდვარდა ქალზე ლექსს რომ
ვუკითხავ —
ასეთ ქალს ზედაც კი არ შეხედავ,
თუ გაქვს ნამუსი, კაცი თუ კი ხარ.
ვის რაში უნდა ასეთი ქალი
და უცნაური ჩემი რითმები —
გოგოს, რომელსაც ატყვია კვალი
ათი ათასი ბიჭის თითების.
ვის რაში უნდა ფუჭი გულები,
ეს ქალიშვილი და ეს სარკმელი,
რომ მისი შავი თმების სურნელი
მიჰყვებათ, როგორც სუნი საკმევლის.
მაგრამ ბევრისთვის ქვეყნად ეგების
ლექსია გულის მოჭირნახულე,
როდესაც გტკივა, მოვა ლექსი და
როგორც ავადმყოფს, მოგინახულებს.
როდესაც გილხინს, მოვა ლექსი და
ღვინოზე ათჯერ მეტად აგაგზნებს,
რომ არის ერთი გული და ლექსი —
თქვენც გიფიქრიათ, ალბათ, ამაზე.
მაგრამ მიწყდება ფიქრი ანაზდად,
გზაზე ჩერდება ჩვენი ვაგონი,
და გზად გადირბენ უცებ ბაქანზე,
ფიქრის და ლექსის ცუდი გამგონი.

თარგმნა **მედეა კახიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუნა მორიცი

ზღვასთან

შორმა ნაპირმა მაწვალა მართლაც
და მსუბუქმა ფრთამ იალქანისამ.
და იქ მწყურია შეხვედრა მათთან,
სადაც მზე იწვის ცაზე ალისფრად.

ღამისფერ რაშით ვიწრო გზას ვკეცავ.
რომ შევამოკლო მანძილი, სივრცე.
სიმკვირცხლეს ჩემსას, სიმღერას ჩემსას
იმ შავგვრემან ხალხს საჩუქრად მივცემ.

მარილიანო და ლურჯო ღმერთო,
სიჩუმეს ურღვევ კლდეთა კიდეგანს.
სიდიდით შენით, გონებავ, მე გთხოვ,
შესძელ დაცხრომა და დამშვიდება.

თარგმნა **ტაგუ მებურიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრან მაჭავარიანი

*

დღეს —
რაკი უკვე აღსრულდა
ის —
რასაც ზღაპარს ვადრიდი:
— რა პატარაა! —
რაც მსურდა;
რაც მსურს —
მგონია რა დიდი!

ხუმრობა

ვიდრე შენთვის ღმერთი სიკვდილს
გაიმეტებს, —
ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთი!..

ხოდა...
ან გამყიდე,
ან ცოლი წამგვარე,
ან დანა დამარტყი,
ან...
რაღაც ამგვარი...

თვარა
ხომ იცი ღმერთი რავარია! —
ვინ იცის სიკვდილს როდის გაიმეტებს!..
რა გააძლებინებს ისე ადამიანს,
თუ არ შეიქცია თავი რაიმეთი.

ლეკსები ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭები

ქუჩაში სამი საუბრობს ბიჭი...

პირველი:

თვალი რაც უფრო გიჭრის, —
გაქვს უფრო მეტი სიბრმავის ნიჭი.

მეორე:

ენა რაც უფრო გიჭრის, —
გაქვს უფრო მეტი დუმილის ნიჭი.

მესამე:

ჭკუა რაც უფრო გიჭრის, —
გაქვს უფრო მეტი სიბრიყვის ნიჭი.

ქუჩაში სამი საუბრობს ბიჭი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ჩარკვიანი

მთები

ლილე

მე ველოდები შენს ძლიერს და
ღმერთივით სახელს,
ისე, ვით დიდი მთა და სივრცე
მზეს ელოდება.
უფრო ძნელია ლოდინისგან ააგო სახლი,
უფრო ძნელია —
ვიდრე ხით და ვიდრე ლოდებით.

ამ სიწყნარეში,
მღვიმესავით დიდ სიწყნარეში,
ვიღაცის თვალი მომბჯენია
ზურგში ბურღივით,
ვიღაცის თვალი არ მასვენებს
და ჩემს თვალებში —
არის ბორგვა და
დუღილია დიდი წუხილის.

იყავი მწვანე
და ცისაკენ წადი ტყესავით;
მერე სხივებად დაუბრუნდი
ტყეებს ფესვებში.
თეთრი დღეები
ვარსკვლავების თვალებს კვესავენ
და ამოდიან მთებში მზესავით.

რადგანაც ქვეყნად
უმიზეზოდ ვერ დავღონდებით —
ვარ უამრავი
და შენი მზის გარშემო ვდგები,
მე ველოდები!
მე მჯერა და მე ველოდები!
შენ ვერ წამართმევ, რაც მე მჯერა,
და ველოდები!
მე ველოდები შენს ძლიერს და
ღმერთივით სახელს,
მე ველოდები
და ლოდინის სახლს ვტოვებ ღიას,
და მჯერა, უცებ დაინგრევა
ლოდინის სახლი,
როცა სივრცეებს
გააგონებ ქარების ღრიალს.

ყველა ქმნილება
შექმნეს წვით და შექმნეს გოდებით,
ვერა, ამ მზეში და წუხილში
მე ვერ მოვკვდები;
მე ველოდები შენს დიდ სახელს,
მე ველოდები.
შენ ვერ წამართმევ, რაც მე მჯერა,
და ველოდები!

*

ეს ჩვენ მოვედით,
ეს ჩვენ მოვედით,
მზით დამწვარი და ჭაღარა თმებით,
ეს ჩვენ მოვედით,
ეს ჩვენ მოვედით,
მაღალ ჭადრებზე ჩიტივით ვთბებით,
ჩვენ გვაშორებდნენ,

ჩვენ გვაშორებდნენ
მშვილდ-ისარივით მოზიდულ ფრთებით,
ჩვენ მაინც შევხვდით,
ჩვენ მაინც შევხვდით
და ერთმანეთის ტკივილით ვთვრებით,
ჭრილობას ვუხვევთ რტოებს მოტეხილს
და გვეძახიან მაღალი მთები.

. . . . . .

ვართ მაღლები და გატრუნულები,
როგორც სიცხეში მზის ცხელი ხნული,
ჩვენ შევაერთეთ ყველი გულები
და ფეთქავს ერთი ვეება გული.

და იღვიძებენ ჩვენისთანები
და ბუდეებში არწივი ფრთებს შლის,
ჩვენი ცასავით ღია თვალებით
ჩვენ შევიტანეთ სინათლე მთებში.

*

მძინარე ქუჩებს,
მთვლემარე სახლებს,
ჯადრის ხეებზე გატრუნულ ჩიტებს,
დაჰყურებს თეთრი, მაღალი მთვარე;
შენს ლამაზ სახეს,
ანთებულ სახეს,
ეუმზერ და თითქოს ტკივილებს ვითმენ;
მწვერვალებს ლურჯი ნისლები რთავენ.
შენ ალბათ წახვალ.

მე მჯერა წახვალ,
ხუთი წუთი და მე დავრწმუნდები.
და მიტოვებულს მე ვხედავ საყდარს,
თვალით კი არა, ვხედავ წუთებით.
მიტოვებულს და დაკეტილ საყდარს,
შორიდან უმზერ ლოცვით დაღლილი
და გელოდება სიმღერა სადღაც,
უფრო მწვანე და უფრო მაღალი.

*

ახლა რა ვუყო, როცა აღარ ხარ,
ხარ ატანილი ვარსკვლავთა მიერ.
ჩემთან მტვერია ისევ ამაღამ
და წვიმა მოდის თბილი და მღვრიე.
ახლა რა ვუყო, როცა მარტო ვარ,
ატანილი და სადღაც მიმქრალი,
შენი წვიმებით მინდა დათრობა
და შენი მკერდის ფერი ჰიქებით.
ერთხელ სინათლეს მომტაცებ ალბათ.
სიმწვანით შეცვლი ჩემს მწუხარებას,

ყველაზე ლამაზს ჩაიცმევ კაბას
და გამიტაცებ თეთრი ქარებით.
ერთხელ კი, ერთხელ და მჯერა ერთხელ,
მაგრამ ამაღამ არის სიცივე,
თბილი წვიმები ძველში გამტეხენ,
შენც მიმატოვე და მომიცილე.
ერთხელ კი, მაგრამ მითხარი როდის,
მე მინდა ახლა, როცა მარტო ვარ,
ამქვეყნად ყველას საშველი მოდის —
მე შენი წვიმით მინდა დათრობა.

*

დაღესტნის მთებზე,
ნაცრისფერ მთებზე,
მზიანი დღე აქვთ პატარა ბაზრებს.
ჩუმად ყიღიან კასპიის ოვზებს
და თითო ცხვარი ახურავთ თავზე.
დაღესტნის მთებზე,
ნაცრისფერ მთებზე,
ცისფერ ნისლებში მზის სხივი ცურავს;
მე შენთვის სურას მოხატულს ვეძებ,
აგურისფერ და ნაცრისფერ სურას.
ისე ვით წყარო შეხვდება მწყურვალს,
ანდა ვით სურათს,
შენს ლამაზ სურათს,

ისე დავეძებ პატარა სურას,
წყურვილის სურას,
მოხატულ სურას.
ყავრით დახურულ დახლებთან ვეძებ,
სავსეს და ტუჩებგაბუტულ სურას
და ვხედავ მთებზე,
დაღესტნის მთებზე,
ცისფერ ნისლებში მზესავით ცურავ.
მე ვგრძნობ მზესავით აყალოს
სურნელს...
დაღესტანს ლურჯი ნისლები რთავენ,
ვოგონა ჰყიდის ნაცრისფერ სურებს
და აბრიალებს მზესავით თვალებს.

*

ამოდის მზე და მადლობას ვუთვლით,
მაღალ ბალახში სრიალებს ცელი.
ბევრი სიმწარით და ხშირი სუნთქვით
სრიალებს, როგორც ობობას ქსელი.
მოდის წვიმა და უქუდოდ ვხვდებით,
ვზელთ აყალოს და ვაკეთებთ დოქებს,
და საქართველო ამოდის მხრებით,
ციხედ და თიხად, რკინად და ოქროდ.
გუგუნებს მთა და მთის გულზე
ვფიქრობთ,
თიხის დოქებით სავსეა სუფრა,
პატარა დარდებს ჭრაქივით გვიქრობს
მთების სუნთქვა და მომავლის
სუნთქვა.
იმსხვრევა ცა და ელვაზე ვდარდობთ,
რომ ვერ ვაბრუნებთ დაკარგულ ელვას,
ელვას და ქუხილს მაღალ მთებს
ვანდობთ,
მაღალ მთებს ვანდობთ ზღვებივით
ღელვას.
დოქებში ვეძებთ,
ღიმილში ვეძებთ;
მაღალო მთებო, ვიცი მზედ ივლით;
ჩვენი ცხოვრების შორეულ გზებზე
ცისარტყელები ჩანან ზღვებივით.
გუგუნებს მთა და მთის გულზე
ვფიქრობთ,
თიხის დოქებით სავსეა სუფრა,
პატარა დარდებს ჭრაქივით გვიქრობს,
მთების სუნთქვა და მომავლის სუნთქვა.

*

ყველას თავისი ღმერთი ეძახის,
ყველას თავისი მთა ელოდება,
ჩვენი ციხე და ჩვენი ვენახი
და სასაფლაოს თეთრი ლოდები.
ყველას თავისი მიწა აწუხებს,
ყველას თავისი შვილი და კუთხე,
წუთისოფელი გვიჭერს მარწუხებს
და შეუმჩნევლად საფლავებს გვითხრის.
. . . . . .
და დგანან ქარში მთები ძლიერი...
და საფლავები დღეებს ითვლიან...
მწვანე ფოთლები ტუჩებრძიანი
ყვითლდებიან და მზისკენ მიდიან...
და დგანან მთები გულმოსულები,
და მარწუხები ბნელში ჰკიდია,
ჩრდილებში ყრია ავი სულები
და კეთილები მზისკენ მიდიან;
ახლა იმხელა სინათლე დადგა,
ახლა სიცოცხლე ისე დიდია,
რომ, მთაო, შუბლზე ნათელი გადგას
და რომ სიმაღლეც შენი მკვდრია;
შენ არ ხარ ბელტი, შენა ხარ მთა და
შენ ვერასოდეს ვერ გაგყიდიან.

*

შემკრთალი დროის დიდი თვალებით
და საუკუნის წამთა შრიალით,
სხეულში გვიდგას მზის ბრწყინვალება
და უმაღლესი მთების ღრიალი.
ვიდაცა სულში შემოდის თითქოს,
ისე ვით მთებში—ბურღით და დენთით,
ეძებენ ოქროს, ეძებენ სიობოს
და ფრჩხილებამდე ტკივილი გვთენთავს.
ჩვენ ვიხარჯებით და ჩვენ ვიზრდებით,
წყაროებივით ვშრებით, ვივსებით,
დიდი მზე მოჩანს, როგორც მიზანი
და მთასავით ჩანს ყველა ღირსება.
და გრუხუნებენ ელვით ბოძები...
და გაჰკივიან დიდი მილები...
და მოძრაობენ...
და მოძრაობენ...
სიმაღლეები აპყავთ კბილებით.
დაფართქლებენ მზეში წუთები —
საუკუნეთა სულის ნაწილი,
და ყველა სიტყვა, სიტყვა უთქმელი
მწვეტვალზე ჯდება, როგორც არწივი...
უფრო ძლიერად შემოდით მთებში,
რაღაცა უფრო ახალი ხდება.
ცაში გასროლილ ოქროსფერ თეფშებს
სუყველა ტყვია მიზანში ხვდება.
შემკრთალი დროის დიდი თვალებით
და საუკუნის წამთა შრიალით
სხეულში გვიდგას მზის ბრწყინვალება
და უმაღლესი მთების ღრიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ბექანიშვილი

ჩვენი უკანასკნელი თაყვანი

8895

რომანი

38

17 ივლისი, 1930 წ., ღამის 12 საათი

სალამი ჩემს ძვირფას ნანას!

ეხ, ჩემო ნუგეშო, დარდმა კინაღამ თავისი გაიტანა, მაგრამ დროზე მოვესწარ მის საწინააღმდეგო იმედს. ნანა, გთხოვ გულს ნუ გაიტეხ უკანასკნელი საშუალების წართმევით, რომ ჩვენ ვეღარა ვხვდებით ერთმანეთს და იძულებული ვართ მხოლოდ წერილებით ვისაუბრთთ. ღონივრად დაუხვდი ამ გამოცდას, ჩემო ცელქო, თავს გაუფრთხილდი და ისედაც დარდიანი, დარდს ნუ მოიმატებ, თორემ ხომ იცი, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დარდმა შეიძლება დაგჯაბნოს (თუმცა მე ჯერ ვერას მაკლებს!). აქსიომაა ის გარემოება, ჩემო ნუგეშო, როგორც წინათ გითხარი, რომ შენი ყოველწუთიერი მდგომარეობა მაინტერესებს. დღეს შემდეგ, პირობა მომეცი, გენაცვალე, რომ სიმხიარულე სჭარბობდეს მოწყენილობას. ნუღა ეგღაუჭები ამ სიტყვებს „ვაი თუ მიღალატო“, რადგან შენ ეს არ გეთქმის. ჩემს სინდისზე და ადამიანობაზე რომა ხარ მონდობილი, ჩემო ცელქო, მე ეს ძალიან მახარებს და მავალდებულებს კიდეც, როგორც სინდისიერ ადამიანს. მე როცა სინდისს დავიფიცავ, იმისი ღალატი უკვე ვეღარ წარმომიდგენია. კიდევ და კიდევ გაძლევ სინდისიერ სიტყვას, რომ შენი თანამზიარე გავხდები და იმ ხაზს, რომლისკენაც შენ მიმითითებ, არავითარ შემთხვევაში არ გადავუხვევ.

დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 3, 4, 5.

2. ცისკარი, № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა, გენაცვალე, ნუ დამემდურები იმაზე, რომ წერილი არ გამოვაგზავნეთ სურათს. ამის მიზეზს, ჩემი ცელქო, ახლავე გეტყვი. მე განზრახული მქონდა მაროსთვის მეთქვა და შაბათს ან კვირას მასთან შეეხვედრილიყავით, მაგრამ ეს განზრახვა მე თვითონვე უარვყავი, რადგან ერთი რამ გავიგე, რომელსაც ქვემოთ გეტყვი. ასე, ჩემო ნუგეშო, ვფიქრობდი: მაროსთან ავალ, ნანას ენახავ, სურათს გადავცემ და რაც სათქმელი მაქვს, იქ ვეტყვი-მეთქი, მაგრამ ეს, როგორც გითხარი, არ მოხერხდა. იმ დღეს სწავლა დამთავრდა თუ არა, კლუბისკენ გავწიე, მაგრამ რაღაც იდუმალი ძალა თქვენი სასწავლებლისკენ მეზიდებოდა. ტექნიკუმის შესასვლელში შეჩერდა მარო, რომელსაც რამდენიმე წუთი ვესაუბრე. შემდეგ მან მკითხა, სურათს რატომ არ გამოუგზავნინო. იმწამსვე ამოვიღე სურათი და მივეცი, თან ორი სიტყვაც დავატანე, გულით მომიკითხე-მეთქი. აი, მიზეზიც გითხარი, ისე რომ, თუ მაპატიებ, კარგს იზამ. რაც შეეხება წარწერას სურათზე, ეს, ჩემო ნუგეშო, შენთვის მომინდვია, რასაც დაგწერ, თანახმა ვარ.

გამახარა შენმა ნებისყოფამ კლუბში. შენს დანახვაზე მეც ის ვიფიქრე, ჭორიკანა ხალხი გვითვალთვალებს-მეთქი, ხეირიანად არც კი შემომიხედია, რათა ენაჯარტალებისთვის სალაყბო მასალა არ მიმეცა. მეტადრე იმ დროს, როცა თქვენი პანსიონის ზედამხედველი გვერდით გვეჯდა. კაითხულობდი პიესას და ენატრობდი მალე გათავებულიყო, რათა თქვენი ზედამხედველისთვის აღარ მეცქირა. რაც შეეხება იმას, რომ ვიღაც მეორეკურსელი ბიჭისათვის მოკითხვა დამებარებინოს — მტკნარი სიცრუეა. რაღაა ასეთ რამეს გეუბნებიან, ყურადღებას ნუ მიაქცევ, იყბედებენ, დაიღლებიან და გაჩუმდებიან. ახლა თითქმის ყველას ვუკრძალავ ჩემგან რაიმე ამბის წამოღებას და ჩემს შესახებ საუბარს. რატომ ფიქრობ, რომ კინოში ვერ მოვახერხებთ ორიოდე სიტყვა გადავუჩურჩულოთ ერთმანეთს? — იქაც მე ხომ არა ვარ მოკარნახე! როცა ტექნიკუმის მოწაფეებისთვის კინო არის, ყოველთვის მოდი; დავინახავ თუ არა, რომ შენთან მოსვლის საშუალება მაქვს და ხელისშემშლელი არავინ მეგულება, მაშინვე შენთან გავჩნდები, ჩემო კარგო, მაგრამ, თუ კი ჩემი მოსვლა ჭორიკანების აშლას გამოიწვევს, იმ შემთხვევაში რომ არ მოვიდე და სალამიც არ მოგცე, ნუ გეწყინება. ოხ, ჩემო ნუგეშო, განა ტყუილად არის ნათქვამი, ოღონდ კაცს ბედი ჰქონდეს და სხვა რაღა უნდა, გენაცვალე. გახსოვს, ნანა, ერთხელ რომ დიდი წვალებით შეეხვედით ერთმანეთს, მე სადღაც მაგვიანდებოდა და შენ მრავალჯერ გამაფრთხილე, წადი არ დაიგვიანო. ნანა, მე ყველაფერი გავიგე, რაც ეთქვა თქვენს „ფხიზელ“ ზედამხედველს; ჩემო ერთგულო მეგობარო, გაკაჟდი.

როგორც ხედავ, ჩემო კარგო, ჩვენი შეხვედრები ძნელია, მხოლოდ წერილებია ჩვენი გულის დუღილის შუამავალი. ამ წერილებს თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. წინათაც გწერდი და ახლაც გწერ: მე შენი ღალატი არა მსურს, არა. შენს სურათს განა მართლა გავადიდებინებ, გეხუმრე, ჩემო ცელქო. პოზის დაჭერაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან თვითონ ფოტოგრაფმა თავისებურად დამაყენა და მე წინააღმდეგი ხომ არ წავიდოდი!

მოახლოვდა ჩვენი „ბტერი“ ზაფხული, რომელიც ჩვენთვის სამ თვეს კი არა, სამ წელიწადს გრძელდება. ნუ იფიქრებ, რომ დაგივწყებ, პირიქით, ეს დაშორება უფრო გაამლიერებს და გაამძაფრებს ჩემს სიყვარულს. განა კიდევ გეპარება ეჭვი, რომ ჩვენ სამუდამოდ ვეკუთვნით ერთმანეთს? ან ჩვენი სიყვარული მართლა ასე უნუგეშოა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ გეშინია, ნანა, მალე მეცნიერების ტაძარში ვიქნებით, რათა ჩვენს მომავალზე ვიფიქროთ.

უკვე ღამის თორმეტი საათია, იძინე ტკბილად, ჩემო იმედო, ჩემო სიხარულო.

გწერს შენი საბოლოო შეყვარებული არჩილი

---

1 ივლისი

სალამი მარად და მარად ჩემს ერთგულს!

გამარჯობა, ჩემო ძვირფასო ერთგულო არჩილ! როგორა ხარ, გისურვებ კარგად ყოფნას, ბედნიერ ცხოვრებას და ჯანმრთელობას, რაც უპირველესია ადამიანისათვის. აგრეთვე იმ მიზნების მიღწევას, რაც შენს ნორჩ გულს აქვს დასახული. ვიცი, არჩილ, იკითხავ ჩემს ამბავს. მე ვარ ისე, როგორც შეეფერება ჩემისთანა ადამიანს, ხან მოწყენილი და ხან მხიარული, მაგრამ მოწყენილობა სჭარბობს სიმხიარულეს. თან თავს ვიმშვიდებ — რა გაქვს მოსაწყენი, ჩემო თავო, „ის“ ხომ კარგად არის!... მაგრამ ამავე დროს მებადება აზრი, ვაითუ მიღალატო და ისე მეშინია ამ ღალატისა, რომ მაკანკალებს. არა იმიტომ, რომ მე ისე დავრჩები, არამედ არ მინდა ერთხელ აღებულ ხაზს გადავუხვიო და არც გადავუხვევ სიკვდილამდე. არჩილ, შერცხვენილ იქნას ის ჩვენში, რომელმაც უღალატოს, უკანასკნელი ვიგინდარა იყოს ცხოვრებაში! მე შენ გეკუთვნი მთელი არსებით, მთელი ჩემი ავლადიდებით მინდობილი ვარ შენზე, შენს სინდისზე, შენს ადამიანობაზე. მე მგონი რომ შენც, ჯერჯერობით, არ გადაუხვევ ერთხელ აღებულ ხაზს.... რა ვიცი, როგორც გენებოს, ისე მოიქეცი...

არჩილ, განა დიდი საქმე იქნებოდა, რომ სურათისათვის ერთი პატარა წერილიც გამოგეყოლებინა? ხომ იცი როგორ გამეხარდებოდა. თუ გინდა ორი სიტყვაც ყოფილიყო, ჩემს დაჩაგრულ გულს მაინც გაამხიარულებდა. არჩილ, ამა მოიგონე ის საღამო, როცა შენ კლუბში რეპეტიციაზე იყავი და მე ისე შემოვედი დარბაზში, რომ ვერ გავბედე შემოხედვა. შენც ვერ შემნიშნე და მე ცივად გამოვბრუნდი უკან. რა ბედნიერი ვიქნებოდით, იმ წუთებში მარტო რომ ვყოფილიყავით, თუ გინდა მარო და შალვა იქ ყოფილიყვნენ, ის მეტიჩრები არ ყოფილიყვნენ იქა. შენ რომ კარნახობდი, მე უკან ვიჯექი და ამიტომ ვერ მხედავდი. მე რაღაც წიგნს ჩავკირკიტებდი, თან ცალი თვალით ჭორიკანებისაკენ ვიყურებოდი და ვამჩნევდი, რა გულმოდგინედ მზეეარავდნენ და მიშვრიტინებდნენ. ვეღარ მოვითმინე, ავდექი და გარეთ გამოვედი. ცოტახნის შემდეგ ისევ დავბრუნდი. მინდოდა შენს სიახლოვეს ყოფნა, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა გამომწვევად მსეარავდნენ ჭორიკანები და მთელი მეორე კუთხის ბიჭები. იმ სულელებმა არ იცოდნენ, რომ მე იმ დროს არ შემოგხედავდი. ისინი, ჭორიკანები, მოუსვენრად აცეცებდნენ თვალებს, ხან შენ შემოგცქეროდნენ და ხან მე, უნდოდათ ჩვენი სიყვარულის უხილავი ძაფები დაეჭირათ, ჩვენს გულში აეფათურებინათ თავიანთი მურდალი ხელი, როგორმე გამოეწვიათ ჩვენი მცირე აღელვება და მერე ყბა აეჭავებინათ, მთელი ქალაქისათვის მოეფინათ, თავიანთი ჭინჭარა გული მოეფხანათ. ერთი, ქერა, ქვე-ქვეშ იცინოდა, მიმიხვდება ვინ არის; მან მგონი ყველაფერი იცის და გაორკეცებული სიფრთხილე გვმართებს. დღეს, მაგალითად, იმ ქერამ ქუჩაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამაჩერა და მითხრა: ნანა, „იმან“ მოგიკითხო. მე შევეკითხე, ვინ „იმან“-მეთქი? (ვითომ არ ვიცოდი, ვიეშმაკე!..) ის კი მეუბნება: „ჩვენ რომ ვიცითო“... და თან მრავალმნიშვნელოვნად იღრიჭება და აჩენს თავის ჩაყვითლებულ ღობეებს. მე ვუთხარ, არ ვიცი ვისზე ამბობ და რას გულისხმობ, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ საქმე გამოგლეკია-მეთქი. „ვიცი, როგორ არ ვიციო“,—ჩაიქირქილა და წავიდა, თან ღიღიჭებოდა და მაჩვენებდა თავის საზიზღარ კბილებს. რაღას ვეტყოდი! ვინც რა უნდა გითხრას — არ აპყვე, დე, რაც უნდათ ისა თქვანს! არჩილ, ხომ იცი, მე ჯერჯერობით კლუბში ვერ მოვალ, ან რა მინდა იქ, როცა შენ ვერ დაგელაპარაკები და სხვა რაში მაინტერესებს. ერთხელ ხომ იყო შემთხვევა, მაროსთან რომ შეეხვედით ერთმანეთს, თუმცა ჭორიკანებს ჩვენი ის შეხვედრაც არ გამორჩენიათ. მოკლედ, საშველი არაა! დადარაჯებული არიან ქოფაკი ძაღლებივით. ვის რას ვუშავებთ, თავად თუ შინაბერებად ჩარჩენენ, ჩვენგან რა უნდათ? მაგრამ ადამიანის გული ბოროტი ყოფილა. სხვისი სიხარული ეკლად ესობა და იმიტომ ანთხევს გესლს. მაშ ასე, ჩვენი შეხვედრები შეუძლებელია, ერთადერთი საშუალება დაგვრჩა წერილები, თუ ესეც მოგვესპო, მაშინ რა წყალში გადავვარდეთ?

არჩილ, რატომ სურათს არაფერი წაწერე, ალბათ ფიქრობ, იქნება ვუღალატო და მერე სირცხვილი იქნებაო. ჩემი სურათი არ გაადიდებინო, თორემ ფოტოგრაფი მიცნობს და ავშენდებით. ვაჯბატონო, შენ არ იყავი, რომ ამბობდი, პოზის დაჭერა არ იცი, რატომ შენ არ დაიჭირე პოზა? ხომ იცი: ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო. გაიგე? განა არ შეიძლებოდა მაგხელა სურათში პოზის დაჭერა?

გამაგებინე, ჩემო კარგო, ამ ზაფხულს სად იქნები. ოხ, ის ვერანა ზაფხული დადგება თუ არა და დავშორდებით. ვერ წარმომიდგენია როგორ უნდა გავძლო სამი თვე, ქუჩაში რომ მაინც ვერ მოგკრა თვალი. სამი თვე ისე გაგრძელდება, როგორც სამი წელიწადი. მთელი ზაფხული ისე გაივლის, რომ ვერ ვნახავ. იმ დროს, მე რომ სოფელში უნდა ვიჯდე, შენ ალბათ სეირნობის სეზონი დაგიდგება. ოხ, ნეტავ ვიცოდე, მე და შენ საბოლოოდ ვეკუთვნით ერთმანეთს? რა ძნელია უნუგეშო სიყვარული. არჩილ, ნეტა გვეღირსება ის დრო, რომ მე და შენ ერთად ვიყოთ იქ, სადაც მეცნიერების ტაძარია? იქ ხომ აღარავინ გაგვჭორავს! ჰა?! ეს წუთები მგონნი შენთვისაც სანატრელია, ჩემთვის ხომ არის და არის. არა უშავს, გავუძლოთ ამ ცეცხლს, წერილებსაც ხომ არ დაგვიშლიან. შენ ალბათ მომწერ ვრცელ პასუხს, ვრცელსა და ვრცელს, ჩემო კარგო!

შენი ნანა

---

20 ივნისი

სალამი ჩემს სიცოცხლეს ნანას!

განა შენ არ მაფრთხილებდი ყოველთვის, ახლა გვმართებს მოვიქცეთ ისე, როგორც ნამდვილი შეყვარებულებიო? განა შენ არ მომიწოდებდი ამისაკენ? დაგავიწყდა ეს თუ რა არის, ვერ გამიგია. მიუხედავად იმისა, რომ გაქვს დრო და საშუალება დაწერილებით, დალაგებით მომწერო შენი გულისტკივილი, ასე ცივად ხელს მკრავ. ჩემო ცელქო, რატომ შეგეშინდა, ფაღაც სისულელე წამომცდა, წერილმა შეიძლება დაიგვიანოს-მეთქი... ეს სიტყვები იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენად ვთქვი, რამდენადაც მე უნდა დამეწერა ისეთი წერილი, რომ ღირსეული ყოფილიყო შენი პასუხისა. მაგრამ შენ, ჩემო ცელქო, ეჭვითა ხარ შეპყრობილი და კლუბში მომხდარ პატარა ინციდენტს ტრაგედიად აზვიადებ. გეჩვენება, რომ ალარ მიყვარხარ. ნუთუ ჯერ კიდევ არა ხარ დარწმუნებული ჩემს სიყვარულში? ამას წინათ რომ მითხარი, სულ წერილებში ხომ არ გავატარებთ ჩვენს ახალგაზრდობასო, ჩემო იმედო, უნდა გაითვალისწინო ჩემი მდგომარეობა და ისე თქვა ზემოხსენებული სიტყვები. რამდენჯერ მითქვამს, მე შენგან არაფერი არა მწყინს-მეთქი, მაგრამ, ამასთანავე, უნდა გაგაფრთხილო, რომ ყოველთვის ბავშვური ქცევა არ ვარგა. მართალია, შენი პასუხები ცივია და ულმობელი, მაგრამ მე მაინც მჯერა მთელი ჩემი შეგნებით, რომ ჩვენი სიყვარული არ მომკვდარა და შენი გული მხოლოდ მე მეკუთვნის. მე ვიცი, შენს უსაფუძვლო ეჭვიანობას კლუბში მომხდარი მიზეზის გარდა სხვაც აქვს საფუძველად და იმიტომ ხარ გაღიზიანებული. მაგალითად, რატომ გგონია, ვითომ მე არ მინდოდეს სწავლა? გამიგე ერთხელ და სამუდამოდ, შეიძლება მატერიალურმა პირობებმა ხელი არ შემიწყოს-მეთქი და დროებით დამჭირდეს სამსახური, მაგრამ მჯერა, როდისმე შევძლებ უმაღლესში ვისწავლო. ეს დანამდვილებით იცოდე და გჯეროდეს! მართალია, ჩემს გაბრაზებას ცდილობ, მაგრამ როგორც არ უნდა ეცადო, ვერ გამაბრაზებ.

ახლა, ჩემო ცელქო, მეორე გარემოებას მივაქცევ შენს ყურადღებას. ეს არის სურათი. უპირველეს ყოვლისა უნდა გითხრა, რომ სანამ შენ წახვალ სოფელში სამი თვით, ე. ი. ზაფხულამდე, არ მინდა სურათი. განა შენს სიტყვას უარყოფ, ჩემო ცელქო, განა შენ არ მითხარი „ჰოობა“ სურათზე, რომელზეც ახლა შებრუნებით ლაპარაკობ? სანამ შენ არ გამოგზავნი სურათს, მე არ გამოგიგზავნიო! უსათუოდ ვაყმა რად უნდა მოიხაროს ქედი ქალის წინაშე და ერთხელ მაინც ქალმა არ შეუსრულოს მცირედი თხოვნა? მაგრამ, ჩემო იმედო, ამას თავი დავანებოთ, რათა გგონია, რომ გიღალატებ და მოგატყუებ? ეს მხოლოდ მეტისმეტი ფიქრისა და ეჭვიანობის ნაყოფია, რასაც არავითარ შემთხვევაში ყურადღება არ უნდა მიაქციოს გულითადმა შეყვარებულმა. ნანა, ამ ფიქტების შემდეგ განა საჭიროა მტკიცება? სასაცილოა რომ მწერ, ჩემი წერილების კითხვამ არ დაგაგვიანოს ქალებშიო. საიდან გეჩვენება ასეთი უცნაურობანი, ჩემო ერთავ! ერთი რამ დაიხსომე სამუდამოდ: მე შენი ვარ და შენ ჩემი. მორჩა და გათავდა. დაუფიქრდი ჩვენს მდგომარეობას, ნუ აჩქარდები. ხომ იცი: აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია.

მარად შენი არჩილი

39

ნატა მოქუფრული დამხვდა. კარი რომ გააღო, ზედ არც კი შემოუხედია, ოთახის კუთხისკენ წავიდა, სადაც ჩვენი ერთადერთი ძვირფასი ავეჯი — ტაკვის სავარძელი დგას, და ძმიმედ ჩაეშვა. მუხლით, პატარა სკამზე პაატა უზის, ნახატებიანი საბავშვო ლოტო უჭირავს და ოდნავ გაფითრებული მისჩერებია.

დედა-შვილს, ორივეს, ნამტირალევი სახე აქვს. ნატას ცრემლის მიზეზი ვიცი, მაგრამ პაატას რა დაემართა, ვერ მივმხედარვარ. ჩვეულებრივ, ჰგონია, ბოგლმოგლი არ ჭამა, ან ეზოში ჩასვლის დროს დედას არ გაუგონა და ქუდი არ დაიხურა, ან გაკვეთილს არა სწავლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა ძაღლსა და ცხვარს ჯერ კიდევ ვერ არჩევს რიგიანად ერთმანეთისაგან, მაგრამ ნატას უკვე დაჰყავს „კერძო“ მასწავლებელთან და ყოველ საღამოს „ინგლისურში“ ამეცადინებს.

ზის პაატა მოწყენილი და ჩურჩულებს:

— ე დოგ — ძაღლი; ე ზუ — ზოოპარკი.

ჩვეულებრივი სცენაა. მე განგებ, ხმაურით ვალაგებ მაგიდაზე სანოვაგეს, რომ ან ამ ხმაურით, ან ჩემი გულუხვობით ყურადღება მივიქციო. ნატა ვითომ ვერ მამჩნევს და ზედმეტი გულისხმიერებით იმეორებს:

— ჰაუ დუ იუ დუ, მაი მადერ!

ვცდილობ, როგორმე პაატამ მაინც შემომხედოს. მაგრამ პაატა ან დედას დაურიგებია, ან თავისი, ბავშვისათვის საოცარი ალღოთი ხვდება, რომ მისი მშობლები უმძრახად არიან. საჭირო არ არის პაატა ჩვენს ჩხუბს შეესწროს, საკმარისია ორივეს შემოგვხედოს და თავად მიხვდება, რომ ცელქობა და სიცილი ადარ შეიძლება იქამდე, ვიდრე დედა და მამა არ შერიგდებიან. ასეთი უმძრახობის დროს პაატა ყოველთვის დედის მხარეზეა. არასოდეს არ იტყვის: „მამაკო, დედამ გაგაბრაზა?“, არამედ: „ცუდი მამა! რატომ გააბრაზე დედა?“ მიხარია, რომ პაატა ასეთი გულისხმიერია დედის მიმართ. ამით გახალისებული ხანდახან მეც, მასთან ერთად, ნატას დედას ვეძახი და თითქოს რაღაც სიწმინდე შემოდის ოჯახში.

— გუდ მონინგ, მაი მადერ, — ამბობს პაატა.

— ბიჭო, მამა დაგავიწყდა, სულ „მადერს“ რომ გაიძახი? — ვეღარ მოვითმინე და შევაწყვეტინე ბავშვს.

— პაატას არა ჰყავს მამა! — ტრაგიკულია ნატას ხმა.

ამდენი ინგლისური კი ვიცი. მე ქართულს ვასწავლი პაატას, ის — ინგლისურს. ვიცი ინგლისურად რა ჰქვია ღორს, ძაღლს, ცხენს, ფარშევანგს, მგელს. არ ვიცი რა ჰქვია ინგლისურად სიყვარულს, ან მოწყენილობას, ან მარტოობას. ეს არც პაატამ არ იცის. ნეტავ არც ისწავლოს! როცა მასთან ერთად ზოოლოგიურ სამყაროს ვიმეორებ, ჩემი თავი ძალიან ბედნიერი და ძალიან უზრუნველი მგონია. მკვერა, ზოოპარკში მხოლოდ ბედნიერი და უზრუნველი ადამიანები დადიან. მართლაც, ზოოპარკში მეტწილად ბავშვებს ნახავთ! მოზრდილებს ცხოვრებაში ისეთი მგლები უნახავთ და ისეთ აფთრებთან უნდა იბრძოლონ, რომ გალიაში გამომწყვდეული საცოდავი ცხოველები, მათთან შედარებით, უცოდველი მტრედები არიან.

— პაატა, რატომ არ ამბობ, გუდ მონინგ, მაი ფადერ! — ვიმეორებ განგებ ხმამაღლა და თან ისე ვალაგებ მოტანილ სათამაშოებს და სასუსნავს, რომ პაატამ კარგად დაინახოს ორლულიანი თოფი, ნაცრისფერი ხმალი და შოკოლადი.

პაატა ან ძალიან. არის შეშინებული დედისაგან, ან ნამდვილად გმირია. ორლულიან თოფსაც ხედავს, ნაცრისფერ ხმალსაც და შოკოლადსაც, მაგრამ თვალს არ ახამხამებს, თავგანწირულად ყლაპავს ნერწყვს და კბილებს აკრაჭუნებს:

— ე დოგ — ძაღლი; ე ზუ — ზოოპარკი.

ახლა მინდა როგორმე ნატას ყურადღება მივიქციო და დიდი მეოჯახესავით ვიწყებ მოტანილი სანოვაგის დახარისხებას და ჭურჭელში ჩაწყობას. განგებ ვურევ ჭურჭელს, რომ როგორმე დავარღვიო ეს ცივი დუმილი, ვაშლებში ვაწყობ, მწვანილს — ლარნაკზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატა, ისე როგორც პაატა, შეუპოვარია.

შუა ოთახში შეეჩერდი და ცერად შეეხედე ნატას. ერთხანს დავაკვირდი. გულწრფელად შემეცოდა.

ჩამოშლილი, დაუდევრად დავარცხნილი თმა, შესიებული უპეები, არაბუნებრივად ბრჭყვიალა თვალები, შეწითლებული ლოყები, შენაოჭებული ყელი და პატარა, მაგრამ მაინც შესამჩნევი ღაბაბი.

ასე იწყება ალბათ ქალობა და უბედურება. „ამის მიზეზი კი მე ვარ“, — ვფიქრობ და ამ წუთში მზადა ვარ ჩემს თავს ვიგინდარა ვუწოდო. რატომ ვტანჯავ ნატას? რატომ არ გავაკეთინებ ერთხელ და სამუდამოდ, რომ არ მიყვარს? ან ის რატომ იტყუებს თავს?

შემოვბრუნდი, დალაგებას თავი დავანებე და მაგიდასთან სკამზე დავჯექი. დავჯექი და გავჩუმდი.

სანამ ვმოძრაობდი, სანამ ვბრაზობდი, სანამ შერიგება მინდოდა და საამისო საბაბს ვეძებდი, ოთახიც სავსე იყო რაღაც ხმებით, შმაშურითა და სურვილებით. ეს სურვილები გაუგებარი და გაურკვეველი იყო — მაგრამ ერთი რამ ცხადად ჩანდა: მე არ მინდოდა მეცქირა, ნატა ასეთი უბედური ყოფილიყო, ხოლო პაატა, რომელსაც სიცილი, მზე, ყვირილი და ბავშვები უნდოდა, ასე დაღონებული, გაფითრებული და გაცრეცილი მჯდარიყო დედის მუხლთან და დაუსრულებლად ემეორა:

— გუდ მონინგ, მაი მაზერ!

შერიგებაც, ამიტომ, მე უნდა დამეწყო.

— პაატა, — ვთქვი ხმამაღლა, — წავიდეთ ქუჩაში, გავიაროთ!

ბავშვს თავისდა უნებურად სიხარულით წამოენთო ლოყები და თვალი გაექცა მაგიდაზე გამომწვევად ჩარიგებული სათამაშოებისაკენ.

— ბავშვი სწავლობს ახლა და ვერსად ვერ წავა, — თქვა ნატამ, მაგრამ თქვა ისე, რომ ეტყობა მასაც უკვე მობეზრებული ჰქონდა ყოველივე და ეძებდა გამოსავალს.

— პაატა, თხოვე დედას, გაგიშვას!

— შენ თავისუფალი ხარ! — მესროლა ნატამ.

შერიგება მინდოდა და წავუყოლე.

— გუდ მონინგ, მაი მადერ, გაგვიშვით სასეირნოდ მე და პაატა...

ნატას შეუმჩნევლად გაეღიმა. ამ ღიმილს მხოლოდ მე შევამჩნევდი, ტუჩებთან მიჯრილ ნაადრევ ნაოჭში ჩემი უთვალავი კოცნა ფათურობდა.

მივედი, მოვეხვიე ნატას, ხრიწიანი ჩურჩულით ვუთხარი რაღაც ძალიან წმინდა და სათუთი, დავიფიცე ოჯახი, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდებოდა და ისე შმაგად დავუკოცნე სახე, თითქოს არ მინდოდა, რომ ხმა ამოეღო, ეპასუხა, მხოლოდ მოესმინა და ეპატიებინა.

გახარებული პაატა ოთახში დარბოდა, ხმალი ეშიშვლებინა, თოფი გაემართა და მთელი ხმით გაჰყვიროდა:

— ბახ! ბახ! ჩახ! ჩახ! ჩუხ! — ისროდა თოფს, იქნევდა ხმალს და ისეთი სპეტაკი და მოსაყვარულე თვალებით შემოგვიცქეროდა, რომ სიკვდილს ვნატრობდი, მეგონა არასოდეს არ ვიყავი ღირსი ამ თვალებისათვის მეცქირა.

ინგლისური ყველას დაგვავიწყდა. ნატამ ჯერ უხალისოდ, მერე თანდათან გაუმხელელი, ფარული სიხარულით მიაღაგა ოთახი, ჩააცვა ბავშვს, გამოეწყო თვითონაც და სამივენი წავედით ქალაქში სასეირნოდ.

— გუდ მონინგ, მაი ფადერ! — ამბობდა პაატა და იმ საღამოს ნამდვილად ბედნიერი მეგონა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40

19 ივნისი, 1930 წ.

უსინდისოს!

მძულხარ, მეზიზღები.

ნანა.

---

18 ივნისი

ჩემს ნანას!

გაოცებული ვარ, ჩემო იმედო, შენი ასეთი აჩქარებითა და სულსწრაფობით. რა დაგიშავე, რითი დავიმსახურე ასეთი ლანძღვა? რატომ გამწირე ასე ბოლად და მოულოდნელად? დაუფიქრდი, ნანა, საკუთარ თავსა და გრძნობებს. ხომ არ გატყუებენ ისინი? ნაადრევად ნუ გამოიტან დასკვნებს. მე წინანდებურად მიყვარხარ და ვერავითარი წყენა ვერ შესცვლის ამ დიდსა და სპეტაკ გრძნობას.

შენი არჩილი

---

17 ივნისი

მოღალატეს!

როგორ ბედავ თავის მართლებას და ასეთი ყალბი, მოჩვენებითი გულგრილობით ჩემს დამშვიდებას?!. დიდი მადლობელი ვარ კეთილი სურვილებისათვის, რომ ასე ზრუნავ ჩემს ჯანმრთელობაზე და მირჩევ არ ვიდარდო. ვის უხვევ თვალს? მე ბავშვი კი არა ვარ? არც ქარაფშუტა გოგო, რომ გამაპამპულო! სცენაზე ხომ არა გგონია თავი? მონოლოგები მე არა მჭირდება. უკაცრავად, დეზდემონა კულისებში დაგრჩათ! წადი, მალე მიაკითხე, ისიც არ დაკკარგო. კმარა, რაც გულუბრყვილო ვიყავი და ასე ალალმართლად მჯეროდა შენი. ჭკუა ვისწავლე. კაცები ყველა უპიროები და უსინდისონი ყოფილხართ. ვერავითარი საბუთი ვერ გაგამართლებს. ისედაც გრძელი წერილი გამომივიდა. შენ ჩემთვის აღარ არსებობ. შენ ჩემთვის არარაობა ხარ. ცარიელი ადგილი. ნოლი. რომ შემძლოს, სხვაგან გადავსახლდებოდი, რათა არ მესუნთქა იმ ჰაერით, რითაც შენისთანა „დონჟუანი“ თუ დონკიხოტი სუნთქავს.

ნ...

---

16 ივნისი

სალამი ჩემს ერთგულ ნანას!

როდესაც ყოველი შეხვედრისას ან წერილობითი საუბრისას გარწმუნებ, რომ შენი არა თუ პატარა, არამედ დიდი საქციელიც, რომელიც ჩემს წინაადმდეგ არის მომართული, არა მწყინს-მეთქი, რატომ ანგარიშს არ უწევ? ნუთუ შენგან იმას მოველი, რომ პატარა რამ გეწყინოს და უმნიშვნელო ამბავი საზარელ სანახაობად აქციო? იქნება, ჩემო ცელქო, დრო ვერ ვიპოვე, რომ გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემეცა წერილი, სადაც განმარტებული იქნებოდა ყოველივე—განა ასეთი რამ საწყენია? ღღეს მითხრეს, შენი დანახვაც კი არ უნდაო! რათა, ჩემო ცელქო, რა მოხდა ისეთი? მე შენზე მეტად თავშეკავებული და სულგრძელი ვარ და ამიტომ არა მწყინს, ქალებს საერთოდ ჭირვეულობა ახასიათებთ, მაგრამ იმედი მაქვს, ასეთი რამ მომავალში აღარ განმეორდება.

ნანა, სხვა, როგორა ხარ? გწამდეს, რომ მე შენ არ გაგცვლი, ვწუხვარ, რომ ამჟამად ჩემს გვერდით არა ხარ, რათა უფრო დაწვრილებით გამეგო შენი უსაფუძვლო გაბრაზების მიზეზი. ჩემო ცელქო, მშვიდობით იყავი და არ დადარდო.

გწერს შენი საბოლოო შეყვარებული არჩილი

---

15 ივნისი

უბრალო ნაცნობს!

ამხანაგო, რა გუნებაზე ბრძანდებით? აღარ მხიარულობთ? ნეტავ თქვენ, რომ ასეთი ოხუნჯი ბრძანებულხართ! პროგრამა აღარავისი გაქვთ, რომ დახიოთ? როგორ მოერიეთ ქაღალდს? ოხ, ნეტავ შენი თავი მაგრად მაცემინა და მერე გინდა მომკლა. მეზარება წერილის მოწერა, შენ ვინა ხარ, რომ წერილი მოგწერო, მეყო რაც აქამდე სულელი ვიყავი და გწერდი. დროა სამუდამოდ დავშორდეთ ერთმანეთს. შორს ჩემგან, მოღალატეე, კაენო!

ნანა

41

მე ვიცოდი ლელას ბინა, ვიცოდი ის ქუჩები, სადაც ლელა მეტწილად დადიოდა, მაგრამ ისეთ დროს გავივლიდი ხოლმე, რომ არ შევხვედროდი. რაღაც უცნაური, ბავშვური შიში ჩამისახლდა გულში, მეგონა საკმარისი იყო ლელასთვის თვალი მომეკრა—ერთიანად შეიცვლებოდა ჩემი ცხოვრება. ვბრაზობდი საკუთარ თავზე: ნუთუ ის, რასაც მე პირად ბედნიერებას ვუწოდებდი, ისე სახელდახელოდ იყო შეხუხულავებული, რომ ლელას ერთი გამოჩენაც კი დაანგრევდა? მაშ დროდადრო რატომ მწამდა ჩემი ახლანდელი ცხოვრება, რატომ შევხაროდი მას, დილით რატომ ვიღვიძებდი ასეთი წმინდა აზრებით, თუ ყველაფერი მოჩვენება და ფარისევლური თამაში იყო? და თუ სინამდვილეში ასე იყო, მაშ როდის დადგებოდა ჟამი განკითხვისა, როდის ვიქნებოდით მეც, ლელაც და ყველანი გულახდილნი ერთმანეთთან, რომ დაუფარავად გვეთქვა ყველაფერი და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოგვეღო ამ უაზრო თამაშისათვის? არა, ეს მეტისმეტი იყო. ასე დალაგებულად არ შემეძლო ამაზე ფიქრი, ვიცოდი, ჩემი თავშეკავება უძლური იქნებოდა და რაღაც სისულელეს მოვიმოქმედებდი.

განსაკუთრებით არ მინდოდა გოგისთან ერთად შევხვედროდი ლელას. მე გოგისა მრცხვენოდა და ამავე დროს მებრალებოდა იგი. გოგის ხომ სწამდა: თავისი ოჯახური ბედნიერება, ის ხომ ყოველღამ რაღაც რიტუალურად თავს ევლებოდა ცოლს, უალერსებდა, ჰკოცნიდა... თავბრუ მესხმოდა! ლელას ჰკოცნიდნენ, ლელათი და მასთან ერთად ტკბებოდნენ, და ეს სხვა მამაკაცი იყო! ხანდახან ვფიქრობდი, რომ გოგი მომეკლა; რატომღაც მეჩვენებოდა, რომ მან უნამუსოდ შებღალა ჩემთვის ღმერთივით საყვარელი ქალი და სარგებლობდა რა ქმრის „უფლებით“, ყოველდღე და ყოველღამ ბღალავდა მას. გოგის სიკვდილით რა ეშველებოდა ჩემს იმ წმიდათაწმიდა გრძნობას, რაც ჭაბუკობიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამემდე შემოვინახე და რაც ისევ და ისევ ფარდის იქით დამალული ცხოვრების საიდუმლოება იყო ჩემთვის.

საიდუმლოება თუ ბედნიერება? იქნება ნამდვილად ბედნიერი მე მხოლოდ ლელასთან ვიქნებოდი? რატომღაც ღრმად ვიყავი დარწმუნებული, ლელა ყველაზე ინტიმურ წუთებშიც კი ჩემზე ფიქრობდა. ეს ერთგვარად ჩრდილს აყენებდა მის ქალურ პატიოსნებას, თუმცა მის ნამუსში ერთი წუთითაც ეჭვი არ მეპარებოდა. ეს უფრო დიდი და შეუცნობელი რამ იყო, ეს იყო ტყუილი საკუთარი თავის წინაშე, ღალატი საკუთარი თავისა. როგორ შეეძლო ლელას ერთი ჰყვარებოდა და მეორე მამაკაცთან დარჩენილიყო?..

ვიცოდი, რომ შევხვედრილიყავით, მე და ლელა ამაზე ერთი წუთითაც არ ვიფიქრებდით, ის ჩემთვის მუდამ იქნებოდა ჩემი პირველი და ყველაზე წმინდა სიყვარული, შეუბღალავი და ამაღლებული, მიუხედავად ამდენი წლების გათხოვებისა. ამიტომ ვერიდებოდი ლელასთვის საყვარელ ქუჩებს, ამიტომ ღვდიოდი იქ თვალცრემლიანი მაშინ, როცა დარწმუნებული ვიყავი, ლელას ნამდვილად არ შევხვდებოდი. რაღაცით მინდოდა შემეჩერებინა ის თილისმა თუ ბედისწერა, რომელიც ადრე თუ გვიან ჩემს იალქანდაგლეჯილ ნავს მის ნავსაყუდელთან მიაგდებდა. ეს რომ ასე იქნებოდა, ისე ღრმად მწამდა, რომ ხანდახან ეჭვიც მიპყრობდა, აუხდენელი სიყვარულის მანიით ხომ არ ვარ შეპყრობილი-მეთქი.

დავწვებოდი, ტკბილად, ძალზე ტკბილად მეთათუნებოდა ნატა, მე კი ვიტანჯებოდი, მე, რომელიც ბუნებით პატიოსანი და გულწრფელი ვიყავი და ჩუმს გრძნობაში არ შემეძლო თვალთმაქცობა. ვხედავდი, უბედური იყო ნატა, მან იცოდა, რომ არ მიყვარდა. უბედური იქნებოდა პაატაც, ის ძალზე ადრე იგრძნობდა უმამობას... რა უნდა ყოფილიყო ბიჭისთვის მამაზე ტკბილი!.. როცა მას მეგობარი დასჭირდებოდა, როცა ის ცხოვრებაში წაწყდებოდა სიძნელეს, გაუტანლობას, როცა მას პირველად მოატყუებდნენ, უღალატებდნენ, არ შეიყვარებდნენ და, როცა მას ამ უძნიმეს წუთებში დასჭირდებოდა მამა, რომელიც ყველაზე უკეთ გაუწევდა თანაგრძნობას, რადგან მასაც ცხოვრების იგივე გზა ჰქონდა გამოვლილი, — მე მაშინ მასთან არ ვიქნებოდი... მე ალბათ მექნებოდა სხვა ოჯახი... ლელა.... რატომ ვწირავდი შვილს, განა მისი ბედნიერებისთვის მაინც არ უნდა დამეთმო ჩემი პირადი ბედნიერება? გონება ამას ამბობდა, მაგრამ გული, ნატკენი, ბევრჯერ უმიზეზოდ შელანძღული და შეურაცხყოფილი, რომელსაც ასევე უნდოდა მეგობარი, ვერ ითმენდა...

მეც ხომ ახალგაზრდა ვიყავი, მეც ხომ ბოლოს და ბოლოს ერთხელ უნდა მეცხოვრა ამ ქვეყნად და ერთი სიყვარული მქონოდა! მე რაღა მექნა? მე ხომ ჩინებულად ვგრძნობდი, ამ სიყვარულის გარეშე ვერაფერს გავაკეთებდი... არა, განდიდების მანიით არ ვიყავი შეპყრობილი და არც გენოსობის კანდიდატი მეგონა თავი, მაგრამ მჯეროდა, ის ორი ან სამი კარგი ტილო, რომელსაც აუცილებლად როდისმე დავწერდი — ყველაფერზე მაღლა იდგა: ჩემზეც, პაატაზეც, ლელაზეც, ჩვენს სიყვარულზეც... ჩემში იჯდა რაღაც უხილავი და ხელშეუხებელი, რომელსაც ვემორჩილებოდი. ხშირად, დარდიანი და გაბრაზებული მოლბერტს რომ მივუჯდებოდი, ისე უცბათ ქრებოდა წვრილმანი კინკლაობა და ჭუჭყი, ისე ლამაზად იწმინდებოდა ჩემს წინ ცა, რომ მინდოდა სიხარულისგან დათვივით მეღრიალა...

იყო წუთები, როცა საოცარი ეჭვი და უნიათობა მიპყრობდა. მეჩვენებოდა, რომ მე მხოლოდ მოტყუებული და ხელმოცარული ბიძინა სანებლიძე ვიყავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ამ ქვეყნად არაფერი არ შეეძლო იმის გარდა, რომ ამდენ ადამიანს აუბედურებდა და ტანჯავდა. მაშინ მინდოდა წასვლა ამ ქვეყნიდან, თუკი მართლა მე ვიყავი ყველაფრის მიზეზი. მაგრამ ერთი კარგად მიგნებული ფერი ყველაფერს მავიწყებდა. ისევ გოლიათი მეგონა თავი, მე ღმერთი ვიყავი!..

ჩემთვის ხომ, სინამდვილეში, ხელოვნებაზე უფრო საინტერესო და მახლობელი არაფერი იყო... თვით ლელაც კი მიყვარდა იმიტომ, რომ ის ქალობიდან ხელოვნებაში იყო გადასული... მე მასში ვეტრფოდი ჩემს იდეალს — სილამაზის — კეთილშობილების — სიდიადის იდეალს, და, ყველა ისინი, ვისთანაც მე ურთიერთობა მქონდა, ამ დიდი, ჯერ დაუწერელი ტილოდან დასხლტილი ჩამცეცა ფერები იყო... ის კი, შორეული და მახლობელი, მიუკარებელი და თანაც ასე ხორციელი, იდგა ჩემს თვალწინ და მიხმობდა, მეძახდა!

არ შემეძლო შევჩერებულიყავი... ვჩერდებოდი, მაგრამ რაღაც ძალა ისევ მბიძგებდა, ისევ მიმაგორებდა, ვერიდებოდი, გავურბოდი, არ მინდოდა, მაგრამ ისევ და ისევ იმას ვუბრუნდებოდი და ჩემს თავთან ბრძოლა ტანჯვის ცეცხლში მწვავდა, მფერფლავდა, მანადგურებდა...

როდემდე მეცქირა? „როდემდე?“ — ვეკითხებოდი გონებას. როცა აზროვნების უნარს ვკარგავდი, ძველი ფანტაზიოსივით ჩავიქნევდი ხოლმე ხელს, ვივიწყებდი ყველაფერს, და სიკვდილმისჯილის მოთმინებით შევყურებდი გარდუვალს...

42

ჟანამ საბურთალოზე, კინოთეატრ „გაზაფხულთან“ დამინიშნა პაემანი. როგორც ყოველთვის, ამ პაემანზეც მაგვიანდებოდა, ამიტომ ტაქსში ჩავჯექი.

მანქანა დაიძრა. დაჟინებით ვიცქირებოდი ფანჯარაში, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი. ჩემი გონება სულ სხვა რამეს უტრიალებდა.

მოსკოვის ფილტრიანი სიგარეტები ამოვიღე, შოფერსაც შევთავაზე.

— მაგას არა ვწევ. ფილტრი — მაიმუნობაა. უფრო მახველებს. თბილისური „პრიმა“ მირჩევნია, ოღონდ მეორე ფაბრიკის.

გავაბოლეთ.

— უცნაური ამინდებია თბილისში, — ვთქვი მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც მეთქვა.

შოფერი მიმიხედა. გაეცინა.

— რატომ იცინით?

— ასეთ რამეს მხოლოდ შეყვარებულები ამბობენ, როცა აღარაფერი აქვთ სასაუბრო.

— თქვენ ფსიქოლოგი ყოფილხართ.

— განა შეყვარებული ხართ?

— შეყვარებული! რომეო! ანაქრონიზმია ჩვენს საუკუნეში.

— მაშ არც სასაუბრო გქონიათ.

— ეგ მთლად მართალი ვერ არის. სასაუბრო ბლომად მაქვს, მაგრამ რა აზრი აქვს ყოველივე ამას.

— საუბარს?

— თუნდაც საუბარს.

საღამოს შვიდი საათია. ქუჩებში უამრავი მანქანა ირევა. ტროლეიბუსები და ავტობუსები ხშირად ხერგავენ გზას. ტაქსი ნელა მიდის.

წინ ძველი, ტენტიანი ავტობუსი გაჩერდა. მარცხნივ დაიკეტა გზა. ტაქსის შოფერმა აღარ მოიცადა და მარჯვნივ აუქცია ავტობუსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი ნახეთ, ამ ქაოსში თუ მილიციელი არ იყოს სადმე, — თქვა შოფერმა. მართლაც გაისმა სასტვენის ხმა.

გამეცინა.

— ტალონს ხომ არ გახვრეტს?

— არა, თუ გაქვთ ხურდა, ეს თუმნიანი დამიხურდავეთ.

მე დავუხურდავე.

შოფერმა მოახლოებულ მილიციელს სამმანეთიანი მიაჩეჩა ხელში.

— პარდონ, მეჩქარება. ქვითარი არ მინდა, — თქვა და დასძრა ტაქსი. მერე კისერი მიიღრიცა და მიაძახა: — იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით!

ეზოდან ბურთი გადმოისროლეს. შვიდიოდე წლის ბიჭი კისრისტეხით გადმოეწთო ქუჩაზე. შოფერმა ძლიერ დაამუხრუჭა. მე ლამის ნიკაპი დავარტყი რადიომიმღების თავს.

— პატარა ეზო აქვთ, — თქვა შოფერმა, — აქ ყოველთვის ნელა მივდივარ.

ბიჭმა დასტაცა ბურთს ხელი და შეშინებული შებრუნდა ეზოში.

ტაქსთან ხალხი შეგროვდა.

შოფერმა თავი გადაჰყო ფანჯარაში.

— რას უდგეხართ, საქმე არა გაქვთ?

— კინაღამ ბავშვი გაიტანეთ, — დაიკივლა მძიმე კალათებით დატვირთულმა ფუმფფული ქალმა. — ლიხაჩ! ნახალ!

შოფერმა არაფერი უპასუხა. ნელა დასძრა მანქანა.

— ვინ ჰკითხავს მაგ ქალს, — ვთქვი გაბრაზებულმა. — მადლობის მაგიერია?

მოხუცი კაცი, ბერის თეთრი წვერით, ჩაფიქრებული გადადიოდა მანქანების ნაკადში. მოძრაობა შეჩერდა.

— ამ ხალხმა სიარული არ იცის? ეგეც ბავშვია?

— მაკლერია.

— დარბაისელი კაცი ჩანს. მუშტარი ჰყავს?

— არა, ჭრელმა გიგუშამ ჯიბეში ჩაისვა.

— აბა, რას აკეთებს?

— ბაღში ზის დილიდან საღამომდე და გაზეთს კითხულობს.

მანქანა გავიდა სპორტის სასახლესთან და ფართო გზაზე, მასთან ერთად, მეც ამოვისუნთქე.

სამხედრო გზა მარჯვნივ დავტოვეთ და სპეციალისტების სახლისკენ წავედით. ვეღარ მოვითმინე და შევეკითხე:

სანამ კინოთეატრ „გაზაფხულთან“ მივიდოდი, შოფერს ვთხოვე მანქანა ტროლეიბუსის გაჩერებასთან შეეჩერებინა, ვიფიქრე, ჯერ აქ მოვათვალიერებ ქანას და მერე კინოსთან-მეთქი. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, ქანა ტროლეიბუსით უნდა მოსულიყო.

ტროლეიბუსი მოვიდა. გულაფანტქალებული მივაჩერდი ფანჯრებს.

— ქანა! — დავიძახე მეტისმეტად ხმამაღლა. ქანამ მოიხედა. ერთბაშად წამოიწოლილა სახე. უკანა კარს ხალხი მიაწყდა. წინა კარისაკენ გავშურა, მაგრამ იქიდან ბავშვიანი ქალები და ინვალიდები ადიოდნენ. როგორც იქნა ასასველელი განთავისუფლდა და ქანა ჩამოვიდა.

არ მეგონა, თუ ასე ამიჩქროლდებოდა გული. ქანას ხელი მოვხვიე და ისე ტკბილად ჩავკოცნე, რომ თვალებში ცრემლიც კი წამომეძალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას შვრები, ბიძინა, — წაიჩურჩულა ქანამ. — სირცხვილია, შეხე, რამდენი ხალხია!

— ისინი მალულად ჰკოცნიან ერთმანეთს.

— კარგი ახლა, წავიდეთ სადმე. ტროლეიბუსმა რომ გაგვასწრო?

— ტაქსი გველოდება.

ბავშვებივით გავიქეცით მანქანისაკენ და შოფერი იმდენად წინდახედული აღმოჩნდა, რომ საღამოს გაზეთებიც კი დაგვახვედრა.

— საით?

— სად გინდა, ქანა?

— დისკუსიაა გოქსში. წამოდი, არ გაინტერესებს?

— მე შენი ყველაფერი მაინტერესებს.

— აბა წავიდეთ, ნუღარ ვიგვიანებთ.

— მხოლოდ ახლა არა, ეროვი კვირაა არ მინახავხარ და შეხვედრისთანავე დისკუსიაზე?

— მაშ სად, კინოში?

— არა, თბილისის ზღვაზე.

— წავიდეთ ზღვაზე? — ვეღარ მოითმინა შოფერმა.

— წავიდეთ.

მანქანამ გაიარა ისევ სპორტის სასახლესთან, გავიდა ჩელუსკინელების ქუჩაზე, გაუხვია მარჯვნივ, მერე გაძვრა ხიდქვეშ და ხუდადოვის აღმართს შეუყვა. ორი-სამი მოსახვევის მერე ცივმა ქარმა დაუბერა.

— ბიძინა. — ღიმილით მითხრა ქანამ. — ჩვენ სულ დაგვავიწყდა, რომ ახლა მარტია. რა გვინდა ზღვაზე?

— მე ზღვა გაზაფხულზე მიყვარს.

— მაგ დროს ბანაობა არა ღირს.

— შევხედოთ როგორ ღელავს, რას პურტყუნებს. როცა ზღვა ღელავს, საოცრად დამშვიდებული ვარ.

— ეს სულ ნერვების ბრალია.

— მე ნერვები აღარა მაქვს, ქანა.

— მაშ რა?

— აი ეს თბილისის ახალი უბანია, — ჩაერია საუბარში შოფერი. — აფსუს, რა ფულს აკეთებენ ბიუები...

— მე მინდა...

— მომწყინდა, სიმართლე გითხრა, ეს საუბარი, — შემაწყვეტინა ქანამ.

— კარგი, გავჩერდეთ და ზღვას მოვუსმინოთ.

გამოჩნდა თბილისის ზღვა. ნაპირი მუქი და მღვრიე იყო. შუაგულში სოსანი და ცისფერი ერთმანეთში არეულიყო. ზღვა ღელავდა.

ჰაერში ნესტი და სიცივე იგრძნობოდა.

ტაქსი გაჩერდა. მე და ქანა გადმოვედით და უხმოდ მივაჩერდით დამდგარ წყალს.

43

გარინდებული მივჩერებოდი ამღვრეულ წყალს და სულში უცნაური გრძნობები მიფართქალებდა. აშკარად ვგრძნობდი ჩემს არარაობას. ადამიანი პატარა, უჩინარი წერტილია აი ამ ზღვასთან და, მით უმეტეს, მარადისობასთან შედარებით. შმაგი გრიგალი და ყალუზე შემდგარი ზღვა უფრო მეტი ძალაა, ვიდრე თავით ფეხებამდე შეიარაღებული ათეული დივიზიები. მე არ მინდოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი პატარა და უმწეო წერტილი ვყოფილიყავი ამ სიდიადესთან, მინდოდა მეყვირა, მთელი ხმით მეღრიალა, მაგრამ ვიცოდი, ვერავინ მოვიდოდა საშველად ჩემი რწმენის მეტი. ჩემი გადამრჩენი ძალა ჩემშივე უნდა აღმომეჩინა, სხვა გზა არ არსებობდა. ხანდახან ძალის ისეთი მოტბორებას ვგრძნობდი, რომ მერჩენებოდა დედამიწის აწევა შემეძლო, ოღონდ ეს უსასრულოდ დიდი ცა არ მხურებოდა თავზე, ამ ზღვის წინ არ ვმდგარიყავი და ასე აშკარად არ დამენახა ჩემი უნიათობა.

— წავიდეთ, ბიძინა, შემცივდა, — თქვა ჟანამ.

უხმოდ გამოვტრიალდი და მანქანაში ჩავჯექი. მთელი გზა ხმა აღარ ამომიღია. როცა ჟორჟიკას ოთახის კარი უნდა გამეღო და გასაღებისთვის ჯიბე მოვიფათურე, მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე ღრმად და ცალი ხელით რომ კარს ვაღებდი, ცალით სიგარეტს მოვუკიდე.

ოთახში დახუთული ჰაერი იდგა. იატაკზე პურის ნამეცცები ეყარა, მაგიდაზე — კონსერვის ქილა, ცარიელი ბოთლები და ჟურნალები.

— ფანჯარა მაინც გავაღოთ, — თქვა ჟანამ.

ჟანა ზურგშექცევით იდგა, წინ გადახრილს კაბა წამოსწოდა და თხელ, სიფრიფანა წინდებში განაკვთული ფეხები მუხლზემოთ მოუჩანდა. მე ვუყურებდი ჟანას ნაზ წელსა და ამდენი ჯაფით ჯერ კიდევ გაუფუქებელ თეძოებს და ვგრძნობდი, ნელ-ნელა, თონეში ჩაყუდებულ ფიჩხის კონასავით, მეკიდებოდა ალი.

ფრთხილად მივუახლოვდი ჟანას და წელზე ხელი მოვხვიე. კისერზე, იქ, სადაც თმა ჰქონდა ჩამოშლილი, ვკოცე. ჟანა ზურგით მომეკრა. მერე სწრაფად შემოტრიალდა და კისერზე ორივე ხელით ჩამომეკიდა. თვალები გიჟურად უელავდა, მის გულს ყელთან გაჰქონდა ბაგაბუგი.

— ჟანა, ხომ დავთქვით, ჩვენ მეგობრები ვართ...

— ნუ ბავშვობ, ბიძინა, — წაიდუდუნა ჟანამ და მთელი სხეულით ამეგლისა.

— მოიცა, ჟანა, — ვთქვი ცოტახნის მერე, — კარი დაკეტოთ.

— არ გაბედო! — გიჟური სიჯიუტით წამოიძახა ჟანამ, — ისინი, მშიშარა ჭურღლები, ოჯახებს ანგრევენ, ათას სიბილწეს სჩადიან და გამბედობა არ ჰყოფნით, თავიანთ საყვარელ ადამიანს აშკარად ეტრფიალონ.

— ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, — მოთმინებადაკარგულმა ვთქვი და ჟანა ხელში ავიტაცე.

— დე, ყველამ დამინახოს! — ისტერიულად ყვიროდა ჟანა. — მე ქალი ვარ და მიყვარს!..

ხოლო მცირეხნის შემდეგ უკვე გატეხილი ხმით წაიჩურჩულა:

— მე მინდა გულახდილი ვიყო ცხოვრებაში. ყველა გულახდილი ადამიანი პატიოსანია.

აქამდე მე მეორე ოთახიდან მესმოდა საწოლის ჭრაჭუნი, მალე ის ხმები მიწყდა და გარკვევით გავიგონე.

კ ა ც ი: ბავშვი მალე მოვა?

ქ ა ლ ი: არა, მეზობელთან დღეობაა, თანაც შევეხვეწე, კრებაზე დამაგვიანდება და ამაღამ თქვენთან დაამინეთ-მეთქი.

კ ა ც ი: ისე რომ დილამდე...

ქ ა ლ ი: თავისუფლად.

ცოტახნის მერე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ც ი: რამდენი მიუსაჯეს შენს ხაზეინს?

ქ ა ლ ი: შვიდი წელი.

კ ა ც ი: სად მუშაობდა ის დურაქი?

ქ ა ლ ი: მაღაზიაში, სექციონერი იყო.

კ ა ც ი: ბევრი გაჭამათ?

ქ ა ლ ი: ჩვენ რა, თვითონ ისხამდა ტიკვინი მუცელში. მე და ბავშვი ცივ კარტოფილზე გადავდიოდით.

კ ა ც ი: რევიზია დაეცა?

ქ ა ლ ი: ჰო, ყველამ ჭამა — დირექტორიდან ყარაულამდე. გაფლანგვა კი ჩემს ქმარს დააწერეს. ღმერთო ჩემო, რა დაუნდობელი არიან ადამიანები!

ჟანა შეინძრა, გვერდზე გადაბრუნდა და ცივი ტუჩებით მაკოცა. მე შევეშმუშნე. ჟანას ეწყინა და ხმაურით მიიკუჭა საწოლის კუთხეში, ზურგი შემიბრუნა.

მეზობელ ოთახში ისევ ჩურჩულებდნენ.

კ ა ც ი: რაღა შენს ქმარს დაეტაკნენ, არიფი გამოიპირეს ალბათ!

ქ ა ლ ი: ეხ, თავი გადასდო იმ უბედურმა.

კ ა ც ი: მოსამართლეს ფული არ აძლიეთ?

ქ ა ლ ი: არ აიღო.

ჟანა სლუკუნებდა. მე აღარ შემეძლო დაუსრულებელი ახსნა-განმარტებანი, ამიტომ ჩუმად მივეფერე, გადმოვაბრუნე ჩემსკენ და ცრემლიანი თვალები დაეუკოცნე.

— არ გიყვარვარ, — ჯიუტად თქვა ჟანამ.

— ნუ სულელობ!

— არ გიყვარვარ, არა, მე გატყობ!

— ვერაფერსაც ვერ მატყობ.

— რატომ არ მიმიწვიე იმ სახლში, ცალკე რომ გქონდა დაქირავებული?

— ეჰ, ეს ძველი ამბავია.

— შეგეშინდა?

— ვისი უნდა შემშინებოდა?

— საკუთარი თავის.

— ნუღარ მოვიგონებთ იმ ამბავს.

— არა, უნდა მოვიგონოთ, შენ როცა ცოლს იგონებ, სინდისი გაწუხებს. რატომ? მე არ გიყვარვარ. მას კი პატივს სცემ, აი სიმართლე თუ გინდა გითხრა.

ლელა მომაგონდა. გულში ეკალივით გამკრა რაღაცამ. ჟანა ქალი იყო და არ შეიძლება არ ეგრძნო, რომ მე იგი არ მიყვარდა. ამას გრძნობდა ნატაც. როდემდე უნდა მეთვალთმაქცნა?

— პატივისცემა და სიყვარული სხვადასხვა რამეა, — ვთქვი უხალისოდ.

— ნატას პატივისცემა სიყვარულია...

ჩემი ლელა!

— როგორ, პატივისცემასაც მიკრძალავ?

— მე არაფერს არ გიკრძალავ, მხოლოდ მე გიყვარდე.

ლელა მიყვარს, ლელა, გ ე ს მ ი ს!..

— მე შენ არ გღალატობ.

— მღალატობ!

— ვისთან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნატასთან.

— კანონიერ ცოლზე ამის თქმა სასაცილოც არის!

— სიყვარულმა კანონი არ იცის. ჩვენ რომ სხვებთან გვაქვს ხელი მოწერილი, განა ეს გვიშლის ერთმანეთი გვიყვარდეს? განა ეს გვაკავებს ერთმანეთს არ შევხვდეთ? ნამდვილ გრძნობას ტყვიაც ვერ შეაჩერებს!

ნამდვილ გრძნობას, ლელა, ტყვიაც ვერ შეაჩერებს!

მერე ოთახიდან ჩურჩული ისმოდა.

— საძაგლობაა, — თქვა ჟანამ.

— ჩვენზეც ამას იტყვიან.

— ამას მხოლოდ შენ იტყვი.

— რატომ გგონია?

— იმიტომ, რომ არ გიყვარვარ.

— აბა, აქ რა მინდა?

— შენ მხოლოდ ისვენებ ჩემთან. ისვენებ ცოლისგან!

— ჟანა, ჩვენ ტყუილად ვუწიწკნით ერთიმეორეს სულს. არც შენ ხარ ჯუ-ლიეტა და ვერც მე ვიქნები რომეო.

— ამას არცა გთხოვ. იყავი ჩემთან ბოლომდე გულახდილი და სხვა არაფერი მინდა.

— ვცდილობ.

— ეს უარია!

— ეს შენი ვარაუდია და არა ჩემი პასუხი.

— შენ მარწმუნებ, რომ ადამიანები ზოგი ნიჭიერად და ზოგი უნიჭოდ თამაშობენ კეთილშობილებას, რაინდობას, პატიოსნებას, გულწრფელობას... რომ ისინი ცუდი მსახიობები არიან და შენც მათ შორის ცუდი მსახიობი ხარ.

— ეს ცუდი ფილოსოფიაა.

— მე არ ვიცი, ფილოსოფიაა თუ ზღაპარი, ვიცი მხოლოდ, რომ არ მინდა ეს დავიჯერო. ადამიანები ასეთად გეჩვენება მაშინ, როცა შენი თავის მეტი არავინ გიყვარს, ან როცა ავადმყოფურად ეჭვიანი ხარ...

— მე არა ვარ ეჭვიანი და თუ ამ ქვეყნად ვისმეს ვემდური, პირველ რიგში საკუთარ თავს. მე არ ვიცი რა მინდა და რაც მინდა, როგორ გავაკეთო. თითქოს ცისა და მიწის შუა ვარ გამოკიდული...

— ცხოვრება არ იცი?

— ყოველ ღამის განზე ვარ დარჩენილი. ტექნიკა სასწაულებს ახდენს, ხელოვნება წინ მიდის — მე არაფერში არ მიდევს წილი. მე მინდა ჩემი საუკუნის ყველა დიდი მოვლენის გულში ეტრიალებდე, რაც უფრო ვცდილობ ამას, უფრო ვირიყები. მე მინდა ვიყო — დიდი მსახიობი, ცნობილი ფიზიკოსი, სამხედრო სტრატეგი, დიპლომატი, ლამაზი, რაინდი, ყველაფერი მინდა ვიყო, მინდა ვანსახიერებდე ყველა სიკეთეს და ნიჭიერებას რაც კი დედამიწის ზურგზეა, მაგრამ არაფერი არა ვარ და ეს ჩემი არარაობა იმ სიდიდესთან შედარებით მკლავს და მანადგურებს.

— ამაში შენა ხარ დამნაშავე. თუ განზე გაუდგები ცხოვრებას, არავინ დაგეჭიდება.

— განზე არ განვმდგარვარ.

— აბა, რა მოხდა? იმ მონადირესავით წუწუნებ, რომელმაც მინდორში მწყერი ვერ მოკლა და ბაზარშიც ვეღარ მიუსწრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვწუწუნებ. მხოლოდ შემოგჩივი.

— ეს უკვე იმედია!

— თუ თავის დამშვიდება?

— ყოველ შემთხვევაში უკეთესობის ნიშანი.

— უკეთესი და უარესი ძალიან პირობითი ცნებაა.

— ისევ ფილოსოფია!

— ფილოსოფია და სიყვარული.

— ეს ძალიან შეუთავსებელი რამაა!

— პირიქით, შეყვარებულები და ფილოსოფოსები ერთმანეთს ჰგვანან: ორივენი ბოლომდე ეძებენ ჭეშმარიტებას. აი შენ, ყოველი შეხვედრისას სიყვარულის ფიცს მოითხოვ.

— მე ოფელია არა ვარ! ჩვენს დროში პროვინციალობაა რაიმეს ფიცი. ფიცს მხოლოდ ჯარისკაცები სდებენ.

— შეყვარებულები?

— ტკბილად კოცნიან.

— შენ ეს არ გაკმაყოფილებს. შენ ყველაფერი გინდა!

— სხვანაირად არც შეიძლება, მე ხომ შენში ადამიანი მიყვარს და არა ცხოველი.

მეზობელ ოთახში ისევ გარკვევით მოისმა საუბარი.

ქ ა ლ ი: მაკინტოში არა მაქვს.

კ ა ც ი: ჯერ ცივა, რად გინდა მაკინტოში.

ქ ა ლ ი: მალე დათბება.

კ ა ც ი: გიყიდი ჰო, რა ყელზე დამადექი!

ქ ა ლ ი: რატომ მიყვირი?

კ ა ც ი: კარგი, ჰო, ნეყნობას ნუ დამიწყებ.

მეზობელ ოთახში გაჩუმდნენ და მე გადავწყვიტე, რომ ქალი ტიროდა. მერე კაცმა დაიცემინა და „ცეცხლი“ უთხრა საკუთარ თავს. მერე ასანთს გაჰკრა და ალბათ პაპიროსს მოუკიდა. რატომღაც თვალწინ მედგა მისი სქელი, ქონიანი ტუჩები, კოტიტა, ბალნიანი თითები, ვაჭრის სახე. ის უცნობი ქალი უცბათ ისე შემეცოდა, რომ ჟანას, რომელიც უკვე ამდგარიყო, ხელზე ვაკოცე.

— რას სულელობ, — გაიღიმა ჟანამ.

— ჩემო, — წავიჩურჩულე ძალიან ჩუმად და ძალიან სერიოზულად. გონებაში კი დავუმატე: „ლელა!“

44

3 ივნისი, 1929 წ.

ჩემს ძვირფას ნანას!

უკანასკნელი კვირა, ჩემო კარგო, სულ რეპეტიციებზე ვიყავი. რახან დრამწრეში დავწყე მეცადინეობა, უნდა კიდეც ბოლომდე გავყვე, თორემ კომკავშირელი ვარ და საზოგადო საქმის შუა გზაზე მიტოვება უნერხულია. თანაც კოლმეურნეობას ვუწევთ შეფობას და სირცხვილს ხომ არა ვჭამთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ როგორა ხარ, ძვირფასო, იმ დღეს კლუბში მგონი რაღაც გეწყინოს, მაგრამ ვერ მივხვდი რა. ნუ გამიწყრები. თუ მართლა საწყენია, მაპატიე.

შენი არჩილი

---

19 მაისი

არჩილს!

ოხ, არჩილ, მაშ დავიჯერო, რომ საბოლოოდ გიყვარვარ? არა, არჩილ, მე ასე ჩქარა ვერ დავრწმუნდები, იმიტომ რომ ახლანდელი ვაჟები სულ ამის ცდაში არიან, ქალები მოატყუონ და მერე ამით იამაყონ. იმას კი აღარა ფიქრობთ, ქალი რა მდგომარეობაში ვარდება. თქვენ ლამაზი სიტყვებით ცდილობთ ქალს თავი შეაყვაროთ და როცა ქალი გეტყვით, „მეც მიყვარხარო“, მაშინ კი უპასუხებთ: რა სიყვარულია!.. და აი, მეც სწორედ მგონი მეშინია, არჩილ, და ვფიქრობ: იქნებ მცდი, როგორც ქალს! გახსოვს, პირველ წერილში რომ მწერდი, პასუხი ერთი სიტყვითო, ე. ი. ან ჰო, ან არაო. მე ერთ-ერთ ამ სიტყვათაგანს მაშინ მოგწერ, როცა ღრმად დარწმუნებული ვიქნები თუ რას ფიქრობ ჩემზე. ახ, ნეტავი ვიცოდე როგორი შეხედულებისა ხარ ჩემზე არათუ ამჟამად, არამედ სამუდამოდ.

არჩილ, ისიც ამოვიკითხე შენი წერილიდან, წერილებით თავს არ შეგწყენო, მაგრამ იცოდე, შენი წერილები არ მომბეზრდება, თუ შენ არ გეზარება წერა. იქნებ მე მოგაბეზრე თავი ამდენი წერილებით? გგრძნობ, რა ერთფეროვანი და უშინაარსოა ჩემი წერილები. ამიტომ გულით მინდა შენთან პირადად შეხვედრა, მაგრამ ხომ ხედავ, ვერ ვახერხებ. ჩვენი პატარა პროვინციალური ქალაქი ჭორიკანებით არის სავსე და ამის საშუალებას არ გვაძლევს. ჯერ ჭორიკანები ცოტა მიწყნარდნენ, ხომ იცი, სიფრთხილეს თავი არა სტკივა. როცა ამხანაგებთან ერთად მნახავ, ნუ შემომხედავ. შეიძლება მეც არ შემოგხედო და არ გეწყინოს. ნამეტნავად თუ ისეთ ამხანაგებთან იქნები, რომელთა დანახვაზეც ნერვები მეშლება. არც ის მსიამოვნებს, რომ შენ მათთან კარგ განწყობილებაში ხარ. ჩემს თავს იმდენ უფლებას არ მივცემ ჭკუა გასწავლო, მაგრამ უფრთხილდი, არჩილ, ადამიანების შერჩევას, არ გიმტყუნონ! ხომ იცი, გველი გარედან არის ჭრელი, ადამიანი შიგნიდან.

გწერს ნანა.

---

12 მაისი

სალამი ჩემს ერთგულ მეგობარს!

გამარჯობა, ჩემო ერთგულო, როგორა ხარ, გისურვებ კარგად ყოფნას და ბედნიერ ცხოვრებას. როგორ ატარებ დროს, მოწყენილი ხომ არა ხარ? ხომ იცი, ჩემო კარგო, რომ შენი მოწყენილობა იგივე ჩემი მოწყენილობაა, გთხოვ არ მოიწყინო და ყოველ წუთს მხიარული იყო. ალბათ დაღლილი იქნები, მაგრამ თავს ძალა დაატანე და წაიკითხე ეს პატარა ბარათი. იმ წერილს პასუხს ვერ გიბრუნებ, არ გეწყინოს, გენაცვალე, დრო არა მაქვს. ოხ, რამდენი ხანია არ მინახავხარ, ნეტა სადა ხარ, სად იმალები, რომ ვერ გხედავ? მე კარგად ვარ და ბევრსაც ვმხიარულობ, ან რა მაქვს მოსაწყენი. მოკითხვა ყველასაგან. მშვიდობით იყავი.

გწერს ნანა

---

4 მაისი

სალამი ნანას!

ნანა, რამდენჯერ მითქვამს პირადად და წერილობითაც, რომ შენგან არაფერი მწყინს-მეთქი, სხვას შეიძლება სხვანაირად გავუმასპინძლდე, მაგრამ შენ შენი თვალებით ყველაფერს აბათილებ. გიმეორებ, მე შენგან არაფერი არა მწყინს, შენ უკვე დამასწარი და მითხარი წერილებით, „ბავშვები აღარა ვართო". დიახ, სწორედ ეს უნდა შევიგნოთ, მოვიქცეთ ისე, როგორც კანონიერ და სრულწლოვან შეყვარებულებს შეჰფერით!..

ჩემო ნუგეშო, რატომ გგონია, რომ არ შეგიძლია უდარდელად გაატარო შენი ახლანდელი დრო. მართალია, ჩემს სიყვარულში დარწმუნდი, მაგრამ რატომდაც გგონია, რომ ჩემი სიყვარული საბოლოო არ არის, ე. ი. გიდალატებ. ამ დარდს მე მალე ვუპოვი გზას, დაგარწმუნებ ჩემს საბოლოო სიყვარულში. ჩემო გულო, უკანასკნელად გეუბნები, რომ თუ შენი დარდის მიზეზი ეს არის, გეფიცება სინდისს, არ გიღალატებ. რაც არ მიფიქრია, იმის გაკეთება შეუძლებელია. მიყვარხარ საბოლოოდ და საბოლოო სიყვარულს არა აქვს უმთავრეს მიზნად, არათუ უმთავრეს, გამონაკლის მიზნად მაინც, დასახული ღალატი. ნუ გეშინია, ნანა, შენ ჩემზე გვიან არ დაამთავრებ ტექნიკუმს და უმალესის კარსაც მალე მიაღწევ. ჩემო ნუგეშო, რატომ გეშინია უბედური დღისა, როცა ბედნიერი დღეები გელოდნა? მე ისეთი ადამიანს ვეძებდი, ვისაც ჩემთან სულიერი საერთო ექნებოდა, საბოლოო სიყვარული არავისთვის შემიფიცია (გარდა შენი, ჩემო იმედო!). ნანა, ისეთი ადამიანი, რომელიც ჩემს მდგომარეობას გაიზიარებდა, მხოლოდ შენ განახე, შენ გაგანდე ჩემი გრძნობა! ჩემო ცელქო, ნუ ფიქრობ ღალატზე, ჩემ მხრივ ეს არ მოხდება და ამდენად, როგორც შენ მარწმუნებ, არც შენგან არის მოსალოდნელი.

ახლა ჩვენი კოლექტივი სოფელში მიდის, წარმოდგენა უნდა ჩავატაროთ და შეიძლება ორი კვირა ვერ განახო. ნუ იდარდებ, დარწმუნებული იყავი, სულ შენზე ვიფიქრებ. ნანა, წერილი რომ დასწერი, იმისი შინაარსი მაინტერესებს და იმედია მოკლედ მაინც გადმომცემ. სურათი, თუ მოახერხო, ამ წერილის პასუხთან ერთად გამომიგზავნე. მშვიდობით, ჩემო ცელქო, ჩემი თხოვნაა არ იდარდო! იმედია, წერილის წაკითხვის შემდეგ შეასრულებ ამ თხოვნას. ჩემო ნანა, თავს გაუფთხილდი. ვრცელ და შინაარსიან პასუხს ველი.

გწერს შენი საბოლოო შეყვარებული არჩილი

45

ჟანა რომ მივაცილე, უცებ წინ თათია შემომფეთა. რევოლუციამდელ შლაპაზე ცოცხალი ია კონა მიეკრა, ქოლგა გაეშალა და მაღალქუსლიან „ბაშმაკებზე" შესკუპებული, ვიტრინაში გამოკრული გაზეთს კითხულობდა. თვალში ჯერ ქოლგა მეცა ამ მთვარიანი, მოწმენდილი ცის ქვეშ, მერე ქუსლიანი „ბაშმაკები" დავინახე და ბოლოს დედა შევიცანი.

— ოჰ, ბონჟური, ბიძინა, — მითხრა თათიამ და გამიღიმა.

— დედა, რატომ გაქვთ ქოლგა გაშლილი? არა წვიმს, — ვუთხარი ხმადაბლა.

— როგორ თუ არ წვიმს, ყმაწვილო, — თქვა თათიამ და ზევით აიხედა.

შენობის მეორე სართულზე დამლაგებელი ქალი აივანს სველი ტილოთი რეცხდა და მისი წვეთები დასცემოდა თურმე თათიას.

— ლონდონში არავის მიაჩნია სირცხვილად ქოლგის გაშლა, — ცხარედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითხრა თათიამ. მერე თითი წაჰკრა ვიტრინას და დაასრულა: — წაიკითხე!

— დიდა, ეს გაზეთი უკვე წაკითხული მაქვს, და თანაც თქვენ არა ხართ ლონდონში.

— მადლობა ღმერთს, ვიცი, რომ თბილისში ვარ! კიდევ რას მეტყვი?

მეც რას ჩავაცივდი თათიას და მის ქოლგას! გინდა ყირამალა დამდგარა, ვუთხრა ტკბილი „ღამე მშვიდობისა“ და წავიდე.

თათიამ შემატყო ვტოვებდი, გრძელი, ბლითებივით მოგრეხილი თითებით ჩამეჭიდა და გამაფრთხილა:

— იცოდე, შინ უნდა მიმაცილო. გულის ფრიალი მაქვს.

— დიდა, ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ კრებაზე მეჩქარება.

— დღეს კვირაა, ყმაწვილო!

მე სულელს, მეთქვა თეატრში, როდის იყო კრებაზე დავდიოდი, საიდან გამახსენდა! მაგრამ თეატრი მეთქვა და იქაც რომ გამომყოლოდა?

— წავიდეთ, ბიძინა, — მითხრა თათიამ, როცა კითხვა დაამთავრა.

— შენ რომ უზრდელი ხარ, ეს ძველი ამბავია, ბიძინა, თანაც უხეში... — განაგრძო მან, — როგორ მომდევ, გადადი მარცხნივ, ნუ გავიწყდება, რომ კავალერი დამას მარცხენა მხარეს უნდა მისდევდეს...

ქოლგა ისევ გაშლილი ჰქონდა თათიას. ცნობისმოყვარეთა ბრბო მოგვდევდა და ვერ გაეგოთ, მთვარეზე გაშავებას ვერიდებოდით თუ ორი კეირის მერე მოსალოდნელ წვიმას. ერთმა სტუდენტმა ყურში ჩამძახა:

— კალოშები დაგვიწყებიათ, ქალბატონებო!

ბოლოს თათიას, ეტყობა, ხელი დაეღალა და ქოლგა დახურა.

— მე რომ არ გითხრა, ბიძინა, — ამბობდა თათია, — განა შენ არ იცი, რომ დამა უნდა გააცილო? მართალია, პატარა გოგო არა ვარ, მაგრამ არც დედაშენივით შვილიშვილები მახვევია, რომ უკვე ბებია ვიყო და შეურაცხყოფა ვეღარ მომაყენონ... სხვა თუ არაფერი, ინფარქტი რომ დამემართოს, ასე უსახელოდ უნდა მოვკვდე? მე ხომ პასპორტიც არ წამომიღია შინიდან.

— არ მოკვდებით, დეიდა.

— რა კილოა, ყმაწვილო! მე მკვდარიც კი დამის სახელს არ შევარცხვენ! ო, როგორ ნატრობენ სახელს შინაბერები. რითი დავამშვიდო თათია?

— თქვენ არ მოკვდებით, დეიდა!

— რატომ?

— როგორ თუ რატომ? იმიტომ რომ... მაგარი ჯანმრთელობა გაქვთ!

— მართალი ხარ, ბიძინა! ბუშინ რენტგენზე გავეშუქე, დღეს დილით კბილების ახალი პროტეზი ვიყიდე და ჩვენს პოლიკლინიკაში ანალიზი წავიღე... ნაცნობი ექმია, ვთხოვე, მაშინვე გაესინჯა. შარდზე მითხრა...

ღმერთო, რატომ დავიბადე!..

— ეი, ტაქსი! — შევღრიალე შოფერს, რომელმაც ის-ის იყო მოაყენა მანქანა ტროტუარს.

— ტაქსი არ მინდა, — მტკიცედ განაცხადა თათიამ.

— აღმართია, დეიდა, თანაც მგონი წვიმას აპირებს.

— თუ გეჩქარება, შენ წადი ტაქსით, მე ფეხით მირჩევნია.

ტაქსის შოფერი იღრიჭებოდა.

— გთხოვთ, დეიდა, — ვლუღლუღებდი ბრაზით გახელებული, — ხომ იცით, როგორ პატივის...

— კაცო, ე რა ჯანჯალი ყოფილხარ, — დაიყვირა შოფერმა, — კუბოში კი არა ვწევარ, მოცლილი ვიყო!

თვალით ვანიშნე, როგორმე ეს ქალი ჩავსვათ-მეთქი.

შოფერი მარდად გადმოვიდა მანქანიდან და თათიას უთხრა:

— ტოტჯჯან, გალავინსკზე რომ ფეხით მიდიხარ, სტილნი ვოგო ხარ? ჩაჯექ რაღა მაშინაში...

— გმადლობთ, ყმაწვილო.

შოფერმა კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, თათიამ თვალები დამიბრიალა და რუსულად მითხრა:

— ნეგოდიაი, ატპუსტი სეიჩასკე მაშინუ!

თათია რომ რუსულად საუბარს დაიწყებდა, უკიდურესი გაბრაზების ნიშანი იყო, ამიტომ სანამ რამეს ვეტყოდი შოფერს, მან ერთი ავლაბრული შეგვიკურთხა და მოუსვა.

მივყვები თათიას, ისე ვარ გამტკნარებული და შერცხვენილი, რომ არ ვიცი ვიტირო თუ ვიყვირო. თათიაც, ვატყობ, შეურაცხყოფილია. საწყალი, ტირის.

ეს უკვე მეტისმეტია. ვცდილობ როგორმე გამოვასწორო ეს ტრაღიკომედია.

— დეიდა, ნატამ ვერ იქნა და ნიგვზის ტორტი ვერ გამოაცხო, თქვენ ერთხელ ჩამაწერინეთ რეცეპტი, მაგრამ სადღაც დაგვეკარგა, თუ შეიძლება გაიმეორეთ!

თუ გინდათ თათიას გული მოიგოთ, ნამცხვრის რეცეპტის სწავლება უნდა თხოვოთ. მაგრამ თათია ისეა გაბრაზებული, რომ მხოლოდ ნიგვზის ტორტის რეცეპტი ვერ გამოისყიდის ჩემს დანშაულს. ამიტომ საჩქაროდ ვუმატებ:

— თუ არ დაგეზარებათ, გულიანი ქადისა და შუს გამოცხობაც გვასწავლეთ!

ეს, ვიცი, რომ საკმარისია. თათიამ ცრემლი მოიწმინდა, რატომღაც ქოლგა ისევ გაშალა და დაიწყო:

— სამი ჭიქა პურის ფქვილი, ორი ჭიქა შაქარი, ვანილი, მარგარინი... ჩაიწერე, ბიძინა!

— ზეპირად დავიმახსოვრებ, დეიდა.

— ბიძინა!

სახიფათოა თათიას გაბრაზება, შეიძლება მართლა შეუღონდეს გული. გავჩერდი შუა ქუჩაში, ჯიბიდან ქაღალდი და ფანქარი ამოვიღე და ვიწერ.

— დანაყილი ნიგოზი და შაქარი ერთმანეთში უნდა აურიოთ, მერე ცომი უნდა გაანბრტყელოთ, მერე ნიგოზი შიგ ჩასდოთ... არა, ეს ტორტი არ არის, — თქვა თათიამ. — დაწერე: შესწორება...

გახალისებულმა თათიამ კიდევ ხუთი ნამცხვრის რეცეპტი ჩამაწერინა. ვიდექით ორი საათი რუსთაველის ძეგლთან და მის სიმშვიდეს ვანილითა და მარგარინით ვარღვევდით.

როცა თათია შინ მივაცილე, მეგონა მეორედ დავიბადე-მეთქი. მთელი დღის შთაბეჭდილებანი აღარც კი მახსოვდა. ჟანასთან გატარებული საღამო რაღაც შორეული სიზმარივით იყო.

ღამის პირველი სრულდებოდა, ჩემი ოთახის კარი რომ შევაღე. ნატა არ იწვა. ვიგრძენი რაღაც საგანგებო მომზდარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გელირსა პაემანიდან მოსვლა? — გესლიანად მომაძახა ნატამ. — ახლა აფთიაქიდან ეს წამალი მოიტანე და დანარჩენზე მერე მოვილაპარაკოთ.

პაატა გამხდარიყო ავად. ეს კიდევ არაფერი. ნატას საიდანღაც კვლავ გაეგო ჩემი ქანასთან შეხვედრა.

46

23 აპრილი, 1929 წ.

მეგობარს!

გახსოვს, არჩილ, ის ღამე, მე რომ ასე გაგაბრაზე? მაგრამ შინ რომ დავბრუნდი და ჩემს საქციელს დავუფიქრდი, მივხვდი: დამნაშავე ვიყავი. ჩემი იმღამინდელი ქცევა 12 წლის ბავშვის საქციელს შეეფერებოდა. მე მგონი ამის ბრალი იყო, რომ სერიოზულ საკითხზე ვერ კისაუბრეთ, რადგან ჩვენი საუბარი ყველას ესმოდა. მივხვდი, არჩილ, რომ იმ ღამეს ძალიან გაგაბრაზე და ამით გული გაგიხელე. მართალია, შენ მეუბნებოდი, სინდისი დაიფიცეო, მაგრამ მე არ დავიფიცე, იმიტომ რომ მაშინ ვხუმრობდი და ხუმრობის დროს სინდისს ასე იოლად ვერ დავიფიცავდი. შენ ვერ მიმიხვდი, რომ ვხუმრობდი! თუ კიდევ განმეორდა ასეთი სულელური ხუმრობა, ბავშვებივით ნუღარ მოვიქცევით. მოვიქცეთ ისე, როგორც სერიოზულ და სრულწლოვან შეყვარებულებს შეჰფერით!

არჩილ, მართალია, მე მაშინ არ დავიფიცე, მაგრამ ახლა კი, ჩემო ნუგეშო, სინდისს გეფიცები, იმ ღამეს ყველაფერს ვხუმრობდი... შენს მეტი არავინ მყვარებია და არავინ მიყვარს. შენა ხარ მხოლოდ, ჩემო იმედო, სხვა არც არის და არც იქნება. მაგრამ შენზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული, მიღალატებ და დე, მე ვიყო ცხოვრებაში უბედური, შენ გაიხარე სხვა შეყვარებულთან, მე შორიდან შევხედავ შენს ბედნიერებას... მაგრამ შენი წერილები მაიმდგმს, რომ არ გამწირავ... არჩილ, დავამთავრებთ თუ არა ტექნიკუმს, ჯერ ვიმუშაოთ, მერე კი ორივემ უმაღლესში ვისწავლოთ! ნეტავ როდის იქნება ის ბედნიერი დღე!.. არ ვიცი რა მემართება, არ მინდა ამაზე ვიფიქრო, მაგრამ სულ ის მეჩვენება, არჩილი ვისმესთან არ იყოს-მეთქი... ვეღარ ვახერხებ დალაგებულად ვწერო. გაკვეთილი გვეწყება. გახსოვს, ერთხელ რომ მკითხე, ჩემს მერე ვისი იქნებიო, ახლა გიპასუხებ:

მიწამ ნუ მომცეს საზრდოობა, ნურც ზეცამ სხივი,
მომესპოს სრულად მოსვენება, სიამოვნება,
განწირულობად შემეცვალოს იმედი ტკბილი,
თუ რომ შენს შემდეგ განვიზრახო მე გათხოვება.

ასე, ჩემო კარგო, შენს შემდეგ არასოდეს არ ვიფიქრებ გათხოვებას, თუ გინდა დღესვე გამცვალო სხვაზე. იმიტომ კი არა, რომ ვერავის ვნახავ, არამედ იმიტომ, რომ რაცა ვთქვი, უნდა კიდეც შევასრულო: მიყვარდეს ერთი და ვიტანჯო მისთვის. შენ კი? ასე მგონია, მე რომ უდროოდ გამოვეთხოვო მზიან ქვეყანას, შენ შეიძლება ერთ კვირასაც არ მიგლოვო... მართლა, მე რომ მოვკვდე, მიტირებ? მთელი ჩემი ამხანაგები რომ მიტირებენ, მაშინ მაინც არ მიტირებ, როგორც უბრალო ნაცნობს? ჩემს სიკვდილს რომ წარმოვიდგენ, ისე მეცოდება თავი, რომ ცრემლები მცვივა... მაინც არ გეცოდები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰო, იმას ვამბობდი, ჩვენთვის ახლა მთავარია სწავლა, ჩვენს ცოდნას მოვახმართ საზოგადოებას! შენ გგონია, რომ ჩაცმას რაიმე ყურადღებას ვაქცევ? არა, ძვირფასო! მე ყურადღებას შენს სინდისს და შენს ადამიანობას ვაქცევ. ნუ მივყვებით ჩაცმას ნურც შენ და ნურც მე, სწავლას მივყვეთ, როს ბედნიერი ვიყოთ! გახსოვს გურამიშვილი: სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.

ნუ გაიტეხ გულს იმით, რომ ღარიბი ხარ. მე სიმდიდრეს არარაობად ვთვლი. ცოდნით ნუ ვიქნებით ღარიბები და ქონება არ გვინდა! ბრალი იმათ, ვინც ჭკუით ღარიბია, თორემ ჩვენ არაფერი გაგვიჭირდება.

ვაჟბატონო, ალარ მომკლავ, იმ ღამეს რომ დამემუქრე? რომ არ გითხარი, მშვიდობით-მეთქი, გეწყინა? არა, ჩემო იმედო, მე ვხუმრობდი, შენს მეტი არავინ მიყვარს, არა! ხუმრობა რატომ ვერ გაგიგია? არჩილ, ვიცი დროს წაგართმევ, მაგრამ მომწერე ვრცელი წერილი და ესეც არ დახიო. ხომ იცი, მერე სიამოვნებით მოვიგონებთ ახალგაზრდობას. ჩემო ყველავ, ღამის თერთმეტი საათია, სასწავლებელში არ შეიძლება მეტხანს ვიყოთ და საწოლში კი ვერ მოვახერხებ წერას. აქეთ-იქიდან ყვავებივით დამყურებენ ჭორიკანები. ამის შემდეგ არავითარ ბავშვურ ხუმრობას ჩვენ შორის ადგილი ალარ ექნება. მშვიდობით. კარგად იყავი.

შენი ნანა

---

15 აპრილი

სალამი მარად ჩემს სიცოცხლეს არჩილს!

მე ვინახავ შენს წერილებს და სიკვდილამდე მექნება. ამას წინათ მე და თინამ ამოვიარეთ მუშათა სახლისაკენ, შენთვის უნდა გადმომეცა წერილი. რომელიც ძალიან კარგ გუნებაზე დაგაყენებდა, მაგრამ შენთან იდგა საზიზღარი ხელაძე. მის დანახვაზე ისე შეკერთი, არა თუ წერილის მოცემა, დალაპარაკებაც ვერ შევძელი. ვიფიქრე, ხელაძემ რომ შემნიშნოს, თავი მოსაკლავი გამიხდება-მეთქი. ისე გავბრაზდი, რომ დავბრუნდი თუ არა საერთო საცხოვრებელში, წერილი დავწვი, თითქოს ის ყოფილიყოს რამეში დამნაშავე. თინა ძალიან გაბრაზდა და ჩემთან ერთად იტირა. ახლა თინა ალარ ტირის, მე კი ისევ ვტირი. არჩილ, გეტყვი გულახდილად, მე ჯერ არავინ მყვარებია, არც არავის შევიყვარებ და ვინც შემიყვარდება — საბოლოო ის იქნება!!! ჯჯეროდეს, მე თუ შეგიყვარე, გინდ მეორე დღესვე გამომიცხადო „ალარ მიყვარხარო", მაინც მეყვარები და ჩემი იმედი მხოლოდ შენი წერილებიღა იქნება. არ გეგონოს შენს მერე სხვას გადავუშალო გული: გული მარაო ხომ არ არის, რამდენჯერაც შემოგცხება — იმდენჯერ გაშალო და გაიქნიო. არ ვგავარ ზოგიერთს, დღეს ერთი მიყვარდეს და ხვალ მეორე. მე ამაზე უღირსად არაფერი მიმაჩნია ცხოვრებაში. წინა წერილებში გწერდი და ახლაც გწერ: როცა დავწერშუნდები, რომ ნამდვილად გიყვარვარ, ე. ი. საბოლოოდ — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და არა დროის გასატარებლად, როგორც ახლანდელი ვაჟების მეტი წილი იქცევა (მე პროცენტებში ვერ გამოვხატავ. იმიტომ რომ მათემატიკა კარგად არ ვიცი) — მაშინ გეტყვი, რომ მეც მიყვარხარ-მეთქი... ვიცი, მომწერ, როგორ დაგარწმუნოო? მე მაშინ დაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერებ, როცა შემომფიცავ სინდისს!.. რაც შეეხება სურათს, გამოგიგზავნი, როცა გეყვარები, მე კი მაშინ მეყვარები, როცა მეცოდინება, რომ საბოლოოდ მიყვარხარ. არჩილ, დავუშვათ, რომ გითხარი, მიყვარხარ-მეთქი. ვიდრე ჩვენ ერთმანეთისა გავხდებით, 6 — 7 წელი მაინც გავა, იმიტომ რომ, შენ თუ არა, მე აუცილებლად განვაგრძობ სწავლას უმაღლესში ტექნიკუმის დამთავრებისა და მუშაობის მერე. ვაითუ იქამდე მოგწყინდე და სხვა ნახო, მე დამტოვო და ის შეიყვარო. მერე ხომ ცხოვრებაში უბედური ვიქნები? რად უნდა მოხდეს ასე? არ იფიქრო, რომ მე სხვას ვერავის შევიყვარებ. მაგრამ მტკიცედ მწამს: გიყვარდეს ერთი, იტანჯე მისთვის. თუ შემიყვარდები, შენ იქნები პირველი და უკანასკნელი! მე შენს მეტს არავის შევხედავ. მაგრამ მაინც უნდა გამოგიტყდე, არჩილ, რაც იყოს-იყოს, თუ შენი სიყვარული გულწრფელია, მეც მიყვარხარ და მეყვარები სამუდამოდ, და თუ მიღალატებ, დე, შენმა სინდისმა დაგტანჯოს!

მე მიყვარხარ და მეყვარები სამუდამოდ!

გწერს მარად შენი ერთგული ნანა.

ძალიან ვჩქარობ, სურათს მერე გამოგიგზავნი.
მშვიდობით, იყავი კარგად. თავს გაუფრთხილდი.
ველი პასუხს მოუთმენლად.
მშვიდობით. მშვიდობით. პასუხი, პასუხი ჩქარა!
ოხ!!! რომ მიღალატო, არ შეგებრალები?!.

---

28 მარტი

სალამი ნანას!

ვეცდები დაგიმტკიცო სიყვარული, ე. ი. შეგფიცო სინდისი, რომელიც ესოდენ ძვირფასია ადამიანისათვის. ნანა, შეიძლება გაგეგოს ჩემგან ასეთი ფიცი — სინდისს გეფიცები-მეთქი, ეს მაშინ, როცა გულით ვასრულებ ადამიანის წადილს. კომუნისტებს ერთი შესანიშნავი თვისება აქვთ: რასაც იტყვიან, იმას უცვლელად გაატარებენ ცხოვრებაში! ამდენად, მე ხომ მათი უმცროსი ძმა ვარ...

ახლა, ნანა, მოკლედ გეტყვი, რომ შემდეგში ადგილი აღარ დაუთმო ასეთ სიტყვებს: „ახლანდელი ვაჟები“ და სხვ.. გთხოვ, მათ მე ნუ შემადარებ. თუ მე მიგაჩნივარ სინდისიერ ადამიანად, დამიჯერე, რომ მიყვარხარ და მეყვარები. შეიძლება მატერიალურმა პირობებმა, როგორც ეს ხუთშაბათს გითხარი, არ შემიწყონ ხელი. რა დასამალია, იქნება შენს გვერდით ბევრი ახალგაზრდა იყოს ძვირფასად ჩაცმული, მაგრამ მე მწამს, შენ ადამიანს შეიყვარებ და არა ტანსაცმელს... არ დაგავიწყდეს, ჩემო ნანა, რომ ღარიბს უფრო ტკბილი სიყვარული შეუძლია. განა ეუვი გეპარება, რომ მე პირველი და უკანასკნელი შეყვარებული ვარ? ჩემი ღალატი დაუშვებელია. რა ვუყოთ, რომ წუთიერია ჩვენი ყოველი შეხვედრა და გულის გადაშლას ვერ ვასწრებ. კარგად მენახე, ჩემო იმედო.

საბოლოო: შეყვარებული არჩილი

---

10 მარტი

ჩემო არჩილ!

დე, შეგნებულებმა იცოდნენ ჩვენი ამბავი, ხოლო რაც შეეხება ისეთებს, როგორიც დარეჯანი და ზოგიერთი ჩვენი შეუგნებელი მოსწავლეა, ისინი მაჟლეტებენ პირდაპირ. გთხოვ, როგორც შეგნებულსა და სინდისით სავსე ადამიანს, აცხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ვ შ ვ ი: ყოველდღე უნდა გარეცხო?

ქ ა ლ ი: ჰო, კვირის გარდა.

ჟანი საწოლზე ჩამოჯდა, ვიწრო იუბკა მუხლებზე წამოეწია, მაგრამ მე უკვე აღარ მაღელვებდა ის.

ჟორჟიკას საწოლს ზამბარა გაწყვეტილი ჰქონდა და ნელ-ნელა იატაკისაკენ ვეშვებოდი. გვერდი შევიცვალე და ჟანას შევეკითხე:

— ხომ არა ცხელა?

— არა. მხოლოდ ნესტის სუნია.

— რატომღაც გახურებული ვარ.

— ავად ხომ არა ხარ?

— შეიძლება.

მეზობელი ოთახიდან ისევ ისმოდა ხმადაბალი საუბარი.

ბ ა ვ შ ვ ი: მეც წამოვალ ხოლმე, მოგეხმარები.

ქ ა ლ ი: არ შეიძლება.

ავდექი, სიგარეტი ჩავაქრე და ფანჯარაში გავიხედე. მოღრუბლულიდღე იყო, ციოდა.

— მაკინტოში მაინც ეყიდა, — ჩაილაპარაკა მეზობელ ოთახში ქალმა.

— ვის, დედა? — შეეკითხა ბავშვი.

ქალმა დააყოვნა პასუხი და მერე მკვახედ უთხრა:

— ვისა და მამაშენს! ვინ მიყიდდა კიდევ სხვა? — მერე სწრაფად დაამატა: — ისწავლე ლექსი, შე სასიკვდილეგ, ბუსავით ნუ მომჩერებიხარ!

შემოვბრუნდი. მაგიდიდან სიგარეტები ავიღე, ქუდი დავიხურე.

— სად მიდიხარ? — მკითხა ჟანამ.

არაფერი ვუპასუხე.

— სულ მიდიხარ?

— სულ, — ვთქვი ხმადაბლა და წყნარად გამოვაღე კარი.

პირველი წიგნის დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღოვან ნარიმანიძე

შენითა და საღამოებით

მე ისევ შენზე მომინდება სათქმელი, თეო,
მოგონებები მძაფრად მძალავენ,
მაგრამ რად არის,
არ ვიცი, მე გავიზარდე თუ
ის სავსე დღენი დაპატარავდნენ...

მაინც ყველაფ შენზე მომინდება სათქმელი, თეო...

გინახავს, ნისლი შემოდგომის ტყეებში,
თეო?...
შემოღამება თუ გინახავს მთებში იისფრად,
ისეა სული,
ჩემი სული გავსილა, თეო,
შენითა და საღამოებით...

შორეულ ბაქანზე

ღამის სიბნელე შორს გაჰქცევია
ელნათურებს და პატარა ბაქანს,
წვიმს და ხეები სევდასავით აფენენ ჩრდილებს,
მარტოდ ვართ სამნი;
მე, ბაქანი და მოლარე ქალი,
და ველოდებით მოკივლებას მატარებლისას.
მერე მეც წავალ,
და ის ორი დარჩება მარტოდ,
ბაქანი და მოლარე ქალი...
ისინი კვლავაც დაუწყებენ ლოდინს სხვა მგზავრებს
და მოკივლებას მატარებლისას,
მე კი ვიქნები შორს,
ძალიან შორს,
კუმეტი ღამე სად დაფენილა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ველების და გორების იქით...
აღღერდებიან ჩემი სულის ჩუმი სიმები,
როცა ვიხილავ სხვა ბაქნებს და სხვა სალაროებს,
ჩაწყნარებულ და ჩაძინებულ დიდ რესტორანებს,
ხეებში მყუდროდ მიმოფანტულ პატარა სახლებს,
მარადი ყინვით თავშებურულ მთებს, გოლიათებს.
ისინი კვლავაც გამახსენებენ
ამ მყუდრო ბაქანს **და მოლარე ქალს,**
როძელიც, ალბათ, ფიქრობს გზებზეც, ჩემზეც და სხვაზეც,
ოჯახზეც, ძმებზეც
და რაღაცა სხვა მომავალზეც...
ღამის სიბნელე შორს გაჰქცევია
ელნათურებს და პატარა ბაქანს,
წვიმს და ხეები სევდასავით აფენენ ჩრდილებს,
მარტო ვართ სამნი:
მე, ბაქანი და მოლარე ქალი...

გახსოვს

გიგლია ბერიკაშვილს

ბუდეებს ვშლიდით,
ხეებიდან ბუდეებს ვშლიდით...
არ ვუჯერებდით, —
სწუხდა მიტო მასწავლებელი,
რომ ჩამოვარდა აივნიდან, მოკვდა და მერე
ხარიმებივით ჩავაბღავლეთ იმის ყრუ საფლავს)
ძველ მებადურებს დავყვებოდით, მორევი დიდი
გაგვიტაცებდა,
გვაბრუებდა და შიშსა გვგვრიდა.
საღამოხანზე ვიპარავდით ხოკერა გოგრებს,
დავაჭიდებდით...
რომ გენახათ, მოზვრები მოზვრებს
როგორ უტევდნენ!
ისიც იქ იყო, ილაანთ გიგლო.
(ის შემდეგ ომში დაიკარგა,
— მოკლეს?..
— ვინ იცის!...)
მოქანცულები ვბრუნდებოდით სახლში მდელოდან,
ბუხარში იდგა სადუღარი და ჩვენ გველოდა...
ჩვენო ხეობავ, შენც ხომ კარგად გახსოვს ყოველი,
ერთად ვიცოდით აბორგება განუზომელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამე, ცის ნამი,
  დიდი მთვარე,
    გახსნა ზეცისა...
(ცაზე ვარსკვლავთა კვლავაც დათვლა აღარ გვეღირსა.)
გათენდებოდა, ვაკითხავდით გოდორყურებსა,
იმ ჩვენს პატარა მაჭარეულს, იმ ჩვენს ყურესა.
შემდეგ მინდორში, მაღალ ხიდან ვშლიდით ბუდესა,
ისიც იქ იყო — ჩვენი მიტო მასწავლებელი,
(ის ჩამოვარდა აივნიდან, მოკვდა და მერე
ოთხი წელია წვიმა დასდის იმის სამარეს)...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმენტი გოგიავა

შესვლა წვიმაში

ყველაფერი იმ დღეს მოხდა, ივნისის წვიმიან დღეს.

მთელი კვირა ცხელოდა. სიცხემ თბილისელები აშალა, აგარაკებს მიაშურეს. ქალაქს ხალვათობა მაინც არ დაეტყო. ქუჩებში ტევა არ იყო. ჩრდილში კაცი კაცს ძნელად ჩაუვლიდა. თაკარა სიცხიანი დღეების შემდეგ ცას ღრუბელი გადაეკრა, საიდანღაც ქარი ამოვარდა.

არავის მოეწონა ეს დაუპატიჟებელი ქარი: ღრუბლებს გადარეკავს, მერე წვიმა აღარ მოვაო. ორ დღეს ანჩხლობდა ქარი, ხეებს დრეკდა, ფოთლებს წეწდა, მესამე დღეს სულ აიშვა თავი, მიწაზე და ცაში ყველაფერი არიგ-დარია, ცა ჩამობნელდა, წვიმა დაეკიდა.

დალი ჯერანაშვილს შინ გასაჩერებელი თავი აღარ ჰქონდა, გამოცდები ყელში უჭერდა, წიგნი კი ვერსად იშოვნა. ვიღაცამ მისწავლა, ნუნუ დვალიშვილს აქვს „მაღაროები“ და უარს არ გეტყვისო. დვალიშვილი თითქმის დავიწყებული ამხანაგი იყო, საბურთალოს ბოლოში ცხოვრობდა. დალიმ ჯერ ტელეფონით დაურეკა მორიდებით; ცას ეწია დვალიშვილი: წიგნს კი არა, სულს არ დაგიჭერო.

დალიმ არ დააყოვნა, მაშინვე საბურთალოში გაჩნდა. დიდიხნის უნახავებმა ერთმანეთი გადაკოცნეს, მიიკითხ-მიიკითხეს, მერე ნუნუმ ყდაშემოცრეცილი სახელმძღვანელო წინ დაუდო მაგიდაზე.

— კიდევ კარგი ამ წიგნმა მოგიყვანა, თორემ ჩემ სანახავად არ მოხვიდოდი.

— სად მცალია, გოგო, გამოცდებმა თავბრუ დამასხა... შენ რას შვრები?

— ისევ დაუსწრებელზე ვჯახირობ.

— რა უშავს. დაამთავრებ, გზა გაგეხსნება.

— რა ვიცი. ახლა კი თავგზა მაქვს აბნეული.

დალიმ წიგნი აიღო, წასვლა დააპირა.

— მოიცა, გოგო, რას გარბიხარ.

— მეჩქარება. წვიმას უნდა გავასწრო.

— დაჯექი. რა ვქნა, არ გაგაფრთხილო, არ შემიძლია. შენ რომ არ მოსულიყავი, დღეს მე ვაპირებდი შენთან მოსვლას.

— რა იყო? — დაფეთდა დალი, წიგნი მაგიდაზე დადო, გაოცებული თვალები ნუნუს მიაპყრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუს უჭირდა ხმის ამოღება, ოდნავ მოცახცახე ხელი დალის მკლავზე მოუჭირა.

— გოგო, ცუდი რაღაც უნდა გითხრა. ვერელ სამსონას გულში ჩავარდნიხარ, თავს გაუფრთხილდი.

— ვიმე, რას მეუბნები! — შეშფოთდა დალი.

— მე გაგაფრთხილე, აწი შენ იცი!

— ჩემთან რა უნდა იმ ჯადოს.

— რა უნდა? რა უნდა ქორს წიწილასთან?!

— თითსაც ვერ დამაკარებს, მე ძმა მყავს, აბა, გამიბედოს რამე.

— ძმა მე ოთხი მყავს, — მწარედ ამოოხრა ნუნუმ, — მაგრამ მაინც ცუდად გავები. ვერელის მურდალი ხასიათი ხომ იცი, ცოლად მინდაო, მითხრა... იქნებ უყვარხარ.

— ღმერთმა დასწყეველოს მისი სიყვარული. მაინც სად ნახე ის ოხერი?

— შინ მოვიდა, შუამავლობა მთხოვა, ცივი უარით გავისტუმრე, მაგრამ მომეშვება?

დალი ახლა უფრო აჩქარდა, წიგნი აიღო და ამხანაგს გამოემშვიდობა.

ქუჩაში ქარი ზუზუნებდა, მტვრის კორიანტელს აყენებდა, ფოთლებს წალმა-უკუღმა დაადგრიალებდა.

შემკრთალი და შეშინებული დალი შინ მიიჩქაროდა, უნდოდა მალე გასცლოდა ამ მიდამოს. უკან მოხედვის ეშინოდა, ეგონა ვერელი მოსდევდა. გულში შხამი ჩაეწვეთა ნუნუმ და გამოუშვა.

ვერელს დალი ერთხელაც არ დალაპარაკებია. ეშინოდა მისი. ცუდი სახელი ჰქონდა, უქნარა და ჩხუბისთავი იყო, გოგოების მუსუსი და მოძალადე. რომელ ქალიშვილსაც თვალს დაადგამდა, ხელიდან აღარ გაუშვებდა, თუ მოქარგული ენითა და სიჩუქრებით მის გულს ვერ მოიგებდა, მაშინ ძალას მიმართავდა, მის რკინის მკლავებს მსხვერპლი ვერ გაექცეოდა, ერთ-ორ თვეს ლაღად ცხოვრობდა, მერე ქუდს მოუხდიდა და მშვიდობას უსურვებდა. ძალადობისთვის სამართალშიც მისცეს, მაგრამ დედამისმა ნათესაობა შესძრა და ციხის კარი გაუღო.

ეს ყველაფერი იცოდა დალიმ და შიშმაც იმიტომ აიტანა.

უცებ თხლაშუნა წვიმა წამოვიდა, ცა უფრო ჩამოაბნელა...

დალის ჩითის კაბა მალე გაეწუწა, ნიაღვარმაც კოჭებამდე უწია, დაფეთებულმა აივნის ქვეშ შეყუჟულ ხალხს მიაშურა. მეორე სართულის აივანი საკმაოდ პატარა იყო და ერთიმეორის წაჰდღულებით იქ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მათკენ გამოქცეულ დალის ქვაფენილზე ფეხი დაუცდა, მარჯვენა ხელი მაგრად დაჰკრა მიწას, იღლიიდან გაზეთში გახვეული წიგნი გაუვარდა. ქალიშვილი უცებ ვერ წამოხტა და ის იყო მის მისაშველებლად გამოქანებულმა გივი ლელაშვილმა მკლავზე ხელი სტაცა.

— ხომ არ გეტკინათ რამე?! — ჰკითხა, მკლავისთვის კი ხელი არ გაუშვია, მარცხენათი ის წიგნი აიღო; დაბნეული დალი აივნისაკენ წაიყვანა. აივნის ქვეშ თავისი ადგილი დალის დაეთმო, თვითონ გვერდში ამოუდგა წვიმის მხრიდან, წყლის ცივი წვეთები მზრუნველი ვაჟკაცის გაშლილ მხრებს აცაბაცა ეცემოდა.

გივიმ წიგნს სველი გაზეთი შემოაცალა და ფანჯრის ბადურაში შესდო.

დაცემისას დალის ხელისგული გაკაწროდა და სისხლი სდიოდა. გივიმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიბეზე გაიკრა ხელი და ლამაზად დაკეცილი ცხვირსახოცი ქალიშვილის ვაჟტაკა ხელს უცვლ შემოახვია.

— არა, არა, ნუ სწუხდებით! — აწრიალდა დალი.

— გტკივათ?

— არა.

— სისხლი რომ მოდის?

— მერე რა...

დალიმ შეხვეული ხელს სული შეუბერა.

გადაღებას აღარ აპირებდა. სველი მტვრის სუნი ნედლი ფოთლების მოტკბო სურნელმა შესცვალა.

ახლა ქარმა წვიმა ალმაცერად წამოიღო და ვაჟკაცს, დალის ასე მზრუნველად რომ იცავდა, მსხვილი წვეთები მკერდზე ქვიშასავით მიაყარა.

— თქვენ სველდებით.

— რა უშავს, არ გავდნები.

— ასე თუა, მე რომელი შაქარი მნახეთ. — მიუგო დალიმ და გვერდზე გაიწია, ახლა იმასაც მიაშეფა წვეთები და კაბის კალთა უფრო ჩამოეწუწა.

— სველდებით. დადექით ისევ თქვენს ადგილას.

გოგომ ისევ მოკიდა ხელი მის მკვრივ მკლავს და უკან დასწია. ქალიშვილის შიშველი მკლავი თონესავით მხურვალე მოეჩვენა. როგორ არ უნდოდა მისთვის ხელის გაშვება, მაგრამ... მოკანკალე ხელი მოწყვეტილივით ძირს ჩამოუვარდა, თან გული და თვალები ქალიშვილისაკენ წაუვიდა.

თვალადი იყო დალი ჯერანაშვილი, მაღალი, გოგის მხრებამდე წვდებოდა. მწვანე ფოთლებით გადაჩითული კაბა კენარ ტანზე კოხტად შემოტმასნოდა. მოკლედ შეკრეჭილი თმა დასველებოდა. დარდიანი თვალებით შორს იცქირებოდა, წვიმის იქით. მზისგან ოდნავ შეწითლებულ სახეზე ბუსუსები აშლოდა.

მარცხენა ლოყაზე მოყავისფრო ხალი ხორბლის მარცვლის სიმსხოდ ამობურცოდა და მთელ სახეს შნოსა და ლაზათის შუქსა ჰფენდა.

გოგომ თვალი ვერ მოსწყვიტა ამაყ ქალიშვილს. გულში თავისთვის ინატრა, ნეტავი მეც შემომხედადდესო, მაგრამ დალი ისევ შორს, წვიმის იქით მისჩერებოდა ამოჩემებულ წერტილს.

გოგომ ვერ გაიგო, რას გასცქეროდა ქალიშვილი სივრცეში, ან რას ფიქრობდა.

დალის ეს უცებ შეხვედრილი ჭაბუკი თვალში მოუვიდა, შეუმჩნევლად შეთვალიერა და ახლა ფიქრობდა, ნეტავი ვინ არისო. თითქოს სადღაც ენახა, მაგრამ ვერასგზით ვერ მოიგონა, როდის და სად. ნაცნობი ხმა ჰქონდა, სახეც ნაცნობი... ასე ეჩვენებოდა დალის. მოსწონდა, ვაჟი რომ ცოტას მორცხვობდა, მძიმედ გამოთქვამდა სიტყვას, ენასაც ოდნავ უკიდებდა. ასეთ მორცხვ და კარგ ვაჟს პირველად ხედავდა თავის სიცოცხლეში.

დალი ფიქრმა შორს გაიტაცა. თვალწინ ვერელი წარმოუდგა, დაბალი, ტიკივით ჩაფსკვნილი, შუბლზე ჩამოშლილი თმითა და მსხვილი, ჭროღა თვალებით. შიშმა აიტანა. წვიმა უფრო და უფრო ანჩხლობდა, ქარი კი ოდნავ დაცხრა, მაგრამ ახლა წყლის ღვართქაფი გუგუნებდა, მტვრიან და ჭუჭყიან ქალაქს ჰბანდა, აკრიალებდა.

დალიმ ვერელის მოლანდება, როგორც იყო, მოიშორა და შეუმჩნევლად ერთხელ კიდევ შეავლო თვალი გოგის ვაჟკაცური სიჯიუტით სავსე სახეს. ყველაფერი შავი ჰქონდა გოგის: თვალები, სახე, თმა; ასეთ კაცს სოფლელი ქალები შავტუხას ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ასეთ თვალად დალი პირველად ხედავს, პირველად!

— გადაღებას ადარ აპირებს? — იკითხა დალიმ უფრო იმიტომ, რომ უნდოდა მისი ხმა კიდევ გაეგონა.

გივიმ გაიღიმა.

— იწვიმოს! — უთხრა მან.

— სანამდე?

— სანამ მოწყინდება.

— რომ ვსველდებით?

— რა უშავს, ზაფხულის წვიმა მარგებელია.

— ეს კი არ ვიცოდი, — ჩაეცინა დალის.

უცებ შანქანის გუგუნი გაისმა. „პობედა“ ზედ კედელთან მიაგდო ვიღაცამ და კაბინიდან გამოსძახა:

— წამოდი, გოგო, რა ხანია დაგეძებ!

ეს დალის უფროსი ძმა იყო, გაბო, ტაქსის მძღოლი.

დამფრთხალი დალი მაშინვე მანქანისაკენ გაექანა, გვერდით მოუჯდა თავის მკაცრ ძმას. „პობედა“ რომ დაიძრა, ქალიშვილმა გაბედა და გივის ფანჯრიდან ხელი დაუქნია.

ბადურაზე შემოდებული წიგნი კი დაავიწყდა.

„უშნო ვარ, უშნო, — შეუწყრა თავის თავს გივი, — სახელი და გვარი მაინც მეკითხა, გამეგო ვინ არის“.

წვიმა ისევ შხუოდა, შხაპუნებდა, ქვაფენილზე წყალი მიჩხრიალებდა. გივის კი საშური საქმე ჰქონდა, თორმეტ საათზე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უნდა ყოფილიყო, ამხანაგმა დაიბარა.

ზოგმა მარჯვე კაცმა პიჯაკის საყელო აიწია და გაიქცა. სასაცილოდ გარბოდნენ, წყალში ტყაპა-ტყუპით მიტოპავდნენ.

გივიმ კარგი სირბილი იცოდა, ერთ დროს ქალაქში სახელიც გაითქვა, ბევრი თავმომწონე ბიჭი უკან ჩამოიტოვა. ახლაც უნდოდა გაქცევა, მაგრამ გაიწუწებოდა და მერე დამბალი ხომ არ მივიდოდა... ისედაც სველი ჰქონდა ზურგი და ტანში სიცივე უვლიდა. წიგნი ჩამოიღო, ყდა შემოცვეთილი ჰქონდა და ვერაფერი ამოიკითხა. თავფურცელზე „მაღაროელი“ ეწერა და მაშინვე თავისი სტუდენტობა მოაგონდა. მეხუთე კურსზე ამ წიგნს ერთ თვეს ჩაკირკიტებდა და გამოცდაზე ძლივს ჩაბარა. ამ ფიქრში მყოფი ჩქარ-ჩქარა ფურცლავდა წიგნს, შიგ ჩამხმარი ვარდი დაინახა და მისი სურნელი ესიამოვნა. პომადით გათხუპნულ გვერდსაც წაეწყდა. წიგნის ბოლოს ეწერა: „ჰე, ამას სწავლა არ უნდა?“. იქვე გაკრული ხელით მიეკვლიდა: „ნუნუ დვალიშვილი“. ამ წიგნმა გულს მოეფონა: იცოდა, რომ „მაღაროელს“ უკანასკნელ კურზე სწავლობდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთამადნო ფაკულტეტის სტუდენტები... სახელი და გვარიც იქვე გარკვევით ეწერა. სიხარულის ცა გაეხსნა. ცოტა ეჭვიანი იყო და ისიც კი იფიქრა, წიგნი განგებ დატოვაო. თევზს რომ ანკესს გადაუგდებენ, სწორედ ისე მოეჩვენა. მაგრამ, აბა, ის თვალმახარა ქალიშვილი ასეთი ეშმაკი არ იქნებაო. ფიქრი მანქანის გუგუნმა გაუფანტა. „ვოლგა“ წყალში მოდანდგარებდა. გივი გაექანა და ისე დაიყვირა, გააჩერეო, დაბნეულმა მძღოლმა მანქანა უცებ დაამუხრუჭა. გივი კაბინაში შევარდა და შესძახა:

— აბა, გაქანე, ძალიან მეჩქარება!

მძღოლი გაბრაზდა, მაგრამ ვერაფერი შეჰბედა. მთელი გზა ხმა არ ამოუღია. გივი საუნესთან ჩასმულ საათს მისჩერებოდა. წელანდელი ყვირილით გამოწვეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი უხერხულობის გასაფანტავად მოინდომა საუბრის გაბმა და მძღოლს ეკითხა:

— ეს მანქანა თქვენია?

— ჩემი, რაც მაცვია, მხოლოდ ის არის, — ჯიბრით მიუგო მან.

„ვოლგა“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინ გაჩერდა. გივი მარდად ჩამოვიდა, გატაცეული ფული გაუწოდა მოღუშულ მძღოლს.

— თქვენისთანა ხალხს ჩვენ ფულს არ ვართმევთ! — მიაძახა მძღოლმა და მანქანა დასძრა. დაიწვა გივი.

*

ორი საათის შემდეგ გივი თავის სტუდენტურ ოთახში იყო კუკიაზე. ამ მუშტისოდენა ოთახის მეტი არაფერი ერგო მამის ქონებიდან. ყველაფერს ძმები დაეპატრონენ: სამთამადნო ინჟინერს სოფელში რა გესაქმებათ.

ახლა გივი გაწუწუული მივიდა შინ, „მაღაროები“ უბიდან ამოიღო და მაგიდაზე დაადო. მერე სველი ტანისამოსი გამოიცვალა, აჩეჩილი თმა გადაივარცხნა, ფანჯარა გააღო და წვიმას მკერდი მიუშვირა.

მახათის კალთებზე ხვატისგან გაქუცულ ნაძვებს გულს უსველებდა წვიმა. ბალახბუალხიც გამოცოცხლებულიყო და მწვანედ ბიბინებდა.

აქედან მატარებლით ერთი ღამის სავალზე, შავ ზღვასთან ახლოს არის ტყვარჩელი, მაღაროები, ქვანახშირის გორები, სპაგირო გზებზე განუწყვეტლივ მისრიალებენ ვაგონეტები. იქ არის მეორე მაღარო, ჩამორჩენილი, მისი უფროსი მოხსნეს და გივი ლელაშვილი დანიშნეს: ახალგაზრდა კაცი ხარ და ჩაფუშულ საქმეს თავი მოაბიო. შეაქეს, დახმარება აღუთქვეს.

გივი პრაქტიკაზე ტყვარჩელის მაღაროებში იყო. იქაურ შრომასა და ცხოვრებას შეეთვისა. მერე, დიპლომი რომ მიიღო, პირდაპირ იქ გაგზავნეს, მეოთხე მაღაროში ცვლის ინჟინრად მოეწყო. თავი გამოიდო ბიჭმა, გეგმები რომ სასახელოდ სრულდებოდა, ამაში გივის ცოდნისა და ოფლის მადლიც ბრწყინავდა.

ახლა კი წელმოწყვეტილი მაღარო ჩააბარეს. მკვდარი გააცოცხლეო. „ისეთი დიდი საქმე რომ დამავალეს, მაშასადამე, ჩემში ძალა და ნიჭი დაინახეს“, — ფიქრობდა გივი. ეს აღმოჩენა თან ახარებდა, თან გულს უღონებდა, რადგანაც ახლაც თვალწინ ედგა მეორე მაღაროს ნაუფროსალი, სირცხვილით დამწვარი ნიკო მქავია. ნიკო ამაყი და გორიზონ კაცი იყო, თავზე ბუზს არ დაიფრენდა. ახლა ლაფი დაასხეს, და ხმა არ ამოუღია. ახალგაზრდა ინჟინერი უცებ შეშინდა, ვაითუ მეც ნიკოს დღეში ჩავვარდეო. მაგრამ ამ უსიამო ფიქრს მალე გაექცა და ისევ ის წიგნი აიღო ხელში. გადაშალ-გადმოშალა, ვარდის ჩამხმარი ფურცლები მაგიდაზე დაცვივდა, ფრთხილად აკრიფა და ისევ წიგნში ჩააწყო.

გარეთ წვიმა აღარ თხლაშუნებდა, ლამაზად ცრიდა და ირთვილავდა მიდამოს.

გივი წამოწვა ტახტზე; ლოგინი რომ არ გაესვარა, ფეხები სკამზე შემოაწყო. ბალიშზე თავს დადებდა თუ არა, მაშინვე ძილი წაიღებდა, მაგრამ ახლა აღარ დაეძინა, ან რა დააძინებდა, როცა ის თვალმახარა ქალიშვილი გამოეცხადა, მაგიდიდან წიგნი ფრთხილად აიღო და სხაპასხეპით კითხვას შეუდგა. გივიმ ვერ მოითმინა და თქვა: „ლექსი კი არ არის, ასე ვერ ისწავლი, გენაცვალე“.

ფიქრმა და მარტოობამ დაღალა, ოთახში გული არ დაუდგა, დადგწყვიტა დიდიხნის უნახავ დასთან მისულიყო სოღანლუღში. იქ ოჯახში გაერთობოდა, გული ისევ საგულეს ჩაუვარდებოდა. არ დაყოვნა, თითქოს გამოსავალი იპოვნაო, ქუდი აიღო და ოთახიდან გავიდა. გზაზე დისწულებისათვის ტკბილეული იყიდა და მუხრანის ხიდთან ავტობუსში ჩაჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტობუსი აყოვნებდა, მგზავრებს ელოდებოდა, ბოლოს, როგორც იქნა, სკამები შეივსო, მძღოლმა მოტორი ჩართო, კარი დახურა და დაიძრა, მაგრამ წინ იტუზა კეპიანი ჭაღარა კაცი, დაკოჟრილი ხელი ჰაერში გაიქნია, ჩახლეჩილი ხმით დაიძახა:

— გააჩერე, მოვდივარ.

კარი ხრჭიალით გაიღო და ის კეპიანი ბანცალით შემოვიდა.

— უჩემოდ მიდიოდი? — უსაყვედურა მძღოლს და წინა სკამზე მჯდომ ბიჭებს ხელით ანიშნა, მიიწ-მოიწიეთო. იმათაც შუაში ჩაისვეს ძია-კაცი.

— ახლა წადი, ნება გაქვს! — წაუმღერა მან.

ავტობუსი ასფალტმოგებულ სანაპიროზე გასრიალდა. მტკვარი ადიდებულიყო, მღვრიედ აჭიჩრილი ტალღა ტალღას მისდევდა, საიდანღაც პატარა მორი მოეტაცა და ჩქარა მიაქანებდა, ხან მთელი ტანით ფაფარზე მოიდებდა და ზედაპირზე მიასრიალებდა, ხანაც გულში ჩაიკრავდა და გააუჩინარებდა. კეპიანმა მტკვარს გახედა, არ მოეწონა.

— პატარაა. ნეტავი რამ დაწრიტა?

— გეცოტავება? — ჰკითხა ერთმა ბიჭმა.

— მაშა, ზღვასთან ეს ნულია... შენ იცი, ქობულეთში როგორი ზღვა არის?

— დიდია?

— დიდი რომელია, ტონობით ჰყრია შიგ ქალები.

— ქალები თუ თევზები? — გაუსწორა ისევ იმ ბიჭმა.

— ქალები, თევზი არ მინახავს.

— მერე, ძია? — გახალისდნენ ბიჭები.

— ყველაფერი გითხრათ? ჯერ თქვენ ჩემდენი იცხოვრეთ ამ ქვეყანაზე და მერე ნახეთ, რა გუნებაზე იქნებით.

— ეგ რა შუაშია, ძია, ჩვენ ქალებზე გეკითხებით.

— რა გითხრეს მობანავე ქალებმა?! — ბიჭები ერთმანეთს ეცილებოდნენ შეკითხვების მიცემაში.

— რა უნდა ეთქვათ, კრება კი არ მქონდა გამართული. ვუყურებდი, თვალს უხაროდა.

— მარტო თვალს?

— გულსაც. თვალი და გული ვინ გაჰყო? იცით რა გითხრათ? ქალებს გაუმარჯოს!.. — ამ სიტყვებზე წამოიმართა, გაქონილი ჯიბიდან თეთრი მიხაკი ამოიღო და კუთხეში მიყუჟულ გოგონას მიაწოდა. გოგონამ დაიმორცხვა, ძლივს გამოართვა. — დაყნოსე, შვილო, კარგი სუნი აქვს.

დაჯდა და ამოიოხრა:

— ქვეყანაში თუ ბევრი ქალია, ის ქვეყანა არ დაიღუპება.

— რატომ, ძია?

— რატომ? სად ცხოვრობ, შვილო, პრიუტში თუ ოჯახში?

— ოჯახში.

— მამა გყავს?

— მყავს.

— მამაშენს ჰკითხე და ის გეტყვის, მე ახლა მეტ შეკითხვებს არ ვღებულობ.

გაჩუმდა. ავტობუსი ისევ მისრიალებდა. მგზავრები მოითენთნენ. არავინ იყო საუბრის გუნებაზე. ისინი ისევ იმ ძიას მისჩერებოდნენ. ელოდნენ, აბა კიდევ რას იტყვისო. სიჩუმეში იმ კეპიანმა ჩაიღიღინა: „ერთი ნახვით შემიყვარდა თინო მე“...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ვახ, ძია, ერთი ნახვით შეიძლება შეყვარება?

ძია გაჩუმდა, ბიჭს ახედ-დახედა.

— ბავშვი არ ხარ, შვილო, თავს რად იბავშვებ? — მან საჩვენებელი თითები ერთმანეთს მიადო, — თვალი და გული, აი, ასე არიან ერთმანეთში. თვალმა უცვებ დაინახა ქალიშვილი, მოეწონა, არა? ის იმ წუთას გულში ტკბილად ჩავარდება. აი, შენი სიყვარულიც. სიყვარულს არც თავი აქვს არც ფეხი, მაგრამ ერთ წუთს მოვა, გულის კარს უცვებ შეაღებს და შიგ სამუდამოდ ჩასახლდება. შორს წასვლა რად გინდა? აგერ არა ვარ? შენზე უფრო ჯელელი ვიყავი. სიყვარულის არაფერი ვიცოდი, მუშტაიდში ვისვენებდი, სოვდაგარივით ფეხი ფეხზე მჭონდა გადადებული, ხელში ჭყინტი სიმინდის გრძელი ტარო მეჭირა და არხეინად ვეჯმდი. ვხედავ გვერდზე ვიღაც ბავშვი მომიჯდა, მერე გათქვეარული ქალიშვილიც მოვიდა. ბავშვი ჩემს სიმინდს მიაშტერდა, გადავუტეხე, ხელი დასტაცა. გაწითლდა ის ქალიშვილი. „თქვენია ეს გოგონა?!“ — „არა, რას ამბობთ!“.

იმ საღამოს ჩემი ბედი გადაწყდა. ერთი ნახვით სიყვარულის საქმე გადაწყდა. მას შემდეგ ორმოცი წელიწადია, მზე და მთვარესავით შევაბერდით ერთიმეორეს. და შენ მეკითხები, ერთი ნახვით შეიძლება შეყვარებაო? როგორ ფიქრობ, შეიძლება? ზოგიერთმა კაცმა ერთხელ კი არა, ასჯერ რომ ნახოს ქალი, მაინც ვერ შეიყვარებს, ცივი გულისა და სისხლის პატრონი კი არა მყავს სათვალავში.

ამ კეპიანის ენაწყლიანობა მოეწონა გივის. ავტობუსში, საერთო სიმხიარულეში, თითქოს ჯავრიც გადაეყარა გულიდან. ის კეპიანი კი სევდიანად ღიღინებდა, ლოთებმა რომ იციან დარდით ავსებული სიმღერა, ისე. ამ სიმღერამ მგზავრებს ღიმილი მოჰფინა სახეზე. გივი კი მოიღრეკლა. და მხოლოდ მაშინ გაიღიმა, როცა კეპიანი წამოდგა და წეღან რომ მიხაკი მისცა, იმ ქალიშვილს ბრაზით დასძახა:

— ყვავილს უნდა უცქირო და დაყნოსო, რომ სილამაზე და სურნელი შეიგრძნო, შენ კი ჩემი მიხაკი ბლაღოჩინის ტროსტივით გიჭირავს ხელში, რას ჰგავს ეს?!

ქალიშვილი შეკრთა, ცხვირთან მიიტანა დამჭკნარი ყვავილი.

— ჰო, ასე. — დამშვიდდა კეპიანი.

ელექტროშემფუღებელი ქარხნის წინ ავტობუსი შეჩერდა. გივი ჩამოვიდა და იქვე თეთრსვეტებიანი შენობისკენ გასწია. იქ, მესამე სართულზე, მისი ცხოვრობდა.

დისწულები, ხუჭუჭთმიანი ბიჭუნა და გოგონა დერეფანში შემოეგებნენ, გივიმ ორივე დაკოცნა და ტკბილეულით დასაჩუქრა; მერე დაც გამოეგება, მაღალი, ჩასუქებული ქალი, კედელს ნახშირით, დაიძახა და გადაეხვია.

უხვი სუფრა გაუშალა დამ. გივი სიძესთან ღვინოს შეეკვეთა, მერე აღარ გამოუშვეს, გვიან არისო. მთვრალს მალე ჩაეძინა.

დილით აღარ წვიმდა. ფანჯარას მიმდგარი მზე ოთახში სითბოს ჰგზავნიდა.

გივიმ გვიან გაიღვიძა. მზრუნველ დას შარვალი გაეუთოებინა, პერანგიც გაერეცხა, ლამაზად გაეხამებინა. ჩაიცვა, თმა გადაივარცხნა და მოხრაკული ხორცის სუნით სავსე სამზარეულოში შევიდა. ბავშვებიც იქვე იყვნენ, მაგიდაზე დაყრილ კაკლის ნაჭუჭებში საკბილოს ეძებდნენ. აქ ხორცისა და საწებლის სუნთან ერთად მყუდრო ოჯახური ცხოვრების მადლიც ტრიალებდა. ეს იყო მთავარი, რამაც შემოსვლისთანავე ტკბილად შესძრა გივი.

— კარგად გაგიხამებია პერანგი, აი, მესმის!

— შორსა ხარ გადაკარგული; ხელი რომ მომიწვდებოდეს, რეცხვასა ამ-უთოობას არ დავამადლიდი.

— რა შორს მე ვარ. საღამოს ჩაჯდები მატარებელში და დილით ტყვარჩელში ხარ. ერთი ღამე რა ანგარიშში ჩასაგდებია!

— ქალო, მაშამე რამე, მაგვიანდება! — გამოსძახა ოთახიდან ქმარმა.

გივის ეს სიტყვები გულში მოხვდა. ის ტყვარჩელში უხვმსოდ მიდის სამუშაოდ, ძალიანაც რომ იყვიროს, ვინ მოუტანს საუზმეს გამოკეტილ ოთახში. „ეჰ, უხვშია ჩემი სიძე, სკამიდან წამოდგომას არ კადრულობს: ფეხსაცმელი მომიტანე, შარვალი გაწმინდე, წინდები მომართვი, აბა ეს, აბა ის! მე განა ასე მოვექცევი ცოლს?“ — გაიფიქრა გივემ და ამ ფიქრში ის ჩითისკაბიანი ქალიშვილი წარმოუდგა თვალწინ, იმ თავსხმაში რომ შეეფეთა...

სიძემ ჰარიპარად ისაუზმა და წავიდა.

გივემ უფრო ხალვათად ამოისუნთქა, დას სიბრალულით სავსე თვალები მიაპყრო.

— ძალიან წვალობ, არა?

— ჯოჯოხეთში ხომ არა ვარ, ოჯახში ვარ, რა მაქვს საწვალებელი.

არ მოეწონა გივის ასეთი გაწიწმატებული პასუხი, მაგრამ დას არაფერი შეჰკადრა. საათს გახედა, კედელზე რომ წაკიდებდა, და წასვლა დააპირა.

— რა გეჩქარება, განა ხვალაც აქ იქნები! — არ გაუშვა დამ. შემდეგ, ლაპარაკს რომ შეჰყვნენ, გივემ გული გადაუშალა: ასეთი და ასეთი ქალიშვილი შემხვდა წვიმაშიო, ძალიან მომეწონაო; ისე შეაქო და ისე ლამაზად დახატა ის ქალიშვილი, რომ დამ უსაყვედურა:

— რას ფიქრობდი. შე კაიკაცო, ასეთი თუ იყო, ჩაგევლო ხელი და წამოგეყვანა.

— შევცდი.

— ნუ აყოვნებ, გამოასწორე შეცდომა.

— აბა როგორ, კვალი დავკარგე.

— მამაშენის სიტყვები გახსოვს? კარგ მეძებარს კურდღლის კვალი არასოდეს არ დაეკარგებაო.

დის მიერ წაქეზებული და ცოტა შერცხვენილი გივი ისევ იმ ავტობუსში ჩაჯდა. და კი თავისი თმახუჭუჭა შვილებით ტროტუარზე იდგა. გივემ ფანჯრიდან გადახედა მათ და ხელი დაუქნია, აწრიალდნენ ბავშვები, ავტობუსს პატარა ხელები გამოადევნეს. ისევ აუჩვენდა გივის გული... სულაც არ ფიქრობდა ახლა დალიზე, მაგრამ რატომღაც მისი ხმა, ხავერდოვანი და ჟღურტულა, ყურში ჩაესმა, მერე თვითონ ის გასახარელი ქალიშვილიც თვალწინ წარმოუდგა, გალუმპული, თმაწეწილი, რა ცხელი მკლავი ჰქონდა, იწვოდა.

— შეიძინეთ ბილეთები!—გაისმა კონდუქტორის ხმა. გივემ ჯიბიდან ხურდა ამოიღო, მაგრამ მის გვერდით მჯდომმა გლეხმა, თუშური ქუდი კეფაზე რომ ჰქონდა მოგდებული, გულთბილად უთხრა:

— ნუ წუხდებით, აი, თქვენი ბილეთი! — და კოტიტა თითებში პატარა კუდა ქაღალდი რომ ეჭირა, ის უჩვენა.

— რატომ შეწუხდით?

— რას ამბობთ კაცო, ეს რა შეწუხებაა, კონდუქტორმა რომ ჩამოიარა, ფიქრში იყავით, მიყვარს კაცი რომ ფიქრობს, ხელი რომ არ შეგშლოდათ, მე ავიღე, რა დიდი ამბავი!

— გმადლობთ! — მოეწონა ის კაცი. ახლა შეამჩნია, რომ წინ ხელკასრი ედგა. — სოფლიდან ჩამოხვედით? — ჰკითხა გივემ.

— ამ ორი დღის წინათ ჩამოვედი, ახლა ისევ ვბრუნდები. სოღანლუღში სიძე მყავს, სახარჯოდ ღვინო-არაყი ჩამოვუტანე.

— საიდან ხართ?

— წინანდლიდან.

— წინანდალი დალოცვილია, ახლა ისევ გაავსებ ამ კასრს.

— ამას გავსება არ უნდა.

— როგორ? ქალაქიდან ისევ უკან მიგაქვს?

— ეს ჩემი საგზალია, შინ ჩასვლამდე პურიჭამა არ მინდა? სიძეს ათი ვედრა დავუტოვე, რთვლამდე ეყოფა.

კასრი მუხლებზე დაიდო, მიიხედ-მოიხედა, რახრახა ავტობუსში კიდევ იყო სამი კაცი და ორიც ქალი.

— სიძე ადრე წავიდა სამუშაოდ. შინ ულვაშიანი არავინ იყო, ჭიქა რომ მომეჭახუნებინა, ქალიშვილმა ჩაი დამალევინა, პირი ახლაც მეწვის. მოდი, დედამამიშვილების სადღეგრძელო დავლიოთ, ხათრი დამდე! — გულწრფელად შეეხვეწა და თან კასრს საცობი მოხადა. დაილოცა, ჩვენს დედმამიშვილებს გაუმარჯოსო, და ციცქნა კასრი ლამაზად მიიყუდა.

ჩაისგან დამწვარი პირი რომ ჩაიშუშა, მერე კასრის თავი ხელისგულით მოწმინდა და გივის გადასცა:

— ორმოცდათვრამეტი წლის კაცი ვარ, ჯერ თავი არ წამომტკენია, არ შაიზიზღო ჩემი ნაპირალი.

— გაუმარჯოს ჩვენს დედმამიშვილებს, — ჩაილაპარაკა გივიმ და კასრი რომ მიიყუდა, მაშინ გულში ჩაითქვა: „ამ ღვინის მადლმა იმ გოგოს შემახვედროსო“.

მზით დამწვარი სახე გლეხს ახლა ქმაყოფილების ღიმილმა გაუნათა, კასრი უკანა სკამზე მჯდომ კაცს გადააწოდა, იმანაც რომ დალია, მერე წინ წავიდა და კართან სკამის საზურგეზე გადაწოლილ შლაპიანს თხოვა, დალიეო.

— რას მომადექი, კაცო, ავტობუსი და ღვინო გაგონილა?

— აბა, რესტორანში როდის შეგხვდები, ძმობილო, ხათრი დამდე, ქართველი არა ხარ?

— ლამაზი არ არის, ვერ დავლევ.

— წინანდლელი კაცი ვარ, არ მაწყენინო.

— ვიცი წინანდალი, მეურნეობის ზოფრად მიმუშავნია.

— ჰოდა მით უკეთესი, მიირთვი.

ის მაინც უარზე იყო, გლეხს გივი წაეშველა, მერე უკანა სკამზე მჯდომმაც კვეი დაუკრა, დიდი ხვეწნით გასტეხეს შლაპიანის სიჯიუტე.

— კარგი, მოიტა! — და კასრისაკენ ხელი გაიშვირა, მაგრამ ახლა ის გლეხი გადგა განზე.

— არა, შვილოსა, მე სახვეწი და საჯახირო არაფერი მაქვს! — კასრს საცობი გაუკეთა და ისევ თავის ადგილას დაჯდა.

ნაწყენი იყო, სახე უხურდა, გივის ჩუმად უთხრა: ეგ რა კაციაო. ცოტა ხნის შემდეგ კი ჰკითხა:

— ქაღალდი და ფანქარი გაქვს?

— მაქვს.

— ამოიღე და ჩემი მისამართი ჩაიწერე.

გივიმ ჩაიწერა მისამართი: წინანდალი, შრომის ქუჩა, № 4, შაქრო უსეინაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოცდაშვიდ ნოემბერს ვაჟის ქორწილი მაქვს, თუ ჩამობრძანდები, ყველაზე საპატიო სტუმარი შენ იქნები.

— გმადლობთ, გმადლობთ.

— მადლობა ჩემი იკითხე, ჩამობრძანდი, როგორი მადლობა გითხრათ. შაქრომ თან ნეფე-პატარძლის ვინაობაც გააცნო.

— ჩემს ბიჭს ინჟინრობას ცოტა აკლია, ტექნიკოსია. ახლახან ჩამოვიდა ჯარიდან. დედა ცოტა ანჩხლი ჰყავს და გულის დარდი მე გამანდო: მამი, საცოლე მყავს და უნდა შევირთოო. ჯერ ოჯახის დრო არ ჰქონდა, მაგრამ უნდოდა უღელში თავის გაყოფა და შემეკავებინა? ქალის მოყვანა ადრე ჯობია. ხომ?

გივემ თავი მძიმედ დაუქნია.

— დავტრიალდი, მივდექ-მოვდექი, გაუჩენელი გავაჩინე. ბიჭს მთლად ვერ ვენდე, საპატარძლოს სანახავად გავყევი. ღრმაღელეში უცხოვრია აქ, ობოლი ყოფილა, უქონელი. გოგო მომეწონა, ბაჯაღლო ბეჭედი წამოვაცვი თითზე. ძველი სოფელია წინანდალი, ბევრი ისევ ქონებასა და ჯიბეს უყურებს. ცარიელ-ტარიელი რძლის მოყვანა ძნელია. ამიტომ უჩუმრად, ცოლისთვის არ მითქვამს ისე, — რა ვიცი, იქნებ წამომაყვედროს-მეთქი, — ჩავიდე ჯიბეში ფული და კვირის თავზე ქალაქში ჩავედი, ნავთლუღის ავეჯეულობის ქარხანაში ნათლული მყავს, ინჟინერია, კარგი საძიღე გარნიტური ამირჩია, ვიყიდე და სარძლოს მივუტანე შინ: აი, შვილო, შენც სუ და მეც სუ. ეს შენი მზითვია, მაყრიონი რომ მოვა, წამოიღე და წამოდი. სახელია, არავის არაფერი უთხრა. მარტო მე და შენ ვიცოდეთ ეს-მეთქი. სიხარულისაგან დაიბნა, გადამეხვია. ჯიგრიანი გოგო ყოფილა, იმას ვენაცვალე.

შაქროს სიტყვამ გივის გულისკარი გაუხსნა. აი ეს არის ჩვენებური კაცური კაცობა.

ამასობაში ავტობუსი მუხრანის ხიდის მოედანზე მიგრიალდა. გივემ ხელი მაგრად ჩამოართვა შაქროს.

— ოცდაშვიდი არ დაგავიწყდეს, ჩამოდი.

— ვნახოთ.

— ნახვა არ უნდა, დაჭკარ ხელი.

გივემ ჯმუხა ხელს თავისი თეთრი ხელი დაჭრა და ავტობუსიდან ჩამოვიდა.

ავტობუსი მალე დაიძრა, მაგრამ გივი ელნათურის თეთრი ბოძის ქვეშ იდგა და არ იძვროდა. სად წასულიყო? უცებ მანქანის ფანჯარაში თვალი მოჰკრა ერთ ქალიშვილს. სულ იმას ჰგავდა, ნაცნობი სახე, ნაცნობი თვალები, ჰო, ის არის! ბედზე მანქანა გაჩერდა... გული ჩაწყდა, ის არ აღმოჩნდა.

*

არც დალი იყო კარგ დღეში. გივის ცხვირსახოცი მაგიდაზე ეფინა ახოხოლავებულ წიგნებს შორის. ოთახი უბრალოდ ჰქონდა მოწყობილი. ყველაფერს ქალური სიკოხტავე და წესრიგი ეტყობოდა.

დალი სადილობამ შრომას ამზადებს. თითქმის ორი თვეა ჩაკეტილია ამ ოთახში. ხანდახან წიგნისთვის თუ მივა ამხანაგთან, თორემ ისე ქუჩაში გამოსასვლელი არც დრო რჩება და არც გული აქვს.

იმ ბედნიერი შეხვედრის შემდეგ ნაპირზე გადმოგდებული თევზივით არის დაბნეული. არც ფანქარი ემორჩილება და არც ფარგალი, გადაშლილი წიგნები და ნახაზებიც ვერ იზიდავენ. ის ტიალი ცხვირსახოცი ერთხელ კიდევ შეათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიერ-შემოათვალიერა. „ერთი ასო მაინც ამოექარგა ვინმეს, ერთი ასო“, — გაიცლო გულში.

ზოგჯერ წუთს წელიწადზე მეტი ძალა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. წვიმის გადაღების მოლოდინში ერთად გატარებულმა წუთებმა ღალი და გვი დარდითა და საზრუნავით გაავსო. მათი შეხვედრა ელვას უფრო ჰგავდა, რომელიც ცაზე წუთით გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ სინათლის კვალს კი სამუდამოდ სტოვებს.

ფიქრი და სიჩუმე ტელეფონის ზარის წკრიალმა დაარღვია. ღალი ტელეფონის აპარატს მიუახლოვდა და უცებ ის ვაკაცი წარმოუდგა თვალწინ, ყურმილს მოუთმენლად დასტაცა ხელი.

დედა იყო, სამსახურიდან ურეკავდა. ქალიშვილს ხელში შეაცივდა ყურმილი.

— რას ვიზამ? ვმეცადინეობ. არსად არ წავალ, კარგი, კარგი.

მერე ძმამ დაურეკა გარაჟიდან: ჭკუით იყავი, თუ გაგიჭირდეს, დამირეკეო.

— არაფერი არ მიჭირს! — მკაცრად ჩასძახა.

მაგრამ ნამდვილად უჭირდა.

დალის თაზე დატრიალებულ ამბავს დიდი ხნის ისტორია არა აქვს. პირველი მაისის დღესასწაულზე ყველა ხარობდა და იმანაც გაიხარა. წეგნი და რვეული განზე გადასდო და ამხანაგებს გაჰყვა კინოში. სულ გოგმანა გოგოები შეიკრიბნენ. მათი სიცილ-კისკისი ცივ ქვასაც გულს გაუთბობდა. სიხარულით ძირს ქუჩა მიჰქონდათ და ზევით ცაზე ვარსკვლავებს წყვეტდნენ. კინოთეატრ „ყაზბეგს“ რომ მიუახლოვდნენ, დალიმ ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— გოგოებო, მე გპატიჟებთ. მდიდარი ვარ.

— საიდან?

— ძმამ მაჩუქა, დღესასწაულია, იქეიფეო. — და სალაროსკენ ისე გაეგართა, თითქოს მილიონის პატრონი ყოფილიყო.

სალაროს წინ დაბარებულივით ვერელი დაუხვდა. შუბლი შეკრული ქონდა, შიშით ელდადაკრულ ქალიშვილს მკაცრად უთხრა:

— მადლობა ღმერთს, ფარას რომ მოწყდი.

ღალი დაიბნა, მოლარეს ფული ძლივს გაუწოდა, მაგრამ ვერელმა დარდიმანდულად ჯიბეზე გაიკრა ხელი და დაუმუშნული ფული მოლარეს წინ დაუგდო.

— რამდენი ხართ, ასი, ათასი, გინდა მთელი ინსტიტუტი იყოს. მე ვყიდულობ.

— არ არის საჭირო! — ძლივს მიუგო დამფრთხალმა ღალიმ.

— იქნებ არც მე ვარ საჭირო? — კითხვა შეუბრუნა ვერელმა, ცერებზე წამოიმართა და ყურში ჩასისინა. — შენა ხარ ჩემთვის საჭირო, შენ!

— თავი დამანებე! — იკივლა ღალიმ. ამასობაში მისი ამხანაგებიც მოცვივდნენ.

— კარგი, გვრიტო, კარგი! — ვერელმა უკან დაიხია, ფული აიღო და იქვე მოხარხარე ბიჭუუნებს შეერია.

ეს იყო შიშის პირველი ელდა. დედის რძესავით ტკბილი საღამო ღალის ჩაუშხამდა, ამხანაგებმა შინ მიაცილეს.

შეშფოთდა დედა.

— რა იყო, შვილო?

ღალის ძმა, გაბო, სუფრას ეჯდა, სამუშაოდან ახალმოსული მადიანად ილუკმპეოდა. ბოთლი ასწია და მოღუშული დის წინ შეათამაშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამის სიგრძე ცხვირუა შეგხვდა, არა? — დალის ცრემლი წასკდა, — ოხ, ის მამაძაღლი, — წამოხტა გაბო. — კაცი მაინც იყოს, ნამილოკია, ავარა და ბაფუჭებული. ახალ კოსტუმში გამოწყვეპილი გამომეცხადა გარაჟში და ყოჩივით წინ დამიდგა: თუ მიკადრებ, კარგი სიძე ვიქნებიო. გავგიჟდი კაცი. ვითომ ვერ გავიგონე, დავიხარე, ყური პირთან მივუტანე: რა თქვი-მეთქი, მივაძახე იმ ქვეჯას და თავი ისე ვახალუ სახეში, იქვე დაბრმავდა უბედური. ჩემს ბიჭებსაც ეს უნდოდათ, შლანგით წყალი მიუშვეს და გემოზე ამოლუმპეს. იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, გამწარდა, შეხტა გალავანზე და მამალივით დამყივლა: ამას განანებ, გაბო, დალი მაინც ჩემი იქნებაო.

— ჩემი სიკვდილი! ცუდად მოქცეულხარ, — ეწყინა დედას.

— მე ქრისტე კი არა ვარ. ცუდ კაცს ცუდად უნდა მოვექცე.

ამის შემდეგ დალის ქუჩაში გამოსვლა უმძიმდა. ყველგან ის აკიაია ვერელი და მისი ჩასისხლული თვალები ელანდებოდა, შინაც კარს რაზავდა, ფანჯარას კეტავდა.

დედას გული გაუწყალდა, სანამდე უნდა ვიყო შიშსა და ფეთებაშიო. ქალაშვილს აქეზებდა, გთხოვდი და ის ბედოვლათი ჩამოგცილდებაო. დატრიალდნენ ნათესავები, ზოგმა ჩაძმარებული ექიმი აღმოუჩინა, ზოგმა ქვრივი პროფესორი, ზოგმა დედისერთა სტუდენტი, მაგრამ დალიმ ყველა დაიწუნა.

— მაცალეთ, დიპლომს ვიღებ. მერე სულ გადავიკარგებიო. — იხვეწებოდა. გაბომაც დაუკარა კვერი: იმ ოხრის გულისთვის გოგოს ხომ არ დავღუპაო. გაბოს დალი ყველგან მანქანით დაჰყავდა. დღეს კი დროზე ვერ მოვიდა. დალის ლოდინი არ შეეძლო, ზეგ გამოცდა ჰქონდა, ის დასაწუვი „მაღაროები“ ერთხელ მაინც ხომ უნდა გადეკითხა. ამიტომ გაბედა და მარტო წავიდა, წვიმამ მოუსწრო, თორემ დროზე ჩიტივით შინ მოფრინდებოდა.

დაგვიანებულმა გაბომ ქუჩას ორჯერ შემოუარა, ძლივს მიაგნო დას და შინ მიიყვანა. „ნეტავი არ მოვეყვანე, — ფიქრობდა ახლა დალი, — იმ წვიმაში, იმ სიკეთით სავსე კაცთან მთელ საუკუნეს გავატარებდი“.

დალიმ იმ ცხვირსახოცით ნამიანი თვალი ამოიწმინდა. ვერელი ავარას გადამკიდე ახლა სულითა და გულით იმ უცნობს მიენდო. იმედმა გაუნათა შიშით შეძრული სული. ეს წუთით იყო, მერე კი ეჭვის ჭია ჩაუსახლდა გულში. „ვაი თუ ცოლიანია?“ — ფიქრობდა და გული ელეოდა. „განა სულ ერთი არ არის, ცოლიანია თუ უცოლო? რა იცის მე ვინა ვარ. იქნებ არც კი მოვეწერე და გრძნობა მატყუებს“. ფიქრი ფიქრს დადება. „რა ენა ჩაუვარდა იმ უღმერთოს. მიყურებდა და სახეზე ელეთ-მელეთი გადასდიოდა. არა, უცოლოა, უეჭველად, — დაასკვნა მან, — განა ცოლიანი კაცი ისე შემომაცქერდებოდა? აი, როგორ ვთქვა...“ მაგრამ ვერასგზით ვერ მოიგონა, ცოლიანებმა როგორი შემოხედვა იციან და უცოლოებმა — როგორი.

ტელეფონის ზარმა ფიქრი გაუფანტა. ყურმილი აიღო.

— ნუნუ, შენა ხარ? — აბა როგორ უნდა ვიმეცადინო, შენი წიგნი დამეკარგა. — წიგნი კი არა, გულიც მასთან დატოვე. უი, როგორ იცინი. ეს სანაცილოა? ვერაფრის კითხვა ვერ მოვასწარი...

ის იყო, წვრილად უნდა ეამბნა ყველაფერი, რომ გაბო შემოვიდა, დალის მოერიდა, ყურმილი ცივად დასდო.

*

ბედზე წვიმამ გადაიღო. ცამ პირი უჩვენა ქვეყანას. გივიმ ახალთახალი კოსტუმი ჩაიცვა, გახამებულ პერანგზე ეშხიანი ჰალსტუხი გაიკეთა, თმა ლაზათიანად გადაივარცხნა, წიგნი გაზეთში შეახვია და ქუჩაში გამოვიდა. ქუჩაში

ბოძთან მეყვავილე ბიჭი ატუზულიყო, ხელში წითელი მიხაკის მზესუმზირა ბდღვრიალა თაიგული ეჭირა. „მოდი ვიყიდი“, გულში გაკკრა გივის, თაიგულს თვალი ვერ მოსწყვეტა. ბიჭმა შენიშნა, უკან დაედევნა.

— იყიდე, ბიძია, ამაზე უკეთესს ქალაქში ვერ იშოვნი.

ათიოდე ყელმოღერებული მიხაკი გამოართვა, წიგნთან ერთად გაზეთში ჩადო. მალე სამისამართო მაგიდას მიადგა. ანკეტა შეავსო და პატარა ფანჯარაში შეაწოდა გამოწკეპილ ქალიშვილს.

— საბუთთალონი ნუნუ დვალიშვილი ბევრია, რა ვიცი რომელი გინდათ. მამის სახელი აუცილებელია.

ხერხი იხმარა გივიმ. ქალიშვილს ერთი მიხაკი მიართვა და მერე უთხრა:

— ძალიან გთხოვთ.

ხერხმა გასჭრა, ხუთი წუთის შემდეგ ნუნუს მისამართი ჯიბეში ედო და ტაქსით საბუთთალოსკენ მიჰქროდა.

ერთიმეორეზე მიჯრილი მაღალი სახლები წვიმას გაებანა, სველ ასფალტზე მანქანა გამალებით მიჰქროდა, ქუჩის ორივე მხარეს წერწეტა ჭადრებს ფოთლები ლაღად გაეშალათ, ხოლო მათ ქვეშ ყვავილები, წვიმისაგან მიწაზე მიწებენილ-მოწყვნილი, წელში იმართებოდნენ. შხაპუნა წვიმამ უსულოს სული შთაბერა, ხეები, გაზონები, ქუჩა და სახლები გამოაცოცხლა.

ხუთსართულიანი შენობის წინ ტაქსი გაჩერდა. გივი ჩამოვიდა, პიჯაკის კალთები ჩამოიბერტყა, ჰალსტუხი გაისწორა და იქვე სადარბაზო კიბეს აჰყვა. მარდად ადიოდა, თითო საფეხურს სტოვებდა, მეოთხე სართულს შუაბანდი რომ გაიარა, კუთხეში, კარზე, „ნუნუ დვალიშვილი“ წაიკითხა, ფრთხილად დაკაკუნა. გასაღები შიგნიდან რომ გარაჩხუნდა, გივის გული შეუტოკდა.

კარი გაიღო მაღალმა, ოდნავ გამხდარმა, მაგრამ სახით ლამაზმა ქალმა. გივი არ დაბნეულა.

— ნუნუ შეიძლება ვნახო? რაღაც უნდა გადავცე.

— წიგნი? — ჩაიცინა ქალმა და გვერდზე გაიწია, სტუმარს გზა დაუთმო, — შემობრძანდით.

ოთახში არავინ იყო. გივი მაგიდასთან გაჩერდა.

სიკოხტავის შუქი ნათელივით ადგა მრგვალ მაგიდას, სკამებს, კამოდს, თაროს, კუთხეში მიდგმულ პრიალა საწოლს. ფანჯრის რაფაზე ფაიფურის ქოთნებში წითელ-ყვითელ ყვავილებს აყრიალი ტანი ქუჩისაკენ გადაეხარათ. ერთი კედელი თითქმის სარკით იყო დაფარული. სარკეში კარგად ჩანდა გივის გაოცებული სახე.

— დაბრძანდით, — გვიან უთხრა სტუმარს მასპინძელმა. — მე ვარ ნუნუ დვალიშვილი, არ გჯერათ? პასპორტს გიჩვენებთ.

— არა, როგორ გეკადრებათ, მაგრამ...

ისევ შეაწყვეტინა სიტყვა ნუნუმ.

— ეს წიგნი ჩემია, — და მაგიდის ძგიდეზე ჩამოდებული შეხვეული გახსნა, — უი, წითელი მიხაკი. რა გულთმისანი ყოფილხართ. წითელი ფერის ყვავილი მაგიყვებს. დიდად გმადლობთ.

— არაფრის, ქალბატონო.

ნუნუმ მიხაკები იქვე, მაგიდაზე დადგმულ ლარნაკში ჩასდო, მერე ალერსით სავსე თვალები სტუმარს მიაპყრო:

— თუ არ გეწყინებათ თქვენი სახელი და გვარი მითხარით.

— გივი ლელაშვილი.

— პროფესია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ინჟინერი.

ნუნუმ ხელი ხელს შემოჰკრა.

— კოლეგები ვყოფილვართ. თქვენთან ეს წიგნი რომ დარჩა, ისიც ორ-სამ თვეში ინჟინერი იქნება.

— რა გვარია? — უცებ ჰკითხა გივიმ.

— დალი ჯერანაშვილი. მოგეწონათ?

— რა ვიცი! — შეყოყმანდა გივი.

— არა, მოგეწონათ, რაკი მის კვალს გამოყევით. კარგი ადამიანია...

ნუნუს თითქმის სიტყვა დაეკარგა, გაჩუმდა და მერე გვიან განაგრძო:

— დავიბენი. ეს ჩემი ქალური სისუსტეა. მამაკაცთან სიტყვა მიწყდება. ბოდიში. აი, დალის სურათი, — მან ალბომიდან სურათი ამოიღო და გივის მიაწოდა, — თუ ძალიან გინდათ ნახოთ, მისამართს მოგცემთ. მიდით პირდაპირ, ნუ მოგერიდებათ. აჰა, ეს წიგნიც მიუტანეთ, გეხარდება.

— გმადლობთ!

გივიმ სურათი წიგნში ჩადო.

— გარბიხართ? არა, ჩემო კარგო. ქართველებმა ასე არ იციან.

დატრიალდა ნუნუ, ერთ წუთს სუფრა გაშალა, ბოთლით კონიაკი ჩამოდგა, ხილი, ნამცხვარი, ჭიქები შეავსო.

— დამლოცეთ, გეთაყვა, იქნებ თქვენმა ლოცვამ მიშველოს.

— ლოცვამ?!

— ჰო, ლოცვამ. დიდი ძალა აქვს მამაკაცის ლოცვას. მე ასე მწამს.

— თქვენ კიდევ ლოცვა გინდათ? დალოცვილი ხართ და ეგ არის.

ჭიქები მიუჭახუნეს.

— ბოდიში, კარგად რომ გაგიცნობთ, მაშინ უფრო კარგად დაგლოცავთ...

გივიმ გამოსცალა. ნუნუმ ცოტა მოსვა, მერე საადრეო ყურძნის მარცვალი აიღო.

მეორე ჭიქაც შესვა გივიმ.

— ახლა კმარა. გმადლობთ. — გივი წამოდგა, მისამართი ჯიბეში ჩაიდო და ნუნუს გამოეშვიდობა.

— აი, ეს მიხაკიც ხომ დალისთვის გინდათ, მიუტანეთ.

— თქვენთან დარჩეს — თქვენ ხომ გიყვართ წითელი ყვავილი.

— კიდევ მოგართმევთ.

— გმადლობთ.

— როცა დრო გექნეთ შემოიარეთ, კარგად გამიცანით და კარგად დამლოცეთ! — გაეხუმრა ნუნუ და შუშაბანდში გამოაცილა.

შინ დაღონებული შებრუნდა და მაშინვე ტელეფონს ეცა.

— დიდი ბოდიში, ბატონო, სამსონს სთხოვეთ, თქვენს გვერდით რომ ცხოვრობს, გმადლობთ. დაველოდები. — მოლოდინში თან ფიქრობდა: „გივის ხელიდან ვერ გავუშვებ. რა ოქრო კაცია. ჩემმა ხერხმა თუ გასჭრა, მერე გივის ჩაგდება ადვილია. ვერელთან შეხვედრის შემდეგ ის დალის არ გაეკარება. რა ვქნა, თუ სხვა არ დაჩაგრე — შენ ვერ იცხოვრებ“.

— სამსონ, შე მუდრეგო, დალის გულის ვარდი გამოგიგზავნე, ინჟინერი გივი ლელაშვილი, აბა შენ იცი. საცაა დაგიკაკუნებს, შენ იცი... გასაგებია?!

ყურმილი დადო, მაგიდას რომ გადახედა, პრიალა დანა უშნოდ მოხვდა თვალში. მოელანდა: გივის და სამსონას ორთაბრძოლა გაეჩაღებინათ, სამსო-

ნას დანა ელვასავით მიჰქრიდა გივისაკენ. ნუნუ შიშმა აიტანა. „ოჰ, ეგ რა ჭიკ-
დინე? მგელთან ცხვარი გავგზავნე. რატომ? რისთვის?“ — იკივლა და ოთახი-
დან გავარდა.

გივი კი ტაქსით ვერელ სამსონასთან მისრიალებდა. მძღოლის გვერდით
კაბინაში იჯდა, ის წიგნი გადაშლილი ჰქონდა და დალის სურათს დარდიანად
დასცქეროდა. ნუნუ არ მოეწონა გივის. გულში ამბობდა: დალი მისი ამხანაგი
არ იქნებაო. ამ ფიქრში ტაქსი ორსართულიანი სახლის წინ გაჩერდა.

— აი, ჩვიდმეტი ნომერი, — უთხრა მძღოლმა.

გივი მანქანიდან გადმოვიდა.

— დამიცადეთ! — გაიფრთხილა მძღოლი.

— ვერა, ძმაო, შესვენება მაქვს, პური უნდა ვჭამო.

— კარგი, წადით! — გივიმ ფული მისცა, ალაყაფში შევიდა. ეს ბავშვებმა
თითით უჩვენეს ვერელის ოთახი. გივი ბურღივით დაგრეხილ კიბეს აჰყვა. კი-
ბის ჭრაჭუნზე ამაგრული ვერელი გამოვიდა აივანზე და სტუმარს შინ შეუძღვა.

— მე დალი ჯერანაშვილი მინდოდა.

— ვახ, ძალიან გინდა?

— შე კაი კაცო, რა ტონინთ მელაპარაკები?

— გეწყინა? შენ ის ამოშაქრე, ჩემ გოგოსთან რა საქმე გაქვს.

გივის ყელში ბოლმა მოაწვა, წიგნიდან უცებ სურათი ამოიღო და უბის ჯიბეში ჩაიდო.

— წიგნი უნდა გადავცე.

— მოიტა, — სამსონამ წიგნი გამოსატაცა და ხელში შეათამაშა. — ამხელა კაცი ამისთვის მოხვედი? დავიჯერო?.. შენ ეს მითხარი, ჯიბეში რა ჩაიდე, სურათი? რას მალავ, შე კაი კაცო. — მან უცებ უჯრა გამოაღო, დალის სურათები ამოყარა, თან ჩუმად დანაც ამოაცურა. ამას რომ გივიმ თვალი შეასწრო, მაგიდას ფეხი ჰკრა, პატრონი და მაგიდა ორივე გადააბრუნა და გარეთ გამოვარდა. კიბეზე მისი ფეხის რახარუხმა მეზობლები წამოშალა.

მერე გამწარებული ვერელიც წამოვარდა, მაგრამ გვიან იყო, არ გაუშვეს.

— გამიშვით, მე მაგისი...

იგინებოდა ვერელი, თან კბილებს აღრჭიალებდა. მეზობლებმა იცოდნენ მისი მურდალი ხასიათი. შეაკავეს. გივი კი ეზოდან უცებ გააპარეს. მოსახვევში ტროლეიბუსების გაჩერებასთან აქლოშინებული ნუნუ შეეფეთა.

— ვაიმე, ვაიმე.

წასაქცევად გადაქანებულ ნუნუს ხელი შეაშველა. ნუნუს სარჭები სირბილში დაფანტფოდა, ჩამოშლილი თმა გავარვარებულ სახეს უფარავდა, სული გვიან მოითქვა.

— მაპატიეთ, შემეშალა მისამართი. მე და დალი კარგი ამხანაგები ვიყავით, ერთად ვსწავლობდით. მაგრამ ბედმა მიღალატა, მგელს გადამკიდა. ვერ გავძელი მასთან, სამუდამოდ ჩამოვშორდი. მერე დაუსწრებელზე ძლივს მოვეწყე, ვჯახირობ, უბედური ვარ, უბედური.

მწარედ ატირდა ნუნუ.

გასჭრა მისმა ცრემლმა. გივის გული აუჩუყდა.

— დამშვიდდით, რამ შეგაშინათ, ჯერ კიდევ ცხოვრება წინა გაქვთ.

— არ მინდა ცხოვრება, არა, არა!

ეს სიტყვები ცოტა ხმამაღლა წარმოსთქვა ნუნუმ და ტროლეიბუსის მომლოდინეთა ყურადღება მიიქცია. შერცხვა გივის, მკლავზე მოკიდა ხელი.

— წამოდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგეს, ნუნუ ჩამოშლილი თმის შესწორებას შეუდგა, მაგრამ მის მოცახცახე თითებს არ დაემორჩილა გაბურძგნული თმა.

— სავარცხელი გაქვთ?

გივიმ სავარცხელი მიაწოდა, ნუნუმ თმა ლამაზად გადაივარცხნა, მერე მკლავი მკლავში გაუყარა დაბნეულ მამაკაცს.

— ცოტას გაგაცილებთ, გულს მოვიბრუნებ, თორემ ვიღრჩობი.

ჯერ ჩუმად მიდიოდნენ, მერე ნუნუმ ვერ მოითმინა და ჰკითხა:

— რა გითხრა იმ ოხერმა?

— არაფერი, მისამართი მომცა! — იცრუა გივიმ.

— ჰო, მაშ, მეც წამოგყვები.

— არა, ახლა უკვე გვიან არის. შემდეგ, როცა ჩამოვალ.

— სად მიემგზავრებით?

— ტყეარჩელში. იქ ვმუშაობ.

— ასე შორს?

— რას იზამ? — გივიმ საათს დახედა. — მაგვიანდება. მოდი დაბრუნდით, გაგაცილებთ.

— მე აქ ვრჩები. გასაცილებელი თქვენა ხართ, შორს მიდიხართ. იქნებ მოვასწროთ და დალი ვინახულოთ. შორს ცხოვრობს? მითხარით მისამართი.

გივიმ ნუნუს ხელისგან მკლავი გაინთავისუფლა, პაპიროსს მოუკიდა და ოდნავ შემკრთალ ქალს სახეში ცივად შეაჩერდა.

ვერ გაუძლო ნუნუმ მის თვალებს.

— თქვენ გგონიათ, მე დალის მისამართი ვიცი? არა, გენაცვალე, წინათ ვიცოდი, ნაძალადევში ცხოვრობდა, ხშირად დავდიოდი მასთან, ეს ორი თვეა სადღაც ვაკეში ახალი ბინა მიიღო, ჩემთან რომ იყო, ლაპარაკს შევყევით და მისამართი ვერ ვკითხე. მაინც რა გითხრა ვერელმა?

— ჩემი გოგოაო, გამახარა.

— მერე თქვენ დაუჯერეთ? — ოდნავი შემპარავი ღიმილით ჰკითხა.

— დავუჯერე, — ცივად მიუგო გივიმ და თან დაუმატა, — მშვიდობით.

— ხომ გითხარით, გაგაცილებთ-მეთქი, გაგაცილებთ.

— ნუ შეწუხდებით! — უთხრა ნუნუს და თან სურათის ამოსაღებად ხელი ჯიბისკენ წაიღო, მაგრამ უცებ გადაიფიქრა, ვერ გაიმეტა ბედზე ნაშვენი სურათი. — წიგნი ვერელთან დამრჩა, — ცივად მიუგო და სახეზე ზიზღის უჩინარმა ჩრდილმა გადაურბინა.

უცებ ტაქსიც გამოჩნდა, მწვანე შუქი საღამოს ბინდს ბურღავდა. ნუნუმ ხელი ასწია და დაიძახა:

— ტაქსი!

გივი შევარდა კაბინაში და კარი მიიჯახუნა. მანქანა დაიძრა. ნუნუმ სახეზე ხელები აიფარა და ატირდა.

*

არც დალი იყო კარგ დღეში. წვიმაში შეხვედრილ კაცზე ფიქრმა თავგზა აუბნია, გვიან მოეგო გონს, გამოცდებიც მაშინ მოაგონდა. ვაი, არც წიგნი, არც კონსპექტი! შეწუხებულმა შორეულ ნაცნობს ნანი გვარამაძეს დაურეკა. ნანიმ საოცრად ჩქარი წერა იცოდა, ყველა ლექციას დაწვრილებით იწერდა, ყველას მისგან მიჰქონდა კონსპექტები და მანამ ათრევდნენ, სანამ ხელში არ შეაცვდებოდათ. ამიტომ ნანის თავი ჰქონდა მობეზრებული, მაგრამ დალის მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი ვერ უთხრა. სახლს მარტო ვერ დავტოვებ, ჩემთან მოდი და ერთად ... მეცადინეთო.

დალი ოთახიდან გავიდა, მიხვეულ-მოხვეული ქოჩრები იარა და მალე ნანის ბინას მიადგა. ჩაიკეტნენ პატარა ოთახში, ნანიმ დაფლეთილი, ჭუჭყიანი საერთო რვეული გადაშალა, კარგი კითხვა იცოდა. კითხვაში, გამეორებაში, ცალკეული ფორმულების გაზეპირებაში შემოადამდათ, სიბნელე რომ ფანჯარას მოადგა, დალი შეკრთა.

— რომელი საათია?

— რა გეჩქარება, ერთხელ კიდევ გავიმეოროთ, — უთხრა ნანიმ. შუქი აანთო, ისევ ამხანაგის პირდაპირ მაგიდასთან დაჯდა.

თერთმეტ საათზე დალი სწავლას მორჩა, ფეხი დაბუქებული ჰქონდა, ძლივს წამოდგა, კიბეზე კოჭლობით ჩავიდა, ქუჩაში გრილოდა, ტროლეიბუსების გაჩერებასთან მიირბინა. ასფალტმოგებული მოედანი სველი იყო, ტბასავით ბრწყინავდა. ყვავილნარი, მოედანს ირგვლივ რომ ერტყა, მოტკბო სურნელს აკმევდა. იაუუუნას, ძიმას, ჩაისა და ჩინურ ვარდებს წყლის წვეთები სიხარულის ცრემლებივით ეპკურა. დალი ირგვლივ არაფერს არ ამჩნევდა: არც ყვავილებს, არც მოდაზე თმაშეკრეჭილი ქალიშვილებივით მდგარ გუნდის ხეებს, არც ვარსკვლავებით მოჩითული ცისთვის შეუხედავს, დაღლილ-დაქანცულს მიხედ-მოხედვის თავი და გონება აღარ ჰქონდა, ბოძთან იდგა, თავისი ქუჩის ტროლეიბუსს ელოდებოდა.

ისიც მალე ჩამოდგა. ტროლეიბუსში ბიჭები პაპაიროსს ქაჩავდნენ, ერთიმეორეს სახეში აბოლებდნენ. დალი მოერდა ბიჭების უხამს თვალებს, კუთხეში დაჯდა. მათმა ყველგან მოფათურე თვალებმა მაშინვე შენიშნეს ეს ლამაზი ქალიშვილი.

— მარტო მიდის შინ. ბიჭს არ გამოუცილებია! — ჩაილაპარაკა ერთმა.

— ალბათ გაებუტა.

— ბუტია, ბუტია, ბუტია.

ახოხხოცდა ყველა.

დალიმ თავი ჩაღუნა და ჩაიცინა.

— ბიჭებო, ჩუმად, თქვენი კი არ არის ეს ტროლეიბუსი! — გაუწყრა კონდუქტორი.

— ტროლეიბუსი თქვენი იყოს, ი, გოგო კი ჩვენი.

მაგრად უტევდნენ ლაზღანდარა ბიჭები, დალი მათ როდი შეუშინდა, წამოდგა, გამოცილი მასწავლებელივით ზევიდან დახედა:

— ბიჭებო, ჯობია თქვენი ტოლი მონახოთ.

— არა, არ გვესმის! — მიუგო კუბოკრულ ხალათიანმა ბიჭმა, თან ძაფივით წვრილ ულვაშზე დარდიმანდულად ხელი გადაისვა.

— ეგ ულვაში შეგირცხვეს შენ! — შეუტია დალიმ და კვერდით მიუჯდა. — რა გინდა?

— თქვენი კარგად ყოფნა! — დაიბნა ბიჭი, გაწითლდა.

ამასობაში ტროლეიბუსი გადაკეტილებული კინოთეატრის წინ გაჩერდა. იქ შეზავრები მოაწყდნენ კარს, თუმცა ერთიმეორეს უშლიდნენ ამოსვლას, მაგრამ მაინც მალე გაივსო ტროლეიბუსი და დაიძრა. დაბნეულ ბიჭსა და დალის ბავშვიანი ქალი დაადგა თავს.

— შენ იჯექი, მე დავუთმობ! — მკაცრად უთხრა იმ ბიჭს დალიმ და წამოდგა.

— არა, არა, როგორ გეკადრებათ. — წამოხტა ბიჭი, თავის ადგილს ბავშვიანი ქალი დასვა.

დალი ბიჭებში ძალიან შემტევი და გამბედავი იყო, თავზე უბრალოდ ბუზს არ დაიფრენდა, მაგრამ იმ ვერელთან ფარხმალი დაყრილი ჰქონდა. რაღაც შინის ჯადო ჰქონდა ვერელს, — შეხვდებოდა თუ არა, დალის ელვემელვეთი მოსდიოდა, მონუსხულივით კანკალებდა, ხმას ვერ იღებდა.

და აი, ახლაც, ტროლეიბუსიდან რომ ჩამოვიდა, დაბარებულივით წინ დაუხვდა.

— სადა ხარ, გოგო, მთელი ქალაქი გადავაბრუნე.

დალიმ მაშინვე მხრები ჩამოყარა, თავგზა დაებნა.

— რა გინდა?

— მე?

— ჰო, შენ.

დალი გაიქცა, მაგრამ ვერელი უცებ დაეწია და მკლავზე სტაცა ხელი.

— გაჩერდი, არც ისეთი ანგელოზი ყოფილხარ, როგორც მეგონე. ახლა ხელს არ შეგიშლი, ხვალ გამოცდა გაქვს. აჰა, წიგნი, ისწავლე, მერე მოგელაპარაკები.

დალიმ მოცახცახე ხელი უკან წაიღო, გაუბრაზდა ვერელი, წიგნი წინ დაუგდო და წავიდა. დალი დიდხანს იდგა უძრავად, ბოლოს, მეხმა რომ გადაიარა, ცრემლით სავსე თვალები გაახელა, ელექტრონის შუქზე იცნო წიგნი, შეშფოთებულმა ხელი დასტაცა და შინისაკენ გაექანა.

ალაყაფის კართან დედა მიეგება.

— რა მოგვიდა, გოგო? რას მორბიხარ?

— კარგი, კარგი, — სიტყვა დაეკარგა და ცრემლი წასკდა.

დედამ მხარზე გადახვია ხელი და კიბეს აყვნენ...

— გაჩუმდი, ბიჭთან ენა არ დასძრა, ნასვამია, ცოდვა არ დაატრიალოს,— ჩასჩურჩულა დედამ და თავისი ხელით მოსწმინდა ცრემლი. ოთახში სულგანაბულნი შევიდნენ.

გაბოს ტახტზე ეძინა, წელზევით ტიტველი იყო, კუნთმაგარი მკლავი ძირს გადმოვარდნოდა, ბალნით აქოჩრილი მკერდი აუდ-ჩაუდიოდა.

ფეხაკრეფით უკანა ოთახში გავიდნენ. იქ დალიმ დედას ცრემლებით დამბალი სიტყვებით ყველაფერი უთხრა და გააგებინა.

— ეს რა მოუშორებელი ჭირია, შვილო. არა, ხვალ მის დედასთან უნდა მივიდე, თავისი გიჟი თვითონ დააბას.

დალი ლოგინზე მიწვა, სულ არ ჰქონდა წიგნის გული, მაგრამ მაინც გადაშალა და ისევ ის გულისგამაწყალებელი ფიქრი აღეძრა: საიდან ჩაუვარდა ეს წიგნი ვერელს ხელშიო. ათასმა ეჭვმა გაჰკრა ბრჭყალი, მაგრამ ვერც ერთი ვერ ირწმუნა, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი ძილმა წაიღო.

შუაღამით თბილისს ერთი პირი ჩაეძინება ხოლმე, უკანასკნელი ტრამვაი მოსახვევში გაიხრეშალებს და ეს ხმაური სიჩუმის ფარდას ჩამოუშვებს. აი, მაშინ ქალაქი, უთვალავი ელნათურით თვალხილული, კურდღელივით ერთს მიიძინებს და მერე ისევ წამოვარდება.

ასე მიიძინა მაშინ თბილისმა.

ეძინა გაბოს, ეძინა დალის. არ ეძინა დარდით ჩამობნელებულ ოთახში დაზფრულ თამარს.

ფიქრში შემოათენდა, ლოგინიდან წამოდგა, ბალიშზე ტრიალით აჩეჩილი თმა გადაივარცხნა, სარკესთან რომ მისულიყო, შეამჩნევდა შემომატებულ ჭა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ღარას. სამზარეულოში ქურა აანთო, შვილები გააღვიძა, ასაუზმა, ბიჭი სამუშაოდ გაისტუმრა, ქალიშვილი—ინსტიტუტში, გამოცდაზე, გზა და ბედი დაულოცა, მერე ვერელისკენ გაეშურა. ჩქარობდა, უნდოდა დედამისისთვის მიესწრო. დარდისგან შეშმუსლმა დედამ კარი გააღო და შინ შეიპატიჟა. ოთახი ღვინის სუნით იყო სავსე. აულაგებელი სუფრა, მიყრილ-მოყრილი თეფშები, მაგიდის ქვეშ წაქცეული ბოთლები, ოთახი ნაომარ ველს ჰგავდა, ყველაფერი არეულ-დარეული იყო.

— თქვენი ბიჭი სად არის?

— ჯანდაბაში.

ამ სიტყვამ სათქმელი დაუკარგა თამარს, დაიბნა, ფარ-ხმალი დაჰყარა, უსიტყვოდ გაჰყვა მასპინძელს უკანა ოთახში. აქ სისუფთავისა და წესრიგის მაღლი იდგა. მიწოდებულ სკამზე ჩამოჯდა. მაგრამ ის შემართება და მრისხანება, ის ბოღმა და სიანჩხლე, რომლითაც აქეთ მოისწრაფოდა, განელებული ჰქონდა. ახლა სიბრალულის გრძნობა დაერია საჩხუბრად მოსულს. შეებრალა ულირსი შვილის მიერ ცხოვრებამობეზრებული დედაკაცი. და გაუბედავად უთხრა: დალი ჯერანაშვილის დედა ვარო.

— დალის სადღეგრძელო წუხელის ხუთჯერ დალია ჩემმა სულელმა შვილმა. სულ იმაზე მელაპარაკება. გაარიდეთ გოგო, გაარიდეთ...

— ქალო, რას მაშინებ, სად წავიყვანო?..

— რას მიბრაზდები, დაო, მართალი გინდა გითხრა? მოტაცებას აპირებს. წუხელ ასე ურჩიეს ამფსონებმა.

— მოტაცება? მერე შენ რა უთხარი?

— ჩემი სიტყვა არა სჭრის. როცა პატარა მყავდა, კიდევ ჰო, ყურს მიგდებდა, სწავლობდა, ქვრივ-ობერი მის დავაჟკაცებას შევნატროდი, იქნება მეშველოს-მეთქი. არ ვიცი, ვინ დამწყევლა: გაიზარდა და სულ გამოელია ჭკუა, არც სწავლა ინდომა, არც სალმე. ნეტავი ქურდი იყოს, დაიჭერენ, მეც მოვისვენებ და ისიც. მამამისს რომ გაჰყოლოდა, კარგი იყო... მე დედა ვარ და ეს არ უნდა მესურვებოდეს შვილისათვის, მაგრამ თახსირი შვილი ასჯერ რომ მოგკლავს სიცოცხლეში, სულაც რომ არ გყავდეს, არა სჯობია?

გაჩუმდა. თამარმა რომ არაფერი უპასუხა, თვითონ განაგრძო:

— სჯობია, რომ არ მყავდეს, სჯობია. დედა ხარ და გამიგებ.

ვერა, ვერაფერი ვერ გაუგო თამარმა. „როგორ: შვილმა არ დამიჯერეროს, ჩემს ჭკუაზე არ გაიაროს?“ — ფიქრობდა შინ მიმავალი. მაგრამ ამაზე უფრო დიდი ფიქრი და ურვა წამოჰყვა ვერელის სახლიდან. მან ნახა ძალით გაჩანაგებული ოჯახი, შვილის მიერ გულმოკლული დედა, განიცადა შიში, დასწვა სიბრალულმა, ვერელის დედის ჩაფუფქული თვალები ახლაც მუდარით შეჰყურებდა... „როგორ, მე დალი მომტაცოს? მაშ მე დედა არა ვყოფილვარ, შვილის დაცვა არ შემძლებია?“

ცეცხლს კიდევ უფრო ხომ არ შეუბერავდა, მოტაცებაზე შვილებთან არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ დალის გადააფარა მფარველი კალთა და გვერდიდან აღარ იშორებდა.

დედის კალთაში ყოფნა ნაყოფიერი გამოდგა, დალი ტყუილუბრალოდ ერთ წუთს არ ჰკარგავდა, საგნები ჩაუბარა და მერე სადიპლომო შრომაც დაიცვა. ეს ყველაფერი თვენახევარში მოასწრო. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ შეხვდა ვერელს, სად არ შეეფეთებოდა დამწვარი ბიჭი, მაგრამ დალის ყოველთვის მკაცრი დედა ან ძმა ახლდა და ვერელი მასთან ახლოს ვერ მიდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... იმ კვირა ღამეს გაბო გარაჟში იყო მორიგედ. ეს ვერელმა წინასწარ გაიგო. „ან ახლა — ან არასოდეს“, თქვა და დალი საძილედ რომ ემზადებოდა, კარზე მიუკაკუნა.

დალის ფერი ეცვალა.

— ვინ ხარ? — შესძახა დედამ.

— მე ვარ, ერთი სიტყვა მაქვს, კარი გამიღეთ.

დალიმ იცნო ვინც იყო და შემკრთალმა დედას ჩასჩურჩულა, ვერელიაო.

— ვიცი რა სიტყვაც გაქვს, არ არის საჭირო, — მრისხანედ გასძახა თამარმა.

— ჩემთვის არის საჭირო, გააღეთ თორემ აქ, ამ თქვენს კართან თავს მოვიკლავ.

— დედა, ის ამას ჩაიდენს, ვიცი მისი ხასიათი!

აცახცახდა დალი.

— დედა არა ხართ? მე შვილი, თქვენ ჩემი დედა, სამტროდ არ ვარ მოსული, შემიშვით ოთახში.

ვერელის ვედრებით სავსე სიტყვებმა დედას გული მოუძებნა, გოგო უკანა ოთახში შეაგდო, კარიც გადაუკეტა, მერე: შემოდიო, გასძახა დაუპატიჟებელ სტუმარს.

კარი გააღო თუ არა, თამარმა დაინახა ვერელის ხელში გრძელი პრიალა დანა და ფერი ეცვალა.

— ახლა, ამ წუთს რომ არ გაგეღოთ, ამ დანას გულში გავირჭობდი, — ცახცახით თქვა სულით ხორცამდე შეძრულმა და დანა კუთხეში მიაგდო. ბასრმა ლითონმა იატაკზე ცივად ბიბინარუნა.

— გადავრჩი. არ ვყოფილვარ მთლად უბედური!

— დაბრძანდით. ასეთ დროს არ უნდა მოსულიყავით.

— განა სხვა დროსაც არ ვცადე, — ვერელი სკამზე დაეშვა. — მაგრამ სადარბაზოს აქეთ ფეხი ვერ გადმოვდგი. შიშის გამო კი არა, დედი, მე არაფრის არ მეშინია. მე მხოლოდ და მხოლოდ დალის მეშინია, მეშინია უარი არ მითხრას. თქვენც ხომ იყავით ახალგაზრდა, იმედია გამიგებთ, სიყვარულს სხვა ფაფა და მადლი აქვს. მე განვიზრახე დალის მოტაცება, ბიჭებმაც მირჩიეს, მაგრამ არა, გულში ვთქვი, ნაძალადევი სიყვარული ბედნიერი არ არის-მეთქი.

თამარმა კარი გააღო და ქალიშვილს გასძახა:

— გამოდი, გოგო, ამ კაცს პასუხი გაეცი.

— რა პასუხი, რისი პასუხი, არ მინდა, არ მინდა, თავი დამანებეთ!

— გამოდი, შვილო, აქა თქვი.

— არ მინდა, არ მინდა, მისი შეხედვაც არ მინდა! — თავს იკლავდა დალი.

თამარი წამოდგა.

— მე გამოვიყვან.

— იყოს. მაგრამ ის მაინც მითხრას, რას მერჩის. რას მაპამპულებს.

ამ სიტყვებზე დალი გამოენთო.

— მე შენ რამეს გერჩი?

ვერელმა ვერ გაუძლო ქალიშვილის მრისხანებითა და მძვინვარებით აბრიალებულ თვალებს და გაჩუმდა, დაიბნა, და, ბოლოს ძლივს ამოთქვა:

— ის ვინ იყო, წიგნი რომ მომიტანა. რად გამომიგზავნე?

— მე შენთან არავინ გამომიგზავნია.

— ტყუი. ინკინერი გივი ლელაშვილი რომ მომაყენე.

— ნუ ხლართავ. ვინ გივი ლელაშვილი... მე არაფერი არ ვიცი. თავი დამეხეგე, წადი, წადი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, წავალ, გადავიკარგები. — მიუგო ვერელმა და წამოდგა. ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲠᲘᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲡᲐᲙᲘᲜ ᲪᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲗᲐᲛᲐᲠᲛᲐ ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲐᲕᲘᲗᲮᲜᲐ. ᲕᲔᲠᲔᲚᲛᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲗ ᲒᲐᲐᲮᲕᲔ ᲙᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲘᲓᲐ. ᲙᲐᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲗ ᲛᲐᲛᲐᲯᲐᲪᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲭᲘᲗᲘᲗᲜᲘᲡ ᲒᲐᲘᲡᲛᲐ.

ᲗᲐᲛᲐᲠᲛᲐ ᲨᲘᲨᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲔᲚᲘᲗ ᲐᲚᲔᲬᲘᲚ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲣᲗᲮᲠᲐ:

— ᲐᲠ ᲔᲜᲔᲛ ᲛᲘᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲡ, ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ, ᲤᲘᲪᲘ, ᲜᲬᲠᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲤᲐᲜᲓᲘᲐ, ᲨᲕᲘᲚᲝᲛ, ᲒᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲝᲒᲝᲡ ᲨᲕᲘᲜ. ᲯᲔᲠ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲨᲔᲐᲧᲕᲐᲠᲛᲘ ᲗᲐᲕᲘ, ᲛᲔᲠᲔ ᲒᲕᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲐᲛᲘ... ᲒᲐᲑᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲮᲛᲐ-ᲙᲠᲘᲜᲢᲘ.

ᲓᲐᲜᲐ ᲓᲐᲛᲐᲚᲔᲗ, ᲞᲘᲠᲘᲜ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲩᲐᲝᲒᲣᲑᲔᲗ.

*

ᲕᲔᲠᲔᲚᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲠᲝᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲪ; ᲐᲑᲐᲙᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲮᲢᲐᲜᲒ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲬᲔᲠᲐ ᲡᲐᲙᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲬᲘᲗᲒᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲛᲝᲤᲔᲓ ᲞᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲓᲐᲪᲘ, ᲛᲙᲐᲪᲠᲘ, ᲒᲐᲣᲪᲘᲜᲐᲠᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ, ᲕᲘᲠᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡᲐᲨᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲧᲐᲡᲐᲓᲐᲓ ᲛᲣᲨᲝᲑᲓᲐ. ᲮᲣᲗ ᲮᲔᲚᲐᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲑᲐᲢᲙᲐᲜᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲗᲝᲜᲗᲛᲤᲚᲐᲕᲓᲐ ᲡᲣᲤᲠᲐᲖᲔ, ᲛᲔᲠᲔ ᲛᲝᲛᲓᲘᲝᲓᲐ ᲑᲐᲚᲓᲐᲓᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲔᲑᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲗᲜᲔᲑᲘᲡ, ᲡᲘᲪᲘᲚᲘ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲓᲘᲗᲐᲛᲝ, ᲘᲡᲘᲗᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ, ᲛᲡᲣᲤᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ ᲰᲥᲜᲓᲐ. ᲑᲐᲖᲠᲘᲡᲐᲨᲘ ᲐᲚᲘᲝᲜᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ, ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲦᲠᲛᲐ ᲫᲘᲚᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲫᲔᲜᲘᲡ. ᲦᲛᲘᲡ ᲙᲘ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ, ᲑᲐᲒᲨᲔᲑᲘ ᲕᲔᲠ ᲮᲕᲔᲑᲝᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲮᲘᲗ; ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲪᲝᲚᲘ ᲙᲘ, ᲗᲣ ᲧᲐᲖᲘᲗᲜᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲐᲘᲒᲐᲜᲗᲐ ᲘᲓᲒᲐ ᲫᲘᲚᲓᲐᲛᲙᲠᲗᲐᲚᲘ, ᲗᲣ ᲧᲐᲛᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲕᲔ ᲣᲤᲐᲠᲔᲓᲐ, ᲑᲣᲮᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲗᲕᲚᲔᲑᲓᲐ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲙᲚᲔᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ, ᲗᲝᲠᲛᲘᲗ ᲡᲘᲪᲘᲕᲔ ᲣᲤᲐᲠᲔᲓᲐ, ᲑᲣᲮᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲗᲕᲚᲔᲑᲓᲐ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲙᲚᲔᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ, ᲗᲝᲠᲛᲘᲗ ᲡᲐᲡᲐᲛᲔᲚ-ᲡᲐᲬᲘᲛᲔᲚᲘ ᲤᲐᲠᲩᲘᲡ ᲜᲐᲬᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲰᲮᲐᲠᲨᲣᲚᲘ ᲡᲣᲤᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲠᲔᲑᲘ, ᲒᲣᲓᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲘ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲮᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲤᲠᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲙᲚᲔᲓᲐ. ᲡᲐᲛᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ, ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡᲐᲜ ᲛᲐᲘᲜᲩ ᲓᲝᲛᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲚᲘᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲠᲝᲕᲘᲚᲘᲡᲐᲜᲘ ᲘᲧᲜᲔᲑᲘ. ᲖᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲡ ᲣᲤᲠᲛ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲖᲔ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲓᲐᲑᲐᲚᲔ ᲘᲧᲝ, ᲛᲙᲠᲗᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘ. ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲫᲛᲔᲑᲡ ᲡᲯᲝᲑᲓᲐ, ᲡᲙᲝᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲝᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲭᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲚᲘ ᲐᲭᲠᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ.

... ᲘᲛ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲧᲐᲡᲘᲡᲘᲜ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲝᲠᲓᲐ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ. ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲘ ᲛᲐᲛᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲬᲚᲘᲡ ᲦᲛᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ, ᲑᲘᲠᲘ ᲡᲯᲐ, ᲭᲐᲛᲐ, ᲣᲤᲠᲛ ᲛᲔᲢᲘ ᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲪᲘᲪᲕᲐ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲗᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲗᲔᲑᲘ ᲬᲐᲕᲘᲓ-ᲬᲐᲛᲝᲯᲘᲓᲜᲔᲑᲘ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲗ ᲚᲝᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲬᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲐᲠᲐᲠ ᲐᲛᲓᲔᲒᲐᲠᲐ. ᲕᲔᲠᲪ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ ᲣᲛᲔᲚᲔᲡ, ᲕᲔᲠᲪ ᲬᲐᲛᲐᲚᲛᲐ. ᲗᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲘᲛᲔ ᲓᲐᲮᲣᲯᲐ ᲗᲕᲐᲚᲔ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲣᲤᲠᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲰᲯᲧᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲧ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲗᲔᲓᲔᲓ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲛᲘ ᲮᲐᲚᲐᲗᲘ ᲔᲪᲕᲐ. ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲡᲗᲣᲛᲐᲚᲗᲐᲜ ᲛᲮᲠᲒᲑᲐᲩᲐᲛᲧᲝᲠᲘᲚᲘ ᲝᲯᲓᲐ.

ᲓᲔᲓᲐᲛ ᲭᲘᲠᲗ ᲒᲐᲣᲫᲚᲝᲡ, ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘᲡ, ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲓᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲝᲑᲝᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲝᲨᲣᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲝᲡ. ᲔᲠᲗᲝᲠ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲐᲗᲘ ᲒᲐᲘᲩᲐᲓᲐ, ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲜᲐᲠᲘᲪ ᲘᲛ ᲮᲐᲚᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲐᲗᲐᲜᲐ: ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲐᲘᲧᲠᲐ, ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲘᲒᲚᲔᲑᲘ, ᲑᲘᲭᲑᲣᲭᲑᲘᲡ ᲐᲰᲧᲕᲐ, ᲠᲐᲯᲐ ᲔᲠᲗᲗᲔᲚ ᲐᲘᲗᲕᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲐᲮᲝᲑᲨᲘ ᲩᲐᲒᲔᲑᲓᲐᲗ ᲡᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲓᲒᲐ. ᲣᲡᲐᲥᲛᲘᲠᲝᲑᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲩᲐᲒᲔᲑᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲔᲡ: ᲕᲔᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲝᲜᲐ ᲨᲔᲠᲥᲕᲔᲡ.

ᲓᲔᲓᲐᲛ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲐᲬᲧᲝ, ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲐᲣᲠ-ᲓᲐᲣᲠᲘᲐ, ᲮᲐᲜ ᲛᲗᲒᲠᲘᲐᲚᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲐᲡᲗᲐᲜ, ᲮᲐᲜ ᲡᲐᲐᲛᲠᲝᲨᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲘᲡ ᲔᲚᲔᲪᲚᲝᲑᲘᲡᲐᲡ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲗ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲖᲔ ᲐᲠ ᲐᲯᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲪᲘᲓᲔᲑᲓᲐ. ᲤᲔᲮᲘ ᲕᲔᲠᲘᲡᲐᲓ ᲛᲝᲘᲪᲘᲓᲐ, ᲤᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲡᲘᲡ, ᲛᲝᲛᲖᲔ ᲩᲐᲒᲛᲐ-ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲘᲡ ᲪᲘᲪᲒ-ᲪᲮᲚᲔᲑᲐ ᲡᲯᲘᲠᲡ. ᲒᲐᲛᲘᲡᲬᲧᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲐᲠᲒᲚᲔᲑᲘ, ᲘᲡᲐᲠᲘᲕᲘᲗ ᲬᲠᲘᲚᲪᲮᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲘ, ᲭᲠᲔᲚ-ᲭᲠᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲐᲗᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘᲝᲓᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲩᲘᲜᲝᲜ, ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲠ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ.

„დედა ფული მომე“, წარა-მარა გაიძახის, ყვირის, იძაგრება, ჩხუბობს, რაფ�sᲔᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲨᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ხელში მოხვდება, ამტვრევს და ამსხვრევს. ყელამდე სავსე ოჯახი განადგურა, ბიძებსა და დეიდებს თავი მოაბეზრა; თხოვნითა და მუდარით, ჩხუბითა და ქადილით ქისები დაუცარიელა.

ძმაკაცებისა და ტოლსწორების მალამოა. მისი ბავშვური ხასიათის გამო ბიჭებს უყვართ. ვერელმაც ამოჩემება იცის ამხანაგის, ხან ერთთან აქვს გული გაშლილი და იმის მზეს ფიცულობს, ხან მეორეს ძურწასავით მიეკვრება და აღარ შორდება. ძმაკაცმა რომ უთხრას, წყალში გადავარდიო, უკან არ მოიხედავს. დედის ლოცვა კი წყევლად მიაჩნია.

ცარიელი გული. პატარა რამეზე დენთივით ფეთქდება. მუშტი-კრივზე პირველი გადადის, არ დაეძებს, მოწინააღმდეგე რა ღონისა და ჭკუისაა; ძალიან ეხერხება თაური. მაგრამ მალე იბნევა და შინ მუდამ ნაბეგვი მიდის. ახლა დედას აუხირდა, მანამ არ დავშკვიანდები, სანამ „ვოლგას“ არ მიყიდიო.

დედას მისი არა სჯერა, უკვე სამუდამოდ აიყარა გული, ქმარ-შვილში გულგაცივებულს სულიც გაუცივდა, სიკვდილის მეტს არაფერს ნატრობს, მხოლოდ სიკვდილის იმედი აქვს.

ახლა, ამ ღამით, ვერელის მოულოდნელმა სტუმრობამ დალის ახალი ფიქრი და საზრუნავი გაუჩინა. „გივი ლელაშვილი... გივი ლელაშვილი...“ — იმეორებდა იგი და თან გულში უმადლოდა ვერელს, იმ საოცნებო კაცის სახელი და გვარი რომ გაუმხია. „გივი ლელაშვილი!“ — კიდევ გაიმეორა და წელანდელი უსიამოვნება მოულოდნელად მოვარდნილმა სიხარულმა წარეცხა. „ლელაშვილი ვერელთან ვინ მიაგზავნა?“. ამ ფიქრმა კი აღარ მოასვენა.

დილით ტელეფონის ზარმა დალი ლოგინიდან წამოაგდო.

ყურმილი აიღო. ნუნუს მინაზებული ხმა გაისმა. მან ჯერ დიპლომის დაცვა მიულოცა და მერე დასძინა:

— წიგნი დამიკარგე, ეგ ჯანდაბას, მაგრამ ახლა მთლად ცარიელზე ნუ დამტოვებ, კონსპექტი მაინც მიშოვნე სადმე, მეც ხომ უნდა ჩავაბარო.

— ჩააბარე, ნუ გეშინია, მოგიტან! — მიუგო დალიმ და ყურმილი აპარატზე ჩამოსდო.

ეჭვიანი არ იყო, მაგრამ ახლა რატომღაც ეჭვი აღეძრა: „ამ საქმეში ვითომ ნუნუს ხელი ურევია?“

ნუნუ მას გულწრფელად უყვარდა, საშუალო ერთად დაამთავრეს, ერთ შერხზე ისხდნენ, ჭირი და ლხინი ერთი ჰქონდათ, მერე ნუნუ ვიღაც ავარას გადაეკიდა, ცხოვრება აიწეწ-დაიწეწა, ორი წელიწადი ერთმანეთი არ უნახავთ. ამას წინათ ნუნუმ შინ მიაკითხა.

დალის დედა, თამარი წინათ ნუნუს შვილში არ არჩევდა, მაგრამ იმ დღეს არ მოეწონა: მთლად წასულა ხელიდან, რა მოკლე კაბა აცვია, მუხლისთავები უჩანსო, პირში მაინც ვერაფერი უთხრა, მაგრამ სტუმარი რომ წავიდა, მერე თავისი ქალიშვილი გააფრთხილა:

— აქ ნუნუს ფეხი არ მოდგას. აგერ ტელეფონია, თუ რამე დასჭირდა, დაგირეკოს. იმასთან ქუჩაში ვინმემ რომ დაგინახოს, თავი მოგეჭრება.

— არა, დედა, რატომ ამბობ ამას.

— მე კი არა, ამას მისი ჩაცმა-დახურვა, მისი შეღებილი სახე ამბობს. ჰო, რას ნიშნავს პატრონი რომ არა ჰყავს. თავი აუშვია. იმ გაფუჭებულ ქმარს მთლად გაუფუჭებია ის უბედური, ჩუმიუმელა მაინც იყოს, კაცს თვალს რომ ჭრის.

მაგრამ დალის დედის დარიგება გულთან არ მიუტანია. ნუნუს სტუმრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ მათს ძველ სიყვარულსა და მეგობრობას ახალი ძალა შეჰმატა. წარსული დავიგულეს, მომავალს პირი უჩვენეს.

„არა, ნუნუ არ მიღალატებს“, — ფიქრის შემდეგ დაასკვნა დალიმ. მაგრამ ის დიდი კითხვის ნიშანი, რომელიც იმ წუთის მიღების დროს დალის წინ აღიმართა, ისევ ისე იდგა. ამ კითხვის ნიშანზე ეწერა: „როგორ ჩაუვარდა ეს წიგნი ვერელს? ვინ არის გივი ლელაშვილი?“

მეორე დღეს დალიმ მეგობარს კარზე მიუკაკუნა.

— მობრძანდი! — გულღიად დაუხვდა ნუნუ, მაგრამ დალიმ ის დასაწვავი წიგნი რომ მიაწოდა, მასპინძელს სახე აერია, გაფითრდა, რაც მაშინვე ვერ შენიშნა.

— ვერელმა გადმომცა, ვიღაც გივი ლელაშვილმა მომიტანაო. ვერაფერი გამიგია.

— შენ გაიგებ იმ ბეჩავის ასავალ-დასავალს?!

ნუნუმ წიგნი გადაშალ-გადმოშალა და მერე განგებ ჩაუკრა:

— საოცარია, ვერელთან ჩემს წიგნს რა უნდოდა.

— მეც ეს მაინტერესებს. რა არ ვიფიქრე. რომ შეგხვდეს, ჰკითხე, თუ და ხარ, მერე ის გივი ლელაშვილი გამიგე ვინ არის. იქნებ ის არის, წვიმაში რომ შემხვდა.

ნუნუმ გვიან მიუგო:

— შეიძლება ის არის!

მართალია, ნუნუ დალის ტოლი იყო, მაგრამ ცხოვრებამ მოასწრო იგი მრავალმხრივ გამოეცადა, დარდმა და გაჭირვებამ გამოაწრთო. ახლა გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით აქეთ-იქით აწყდება, დაეძებს გამოსავალს, დაეძებს ფაუდრო ოჯახს, დაეძებს მზრუნველ ქმარს, რომელიც ბედმა არ გაიმეტა მისთვის.

დღეს მაინც სულ დარდად იქცა, დალის თვალი ვერ გაუსწორა, თითქოს ბრალდებულის სკამზე ზისო, ისე ჩაჰკიდა თავი.

მისი უგუნებობა დალის არ გამოპარვია.

— რა იყო, რამ მოგაწყინა, გოგო?

— რამ უნდა გამახაროს.

ნუნუმ ჯიბიდან „ყაზბეგის“ კოლოფი ამოიღო, პაპიროსს მოუკიდა. შეღებილი ტუჩები მოლურჯო კვამლით დაებურა.

— რად ეწევი, მწარე არ არის? — ჰკითხა დალიმ.

— ტკბილია. ჯავრიან გულს მიფრანავს.

— ნუ მოსწევ. არ ვარგა!

— შენ რა გესმის, ბავშვი ხარ.

— ისე მეუბნები, თითქოს ჩემზე დიდი იყო.

— არ იცი, რომ დიდი ვარ?!

კიდევ დიდხანს ისაუბრეს. ნუნუ თავისი განქორწინების მწარე ამბავს მოჰყვა. სიტყვას ცრემლსაც აყოლებდა.

დალის გული დაეწვა, მაგრამ მაინც უსაყვედურა:

— შენი ბრალია. ისეთი ქმარი რად გინდოდა

— შევცდი. სახეზე ღიმილი ეფინა, გული კი შავი ჰქონია, სიცოცხლე გამიმწარა. ვერელის ამხანაგი კაცი იქნება?

ვერელის ხსენებაზე დალი მოიღუშა და მალე წავიდა.

ნუნუმ ვერ გაუძლო ბოღმას. ლოგინზე დაემხო და ისე მწარედ აქვითინდა, თითქოს ყველაზე საყვარელი ადამიანის ცხედარი ედებოდა წინ. უცებ სა-

წოლიდან წამოენთო, ფანჯარა გააღო და განწირული ხმით დაიძახა:

— დაა-ლი...

ქარმა იიტაცა მისი ცივი ხმა, დალი ახლომახლო აღარ იყო, გავარვარებულ სახეზე წვიმამ შემოაშხეფა.

„რას ვეძახი, რა ვუთხრა?“ — გაიფიქრა, ფანჯარა მიხურა და ახლა თვალი წაუვიდა კუთხეში მიდგმულ მრგვალ მაგიდისაკენ. მაგიდა სავსე იყო სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის ხრილის კოლოფებით, სუნამოს ყელწვრილი შუშებით, პომადებით, სავარცხლებით, მაგრამ ახლა მათთვის არა სცხელოდა, მისი ცრემლით დანამული თვალები მოიტაცა ლურჯმა კონვერტმა.

„ნუნუ, მივიღე თქვენი წერილი, — ეწერა ამ ლურჯ კონვერტში ჩადებულ ქაღალდში, — გმადლობთ, მაგრამ ათასჯერ მადლობელი ვიქნებოდი, ერთი-ორი სიტყვა დალიზეც წამოგცდენოდათ. დალის თუ ვერ შემოხვედრებთ, მისამართი მაინც მომწერეთ! გივი“.

„ნეტავი იმ ერთ წუთში რა თილისმა გაუკეთა დალიმ, ასე გამწარებული რომ დაიძახს? — გაიფიქრა ნუნუმ. — ისეთი წერილი მივწერე, ქვასაც სულს ჩაუდგამდა, იმას კი გულთანაც არ მიუტანია. ვითომ დალი მჯობია?“

ამ სიტყვებზე სარკისკენ გადაიხარა, მოეწონა თავისი გრძელი, ოდნავ გამხდარი სახე, მსხვილი, წყლიანი თვალები, ტუჩზე პომადა გადაისვა, შემდეგ ის კონვერტი ხელში ჩაჭმუნნა.

„შევცდი. გივის გარეგნობამ შემაცდინა, ვაჟკაცი მეგონა, ლამაზი ქალის დანახვაზე ელეთ-მელეთი რომ მოსდის, ისეთი ვაჟკაცი, და არა გლეხუჭა, ანგარიშითა და თადარიგით გონებადამძიმებული. სუფრა გავუშალე, გული ვუჩვენე, მეგონა აენთებოდა; მაგრამ ძალიან ნელდი და გაურანდავი ყოფილა“.

ფიქრმა სად არ ატარა, რა არ გაიკლო გულში! ბოლოს ისევ საკუთარ თავს დაუბრუნდა. ცხოვრებამ ბევრი რამ ასწავლა! პირველ რიგში საკუთარი თავის განქიქება. „ვტყუი, ვერ მოვიქეცი ღირსეულად. დალის ვუდალატე. ეს არის მეგობრობა?“ — უკან მიიხედა, წარსულს გადაავლო თვალი. დალის არასოდეს ნემსის წვერის ოდენა წყენაც კი არ მიუყენებია მისთვის. მუდამ ერთგული, გამგონი და ღრფელი იყო. „მაშ მე რა მეხი დამეცა?“ — შეუწყარა იგი თავს და იმ წუთში საკუთარი სახე, ასე მოხატული და შეშფოთებული რომ ისახებოდა სარკეში, შეეხიზნა, შეეხიზნა და ტელეფონის მილაკი აიღო, უნდოდა დალისათვის დაერეკა, ტელეფონით ადგილი იყო ყველაფრის თქმა, მაგრამ ნომერი ვერ აკრიფა, სულგრძელობა არ ეყო.

ბოლოს ის წერილი დანაკუწა და ღუმელში შეაგდო.

*

დალი ოთახში ჩაიკეტა, დედა პურის მოსატანადაც არ უშვებს. დღე ერთია და ვერელი ხუთჯერ მაინც აუვლ-ჩაუვლის დალის სახლს, აივნის წინ ქუჩაში ბოძთან დაეყუდება და გაუნძრევლად დგას, დგას, სანამ ვინმე ამფსონი არ წაიყვანს.

დალის გული მისდის, ფარდის უკან ფანჯარასთან ცახცახებს. ღამით კარს რაზავს, ფანჯრებს ქოლავს, საწოლის ქვეშ იცქირება, კარადების უკან ფათურობს, სადმე ხომ არ არის ის აკი სული შემალულიო. ოთახებში არავინ არის, მაგრამ მაინც გრძნობს, რომ ვერელის სული უხილავად მაინც აქ არის ჩაბუდებული. ბოლოს ამის მიზეზსაც მიაგნო, ის ვერანა დანა ფანჯრიდან შორს ქუჩაში ისროო და მერე ის უხილავი მოჩვენებაც მას მიაყოლა.

ინსტიტუტში განცხადება შეიტანა, სადაც გინდათ იქ წავალ სამუშაოდ, ოღონდ მალე, მალე მომაშორეთ თბილისსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიპლომის მიღების შემდეგ დალი ტყვარჩელში გაგზავნეს. უარი ᲐᲐᲠ-ᲣᲐᲠᲘ ქვამს, ბარგი-ბარხანა შეჰკრა, გაბომ ერთი კვირის შვებულება აიღო და ორშაბათ დილას ორივენი ჩავიდნენ ამ უცნობ ქალაქში. პირველად, როგორც წესი, სასტუმროში დაბინავდნენ. ისაუზმეს, მერე დალომ საბუთები ჯიბეში ჩაიდო და ქვანახშირის ტრესტში წავიდა.

ტრესტის მმართველმა, გამხდარმა, მაღალ-მაღალმა კაცმა გულთბილად მიიღო ახალბედა ინჟინერი. ოცი წლის წინათ ისიც ასე მარტო, მორცხვად მოვიდა აქ, ამ საბაგირო გზების, ქვანახშირის გორებისა და მანქანების ქალაქში, მიწის ქვეშ თხუნელასავით ჩაძვრა, მემაღაროებს გვერდში ამოუდგა. მათი პირი და ლხინი გაიზიარა; მერე წინ წავიდა, ახლა ყველი მაღარო მის ხელშია.

მმართველმა ჯაღარა თმაზე ხელი გადაისვა, დალის საბუთებს არც კი დახედა, ისე ჰკითხა:

— მეხუთე მაღაროში წახვალ?

— წავალ.

— კეთილი. იქ ვენტილაციის უბნის უფროსის მოადგილე გვჭირდება. იმუშავებ?

— ვიმუშავებ.

— ხომ გაქვს შენი თავის იმედი? ბინასაც მოგცემ. მარტო ხარ?

— დიაღ.

— არა უშავს. როცა ჩამოვედი, მეც მარტო ვიყავი. ახლა ოთხი შვილი მყავს. აქ ვინმეს იცნობ, აქაურობა რომ გაგაცნოს?

— არა.

— მაშ კარგი, — ტელეფონით დარეკა. — ომარი ხარ? მოდი ჩემთან. ᲮᲣᲗᲘ წუთის შემდეგ შემოვიდა ომარი, ძალზე მაღალი, მსუქანი; ჯაღარა თმა ქალივით შუაზე გაყოფილი და ლამაზად გადატკეცილი ჰქონდა. კოსტუმი ძალზე დაჭმუჭნილი ეცვა. წითელი ჰალსტუხი გვერდზე მოქცეოდა. ეტყობოდა, გვირაბების არც ისე იშვიათი სტუმარი იყო, პიჯაკის მხრებზე ქვანახშირის მტვერი ღრმად იყო ჩამკვდარი, კოტიტა თითებიც გამურული ჰქონდა.

მმართველმა დალის ომარი გააცნო.

— სამთამადნო ინჟინერია, მაგრამ საოჯახო და ადმინისტრატიული საქმეები უფრო კარგად ესმის. აბა, ჩემო ომარ, დატრიალდი.

ომარმა იცოდა რას ავალებდნენ, ეს ხელობა თითქმის მობეზრებული ჰქონდა, მაგრამ დალის რომ შეხედა, შუბლი გაეხსნა, თვალში მოუვიდა ეს უმანკო ქალიშვილი, თავისი დიდრონი თვალებით, გაოცებული და ოდნავ შეწუხებული სახით... „სულ ბავშვი ყოფილ“, გაიფიქრა მან. ალბათ, ჯერ გითხოვილიც არ იქნებაო.

— ბედნიერი ხელი მაქვს, ვისაც დავაბინავებ, ორ-სამ თვეში თხოვდება. წამობრძანდით.

მმართველის კაბინეტიდან გამოვიდნენ.

გაბო მოსაცდელ ოთახში დაუხვდა, ნამგზავრს მოლოდინში ძილი წამოჰპარვოდა, მაგრამ კაბინეტის კარი ჭრიალით რომ გაიღო, თვალი გაახილა და მარდად წამოდგა. დალიმ ომარი გააცნო, სამივენი კიბეს ჩაჰყვნენ და ქვანახშირის კვამლით სავსე მოედანზე გამოვიდნენ.

— საიდან დავიწყოთ? ჯერ ბინა თუ სამუშაო?

— ბინა, — მიუგო გაბომ.

— მართალია... წამობრძანდით. — მოედანი გადასჭრეს, იქვე ხევში, ბებერ წაბლის ხეებს შორის, სამსართულიანი სახლი იყო ამართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ შენობაში, — დაიწყო ომარმა, — მხოლოდ ინჟინრები ცხოვრობენ. მეორე სართულზე ერთოთახიანი ბინაა, სწორედ თქვენს ბედზე გუშინ დაიცალა.

— ვნახოთ, — რატომღაც შეეშვებით მიუგო დალიმ.

— ნახეს არ უნდა, შენდეთ.

ბინა მოეწონათ, სასტუმროდან ბარგი-ბარხანა გადმოიტანეს. რკინის საწოლი, კარჩამოვარდნილი კარადა, ოთხკუთხა მაგიდა, საღებავგადაცლილი სკამები იყო ამ ოთახის აევჯი. ჯერჯერობით ეს საკმარისი იყო, ახალი ბინადარი არც ისე ცუდად მოეწყო.

— ახლა სამუშაო. მიგიყვანთ მაღაროს უფროსთან, მერე თქვენ იცით და თქვენმა ქალობამ! — ომარი კარისკენ წავიდა.

— ასე მშრალად ვერ გაგიშვებთ, — მიაძახა გაბომ, — მაღაროში ჩასვლას და გათხუპვნას მოასწრებთ.

— ახლა სამუშაო დროა, მერე იყოს! — გაიწია ომარი.

— ქეიფს კი არ ვმართავ, მუნბარაქის პური გავტეხოთ.

დალი დატრიალდა. მაგიდას ტილო გადაეფარა. ჩემოდნიდან ამოიღო თეფშები, შემწვარი ქათამი, შოთი, ხაჭაპური, მერე ქინძმარაულის ორი დიზენტდილი ბოთლიც შემოდგა. ჭიქა კი ერთის მეტი არ აღმოჩნდა. სახელდახელოდ გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ.

კაცებმა დალიეს შეხვედრისა და გაცნობის სადღეგრძელო, დალოცეს ახალი ბინა. ამ ორი სასმისის შემდეგ გაბოს სახე გაუწითლდა, — ასე იცოდა, ღვინო სისხლს უმღვრევდა ხოლმე, გონებას კი არა. ოცი ჭიქაც რომ დაელია, ერთ გადაბრუნებულ სიტყვას არ იტყოდა. ახლა კი, დას რომ უყურებდა, გული ეწვოდა: ბუდიდან ახალფრენილი ბარტყივითი მოკუნტული იჯდა, ლუკმას არ იღებდა, თითქოს ელოდა, დედა მომაწვდისო. გაბომ იცოდა, ქათმის რომელი ნაჭერი უყვარდა დალის, ბარკლის გადანახსენი აიღო და მიაწოდა:

— ჭამე გოგო, განა აქ დედა გადგას თავზე?

— ჭამა არ იცის? — ჩაიცინა ომარმა.

პურმარილს თავისი ძალა და მადლი აქვს. გაბომ და ომარმა ერთიმეორეს გული და სული გადაუშალეს. ამ სუფრაზე დამკვიდრებულმა ურთიერთნდობამ, ჭირისა და ლხინის უზადოდ გაზიარებამ შესაძლებელი გახადა შემძობის ფიცვერცხლი ეჭამათ. ამით გაბომ ნიადაგი მოამზადა და როცა ცალკე სასმისი ასწია დალის სადღეგრძელებლად, ვრცლად გააცნო ახალშეძენილი ძმაკაცს თავისი დის ბედი და უბედობა, გააცნო ვერელი და თხოვა, დაიცავი ჩემი და იმ ავი სულისაგანო.

— მე კი დავიცავ, მაგრამ თვითონ დალი თუ დაიცავს თავის თავს? — ჰკითხა ომარმა.

— ეს კითხვა არ მესმის? — გაიკვირვა გაბომ.

— ვერელისთანა კაცს ჯადო აქვს, აბრეშუმს მსხვერპლს, შეშინებული პირში უვარდება, როგორც ჩემს ქალიშვილს მოუვიდა. დამღუპა, დანა ყელში გამომისვა, — და გულდათუთქული მამა მოჰყვა, თუ როგორ გაეპარა სახლიდან ქალიშვილი და გაჰყვა უქნარას. — ერთი კვირის შემდეგ მის კვალს ძლივს მიაგნო მილიციამ. ბიჭს სასჯელი არ აცდებოდა, მაგრამ ისევ ჩემმა ქალიშვილმა გამომჭრა ყელი, — ცრემლნარევი ხმით განაგრძო ომარმა, — განაცხადა, მიყვარდა და გავყევიო. ეს სიყვარული დიდხანს არ ეყოთ, დაშორდნენ. ახლა შინ მიზის ფეხმძიმე. სიკვდილით დაქადნებია და იმიტომ ეთქვა, ჩემი ნებიო გავყევიო, შემოშინა გოგო. ახლაც დავეძებ ოჯახის შემარცხვენელს, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც გადაიკარგა, დედ-მამამაც არ იცის მისი ასავალ-დასავალი. მე ჩემმა შვილმა მიდალატა, თორემ ეს მურდალი რას დამაკლებდა.

დალის თვალზე ცრემლი მოადგა, გაბო დაიწვა, ძმაკაცის გასამხნევებლად სიტყვა ვერ იპოვნა. ბოლოს მაინც ხომ უნდა დაერღვია მძიმედ ჩამოწოლილი სიჩუმე და ძლივს მოახერხა:

— რამდენი შვილი გყავს?

— ის გოგო, მეტი არავინ.

— დამწვარი კაცი ყოფილხარ, ძმაო. ჭირს გაუძელ, — წამოდგა და გადაეხვია. ის სასმისი დასცალეს. მერე წვეთი არ ჩაუშვია ომარს პირში. წამოდგა, ოთახში მიიხედ-მოიხედა, ფანჯარა გააღო, ხევში ჩაბუდებული ჰაერი ყველას გრილად მიესალბუნა, ოთახი ნედლი ფოთლების სუნით გაივსო. აქამდე ვერც საბაგირო გზის ყურისმომჭრელი ღრჭიალი აღწევდა, ვერც თბოელსადგურის ყომრალი კვამლი.

— ახლა არა ღირს მაღაროში თქვენი წაყვანა, — უთხრა ომარმა დალის. — მე ჩემს საქმეს მივხედავ, ხვალ დილას კი სპეცტანისამოსს მოგცემ, მოგცემ კარგ ლამპას. ჰო, როგორი გირჩევნია, ქუდზე მისამაგრებელი, თუ ქველებური, ხელში დასაკავებელი?

— რა ვიცი, რომელსაც გაიმეტებთ.

— ჩემთვის სულერთია, მაგრამ ქუდზე მისამაგრებელი გერჩიოს, ხელები თავისუფალი გექნება... მემომეტრი ხომ უნდა დაიკავო?

— ქუდზე მისამაგრებელი მძიმეა, თავსა მტკენს.

— ასე გეთქვა, რას ყეყავდი?.. არ გემშვიდობებით! — ომარმა წასვლა დააპირა.

— ვერ გაგიშვებ, ძმაო, კიდევ მაქვს ღვინო! — გაბო წამოდგა.

— ნურც გამოგლეოდეს, მაგრამ დღეს გვეყოფა.

— ერთი ჭიქა, ერთი!

მასპინძელს ხათრი ვერ გაუტეხა, სასმისი აიღო და გაბოს მიაჩერდა:

— ამ ქვეყანაში ტკბილად გვეცხოვროს, გვეჭამოს, ერთმანეთი არ დაგვჭამოს.

— მართალი ხარ, მართალი! — დაუდასტურა მასპინძელმა და ხელი ხელს შემოჭკრა.

ომარმა ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა, ოთახიდან გავიდა, მაგრამ ისევ შემოჰყო თავი.

— დალი, კარგად მიიხედ-მოიხედე შინ, იქნებ რამე დაგჭირდეს; საწყობში ყველაფერი მაქვს, არ მოგვრიდოს.

— გმადლობთ!

ომარმა კარი მიიხურა.

დალი ჭურჭლის ალაგებას შეუდგა, იქვე სამზარეულოში ონკანი ოდნავ მოშვებული იყო და წყალი მოწანწკარებდა. გაბო ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და მოსაქმე დაია წაქეზა:

— ჰო, ასე, გაანძრიე ხელი, აქ შენს თავს შენ უნდა მოუარო.

ღია სარკმელში ომარის ბოხი ხმა გაისმა. გაბომ მაშინვე გადაიხედა, ომარი ძირს იდგა, ხელები პირხე შემოეწყო, რომ უფრო გაეგონათ მისი სიტყვები მესამე სართულზე.

— მთავარი დამავიწყდა, კარი გამიღე. — ამოსძახა ომარმა.

დალი დერეფანში მიეგება. თუმცა ახლომახლო არავინ არ იყო, ომარმა მაინც ჩურჩულით უთხრა:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— მეხუთე მაღარო ჩამორჩენილია, რად გინდა, მმართველს მოველაპარაკები, სხვაგან გაგიშვებს.

— არა, ეგ არ შეიძლება, — შეკრთა დალი. — სირცხვილია.

ომარმა არაფერი თქვა, ᲮᲠᲔᲑᲘ აიწურა და შებრუნდა. მისი ლანჩᲔᲑᲘᲡᲓᲐᲚᲣᲠᲡᲛᲣᲚᲘ ფეხსაცმელების კაკაკუკი სანამ არ მიწყდა, დალი გაშᲔᲨᲘᲒᲣᲚᲘᲕᲘᲗ იდგა და ფიქრობდა: „რატომ შემომთავაზა კარგ მაღაროში მოწყობა? უღონობა და სისუსტე ხომ არ შემატყო?“

ნამგზავრ და ნაფიქრალ დალის ეგონა, ᲑᲐᲚᲜᲘᲨᲘ თავს მივდებ თუ არა, მაშინვე ძილი წამიდებსო, მაგრამ მის გვერდით ტახტზე წამოწოლილმა გაბმიᲗ ᲮᲠᲘᲜᲘᲒᲘ რომ ამოუშვა, თვალიც კი არ ᲰᲭᲘᲜᲔᲑᲓᲐ დახუჭული.

ქვანახშირივით შავი და წყნარი ღამე ზედ ფანჯრებზე იყო მძიმედ მომდგარი. ხანდახან ისმოდა, როგორ შეარხევდა მდორე ᲰᲐᲠᲘᲡ ᲑᲐᲒᲘᲠᲘᲡ უეცარი გადაქანება და მერე მოჰყვებოდა ვაგონᲔᲑᲘᲡ გაბმული ᲮᲠᲭᲘᲐᲚᲘ. ვაგონᲔᲑᲘᲡ ღვინის კასრსა ᲰᲒᲐᲖᲘ, როცა ქვანახშირით პირთამდე სავსეა, მისი ხმა არ ისმის, მაგრამ ცარიელი ᲠᲠᲭᲘᲐᲚ-ᲮᲠᲘᲜᲒᲘᲜᲘᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲰᲜᲐᲕᲡ. დღისით ათასი საᲮᲠᲣᲜᲐᲕᲘ აქვს კაცს, ამ ხმაურსა და გნიასს არაფრად აგდებს, ღამით კი ᲚᲝᲒᲘᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲨᲝᲢᲘᲚᲘ ფიქრის მორევში რომ ცურავს, ეს ამაᲮᲠᲬᲘᲜᲘ ხმაური სულს უფორიაქებს.

დალისაც ასე მოუვიდა, თუმცა ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲡ ღამᲘᲡᲔᲣᲚᲘ ხმაური მას პირველად როდი ესმოდა. ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐᲡᲐ და ტყიბულში, როცა სასწᲐᲕᲚᲝ პრაქტიკას გადიოდა, არც იმდენი დარდი ᲰᲭᲘᲜᲔᲑᲓᲐ და არც იმდენი საᲮᲠᲣᲜᲐᲕᲘ: სტუდენტობა მაინც სხვა არის: დღით მოუსვენრად ცᲮᲝᲠᲛᲝᲑᲓᲐ. სამაგიეროდ ღამე მშვიდად ეძინა, მადნის გამამდიდრებელი ქარხნᲔᲑᲘᲡ ხმაურსა და ვაგონᲔᲑᲘᲡ ᲮᲠᲭᲘᲐᲚᲘᲗ არც კი უფიქრია.

გაბოს ᲮᲗᲠᲜᲔᲑᲘᲡ შეᲩᲕᲔᲣᲚᲘ იყო, შინ არაფრად აგდებდა, მაგრამ აქ, ამ ახალ ოთახში, მისი ᲮᲗᲠᲜᲔᲑᲘ რაღაც სხვანაირი იყო, შიშის უხილავი ხმებით ავსებდა ᲑᲘᲜᲐᲡ.

დალი ფარას მოწყᲕᲔᲣᲢᲘᲚᲘ ცხᲕᲐᲠᲘᲕᲘᲗ უᲮᲠᲔᲮᲣᲚᲐᲓ გრძნობდა თავს ამ პატარა, გამოკეტილ ოთახში, გრძნობდა შიშს, აკრთობდა ეᲩᲘᲜ, ათასი ᲮᲘᲚᲣᲚᲘ და უხილავი დარდი და საᲮᲠᲣᲜᲐᲕᲘ უტრიალებდა გულში.

მაგრამ ყველაზე უფრო სულს ის უფორიაქებდა, რომ ის ახოვანი ვაᲥᲙᲐᲪᲘ სამუდამოდ დაᲭᲙᲐᲠᲒᲐ. „აწი სადღა შევᲮᲕᲓᲔᲑᲘ, თბილისში ვიყო, კიდევ ᲰᲝ, სადმე შემეფეთებოდა. აქ, ამ ცᲮᲠᲐ მთას იქით, რა შემᲐᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ“. ფიქრში გული ელეოდა, გათენებას ნატრობდა, მაგრამ ქვანახშირის გორასავით აᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ღამე არ ილეოდა, ფანჯარას და გულს შავად აწᲕᲔᲑᲓᲐ!

„სულ არა მაქვს ᲑᲔᲓᲘ, — გაიფიქრა მან, — მაინცდამაინც ჩამორჩენილ მაღაროში მიკრეს თავი. უფროსი ძაღლის გუნებაᲖᲔ იქᲜᲔᲑᲐ, მე რომ მივადგები, სიცილს დამაყრის. შენ კი ნამდვილად მიᲛᲔᲚᲘ, ქვანახშირს ნაცარივით გამოყრი მაღაროდანო... რა შემიძლია მე? ინსტიტუტში კიდევ ᲰᲝ, არავისᲗᲕᲘᲡ ნაკლები არ ვიყავი, დიპლომიც კარგი მივიღე, მაგრამ ახლა დაიწყო შრომა და ცᲮᲝᲠᲕᲔᲑᲐ, რომელიც არც წᲕᲘᲜᲐ და არც ლეᲥᲪᲘᲐ. ᲯᲔᲠ მაღაროში ფეᲮᲘᲗ არ შემიდგამს და, უეცᲠᲐ, ჩამორჩენა, სირცხვილი, გაკიცხვა, ყველას ᲑᲔᲓᲘ და უბედობა მე უნდა გავიᲮᲐᲠᲝ!“

დარდი არ ასვენებდა, მაგრამ დარდს იქით სიᲮᲐᲠᲣᲚᲘᲪ ᲐᲠᲬᲣᲜᲐᲕᲓᲐ. მაღაროს თავისი მადლი აქვს. დალის არასოდეს არ იტაცებდა ექიმის ᲛᲔᲛᲘᲜᲘ ᲮᲔᲚᲝᲜᲐ ან მასწავლᲔᲚᲘᲡ დავიდარაბა. მან თავიდანვე ვაᲥᲙᲐᲪᲣᲠᲘ საქმე აირჩია, მთას უნდა შეᲕᲔᲭᲘᲓᲝᲠᲝ, და ექიმის მოკრიალებულ კაბინეტს გამᲠᲣᲠᲣᲚᲘ მაღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო არჩია. ახლაც არ იხეედა უკან, მაგრამ ის არ მოსწონდა, რომ გააწესებენ-ჩაცმულ მორჩენილ მაღაროში, სადაც საქმე თავიდან არის ასაწყობი. მხოლოდ ეს წყინდა და აფიქრებდა, ისე კი გათენებას მოუთმენლად მოელოდა, მაღაროში შევიდოდა და ყველაფერს გასინჯავდა. ხუმრობა ხომ არ არის ვენტილაციის უბნის უფროსის მოადგილეობა! სადღაც ჯუერმულში უნდა უდარაჯო ადამიანების სიცოცხლეს. ათასობით კაცის სული შენს ხელშია...

ოცნებაში უფროდაუფრო თვალნათლივ ესახებოდა მომავალი სამუშაო, მაგრამ სულაც არ განიცდიდა შიშს, მას საქმე ახარებდა, ჰქონდა შინაგანი შემართება, გამბედაობა, ჰქონდა თავისთავის რწმენა და ნდობა. ახლა, ამ უძილო ღამეში თუ ბევრს ფიქრობდა პირველ ნაბიჯზე, ეს იმიტომ, რომ სიფრთხილის ალღო უკარნახებდა ამას და არა შიშის. სიფრთხილე შიში ხომ არ არის!

ღამე ოდნავ გაიცრიცა. სადღაც ორთქლმავალმა მიაკივლა. მეზობლის ოთახში კედლის საათმა დარეკა. დალიმ ვერ მოასწრო დათვლა, მოთენთილი ძილმა წაიღო.

გათენდა. ხვეში მზის სხივების ტალღა დატრიალდა. დიდიხანია გაღვიძეს დალის უცნობმა მეზობლებმა. გაბო საერთოდ ძილისგუდა არის, დედა სასთუმალთან დაუდგამს ხოლმე მაღვიძარა საათს და მის გაბმულ ზარზე ძღვის ახელს თვალებს; დალი კი ალიონისას ფეხზეა, ხან კაბას აუთოვებს, ხან ხაზავს, ხანაც სარკესთან ლამაზდება. აქ კი, ამ უცხო მხარეში ისე შემოათენდა, მზემაც ისე შემოაშუქა ოთახში, რომ რომელ მხარზეც დაწვა, ისევ იმ მხარზე არხეინად სძინავს.

კაკუნმა წამოაგდო ლოგინიდან, დაფაცურდა. კაბა გადაიცვა, ტუფლებში ფეხი გაყო. კარის გაღება ვერ გაბედა, ჰკითხა, ვინა ხარო.

— ომარი გელოდებათ, მალე მოდით! — ქალის ხმა იყო. დალიმ გააღო კარი, მაგრამ ის ქალი უკვე კიბეზე ჩადიოდა.

დალის ერთი ლურჯი შტაპელის კაბა ჰქონდა, მაღაროში ნაცადი და ნაცვეთი, პიათურაში ის ეცვა; ახლაც ის ამოიღო ჩემოდნიდან, ცოტა დაჭმუჭნილი იყო, მაგრამ არა უშავსო, და ჩაიცვა. აჩეჩილი თმა ლამაზად გადაიკარცნა, მერე გაბო შეანჯღრია, ადექი, სამუშაოდ მივდივარო. გაბო ლოგინზე წამოჯდა.

— ასე ადრე მიდიხარ?

— რა ადრეა, ხედავ? — დალიმ მზემომდგარი ფანჯრისაკენ გაიშვირა ხელი და ოთახიდან გავიდა.

ომარი კაბინეტში დაუხვდა, წამოხტა სკამიდან, შუა ოთახში მიეგება:

— თქვენთან მოსვლა ვერ გავბედე, სუფრის შემეშინდა, — უთხრა მან. მერე მაღაროს უფროსთან შეუძღვა. იქ ვენტილაციის უბნის უფროსიც დაუხვდა, მალე გაიჩარხა საქმე. ორი საათის შემდეგ დალის უკვე მაღაროელის სპეცტანისამოსი ეცვა, ლამპაქივით ჩაფხუტი ქუდზე ლამპა ჰქონდა მიმაგრებული, ხოლო ხელში მემომეტრი ეჭირა და თავის უფროსს უკან მიყვებოდა; წკვარამ მაღაროში მისი პატარა ლამპა ლიანდაგებს შორს ცისარტყელასავით ვრძელ შუქსა ჰფენდა.

ნაშუადღეკს დალი მაღაროდან გამოვიდა. გაბო კართან დაუხვდა. უცებ ვერც კი იცნო დაიკო.

— რას გავხარ? ასე ჩვენს გარაჟში უბრალო მზეთავიც კი არ არის გამურული. აფსუს, ჩვიდმეტი წელიწადი ამისთვის ისწავლე?

გაბომ კარგად გასინჯა დალის სპეცტანისამოსი, ლამპა, მემომეტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ ეგ არის? ღმერთმა ხელი მოგიმართოს. ასე ქაჯივით ვერელ ეგ ვენე, დაფრთხება, სათოფედ არ მოგეკარება.

— გაჩუმდი, კაცო, სირცხვილია.

დალი წავიდა. იქვე ეზოში აბანო ბოლავდა, ქვანახშირის ჭუჭყი ჩამოიბანა. ლამაზად ჩაიცვა და ძმას ბიჭურად თვალი ჩაუკრა.

— ახლა რას იტყვი?

— ისევ ისე ჩაიცვი, გხატავდა, — მერე, როცა შინისაკენ მიდიოდნენ, დის საქმიანობით დაინტერესებულმა ჰკითხა: — მაინც რა გააკეთე მაღაროში?

— დღეს მხოლოდ ვნახე, უფროსმა დამათვალიერებინა, ისე ძალიან თავსატეხი საქმეა. მომშხამავი გაზების მიმოქცევისა და ჰაერის გაწშენდის მოწესრიგება მევალება. მოკლედ, მუშების სიცოცხლე მაბარია.

— ექიმივით ყოფილხარ, — დაასკვნა გაბომ და ოთახში შეუძღვა, — შენ მადა გექნება, ნამუშევარი ხარ, ყუათიანად შესჭამ, მე ლუკმა არ მინდა.

და პირველად თავის სიცოცხლეში დაიას ნაზად მოეპყრო, სკამზე დასვა, სუფრა თვითონ გაუშალა, თან პატარა სადღეგრძელოც უთხრა:

— კარგად იყავი, დაიკო, ყრჩაღად, საქმეში თუ გულს ჩადებ, ყოველთვის გაიმარჯვებ...

ერთი კვირის თავზე გაბო წავიდა, დალი ომარს ჩააბარა, შენი იმედი მაქვსო. კიდევ დალიეს. ღვინომ და პურმარილმა ორივეს გული მოუნახა.

გაბომ მალე დედამისი გამოგზავნა. თამარიც ერთ კვირას იყო ტყვარჩელში. საქმე და ცხოვრება კარგად აეწყო, დამშვიდებული, საჩუქრებითა და იმედებით გავსებული დედა ისევ თავის ოჯახს დაუბრუნდა.

შემდეგ წერილი. წერილი. ამანათები. დალის უკვე გული საგულეს ჰქონდა.

*

სადისპეტჩეროს მუშაკები და სახლის კომენდანტი ომარის გაფრთხილებული ჰყავდა, დალი ჯერანაშვილი ვინც არ უნდა იკითხოს, მაშინვე მაცნობეთ, მე გავცემ პასუხსო. ამიტომ უფროსმა დისპეტჩერმა, როცა მის კაბინეტში მოდაზე ჩაცმულ-დახურული ახალგაზრდა შევიდა და დალი ჯერანაშვილი დარდიმანდულად იკითხა, მაშინვე ომარს გამოუძახა. ჯერანაშვილს კითხულობენ და მობრძანდითო.

ათი წუთის შემდეგ ომარი შემოვიდა, სტუმარს ახედ-დახედა. თავი გაიქნა-გამოაქნია.

— ვერელი ხარ, ბიჭო?

— დიახ, — ვერელი წამოდგა, ქუდი მოიხადა.

— ვინ გინდა?

— ჯერანაშვილი.

— რისთვის კითხულობ, რა გინდა იმასთან.

— ეს რა თქვენი საქმეა! — იწყინა ვერელმა.

— მე მაქვს იმისი თავი ჩაბარებული. სწორედ შენზე მითხრეს, რომ მოვიდეს, კინწისკვრით გააგდეო.

— ეს ვინ დაგავალა?

— გაბომ.

— გაბომ რომ გითხრას, ცეცხლში ჩავარდიო, ჩავარდები?

— რატომაც არა. კაი კაცისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ვიცი შენი ინები. გოგოს სისხლს უშრობ თურმე. ახლავე მოწყდი აქედან.

ომარმა ხმა აუწია. მის ყვირილზე მუშები შემოკავშირდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერელმა გასარტყმელად გაიწია, მაგრამ ომარმა დაასწრო — საყელოში ხელი ჩაავლო და კარისაკენ უბიძგა.

— გადი აქედან! — უყვირა ომარმა და ორივე ხელი ისე მაგრად ჰკრა ზურგში, რომ ვერელი კარს მიეხეთქა, მაგრამ იმავე წუთს, ქაღალდზე რომ არ დაიწერება ისეთი უშვერი გინებით გამოქანდა და თავით ზედ სახეზე ეძგერა.

ომარს პირისახეზე მუშებმა სისხლი რომ დაუნახეს, გაცოფდნენ, ხელი სტაცეს ვერელს და ფანჯრიდან გადაუძახეს.

პარტიის საქალაქო კომიტეტში მაღაროების ხელმძღვანელთა თათბირი ახალი დამთავრებული იყო. გივი ლელაშვილმა ამ თათბირზე პირობა დასდო, მაღაროს ორ თვეში გარღვევიდან გამოვიყვანო.

ახლა ბრუნდებოდა მაღაროში და შიშობდა, ვაითუ ორი თვე არ მეყოსო. მეხუთე მაღაროს რომ მიუახლოვდა, ყვირილი მოესმა, ფეხს აუჩქარა. მისი მაღარო სწორედ მეხუთის გვერდით იყო, ყვირილსა და ჩოჩქოლზე ცნობისმოყვარეობამ წასძლია და პირდაპირ წამოვიდა. გზაზე ფეხებთან კაცი ბურთივით გაუგორდა.

— ეს რა ამბავია? — იყვირა მან და ქვანახშირის მტვერში ამოგანგლული ვერელი წამოაყენა.

ამასობაში მუშებიც მოცვივდნენ. ომარი წინ დაუდგა გივის, სახეზე ხელი ჩამოესვა და ახლა ხელიც მოსვრილი ჰქონდა სისხლით.

— ყოჩაღ, მუშტი-კრივი გამართე?

— მე რას მემართლები, აი, მიზეზი, — დინჯად დაიწყო ომარმა. — ჩამოეთრია თბილისიდან და გოგო უნდა მოიტაცოს.

— ვინ გოგო?

— თქვენ არ იცნობთ. ახალია. აქ ვენტილაციაზე მუშაობს.

თითქოს რაღაც ენიშნა გივის და მოუთმენლად ჰკითხა:

— ვინ გოგო, გვარი არა აქვს?

— დალი ჯერანაშვილია. ძმამ ჩამაბარა, ასეთი და ასეთი კაცუნა მოვა და დაიცავი ჩემი დაიაო. ახლა რა ექნა, გავატანო?

— მე იმის წასაყვანად არ მოვსულვარ! — ჩაიღმუილა ვერელმა.

— აბა რისთვის ჩამოხვედი, სანახავად? — ჩაეკითხა ომარი.

— ეგ არ არის შენი საქმე, — მიახალა ვერელმა, სახეზე ანჩხლი, მოძრავი ნაკვთები წამოეშალა, გესლიანმა ღიმილმა ტუჩები დაუღიჭა და წამონთებული თვალები თავხედურად დაუბრიალა გივის. მან გვიან იცნო გივი, სისხლი ყელში მოაწვა, მიიხედ-მოიხედა: მუშები თვალებით ჰამდნენ; მხრები ჩამოყარა, ჯიუტად მიტრიალდა. ჯერ ნელა მიდიოდა, კაცი იფიქრებდა, ძალღონეს იკრებს, საცაა მოტრიალდება, აქაურობას ნაცარტუტად აქცევსო. კარგა მანძილი ასე ჯიუტად რომ გაიარა, მერე მხარზემოთ გადმოხედა გივის, თავზე ხელი შემოირტყა და გაიქცა.

მაგრამ შორს არ წასულა. აკარმარაში სასადილომდე მიიტანა სული, მაგიდას მიუჯდა, ოფლში იყო გაღვარული, შეცივებულივით ცახცახებდა. არაყი მოითხოვა. ნახევარი ლიტრა ჭაჭა დაუდგეს წინ, ჭიქაში ჩაისხა და პირისაკენ გააქანა, მაგრამ ტუჩთან ვერ მიიტანა. მისმა სუნმა შესძრა, შეაკანკალა. რაც თავი ახსოვს, პირთან მიტანილ ჭიქას ყოველთვის გამოწრუპავდა ხოლმე, ახლა კი... ეს არაყი კი არა, თავისი თავიც ეზიზღებოდა. ომარმა კარს რომ მიახეთქა, მაშინ ცხვირი გადაეყვლიფა, მაგრამ სისხლი არ წამოსულა, უცებ გაუშრა სისხლი. ახლა სულიერად შეძრული იყო, თვითონაც არ იცოდა რა მეხი დაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინწინ, თბილისის სადგურზე, ბიჭები რომ აცილებდნენ, სუფრაზე სასმისს პირი ვერ დაეკარა. დალიე, დალიეო, წაქეზეს; მაგრამ ეს შავი გუბაება ღვინო, ძმაკაცების მოქარგული სიტყვები ყინულად ხვდებოდა მის გულსა და თვალს. არც სმა უნდოდა, არც ჭამა, არც გულის მოსაოხი სიტყვები.

— ბიჭებო, თავი დამანებეთ! — ძლივს ამოთქვა და ვარდივით ლამაზი სუფრა მიატოვა.

— სიყვარულს მაგრად დაურტყამს, მორჩა! — ჩაიქირქილეს ბიჭებმა. პურისჭამა ჩაშხამდათ. ერთი გაწევა კიდევაც გაიწიეს, ჩვენც წამოგყვებითო, მაგრამ ვერელი მაგრად დაუდგა, თქვენი მხარის გამაგრება არ მინდა, ჩემს ბედს მევე ვეწვევი.

დაიძრა მატარებელი. ვაგონის ფანჯრიდან ბიჭებს ცივად გადახედა. ზოგმა ჰაეროვანი კოცნა ესროლა, ზოგმა მოხატული ცხვირსახოცი დაუქნია, ზოგმა ტაში დაუკრა, მაგრამ არც ერთისთვის პასუხი არ გაუცია. ისევ და ისევ სულს უწუწდა ნუნუს დამრიგებლური სიტყვები: „სიყვარულს ძალა არ უყვარს, სიყვარულს გული უყვარს. გული მოუნახე დალის, გული“.

აი, ახლაც აკარმარის სასადილოში ეს სიტყვები სულს შხამით უვსებდა.

„გული სადა აქვს დალის, სად?“ — სხვას კი არა, თავის თავს ეკითხებოდა ბოღმამორეული ბიჭი. იმედმა მოიყვანა აქ, თავის ცხოვრებასავით შავსა და გამურულ მაღაროში; ფეხქვეშ ჩავუვარდები დალის და გულს მაჩვენებსო. მაგრამ... მაგრამ...

ჯერ ცალი თვალიდან გადმოუგორდა ადუღებული ცრემლი, მერე მეორედან, მაგრამ არ უცდია მისი დამალვა, ცხვირსახოცი ჯიბიდან არ ამოუღია.

ოფიციანტი ქალები, იქვე მახლობელ მაგიდასთან მუშტრის მოლოდინში უსაქმოდ რომ იჯდნენ, თვალს ადევნებდნენ თურმე ამ უცნაურ მამაკაცს. ვერელმა დააკაკუნა და ფული თეფშზე დაადო, გაოცებული ოფიციანტი მაშინვე ეახლა.

— უი, როგორ ტირიხართ, ვინ მოგიკვდათ?!

— თავი.

მიუგო და გავიდა.

ომარს სისხლი ჩამოებანა და ახლა სახეს ცხვირსახოცით იმშრალებდა.

— სირცხვილი შენი, მუშტის ოდენა ბიჭმა სისხლი გადინა, — უთხრა გივიმ და მხარზე ხელი დაჰკრა.

— ცარიელი თავი ჰქონია იმ ოჯახქორს, ბურთიევით იქნევდა! — იხუმრა ვიღაცამ.

ატყდა სიცილი. გივის არ გაუცინია. თავის მაღაროში მივიდა. კაბინეტი შუქით სავსე დაუხვდა.

გივი სულით და გულით თბილისისაკენ მიიწევდა. უნდოდა დალის კვალის მიკვლევა. ახლა თბილისში სახეტიალოდ საქმე არ უშვებდა. საქმის ღალატი არ უნდოდა. ამიტომ დევის ღონე და მონდომება გამოიჩინა, დღე და ღამე მაღაროში ტრიალებდა, ელექტრობურღების ბდღვინვა და ჩახაჩუნი სმენას უხარებდა. სამთო კომბაინი, როგორც იქნა, ტრესტიდან ხელში ჩაიგდო, თვითონ შეაკეთა და მაღაროში შეაგრიალა.

— აბა, ჩქარა, აბა, ჩქარა! — აქეზებდა ბიჭებს. და ბიჭებიც უტეევდნენ. მაგრამ მათთვისაც ხომ უნდა ეზრუნა: ამიტომ ბინების მშენებლობა დააჩქარა, საერთო საცხოვრებელი დამატებით მოაწყო, სასადილოს გამგე დაითხოვა, უფრო გამოცდილი და მონდომებული დანიშვნინა. გაზიანი წყლის ონკანი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობდა, ერთ კვირაში ყველაფერი შეაკეთა. მუშებს ცივი, შუშხუნა წყალი მიაწოდა.

მაგრამ ეს არ იყო მთავარი, ჩამორჩენის მიზეზებს უფრო ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული. გივიმ იცოდა: საქმეს მარტო მანქანები კი არა, ადამიანები წყვეტდნენ. ამიტომ თავიდან დაიწყო, თვითეული ცვლის უფროსის, ბრიგადირის და ინჟინრის საქმიანობა და შესაძლებლობა შეისწავლა; რაციონალიზატორული წინადადებები, რომლებიც წლობით მზის სინათლეს ელოდებოდნენ, გაანთავისუფლა, მოსაწონი მოიწონა, დასაწუნი დაიწუნა, პარტიულ კრებას დადგენილება ძიაღებინა, ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი გადაიყვან-გადმოიყვანა, ბევრი ადგილზე დატოვა, ბევრი გააფრთხილა და შეაჯანჯღარა.

ამ გაწამაწიაში მყოფს თავი ალარ ახსოვდა, მაგრამ წვიმაში შეხვედრილ ქალიშვილს მაინც ვერ ივიწყებდა.

ტყვარჩელში ხშირად წვიმს: ხან ნისლს მოჰყვება ზხაპუნა წვიმა, ხან მზე პირს იბანს, სხივების ოქროს ნიაღვარს წყლის წვეთები ალმაცერად ეცემა, სულის შემხუთველი სიცხე უცებ საამო სიგრილედ იქცევა. ასეთ დროს გივი დასველებას არ ერიდება, ჰგონია, აი, აგერ, აი, აგერ გამოჩნდება დალილი. წვიმა ყოველთვის იმედითა და სიხარულით ავსებს.

ხშირად მოგონების ბურუსში დალი ჯერანაშვილთან ერთად ვერელიც გამოჩნდება, გამოჩნდება და მაშინვე ეჭვის ცეცხლი შემოენთება გულზე.

იმ დღეს გივიმ გამოსავალი იპოვნა. დასთან თბილისში წერილი აფრინა: შენს გახარებას, ვერელის ეზოში მიდი, მეზობლებში მიიკითხ-მოიკითხე, გამიგე, დალი ჯერანაშვილსა და ვერელ სამსონს რა ურთიერთობა აქვთო.

დამ პასუხი არ დაუგვიანა. სამი ფურცელი ქაღალდი გადაშავებული გამოუგზავნა. აღწერდა სოფლისულიდან საბურთალომდე თავის მგზავრობას, აღწერდა ვერელის მეზობელ ქალებს, მათთან საუბარს. ყველას ერთი და იგივე უთქვამს: „დალი ჯერანაშვილს მხოლოდ სახელი და გვარით ვიცნობთ, მთვრალი ვერელი ხშირად გადმოდგება აივანზე და იძახის: დალი, დალი!.. ჩვენ დავფეთდებით ხოლმე, გვგონია მართლა მოიყვანა დალი, მაგრამ სად არის? ის დალოცვილი გოგო ახლოს არ იკარებს თურმე“.

— ყოჩაღ, ვენაცვალე! — წამოიძახა გივიმ, დალის სურათი უჯრიდან ამოიღო, მაგიდაზე დადო საწოლის პირდაპირ და შორიდან მიესიყვარულა.

დის წერილმა იმედიც მოუტანა: ნემსის ყუნწში გავძვრები და დალის ძიებამთან მაინც გაგიგებ და ვინახულებო. „ამას კი ნამდვილად მოახერხებს ჩემი მარჯვე დაია“. გულში თქვა გივიმ.

ნაშუადღამევს მესამე ცვლას რომ მაღაროში შეაგზავნის, დაღლილ-დაბეგვილი შინ მივა, ლოგინზე მეგდება და მაშინვე დალი გამოეცხადება.

— დალი, დალი! — მოუხმობს, ეძახის, ეძებს. და აი, დალი თვითონ მოფრინდა. ასე ზოაპარში ხდება ხოლმე.

კაბინეტში რა გაიჩერებდა. ისევ მეხუთე მაღაროს მიაშურა. სადისპეტჩეროში უთხრეს: მეორე ცვლაში მუშაობდა და ახლა შინ იქნებაო. გზაში ფრთხილობდა, ვერელი არსად შეხვედრია, დალის ოთახის კარზე დააკაკუნა. შიგნიდან ხმა არავინ გასცა, კარის ჭუჭრუტანაში შეიხედა, გასაღები შიგნიდან იყო. შინ არისო, გაეხარდა, ტუჩი კარს მიადო და ჩუმად თქვა:

— ნუ გეშინია, მე ვარ, გაიღე.

— შენ ვინა ხარ?

— გვარი და სახელი რომ გითხრა, მაინც ვერ მიცნობ. სჯობია გაიხსენო კომინტერნის ქუჩა, წვიმა, წიგნი.

ის ხმა. ის არის. ის...

დალიმ ოთახისა და გულის კარი ერთად გაუღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭიღაძე

ბავშვია სულ ქუდი

„იყო სამი ძმა. თქვეს ერთხელ ამ ძმებმა, მოდი გავიყარნეთო.

უფროსს ეერგო სახლები, მეორეს — მამული, მესამეს — ერთი ქუდი.

ეჩხუბება ამ ძმებს: ამ ქუდზე მოვხნა, დავთესო, ეჭამო თუ ესვაო! ეს რა ღვთის წყრომააო!

— რაც არი, არი, ეგ იყო შენი წილი, — უპასუხეს ძმებმა.

— კარგიო, კეთილად მოგახმაროთ თქვენი წილი და მე კი წავალო.

მიდის ერთ ტყიანში. დიდი ჯოხი უჭირავს ხელში. მაღალი ქუდი იყო. მოედო ხის ტოტებს, მოეხადა და ჩამოუვარდა. ეს ბიჭი ისედაც გაგულისებული, დანა კბილს არ უხსნის. აიღო და თავისი ჯოხი ერთი ორჯერ დაარტყა ამ ქუდს: შე ასეთო და ისეთო, თავზედაც არ ჩერდებიო!

უცებ გამოვარდა ამ ქუდიდან ორი უზარმაზარი დევი.

— რა გაგიჭირდა, რომ გამოგვრეკე ამ ქუდიდანაო.

— როგორ არ გამიჭირდა, მშია და მწყურია, ამაზე მეტი რა უნდა მჭირდესო!

დატრიალდნენ ეს დევები, გაუშალეს სუფრა, აჭამეს და მერე ქუდში შეძვრნენ ისევ ისე. თურმე, რამდენი ბეწვიც არის იმ ქუდში — იმდენი დევია შიგ. რამდენჯერაც დაარტყამს ჯოხსა, იმდენი დევი გამოვარდება“.

(ქართული ზღაპარი)

შე ჯადოსნური ქუდი მახურავს,
ჩემი ერთგული დევებით სავსე.
მხოლოდ იმიტომ, რომ
ამდენი დევი დავისვი თავზე.

მე სულ
ბავშვია
ქუდი

და ერთი უნდა ავდგე და ვცადო,
მეც უნდა ვცადო ამ ქვეყნად ბედი.
და, რასაც ვნახავ, კვლავ გზაზე დავდგებ,
სხვა არაფერი არ მინდა მეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე სხვანაირი ვიყავი ადრე,
სულ სხვანაირად ბრწყინავდა მთვარეც
და უფრო ხშირად ვცხოვრობდი
ხათრით,
ჩემი სურვილის და სულის გარეთ.

და მე შემეძლო, ვიღაცის გამო
დამეთმო ფიქრი — ვიღაცის თხოვნით.
მერე კი ვწუხდი და მთელი ღამე
დოლების ხმაზე დნებოდა თოვლი.

ასე მოქმედებს ჩემზე ამინდი,
მე ვმალავ, მაგრამ ჯერ კიდევ ვღელავ,
ჯერ კიდევ მტკივა, მაგრამ არ მინდა,
რომ თანაგრძნობით შემხედოს ყველამ.

ქუდი, რომელიც ბედმა მარგუნა,
მე დამიფარავს მტრისგან ყოველთვის,
სანამ სიკვდილი მომიკაკუნებს
და ყურში ჩუმად მეტყვის: მოვედი!

მაგრამ იქამდე ჩემს ერთგულ დევებს
ექნებათ ჩემი რწმენა და რიდი
და მათს თვალებშიც სინათლედ შევა,
მე რასაც მხოლოდ სინათლედ ვთვლიდი.

მე ვივლი ქვეყნად და ხიფათები
გამიმდიდრებენ სულს და გონებას:
ზოგჯერ ვარსკვლავი დაიბადება,
ზოგჯერ ვარსკვლავიც შეიბოლება.

მე უკვე ვიგრძენ სიცოცხლის მადლი
და უკვე ვიცი, რას ნიშნავს ფიცი,
და ისიც ვიცი, რომ დროზე ადრე
არა აქვს ფასი არც ცრემლს, არც
სიცილს.

და სულში იბრძვის ახალი სიმი,
წვიმით გაყღენილი ტოტივით მძიმე,
და მე ვიზოგავ შენს ფერმკრთალ
ღიმილს,
ვით ბოლო სანთელს და ბოლო იმედს.

და იქნებ მითხრა, რაში აქვს სულელობა
რაში აქვს ეშმაკს სული და ღონე.
მე გაურკვეველ სიზმრებში ვცურავ
და შეუმჩნევლად ვნებდები მორევს.

მაგრამ მე მახსოვს, სად შეწყდა კვალი
და სად ვიწამე ბუნების ძალა
და ნუ მთხოვ ძმობას, მე მინდა ქალი,
ჩემი ნეკნები, ქცეული ქალად.

მე შენს მისამართს ვეძებდი დღემდე,
ხახაგამშრალი მტვრით და დუმილით
და, აი, ახლა ყველაფრის შემდეგ
მიბზუის თავი, როგორც ყურმილი.

გესმის! — მოვიდა განკითხვის ჟამი
და მოიშორე ზედმეტი ტვირთი.
შენ უკვე სხვა ხარ, რადგან ეს ღამე
ჩვეულებრივი ღამეა სხვისთვის.

მე ასე მსურდა, თუმცა მახსოვდა,
რომ ყველაფერი მთავრდება უცებ.
და გაჩაღებულ სახაბაზოდან
ჰურის სურნელი აძღებდა ქუჩებს.

და ქვებზე იწვა სინათლის ზოლი
და მე მაშინვე მითხრა მდინარემ:
თუ არ აიღებ, ინანებ ბოლოს
და თუ აიღებ, მაინც ინანებ.

მე კი ავიღე. და იმის მერე
ხანჯლის პირივით ბასრი ჩრდილები
აფათურებდნენ ჩემს სულში ხელებს,
როგორც მთვრალები ან დაჭრილები.

და განუწყვეტელ ცახცახად ქცეულს
და ჩემს დაბნეულ ფიქრში ჩაკეტილს
ვიზეპირებდი შენს ლამაზ სხეულს,
როგორც მოწაფე პირველ გაკვეთილს.

მაგრამ დღეები სადღაც გარბოდნენ
და სიჩქარეში სხვები დალოცეს
და, როგორც მთვარის თეთრი ნაფოტი,
მე შენი სული მედო თაროზე,

როგორც ყველაზე ძლიერი ხატი,
ანდა ქვეყანა, რომელსაც შევრჩი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მე შემეძლო მეხილა ცხადად,
რაც იგულისხმა ბუნებამ შეწში.

ბნელში სადგურის საათი ეოლავს
და სემაფორი თავისთვის ღვივის.
მე ვმალავ, მაგრამ ჯერ კიდევ ვდელავ,
მე მტკივა, მაგრამ ვეჩვევი ტკივილს.

ზედიზედ ქრება ფანჯრებში შუქი,
ფანჯრები ასე ხუჭავენ თვალებს
და თუ აქ სადმე არ არის უკვე,
ეშმაკიც უნდა გამოჩნდეს მალე,

რომ შეგვიცვალოს ხმები და გზები
და სულშიც ღამე დამკვიდრდეს ბნელი.
მე კი ასაკიც არ მაძლევს ნებას,
რომ განზრახულზე ავიღო ხელი.

მატარებელი კივილით მიქრის
ცნობისმოყვარე ყურებით სავსე
და ერთმანეთში არეულ ფიქრებს
ძალით გვაჩეჩებს და გვახვევს თავზე.

კუთხეში ყვინთავს ბებერი ქალი
და თვალებს მხოლოდ ხანდახან ახელს,
როგორც ძველ სკივრებს... და ვგრძნობ,
რომ მალე
მე თვითონ ვეტყვი ჩემს გვარს და
სახელს.

მე თვითონ ვეტყვი და დამჭკნარ ხელებს
მივანდობ ჩემი მგზავრობის ბიზეზს
და მოეგება ღიმილი ნელა
ბებერ გონებას, ქარივით ფხიზელს.

— დედაშვილობას, მიშოვე წყალი,
სამგზეიროდ გასწავლი რამეს. —
და ცოდვასავით ბნელი და მხდალი
ბორბლებს ღრიალით გაურბის ღამე.

მე მომაქვს წყალი და ვცდილობ
სწორედ
მეშეიროს ჭიქა მღვრიე და ცივი.
მე მართლა ვცდილობ და თითებს შორის
ვგრძნობ გაურკვეველ და ახალ
ტკივილს.

მთებზე დახტიან მუქი ლანდები
და ბრწყინავს მთვარე, მარად მდუმარე.
— როცა გიცდიან, ნუ აჩქარდები
და როცა ეძებ, სხვებს დაუმალე. —

ამბობს ბებერი და ბებერს არ ჰგავს,
და კალთით არწევს მთვარის წიწილებს,
და ეჭვი როგორც ახალი ლაქა,
მეხამუშება და ვერ ვიძინებ.

და უცებ სარკმელს აწყდება რიყე,
და უსასრულოდ ხარხარებს ხიდი
და, რა თქმა უნდა, ეშმაკი იყო,
მე რომ უმწეო მოხუცად ვთვლიდი.

მე გამეღვიძა ძალიან ადრე,
მტკიოდა თავი, მიხურდა სახე
და აღბათ მხოლოდ ასაკის ხათრით
ვიკითხე, მაგრამ ვეღარსად ვნახე.

ხოლო ჩამტვრეულ ფანჯრიდან ქარი
ეზიდებოდა ტყეებს და ღრუბლებს
და კეთილ ნოეს კიდობნის დარად
ყველაფერს მშვიდად იტევდა კუბე.

გესმის! — თუ გესმის! — დაუდგა ხანი
და სიბნელიდან გამოდის ბავშვი
და კოშკებივით ამაყად დგანან
შენი მაღალი ფეხები ქარში.

და შენს გარშემო სავსეა ქუჩა
შენი გინებით და შენი ქებით
და ზოგი თვალებს იმიტომ ხუჭავს,
რომ ბნელში უკეთ განსჭვრიტოს გზები.

და ქუდში ბორგავს ჩემი ლაშქარი
და ჭრაჭუნობენ მძიმე ლახტები,
მათ შეუძლიათ მთები წაშალონ
თუ, რა თქმა უნდა, მე დავთანხმდები.

მე კი არასდროს არ მივცემ ნებას,
არ გამოვუშვებ არასდროს გარეთ,
ამ მთების ჩრდილი ჩემს გულზე წვება,
ყოველთვის, როცა ამოდის მთვარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან იქნებ მე ვარ ასე მშიშარა,
იქნებ მე მადევს სულზე ურდული,
და თან ვშრიალებ, როგორც ნიჟარა,
ვამოფიტული და გაქურდული.

და ვცხოვრობ, როგორც ერთგული
წვერი
ბრმათა და ყრუთა მშვიდი არტელის,
და სულ მგონია, რომ სხვებზე ბევრი
მაქვს საფიქრელიც და სადარდელიც.

დე იყოს ასე, მაგრამ მე ვიცი
უეცრად გამქრალ სიცოცხლის ფასი.
მე შევიკარი ხელები ფიცით
და სინანულით შევცვალე ბრაზი.

მე მეგობარი მომიკვდა წუხელ,
ასე ჩიტები კვდებიან მხოლოდ,
როდესაც ვეღარ უძლებენ წუხილს
და ნებდებიან ბოლოს და ბოლოს.

მე დილით მზეზე გავფინე გვამი
და მოვრთე ნუშის ნედლი ტოტებით
და გავუმხილე, რომ ყოველ ღამე
მიყვარხარ ძლიერ და გელოდები.

გზაში გაეხსნათ ტოტებს კვირტები
და უცებ ვიგრძენ ყვავილის სითბო,
და კვლავ წამომცდა ღმერთის დიდება—
მეგონა გვამი ჰყვაოდა თვითონ.

მე მივდიოდი ზევით, სულ ზევით
და სამარისთვის ადგილს ვარჩევდი.
მძიმე ლოდები მოჰქონდათ დევებს
და ქვითინებდნენ, როგორც ბავშვები.

და, როცა უკვე ვხუარავდით ბუდეს,
პირველად მაშინ მომინდა უცებ,
რომ ატირებულ დევების გუნდით
მოვჩვენებოდი ქალაქის ქუჩებს.

ქალაქი იწვა მდინარის პირას
გაქვავებული და დაბურული.
მზეზე ბრწყინავდა მინა და კირი
და ქარს მიჰქონდა თვის ბულულ ›.

მხოლოდ ქალაქის მძიმე კარებთან
თვლიდა გუშაგი ჩაჩქანის ჩრდილში
და გზად არავინ არ ჰაჰანებდა,
ალბათ მთვლემარე გუშაგის შიშით.

მე ვუყურებდი გუშაგის სახეს
და გაქვავებულ ქალაქის კედელს
და კედლის იქით გამოჩნდა ბაღი,
როგორც სინათლე წყვდიადის შემდეგ.

ის უცხო ბაღი გუგებს მიპობდა,
მწვანე ცულებით მიპობდა გუგებს,
ზოგან ჰყვაოდა, ზოგან მწიფობდა,
ზოგან ფოთლები ცვიოდა უკვე.

და ქარმა მითხრა, რომ ფოთლებს შორის
ჩემთვის მალავენ შანთებს და ღვედებს,
რომ ერთი თავი აკლია სწორედ
ქალაქის მაღალ და მაგარ კედელს.

და შენი მშვიდი შუქის მძებნელი
ვზომავდი მანძილს კედლიდან ცამდე
და ცარიელი მატარებელი
მატარებლების ფიტულებს ჰგვანდნენ.

და კვლავ ხმაური მოსწყურდათ ყურებს,
დიდი ხმაური დიდი ცოდვების,
და, როგორც ჩემი მეგობრის სული,
გადავაყარე ქალაქს ტოტები.

გადავაყარე ტოტები ნუშის,
როგორც ნახშირი ჩაფერფლილ ღუმელს,
და, რასაც ჩემთვის ვფიქრობდი გულში,
ყველას მაგვრად ვფიქრობდი თურმე.

და ამოძრავდა ქალაქი ისევ,
გამოჩნდა ბოლიც, სისხლივით თბილი.
ქალაქელები ისრესდნენ კისრებს
ლაბნეულები ხანგრძლივი ძილით.

და დამტვერილი ჭადრების მწკრივი
თანაბრად იდგა ყველა კარებთან
და განცდილ თრობას, თრთოლვას და
ტკივილს
გვინაწილებდა და გვაძალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მივდიოდი და აღტაცებით
ვუთვალთვალებდი ჭადრების ალერსს,
ვით ნათელ ცირკში ჯარისკაცები
ნახევრადშიშველ და მოქნილ ქალებს.

რეკავდა, სადღაც რეკავდა ზარი
და წრიალებდნენ ქუდში დევები
და ავტობუსის მოთენთილ მგზავრებს
მუხლებზე ეწყოთ მზის ნამტვრევები.

მე ავარჩიე პატარა სახლი,
წვიმით გარეცხილ ფერდობზე მდგარი,
ყველა დანარჩენ სახლებზე მაღლა,
გარემოცული მზითა და ქარით.

რაფაზე იწვნენ მშვიდი ჩრდილები
და მთელ სარკმელში ჰყვაოდა ნუში
და უცებ ვიგრძენ, რომ ტკივილებით
განთავისუფლდა რაღაცა სულში.

ეს იყო ლექსი და ლექსის ჩრდილში
ერთად მღეროდა ნდობაც და ეშვიც
და მე ის ხელში ავიღე შიშით,
როგორც ველურმა ბრჭყვიალა კენჭი.

მას ჰქონდა შენი უბრალო სახე,
მე კი ვაქებდი და ვაღვივებდი,
რომ გამეყოდა და საყდრის გლახებს
არ დაჰკარგოდათ ღმერთის იმედი.

გარეთ თანდათან იზრდება ქარი
და გაცრეცილი ჭადრები თითქოს
უცებ კარგავენ შნოსა და მარილს
და საქორწილო საწოლის სითბოს.

მაგრამ დევები იქნევენ კეტებს,
მათ მოსწონთ ქარის თამამი მარში
მათ მოსწონთ ქარი და უფრო მეტად
მოსწონთ ქალების ყურება ქარში.

მე არ ვუწყრები ჩემს სულელ დევებს,
ქუდში დევობას გადაჩვეულებს,
როდესაც ფარდებს ცახცახით ხევენ
და უკვიან ლამაზ სხეულებს.

მე არ ვეძებდი დევების ძალას
და სულ შემოხვევით გავხდი პატრონიც
ჯადოსნურ ქუდის, რომელსაც ვმალავ
და ისევ ვნატრობ, რასაც ვნატრობდი.

მე კი ვნატრობდი, რომ სანატრელი
არ ამხდენოდა სხვისი წყალობით,
მყოფნიდა ჩემი სუსტი სანთელიც
და მარტო შენთან მოსცლას ვჩქარობდი.

და ღმერთმა იცის, ხვალ სად ვიქნები,
ან რომელ ჩრდილებს მივეტმასნები.
თუ გამითავდა შენზე ფიქრები,
როგორც გადამწყვეტ წუთში ვაზნები,

რას მიშველიან მაშინ დევები,
რის მაქნისია მათი ეშვები,
თუ ყელზე საბელს თვითონ შევიბავ
და მოვდუნდები და მოვეშვები.

რადგან ეს ქუდიც, ყველაფრის შემძლე,
შენ დამახურე იმედათ თავზე
და მიხარია, რომ ისევ გეძებ
შენი სინათლით და სიცხით სავსე.

ყელამდე სავსე შენდამი ზრუნვით,
როგორც ზღვა თევზით და ტყე
ფრინველით
და მიხარია, რომ ისევ ბრუნავს
ქვეყანა დიდი და საკვირველი.

ქუჩებში ვეღარ ეტევა ქარი
და ხარაჩოსთან ფუსფუსებს კაცი,
რომ არ მოუსწროს ავდარმა გარეთ
მისი სხეულის და სულის ნაწილს.

და უცებ ვიგრძენ, როგორ გამიშვეს,
თითქოს აქამდე მიჭერდნენ ძალით
და, როგორც ხელი ნაცნობ კლავიშებს,
შენს ნაფეხურებს გამოჰყვა თვალი.

გესმის! უშენოდ ჩემი ხელები
ჰგვანან უნავოდ დარჩენილ ნიჩბებს
და ყოველ წუთში ზღვა მეჩვენება,
მაგრამ ვეჩვევი და აღარ ვიმჩნევ.

მე ზღვის ხმაური მახშობდა ძილშიც
და ვუსხლტებოდი საზარელ თევზებს
და, როგორც იქნა, დავძლიე შიში
და კვლავ ამტკივდა ფიქრები შენზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მთელი ღამე ზღვაში ვცურავდი,
დაბრმავებული აფოფრილ ქაფით
და დიდი თევზი ფრთას მახურავდა,
რომ აკცდენოდი გზასა და ნაპირს.

მაგრამ მოვარდა მიწიდან ქარი
და შეტრიალდა თევზიც მაშინვე
და განახლებულ სიმღერის დარად
გავყევი მინდვრებს, მზეში გაშლილებს.

გესმის, გამოჩნდი! მე იმდენს ვფიქრობ,
რომ შემიძლია შეგეხო კიდეც,
მაგრამ ყოველთვის თითქმის და
თითქოს —
და მერე დიდხანს ვამშვიდებ თითებს.

შრიალებს შენი თამამი კაბა,
როგორც სინათლის და ცის მარაგი
და ქალაქს დაღლილ გემივით აბამს,
რომ არ დაიმსხვრეს ქვებზე ქალაქი.

ის მოლოდინით ავსებს აივნებს
და ყველაფერზე მღერის ჩიტივით...
მაგრამ ღამდება და კვლავ ყაიმით
მთავრდება დღის და ღამის ჭიდილი.

მხოლოდ ქალაქის გაშლილ დაფაზე
თამაშს შავები იწყებენ ისევ
და პურის სუნით მთვრალი ხაბაზი
იმშრალებს ოფლით გახვითქულ კისერს.

შენ უკვე წვეხარ, ან ახლა წვები,
სინათლეს აქრობ და ბნელში იხდი,
მაინც ვერ უნდა შენიშნონ სხვებმა,
რაც მე შევნიშნე შენში და მიგხედი.

და უსასრულოდ იღერება მთვარე
შენს გაშლილ თმებში და შიშველ
მხრებზე,
და დაეშვებულ მიჯნურის დარად
ოთახში კაცის ნაკვალევს ეძებს.

და კიდევ ერთი ვარსკვლავი ჩნდება,
როცა ცახცახით გეხვევა მთვარე
და, როგორც შენი უმცროსი დები,
ნუშის ხეები ფხიზლობენ გარეთ.

მე კი მარტო ვარ, ძალიან მარტო
და თავთან მიდგას წყალი და წიგნი,
და უცებ ვამჩნევ, რომ აღარ მართობს
კაცი, მცხოვრები ამ წიგნის შიგნით.

თუმცა მე ჩემი გზისა და ბედის
ერთგული ქმარი ვიყავი მუდამ,
მე ჯერ ვცხოვრობდი და მერე ვწერდი,
როგორც ცხოვრობდი — კარგად თუ
ცუდად.

სადღაც კივიან მატარებლები
და აფხიზლებენ ჩათვლემილ ქალაქს
და შენი მშვიდი შუქის მძებნელი
გამშვიდებ ფიქრებს და ვიკრებ ძალას.

ქალაქზე წვება სადგურის ბოლი,
მაგრამ მინები მაინც ბრწყინავენ
და დასიზმრებულ ვარსკვლავებს შორის
სძინავთ ჩემს დევებს, როგორც
მფრინავებს.

როგორც მფრინავებს, რომლებიც ციდან
უცქერდნენ მიწას ცოტა ხნის წინათ
და ახლა სძინავთ, მშვიდებს და დიდებს,
ვარსკვლავებს შორის წვანან და
სძინავთ.

ისინი დიდხანს დაჭოდნენ ცაში
და ვარსკვლავებზე აჭქონდათ მიწა,
მაგრამ მათ ლტოლვას, თამამს და
საშიშს,
შენი კეთილი სინათლე იცავს.

შენ იცავ, რადგან შენც კარგად იცი,
რომ ეს გონების ბრალია მხოლოდ,
ხოლო სხეული სავსეა მიწით
და კვლავ მიწიერ ცხოვრებით
ცხოვრობს.

და სანამ ქვეყნად არსებობს კიდევ
თეთრი და შავი, ტკბილი და მწარე,
სუსტი და მძლავრი, მცირე და დიდი,
არსებობს მზე და არსებობს მთვარე —

მეც ვიარსებებ და მგზავრის დარად
უცებ გაჩენილ ფიქრებს ავყევი,
ჩემი შემყურე დევების ჯარიც
იცხოვრებს მშვიდი ცით და ზარახვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემში იქნება დევების ძალა,
სანამ მიყვარხარ და მეყვარები,
სანამ გრძელდება და ფეთქავს კვალი
და სასწაულად გთვლიან თვალები.

ცახცახებს მთვარე და ერთი შეკვრა
მთვარის ნაწნავი აყრია ქუჩებს
და პოეტების მოწყენილ ძგლებს
ძგლების ბედი ბეზრდებათ უცებ.

ისინი დგანან, დგანან და სჯერათ,
რომ უნდა იდგნენ ყოველთვის ასე,
და ვარსკვლავებით შეკრული ჭერი
მთელი სიმძიმით აწვებათ თავზე.

ისინი დგანან, რომ ნახონ სხვებმაც
ჯიუტი სახე ტანჯვის და მსხვერპლის,
და დაიჯერონ, რომ მათი ვნება
ისევ ცეცხლია და არა ფერფლი.

ძვირფასო! სიტყვას აქვს თავის ფასი,
ზომა და წონა, სუნი და ფერი
და ისიც, ყველა ჩვენგანის მსგავსად,
იცინის, ტირის, ოცნებობს, მღერის.

მე ჩემი სიტყვა რწმენას მავალებს
და მაჯილდოებს ყველა უფლებით
და, აი, უკვე ყივის შამალიც
და იღვიძებენ გარეუბნები.

და იბრუნებენ ქუჩები ისევ
სიცოცხლით სავსე ადამიანებს,
მაგრამ მეც მთვლიან სიცოცხლის
ღირსად
გზები, რომლებიც ვერ გავიარე.

და იქნებ სჯობდეს, რომ უსასრულოდ
და ზღაპრად ქცეულ ოცნების მსგავსად
გაგრძელდეს შენი ნათელი სული
და იყოს ასე: ყველგან და არსად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

*

მოულოდნელი თოვლივით ფრთხილად,
ნაგვიანევი ჭაღარის მსგავსად,
თანდათან,
როგორც ღვინო და ძილი,
როგორც პორტიდან ხომალდის
გასვლა, —
დაეუფლება საღამო ქალაქს,
გადაიქცევა ქუჩა ფანჯრებად,
მოგვეპარება თანდათან ქალი
და სამუდამოდ გულში ჩარჩება...
მერე მივდიგართ ნაცნობ ჭადართან,
ხანდახან ცოტას დავაგვიანებთ
და შეუმჩნევლად,
ნელა,
თანდათან
ვკარგავთ საყვარელ ადამიანებს...
ჩვენ არ ვიცით თუ არ გვსურს
ვიცოდეთ —
საით გვეწევა ბედის ქამანდა,
რადგან ჩვენ ვიცით:
თვითონ სიცოცხლეც
სიკვდილი არის, მხოლოდ—თანდათან...
ზოგჯერ ყელამდე ლხენით აგვავსებს,
ზოგჯერ ღარიბის საგზალს გაგვატანს,
მაინც ტკბილი და მაინც ლამაზი —
ფეხისწვერებზე მიდის თანდათან.

*

აიშლებიან,
როგორც მერცხლები,
აიჭრებიან ლაჟვარდში გზნებით,
გაიხსენებენ და დაეძებენ
ერთიმეორეს ნაცნობი ხმები.
ზოგჯერ მიზეზი არ არის შიში,
ზოგჯერ შიშია მიზეზი ღელვის,
არის სიმართლე — ვერც ეტყვი პირში
და მითუმეტეს — ვერ ანდობ წერილს.
წამოგეწევა სურვილის ტალღა,
გაგიტაცებენ იქვის ჯარები,
არის სიმართლე,
რომელსაც ახლა
და მხოლოდ ახლა დაგიჯერებენ.
ზოგჯერ წყურვილზე არანაკლებად
აგიხირდება სიტყვა ფრთიანი,
ანდა — უბრალოდ მოგენატრება
ხმა საყვარელი ადამიანის.
და, როცა გული ხმას ჩაიკმიდავს,
ტელეფონები რეკენ მალ-მალე,
როგორც... ფარდები,
რომლის იქითაც
ღიმილს მალავენ,
ცრემლსაც მალავენ.
და, რადგან სიტყვა ამაოდ მალავს,
რასაც დამალვა არა სჭირდება,
შუაღამემდე არ სძინავს ქალაქს —
ტელეფონებზე ჩამოკიდებულს.
შუაღამემდე არ სძინავთ,
თუკი
საუბრის მშვიდი ჩერო მონახეს,
შუაღამემდე უნთიათ შუქი
ნაცნობი ხმებით სავსე ოთახებს.
ხოლო ნათქვამი ნაგვიანევი
სულს აიმედებს სულ სხვა ცხოვრებით,
და წკრიალებენ,
კვლავ წკრიალებენ
ამბოხებული ტელეფონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

ბევრია,
მაგრამ დედამიწაზე
ისე არა ჩანს ძვირფასი კაცი, —
როგორც არა ჩანს ტილო ძვირფასი,
თუ არ იპოვნი საჭირო მანძილს.
თუ არ იპოვნი საჭირო მანძილს,
თუ არ იპოვნი საჭირო წერტილს,
ქვეყნად ყველაზე ძვირფასი კაცი
შეუცნობელი დარჩება შენთვის.

ჩვენ კი ცხოვრება,
მკაცრი ზვირთივით,
ხელიდან გვტაცებს სურვილის ღუზებს,
ზოგჯერ ძალიან ახლოს მივდივართ,
ზოგჯერ ძალიან შორიდან ვუმზერთ,
ველტვით ოცნებებს ათასნაირებს,
მაგრამ ოცნებაც მკაცრი ზვირთია.
...მატარებლიდან
როგორ გაიგებ:
შენ მიდიხარ თუ სხვები მიდიან?!

*

მზით და ღიმილით სავსე ქუჩაში
ბავშვებმა ნახეს მკვდარი ბეღურა...
მოულოდნელად
დიდი ნუგეშის
ზეცას ღრუბელი გადაეხურა.
ბავშვებმა მკვდარი ბეღურა ნახეს
მზით და ღიმილით სავსე ამინდში,
და დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს
ჭირისუფლების მძიმე ნაბიჯით.
უკვირდათ ბავშვებს:
ვახშმობის შემდეგ
ენამრავლობდნენ დედები მაინც,
ხოლო მამები უსმენდნენ დედებს
და მიირთმევდნენ გულგრილად ჩაის.

*

მხოლოდ თვალები გრძნობენ
ერთმანეთს,
მხოლოდ თვალები... გულები სდუმან.
თვალები შორს და კარგად ხედავენ,
სანამ გულები არიან ჩუმად.
ჩემი თვალების პატარა სარკმელს
შენ აიფარე თითები მოგრძო...
შეთქმულებივით მალავენ სახეს
ქალიშვილები,
რომლებიც მომწონს.
უკვე წაიღო ღრუბლების მიღმა
შენი ზღვისფერი თვალების ტალღამ
ამხანაგები,
რომლებიც მიყვარს,
და შეჩვეული ნივთები სახლის.
შენი და შენი თვალების გარდა,
არ დამრჩენია ვინმე და რამე...
ნელა ეშვება მაღალი ფარდა,
რომლის იქითაც იქნება ღამე.
გამათამამებს სათქმელი მწიფე,
ყველაფერს გეტყვი დუმილის ენით;
სხვა თვალებს,
როგორც წაკითხულ წიგნებს,
დამავიწყებენ თვალები შენი.
შენ შემომავლებ უჭიშკრო ღობეს,
არ დამიტოვებ პატარა სარკმელს...
ამას ჯერ მხოლოდ თვალები გრძნობენ,
ჯერ არ მისულა გულამდე სქმე.
სხვები მიდიან ღრუბლების ზევით,
იკარგებიან ტალღების იქით,
და მე თანდათან ვივსები შენით,
როგორც ფსკერამდე დაცლილი ჭიქით.

*

სახურავებზე ხმაურობს წვიმა:
თითქოს ბავშვები გაყარეს გარეთ
და უსუსური ხელებით მძიმედ
უკაკუნებენ დაკეტილ კარებს...
ქუჩის ნიავქარს გული მოეცა,
აიყოლიებს ფოთლებს უვიცებს.
სარკმელს მიხურავს კაცი,
რომელსაც
წვიმა შორეულ წყლულებს უღვიძებს.
ისევ მიხურულ სარკმელთან მივა,
ნაფიქრალს ხელის ჩაქნევით წაშლის...
სახურავებზე იძინებს წვიმა:
ალბათ ბავშვები შეუშვეს სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲦᲘᲐᲜᲐ ᲡᲮᲣᲠᲪᲣᲐ

ᲘᲪᲘᲜᲘᲐᲜ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ...

მე ისე მიყვარს, როცა ბავშვები
შუაქუჩაზე ხატავენ კაცებს
და იცინიან მათი კაცები
და მანქანების არ ეშინათ.
და არის ქვეყნად ასეთი კაცი,
იქნება ყალბიც, იქნებ პატარაც,
მე მას ქუჩაზე დავხატავ ცარცით,
დიდი სახლების გვერდით დავხატავ.
და ის გახდება მაღალი კაცი
და ის იქნება უფრო ნამდვილი —
ორი წერტილი თვალების ნაცვლად
და ყურებამდე გაჭრილი პირი.
ასე უგრძვნიათ სიცილი ბავშვებს,
რადგან ამ ბავშვებს ბევრი რამ სჯერათ,
ისინი მახინჯ კაცებს ხატავენ
და ქვეშ აწერენ ლამაზ სახელებს..
და დახატული ქუჩაზე ცარცით
კაცების უკან დგას სინამდვილე —
ორი წერტილი თვალების ნაცვლად
და ყურებამდე გაჭრილი პირი.

*

მე ხომ ვიცოდი, რომ მაინც წავალ,
და არაფერი მე არ მინდოდა,
მაგრამ შენ გეცვა რაღაცა მწვანე
და მე, ქალაქელს, გამახსენდა დიდი
მინდვრები...
და მერე მაინც სხვასთან წავედი
და უკვე მინდვრებს ღარ დავეძებ.
ალბათ, გაცვია რუხი ან შავი
და დამეკარგე მაღალ კაცებში.
მაგრამ მე ვიცი, ახლაც, ამ წუთში
შენ ხარ და გიყვარს ფერი ბალახის
და მზე, რომელიც ადრე ამწიფებს
პურსაც და ხალხსაც.
და შენში არის რაღაც ლამაზი,
ისეთი დიდი,
რომ მომინდება ზღვასთან მივიდე
და მთელს სხეულზე დავიხატო მწვანე
ხეები...
და სულერთია, დაგინახავ თუ არა ეხლა,
ან შენ გინდივარ თუ არ გინდივარ.
ვე მიხარია, რომ ხარ ამ ქვეყნად
და რომ არიან დიდი მინდვრები.

*

ჩვენ ბავშვობიდან გვიყვარს სიტყვები:
ბალახი, თოვლი და თეთრი მთვარე,
მერე ქალაქში გავალთ და ვხვდებით,
რომ რაღაც სხვაა უფრო მთავარი.
მაშინ ზღაპრებთან და თოჯინებთან
ჩვენი ბავშვობის მსჯავრის წინაშე
ჩვენ ვტოვებთ ლამაზ პატარა
ღმერთებს —
არნახულ ბალახს და შუშის წვიმას...
და ცხოვრებაში მერე მოვდივართ,
მოგვაქვს მწვანე და ფეხი გვერევა
და ჩვენში ჩნდება ქალაქის გრძნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვამლის სუნით და მკვეთრი ფერებით.
უკვე სხვაგვარად ვუყურებთ კაცებს
და მოგვწონს მათი ძლიერი სახე
და სადღაც რჩება ისეთი განცდა,
სიზმარში ზღვას რომ პირველად ნახავ...
და უკვე გვესმის, რომ ომებიდან
ყველამ თავისი ტკივილი იცის:
მოჭრილი ფეხი, სახლის კედლები
ან ჯორფლიანი პატარა ბიჭი.
ის, როგორც ყველა ბიჭი ამქვეყნად,
დაიქცებს კენჭებს და ფერად შუშებს
ღა დილის მზეზე ისეთი თბილი
და ვარდისფერი ყურები უჩანს...
და ამ სითბოსი კაცებს სჯეროდათ,
ის იყო ომზე უფრო ნამდვილი
და წვიმებისგან დამპალი ჯვრები
ჰგავდნენ ხეების მკვდრეთით აღდგენას.
მერე კაცები დაბრუნდნენ სახლში
და ფანჯრების წინ დარგეს ხეები,
იმ საფლავებში ყველა ღამაზი
და დაკარგული სიტყვის სახსოვრად.
მათ აამენეს დიდი ქარხნები
და თბილ სახლებში ისწავლეს ძილი,
ტიხის ქილებზე დაწვნენ ხაზები —
წითელი, შავი და დატეხილი.
მათ სულში იყო დიდი მხატვარი,
მათ სულში იყო დიდი სურვილი.
ასე მოვიდა დღემდე სამყარო
ხალხის ფიქრით და ხალხის სურვილით.
ჯერ იეღოვას პირველ ნაშიერს
ჰქონდა სურვილი ქალის და მიწის,
ამ სურვილისგან გაჩნდნენ ბავშვები,
გაჩნდნენ ხეები და ყვავილები.
მერე ბავშვებმა დაკარგეს სადღაც
ვარდისფერი და თბილი ბუნება.
მათი ყურები ნიკარებს ჰგავდა,
რომლებშიც დიდი ზღვა გუგუნებდა.
ისინი გემით გავიდნენ ზღვაში
და სხეულები მზეს დაულოცეს.
მზე ნიკარებს და თვალებს აშრობდა,
ისიც ზღვას ჰგავდა და აოცებდა,
და მოინდომეს მათ მზის ვამოცდა
და თეთრი ფრთებით ავიდნენ ცაზე,
მზე იყო დიდი და აოცებდა,
მერე დახოცა კაცები ამ მზემ.
ჩვენ ეს ზღაპრები ვიცით და გვიყვარს,
მაგრამ ჩვენ ვდგავართ ზღაპრებზე
მაღლა.
და ჩვენ გვაქვს ჩვენი დიდი სიმართლე
ზღვების, კაცების და მზის შესახებ...
და გუშინდელი აზრები თითქოს
ჰგვანან შარშანდელ და ყვითელ ნეშოს.
ჩვენ ვშლით ატომებს და ვიღებთ
სითბოს
და მაღალ სახლებს ვუდგამთ
ძარღვებში.
როგორც შვილი და როგორც ბალახი,
ჩვენ გვიყვარს მწვანე, ქვაზეც რომ
ჩნდება
და როცა თოვლში მუხლამდე
ვდგავართ,
ხელში გვიჭირავს ფიქვის ტოტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲩᲐᲓᲣᲜᲔᲚᲘ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲠᲘ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲔ

ფაბრიკის ეზო დაესუფთავებინათ. ფაბრიკის გვერდით გაშენებული სკვერი მოერწყათ და სასიამოვნო სიგრილე ტრიალებდა. ბავშვიანი ქალი სბავშვო ბაღისაკენ მიიჩქაროდა. გურამმა იცნო ფაბრიკის მუშა და თვითონაც იქითკენ წავიდა. სბავშვო ოთახი დასუფთავებული და კარგად მოვლილი დახვდა. რამდენიმეს ბავშვის მიყვანა მოესწრო და ოთახში შესულ გურამს მათი გაოცებული თვალები შეეფეთა.

გურამს მომვლელი ქალი შეყვა ოთახში.

— ეს ოთახი ბავშვების თამაშებისთვისაა განკუთვნილი, ის საძილეა, ის ოთახი კი სასადილოა, ოთახში თვრამეტი გრადუსი სითბოა, ზაფხულში ასეთი ტემპერატურა აუცილებელია.

გურამი უსმენდა მომვლელ ქალს და კმაყოფილი იყო. „ეტყობა ბავშვები უყვარს“, — გაიფიქრა და ქალს მიუბრუნდა.

— ქალბატონო ნინო! შვილები თუ გყავთ?

ნინოს სახე მოეღრუბლა.

— სამი ბიჭიდან, შვილო, არცერთი არ შემრჩა, ომში დაიღუპნენ. ოთხი შვილიშვილი მყავს და იმითით მიდგას სული. — ქალმა ღრმად ამოოიხრა.

გურამს შეეცოდა ქალი. ოთახში სიწყნარე იყო. გარეთ მუშები ჯგუფ-ჯგუფად მიეშურებოდნენ ფაბრიკაში, ბავშვიანი ქალები სბავშვო ბაღისაკენ უხვევდნენ. გურამს ესალმებოდნენ. ზოგს გურამი თითქოს არც იცნობდა. ყველას ეჩქარებოდა. აგუგუნდა საყვირი და ეზო დაცარიელდა. გარეთ გამოსული გურამი ეზოში მარტო დარჩა.

„ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, დასამშვიდებელი არაფერი გვაქვს. რამდენი მუშა გვყავს უბინაოდ. რა სიხარული იქნება, ბინა რომ აეშენოთ მუშებს. რამდენი ადამიანის გულს გაახარებს ახალი ბინა“, — გურამი გამოსავალს ეძებდა.

„ვითომ რა იქნება, თითო ცვლამ შენობის ასაგებად რომ იმუშაოს? მუშახელი უფასო იქნება, საამშენებლო მასალას სახელმწიფო მოგვაწვდის, კვალიფიციურ მუშახელს კი ფაბრიკის ხარჯებით გავისტუმრებთ. კარგი იქნება, სიამოვნებით დათანხმდებიან. ჩვენს მიერ აშენებულ ბინაში ჩვენვე ვიცხოვრებთ“. გურამი ნიკოლოზის სალამმა გამოარკვია.

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 2, 3, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამძარჯობათ, — მიესალმა ნიკოლოზს. მარიამიძე საწერ მაგიდას მისჯდომოდა და წინ დაყრილ ფურცლებს თვალიერებდა.

— მობრძანდით, გურამ! არ ვიცი, რა ვქნა, მსურველი ბევრია, საგზურები კი მაკლდება, — წუწუნებდა პროფკავშირის თავმჯდომარე.

გურამმა მაგიდიდან ფურცელი აიღო და გულდასმით ჩაათვალიერა. თავში დირექტორის გვარი ეწერა. დიდებულიდე ხუთი ცალი, მერე ბუღალტერი მოდიოდა. მისი გვარის გაყოლებით სამი საგზური ეწერა. თავის გვარსაც მოკრა თვალი და როცა გვერდით ოთხი საგზური ამოიკითხა, გაკვირვებულმა ხიკოლოზს ჰკითხა: დასასვენებლად სულაც არ ვაპირებ წასვლას, ანდა ოთხი ცალი ვინ გთხოვათ.

გურამმა შუბლი შეჭმუხნა.

— რამდენი საგზურია გასანაწილებელი?

— ორმოცდაშვიდი.

— რამდენი განცხადებაა შემოტანილი? — კვლავ შეეკითხა გურამი და პასუხისთვის არ მოუცდია, ისე დააყოლა: — არცერთი განცხადება არ უნდა დარჩეს დაუკმაყოფილებელი. ამისათვის ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს პროფკავშირმა. ფაბრიკის ხელმძღვანელობამ თავი უნდა შეიკავოს, მათი წილი კი მუშებს უნდა მივცეთ. ჩემთვის თავს ნუ იწუხებთ, როცა საჭირო იქნება, თვითონ მოგმართავ.

— რაც თავი მახსოვს, ამ საგზურებს სულ ასე განაწილებთ, არა მგონია დაგვთანხმდეს დირექტორი, — სცადა წინააღმდეგობის გაწევა მარიამიძემ.

— საგზურები იმას ეკუთვნის, ვინც შრომობს.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ნიკოლოზი, განა არა, უნდოდა გურამისათვის რჩევა ეკითხა... ახლა აღარ იცოდა, თავი როგორ ემართლებინა.

მოულოდნელად კარი გაიღო და ოთახში მოკრძალებული ნაბიჯებით შემოვიდა ნესტორი. იგი წელში ოდნავ მოხრილიყო, სახეზე ფერი წართმეოდა და წინანდელთან შედარებით კიდეც გამხდარიყო.

— რაზე შეწუხებულხარ, ნესტორ? — შეეკითხა მარიამიძე.

— გუშინ თქვენთან ვიყავი, განცხადება დაგიტოვეთ, პირველი რიცხვიდან შვებულებაში გავდივარ, ავადმყოფობ. სახსრები მტკივა, მრცხვენია თანახტოლებისა, იმთსავით ვეღარ ვმუშაობ; იქნებ წყალტუბოს საგზური მომცეთ...

სიჩუმე იდგა, ხმას აღარავინ იღებდა. ნესტორს, თითქოს სიჩუმისა შეეშინდა, ისევ ალაპარაკდა.

— ხელმოკლედ ვცხოვრობ, ოთხი შვილის მამა ვარ, ოჯახის რჩენა ძალიან მიჭირს, ან კიდევ თუ დაავადმყოფდი, სულ დაიღუპებიან. წყალტუბოში გამი'მეთ ჩემი შვილების მაღლ მოისახამ.

გურამს გააკრჭოლა, რატომღაც წარსული დღეები და თავის გაჭირვება გაახსენდა და ამან უფრო ატკინა გული. ნაღვლიანად ლაპარაკობდა ნესტორი, მისი სიტყვები ადამიანს გულს აუდუღებდა.

— გუშინაც ხომ გითხარი, წყალტუბოში წასასვლელი საგზური არა მაქვს, სხვაგან მოგიხერხებთ.

— თქვენც შეგარცხვინეთ და თქვენი კაცობაც, სამართალი არა გაქვთ და ეგაა... — წაილაპარაკა ნესტორმა და ოთახიდან გავიდა.

— ნიკოლოზ, — მიმართა მარიამიძეს გურამმა, — ნუთუ არ შეიძლება, რომ ამ ადამიანს დახმარება აღმოვუჩინოთ, — მიუბრუნდა გურამი ნიკოლოზს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნიკოლოზი აილაწა, არ მოეწონა გურამის შეკითხვა და პასუხი მოუნიდებლად გასცა:

— ჩემს საქმეს როგორმე გავუძღები, ჭკვის დარიგება ბავშვებს სჭირდებათ.

გურამს აღარ გაუგრძელებია ლაპარაკი, ბუღალტერიაში შეიხედა, ნესტორის სახლის მისამართი გაიგო და პირდაპირ მასთან გასწია.

პასტერის ქუჩაზე ერთ ეზოში შეუხვია და მალე პატარა ოთახში ამოყო თავი. ძველი მაგიდა, ჯუჯუნის კარადა და ორი ტახტი იდგა. სულ უფროსი, ხუმუშუთმიანი ფერმკრთალი ბიჭი, ტახტზე იჯდა და ხმამაღლა კითხულობდა ლექსს. ბავშვების ყღღერტულისაგან ყურთასმენა არ იყო. უ-ხო მამაკაცი რომ დაინახეს, გაინაბნენ. სულ პატარა, რომელიც იატაკზე დახოხ-ავდა, გაშტერებული უცქეროდა გურამს, და როცა მიხვდა, არაფერს მიშავებსო, ტიკტიკი განაგრძო. გურამი ახლოს მივიდა, ხელი მოჰკიდა და ტახტზე დასვა.

— ნესტორი აქ ცხოვრობს? — შეეკითხა უფროსს, რომელსაც წიგნი იღლიაში ამოეჩარა და გაკვირვებული უცქეროდა უცხოს.

— აქა ცხოვრობს, ძია, — წამოიძახა კუთხეში მიმდგარმა წაბლისფერთმიანმა გოგონამ.

გურამმა ბავშვებს გაუცინა. იმას, რომელსაც წიგნი იღლიაში ამოეჩარა, თავზე ხელი გადაუსვა. გურამმა იქაურობა მოათვალიერა, დაემშვიდობა და კარი გაიხურა.

სამსახურში არ დაბრუნებულა, ნანახმა სურათმა გული ატკინა. პირდაპირ აღმასკომში მივიდა და თავმჯდომარესთან შევიდა. დიდხანს ელაპარაკებოდა გურამი. გულდასმით უსმენდა თავმჯდომარე. გურამი აღელვებული იყო. აგერ ხუთი წელია, რაც ერთ რაიონში მუშაობენ და არასოდეს უნახავს ლევანს გურამი ასე შეწუხებული. შეპირდა, საგანგებო კომისიას ახლავე გამოვყოფ და ერთ თვეში იქნებ ბინის გაცემაც მოვახერხოო. ფაბრიკაში დაბრუნებულს არავისთვის არაფერი არ უთქვამს.

ტელეფონმა დაიწკრიალა, ნიკოლოზი იყო.

— შეგატყვეთ ძალიან ნაწყენი წახვედით, როგორც იყო ვიშოვე „წყალტუბო“, ეშველა ნესტორს.

— კარგით, ნიკოლოზ, სულაც არ გავბრაზებულვარ, — მოლბა გურამი.

— ჰო, მოიცათ, იქნებ მატერიალური დახმარებაც მისცეთ, ნიკოლოზ!

კარგა ხანს ჩამიჩუმი არ ისმოდა ყურმილში, ბოლოს, როგორც იყო ნიკოლოზის ხმა გაისმა.

— უცნაური კაცი ხარ, გურამ, უცნაური. კარგი, თანახმა ვარ, ერთი თვის ხელფასს გავცემ, — თქვა და გაიცინა.

— გმადლობთ ყურადღებისათვის, — ჩაილაპარაკა გურამმა და ყურმილი ადგილზე დადო.

გურამი ოთახიდან გამოვიდა, გასასვლელი, სადაც ყოველთვის ხალხი ფუსფუსებდა, დაცარიელებულიყო. კიბეზე დავშვა და ეზოში ამოყო თავი. მზე შენობებს მოფარებოდა, საათს დახედა, სამი საათი სრულდებოდა. ისევ საამქროში გავლა გადაწყვიტა.

პირველ საამქროში ნესტორის დაღვრემილ სახეს მოჰკრა თვალი, ახლოს მივიდა. ნესტორს ზედაც არ შეუხედავს მისთვის.

— დღის ბოლოს შეუარე მარიამიძეს, — ჩაულაპარაკა გურამმა.

— ვითომ რათაო, ახალს მეტყვის რამეს თუ?

— აუცილებლად მიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საამქროდან გამოსულმა გურამმა შიმშილი იგრძნო. სახლში დაბრუნდა. მაგიდაზე თბილი სადილი დაუხვდა. ალბათ პელომ შემოიტანაო, — გაიფიქრა და მადიანად შეექცა.

იმ დღეს არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო ფაბრიკაში. უცებ მთელ ფაბრიკას მოედო ახალი ამბავი, სხვადასხვანაირად გადასცემდნენ ერთიმეორეს.

— გურამს გაურტყამს სოფრომისათვის.

— არა, კი არ გაურტყამს, თურმე სახალხოდ უთხრა, შენ ხელმძღვანელად არ ივარგებო.

— ეგრე არ ყოფილა, თუ ლაპარაკობ. სიმართლე უნდა თქვა, — შეაწყვეტინა სიტყვა ილიკომ მოლაყბეებს და მკაცრად შეხედა მათ,—ტყუილი რად გინდა, ბიძია, ის კაცი რომ შემოვიდა, საამქროს უფროსმა თავისი ოინბაზობის გამოჩენა მოინდომა, ეგონა ისიც პურმარილზე გაჰყვებოდა და ჩვეულებრივად ჩაიფარცხებოდა მისი უმსგავსოება, მაგრამ ვენაცვალე მაგის ვაჟკაცობას, ისე შეუბღვირა, სოფრომს კინაღამ გული წაუვიდა.

— ხა, ხა, ხა, — გაისმა იქ მსხდომთა ხარხარი.

— თუ ძმა ხარ, მითხარი, შენ თვითონ მოუსმინე?—შეეკითხა მისივე ხნის ჭარმაგი მამაკაცი.

— არა, ისე იყო დაბნეული ის წურბელა, რომ ჩემთან ილაპარაკა, რაც დაემართა.

— ბიჭოს, დღეს სულაც აღარა ჩანს, რცხვენია ალბათ,

— ჰმ, არც კი გცოდნიათ, რა მოხდა, მოუხსნიათ და გაუგდიათ აქედან, მის მაგივრად, — მოსაუბრემ თავი დახარა და გვერდით მდგომს ყურში წასჩურჩულა — მგონი ჩვენი ილიკო დაუწინაურებიათ.

— გაიგე, რა სასწაულებს ახდენენ პირველ საამქროში? — შეეკითხა ილიკო გამხდარ ახალგაზრდას.

— არ ვიცი, — გაკვირვებით შეხედა მან ილიკოს.

— ჰმ, ჭურში ხომ არა ზიხარ, ბიჭო, ორი კვირის გეგმა ორას ორმოცდაათი პროცენტით შეუსრულებიათ და თურმე იქადნებიან: ეს ჯერ კიდევ ცოტაოო.

— ძია ილიკო! ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა, ისევ რომ მიეჩანჩალებთ.

ის იყო ილიკომ პასუხის თქმა დაიპირა, და მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე ნიკოლოზ მარიამიძეც გამოჩნდა. ილიკოს ხმა აღარ ამოუღია, სულგანაბული უსმენდა, რას იტყოდნენ. მარიამიძე მიესალმა დამხვდურებს, პასუხისათვის აღარ დაუცდია და ახალი ამბავი ახარა მუშებს — მამალაძე ეგეგმების შეუსრულებლობისათვის სამსახურიდან მოვხსენით. ახლა თქვენზე ვამყარებთ იმედებს, საამქროს მუშაობა უნდა გამოასწოროთო. მარიამიძემ ილიკოს გაუღიმა და მეგობრულად მოუთათუნა მხარზე ხელი. ახლა ყველამ ირწმუნა მამალაძის მოხსნა. ილიკოს მიუბრუნდნენ და გულწრფელად მოულოცეს დაწინაურება.

— ძლივს არ მოვიშორეთ ის წურბელა.

— კარგია, აი ასეთი მუშტი მწამს,—გაისმა ვიღაცის ხმა, მერე რაღაც წაიჩურჩულა და უშანგის სახელი ახსენა, რომელიც ამ დროს ფაბრიკის ეზოში ბუღალტერს ელაპარაკებოდა. ყველამ ერთად გადაიხარხარა.

— ეგ ღმერთძღელი რამ გაასია, კაწში ვეღარ ეტევა.

— გასაკვირია, ბუღალტერს რაღა დაემართა, ასე რომ მილეულა!..

— საწყალს, კუჭი სტკივა, მონელება უჭირს, — გაისმა ილიკოს დამცინავი სიტყვები, ხარხარი აღარ ცხრებოდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲘᲚᲘᲗ

გურამი დილით რაიკომში მივიდა. დერეფანში ზონის ინსტრუქტორს შეხვდა. ახალგაზრდა ქერათმიანმა ვაჟმა ხელი წელზე მოხვია და თავის კაბინეტში შეიყვანა.

პატარა ოთახი გემოვნებით იყო მორთული. მაგიდაც მილაგებული იყო. გურამმა ინსტრუქტორს თავისი გულისტკივილი განდო.

— გეგმას კი შევასრულებთ, ბიჭები ლომებივით იბრძვიან, ამის იმედი მაქვს, მაგრამ საცხოვრებელი სახლი გვინდა ავაშენოთ და თქვენი დახმარება დაგვჭირდება.

— ეგ კარგი აზრია, თუმცა ერთი სიძნელე მაინც შეგვხვდება, მუშახელი?

— ეგ თავიდანვე გავითვალისწინე, ბევრჯერ ავწონ-დავწონე... — გურამი შეჩერდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა ეთქვა თუ არა, რაც ასე აწუხებდა და რაც ამდენი ხანია გონებას უფრღნიდა.

ინსტრუქტორი გულდასმით უსმენდა, მერე წამოდგა და კაბინეტში დაიწყო სიარული.

— კარგი წინადადებაა, უკეთესი იქნება საქმის ვითარებას თუ რაიკომის მდივანს გავაცნობთ.

— რა თქმა უნდა, — დეთანხმა გურამი, — ახლავე ხომ არ შევიდეთ?

რაიკომის მდივანი თაგჩაღუნული რაღაცას წერდა. ფეხის ხმაზე თავი ასწია, წამოდგა, სათითაოდ ჩამოართვა ორივეს ხელი და სკამზე მიუთითა.

— დიდი ხანია აღარ გვინახავს ერთმანეთი, ფაბრიკიდან კარგი ამბები ისმის, — რაიკომის მდივანი ეტყობა კმაყოფილი იყო.

გურამს თავი ჩაეღუნა და მაგიდაზე გადაფარებული მაუდის კიდეს ხელში ჭმუჭნიდა. მერე რაღაცის თქმა დაპირა, მაგრამ შეჩერდა.

რა ემართებოდა, ვერ მიმხვდარიყო. ერიდებოდა. სულ ერთი თვეა, რაც გეგმა შეასრულეს და უცებ ამხელა პრეტენზიებით მოდის ხელმძღვანელობასთან, ისა სჯობია, ჯერ მიღწეული წარმატებანი შეინარჩუნონ და ბინის მშენებლობაზე მერე მოეთათბიროს.

— ფაბრიკის საქმე წინ მიდის, ეს ძალიან კარგია. ბოლომდე უნდა შეინარჩუნოთ ტემპები, ყოჩაღად უნდა მოიქცეთ, თორემ წარმატებიდან ჩამორჩენამდე ერთი ნაბიჯია.

გურამს ესიამოვნა მდივნის ნათქვამი, „ძლიერ გავიგე მისი პირიდან ქება“. წელში გასწორდა, თავი მაღლა ასწია და მდივანს თვალებში შეხედა.

— ფაბრიკა მოწინავეთა რიგებში ჩადგება, ამისი იმედი გვაქვს, — ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. არ უყვარდა გურამს თავის ქება, იგრძნო, როგორ გაწითლდა. — მაგრამ ბევრი მუშა უბინაოდ არის, გვინდა გამოსავალი მოვნახოთ.

— მუშაობის ტემპი არ მოადუნოთ, ფხიზლად უნდა იყოთ, სავალალო შედეგებით თავრდება უყურადღებოდ მიტოვებული პატარა ამბავიც კი. ბინის საკითხი თქვენზეა დამოკიდებული, დაგროვების ფონდი გამოიყენეთ.

საუბარში ინსტრუქტორი ჩაერია.

— ამხანაგო ალექსანდრე, გურამმა თავისი პროექტი გამაცნო, ბინის მშენებლობა გადაუწყვეტია, დიდი წინაალმდეგობის მიუხედავად ადმინისტრაცია დაუთანხმებია. რაიკომის აზრი აინტერესებთ, ჩვენი დახმარებაც უნდათ, — სოსომ გურამს თვალი ჩაუკრა.

— ასეთ წამოწყებას მივესალმები, თუმცა ამ გაწამაწია მშენებლობის დროს მუშახელის შოვნა გაგიძნელდებათ.

— საკუთარი ძალები უნდათ რომ გამოიყენონ, — დაასწრო ინსტრუქტორმა გურამს.

რაიკომის მდივანმა სოსოს შეხედა.

— როგორ? ფაბრიკას ხომ არ დახურავენ?

— მუშების ყოველი ცვლა მიიღებს მშენებლობაში მონაწილეობას, — ისეთი ხმით ჩაილაპარაკა გურამმა, რომ რაიკომის მდივანი უცებ მოლბა და გაეღიმა, გურამმა შვებით ამოისუნთქა და უფრო თამამად გააგრძელა საუბარი.

— მიწის ნაკვეთი გამოგვიყევს, მხოლოდ თქვენს დახმარებას ველით, სამშენებლო მასალა გვეჭირს, დანარჩენი ჩვენზე იყოს.

— პროექტი მზად არის?

— სპროექტო განყოფილებამ გაგვიმზადა.

— კარგია, აქ საკოჭმანო აღარაფერია, შეუდექით მუშაობას. ყველაფერში დაგეხმარებით.

ცხელი დღე იყო. ტროლეიბუსის გაჩერებასთან ხალხს ბლომად მოეყარა თავი. გურამმა ფეხით არჩია წასვლა.

— მაინც ბევრი რამ გავაკეთე დღეს, როგორ გაიხარებენ ბიჭები!.. — გურამმა წარმოიდგინა ნესტორის დანაოჭებულ სახეზე აკიაფებული ღიმილი.

სამუშაო დღე ისე დამთავრდა, არ გაუგია. საათზე დაიხედა, შვიდი სრულდებოდა. ის იყო ასადგომად წამოიწია, რომ ტელეფონმა დაიწკრიალა.

— საჩალელს თხოვეთ, — გაუბედავად გაისმა ქალის ათრთოლებული ხმა.

— მე ვარ, ეთერ, სადა ხარ? — გამოერკვა გურამი. — კარგი ახლავე მოვალ!

ქუჩაში ტაქსი გააჩერა. კაშირგაბმულობის სახლთან გადმოვიდა. სულმოუთქმელად აირბინა კიბე. ეთერი ზურგშექცევით იდგა, მიუახლოვდა, თვალებზე ხელი უნდოდა აეფარებინა, მაგრამ ქალი მოულოდნელად შემობრუნდა.

— რა მალე მოხვედი! — გახარებულმა ფამოიძახა და მომღიმარე სახე შეანათა ვაკეს. გურამმა ძლივს შეიკავა თავი, უნდოდა ამ წუთშივე, აქვე სახალხოდ გადახვეოდა ქალს.

კიბე ჩაიარეს. უხმოდ მიდიოდნენ, სიხარულით შესცქეროდნენ ერთმანეთს, გურამს ხელი არ გაუშვია ეთერისთვის. რამდენი სითბო, რამდენი ალერსი იგრძნობოდა ამ პატარა და სათუთ თითებში. რამდენი ხანია ეთერი არ უნახავს!.. როგორ უძლებდა!... როგორ სტანჯავდა, მისი სახე სიზმარშიაც არ ასვენებდა!...

აღმართი აიარეს, ფუნიკულიორის სადგურს მიუახლოვდნენ, ახალგაზრდებს მოეყარათ თავი. ჟრიამული იდგა. ეთერს შეხედა, იგი კიდევ უფრო მიმზიდველი და ახლობელი მოეჩვენა.

ტრამვაიში ჩასხდნენ. ხმაური მინელდა, ტრამვაი ტაატით მიიწევდა ზევით.

პარკში გრილოდა. თავისუფალ სკამზე ჩამოსხდნენ. ნიავი უბერავდა და ხეები შრიალებდნენ.

გურამი დაკვირვებით უყურებდა ეთერს. ქალმა შეამჩნია ვაკის მზერა და ვაოღიმა. ღიმილი ნაღვლანი მოეჩვენა გურამს. მხოლოდ ახლა შეამჩნია, ქალიშვილს მოკლე სახელოებიანი ვარდისფერი კაბა ეცვა. ეთერი გაუნძრეველად იჯდა. სადღაც შორს იმზირებოდა. გურამი გვერდზე გადაიხარა და პატარა, წითელფოთლებიანი ყვავილი მოგლიჯა. ღეროდან მომწვანო ფერის სითხემ გამოქონა. „დაამთავრი სიცოცხლე“, გაიფიქრა და შემობრუნდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ეთერ! — ქალმა მოიხედა, გურამმა მისი აცრემლებული თვალებიᲜᲣᲡᲮᲐ. შეცბა. ქალის ცრემლებმა ყვავილი გაახსენა. ეთერი წამოდგა.

მზე დიდი ხნის ჩასული იყო. სადღაც შორს, ცის კიდეზე მთვარე აპირებდა ამოსვლას.

— ეთერ! — თითქმის მუდარით მიმართა ქალს.

ქალი მოტრიალდა..

— დაგვიანდა, წავიდეთ.

— ეთერ! — გურამი ქალს მიუახლოვდა, — მიყვარხარ, უშენოდ ცხოვრება აღარ შემიძლია.

ვაჟმა ქალს ხელი მოხვია, ქალი არ ეწინააღმდეგებოდა, უფრო ეკვროდა და ჩურჩულებდა..

გვიანი იყო, დაღმართზე დაეშვნენ, პროსპექტი გაიარეს და გურამის სახლთან შეჩერდნენ.

— შემოდი! — გურამმა კარი გააღო.

ქალი წამით შეყოყმანდა, მერე თავი გაიქნია, ქალმა თითქოს რაღაც ტვირთი მოიშორა, ოთახში შევიდა, ვაჟს მიუახლოვდა და მკერდზე მიაყრდნო თავი.

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲔᲠᲘ

ის ადგილი, სადაც ბინის მშენებლობა დაიწყეს, ფაბრიკას კარგა მანძილით იყო მოშორებული. გახურებული მუშაობა გაეჩაღებინათ. მაღალი ტანის მუშამ სახელოები შუბლზე ოფლი მოიწმინდა და თავი მაღლა ასწია.

— ოჰ, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი, რა ჩქარა მიდიხარ ზევით.

იქვე მდგომმა ახალგაზრდა მუშამ ყური მოჰკრა ნესტორის ნათქვამს და შეეხმიანა:

— ხომ არ გეჩქარება სახლის დამთავრება?

— ჩემი ძამიკო, ოთხი შვილი რომ გეყოლება და ჩემსავით უბინაოდ იქნები, მიხვდები, თუ რად მეჩქარება ასე სახლის დამთავრება.

ნესტორი ამ ბოლო დროს სულ გამოიცვალა. იგი გრძნობდა, ფაბრიკაში პატივისცემით რომ ექცეოდნენ და ამიტომ თვითონაც ყველას თბილად ეპყრობოდა. როცა ფაბრიკის მუშათა საერთო კრებაზე ბინის მშენებლობის საკითხი განიხილეს და ნესტორის გვარიც ახსენეს, მუშებს გაუხარდათ და ტაშიც დაუკრეს.

ჯერ იყო და ბინაში საგანგებოდ მივიდა ფაბრიკის პარტორგანიზაციის მდივანი და შეამოწმა, როგორ ცხოვრობდა, მერე დასასვენებლად გაგზავნეს, ფულითაც კი დეხმარნენ. მზრუნველობა იგრძნო. თავს აღარ იზოგავდა, საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდა.

უთხრეს, მეორე სართულზე სამ ოთახიანი ბინა მოგაკუთვნეთო და უნდა გენახათ მისი სიხარული. ბუნებით ცოტა თავშეკავებული კაცი რომ არ ყოფილიყო, საქვეყნოდ გამოთქვამდა თავის სიხარულს, მაგრამ თავი შეიკავა. მართალია, რაიონის აღმასკომმა მშენებლობის დამთავრებამდე ოთახები გამოუყო, მაგრამ აღარ დახარბდა: ჩვენს ბიჭებთან მირჩევნიაო. მეორე სართულის მშენებლობას რომ შეუდგნენ, მაშინ ხომ სულ მთლად დაკარგა მოსვენება. სათითაოდ სინჯავდა აგურებს, ხელით ამოწმებდა აზელილ ცემენტს და სულ პატარა მიზეზი ყოფნიდა ასაყვირებლად.

იცოდა ნესტორმა და ღრმადაც იყო დარწმუნებული, რომ ფაბრიკაში მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდარი ცვლილებები გურამთან იყო დაკავშირებული, გულიც ამ ადამიანისაკენ მიუწევდა.

— რას ჩაფიქრებულხარ, ნესტორ? აბა ჩქარა აგური! ცოტაც და მეორე სართული მალე დამთავრდება, — კალატოზი ნესტორს შეჰყურებდა. ნესტორი ცოტა არ იყოს შეცბა და კალატოზს აგური მიაწოდა.

— აი ყოჩაღ, ასე გულმოდგინედ მომუშავე კაცი არ მინახავს, — შეაქო ოსტატმა ნესტორი მშენებლობის უფროსთან, რომელმაც სათვალე მოიხსნა და შეხედა გარუჯულ და გაოფლიანებულ ნესტორს, მის კუნთებიან გულმკერდსა და მკლავებზე დაბერილ ძარღვებს.

— კარგია, — ჩაილაპარაკა მშენებლობის უფროსმა და ერთხელ კიდევ მოავლო თვალი მშენებლებს, — სამოცბინიანი სახლი ორმოც დღეში. ისიც აგურით გაშენებთ, სულ სხვაა ბლოკები, ასეთი მასალით ახლა რამდენიმე დღე უნდა დიდი მშენებლობის დამთავრებას, — გაიცინა გულში და კმაყოფილი მეორე მხარეს გადავიდა.

— შეხედე როგორ იჭაჭებიან ეს სახეძაღლები, ხუმრობა ხუმრობაში რაღაცას ახუხულავებენ, — ბუღალტერმა შვანგირაძის გასიებულ ტანს შეხედა და უცებ ფრუტუნი მორთო. შვანგირაძემ გაკვირვებით შეხედა ალექსის.

— ჩემმა მზვმ, რაღაც საოცრებას ვხედავ, შეხედეთ ერთი ამ ჭლექიანს, რა დღეშია, — ალექსიმ ხელით ანიშნა ნესტორზე, რომელიც სწორედ იმ დროს ახლადამოყვანილ კედლთან ამართულიყო და ხარაჩოზე აგურს აწყობდა.

არავის გასცინებია. ვასო თვალებგადმოკარკლული უცქეროდა მშენებლებს.

— აი გიდი, ამ წუნკლებს შეხედე, რა სასახლეში უნდა შებრძანდნენ, — ბოდმიანი ხმით წაილაპარაკა მან. — რა მიჯირდა, მამაჩემის შვილს არ მეკადრებოდა თუ რა; ცოტა გავნძრეულიყავი, ბინაზე საფიქრელი ალარ მექნებოდა, — თქვა ვასომ და ზიზღით გადახედა გვერდით მდგომთ.

— ვინ იცის, შევლენ კი? დაამთავრებენ მშენებლობას და მერე მაგათთვის ვის ეცლება, პირში ჩალაგამოვლებულებს გაუშვებენ, — შვანგირაძემ საჩვენებელი თითი პირში გამოვიღო, — აი ასე ტატლიკანები დარჩებიან...

ალექსი, შვანგირაძე და ვასო ნელა გამოჰყვნენ ქუჩას, მანქანა გააჩერეს და მალე შვანგირაძესთან ამოჰყვეს თავი.

ბუღალტერი ადგილზე ვერ ისვენებდა, წელზე ხელებგადაწყობილი აქეთ-იქით დადიოდა, აფხორილ ინდაურს ჰგავდა.

— საქმე ცუდად მიდის, ასე თუ იმუშავა ფაბრიკამ, ოქტომბრის ბოლოს აღარაფერი საქმე გვექნება, უნდა დავემშვიდობოთ, — დაიწყო ალექსიმ და ახლა უკვე სერიოზულად შეხედა პირდაბჩენილ შვანგირაძეს და აყლაყუდა ვასოს.

— გინდა თუ არა ჩიხში მოვემწყვდევით, გურამი კი თავისას გაიტანს, — დააყოლა ალექსიმ.

— რა დღეს შევესწარ, — გულდაწყვეტილად ჩაილაპარაკა ვასომ, — ასე უპატრონოდ თავი არასოდეს მიგრძვნია. ახლოსაც არ გამიკარა.

— მეც ვეცადე, არაფერი გამომდის, — დაუმატა შვანგირაძემ.

— რას გახდება, ძალზედ მიუკარებელია. როგორც ვიცი, ჯერ გიორგისთანაც კი არ უჭამია პური, — მისუსტებული ხმით წაიკნავლა ბუღალტერმა.

— თავიდანვე უნდა გვეფიქრა და ადრევე უნდა მოგვეშორებინა. — უშანგიმ პერანგის საყელო ბოლომდე ჩაიხსნა. სახე წამოსწითლებოდა, დაწყებულმა საუბარმა ხასიათი გაუფუჭა, თვალი მოავლო თავის კარმიდამოს, სიმწრით ამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხვნეშა. დაკვირვებით შეხედა ვასოს. „ამ კაცის სიკვდილი მიხსნიდა“, გაიფიქრა და ტანში გაყარეოლა, ყოველგვარი უმსგავსება ჩაუდენია და ადამიანის სიცოცხლეს კი არ შეხებია. არა და რა ქნას, როგორ შეელიოს კარგ ცხოვრებას, ამ კაცმა მისი ყველა საიდუმლო ხვრელი იცის, იმასაც გრძნობდა უშანგი, საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა, არ დაინდობდა ვასო. რა ქნას, როგორ მოიქცეს? რით გადაირჩინოს თავი? ვასო ეზოსკენ იყურებოდა, აინუნში არ აგდებდა ბუღალტერის ლაყბობას — ბოლოს და ბოლოს, ამაზე უარეს მდგომარეობაში ყოფილან, მაგრამ გამოსავალი უთოვნიათ. შვანგირაძის იმედი ჰქონდა — მეგობარ კაცს არ გამიმეტებსო, — ფიქრობდა.

არც ბუღალტერი იჯდა უსაქმოდ. პატარა თვალებით ზომავდა ხან ერთს და ხან მეორეს. აღლოთი მიხვდა, ორივე თავის დაძვრენაზე ფიქრობდა. მის ნიერ გაფორმებული ბუღალტრული საბუთები გაახსენდა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო.

— არ ვიცი, რა ვიღონო, — დაიწუწუნა ისევ ვასომ. — ცოტა რომ დასცლოდა მამალაძეს, მაშინ სხვა იქნებოდა, აღარაფერი მქონდა სადარდებელი.

— ახლა რა არის საჭირო? — საქმიანად იკითხა შვანგირაძემ.

— გურამი უნდა მოვაშოროთ აქაურობას.

— უუჰ... — ამოიგმინა უშანგიმ. — ძნელია, ამბობენ, რაიკომი მხარს უჭერსო. ჭორები დადის, როინიშვილის ნათესავიაო.

— რაღა ჩვენთან მოეხეტა, ეგ რომ არ გამოჩენილიყო, რა ბედნიერები ვიქნებოდით, — ჩაილაპარაკა ვასომ და მოიბუზა.

— გიორგიმ იდედლა, მაგ სახეძაღლმა, სულ იმისი ბრალია, — მიუბრუნდა უშანგი ბუღალტერს, რომელიც სკამზე მოუსვენრად ცმუკავდა.

— აბა, ვინ მოიფიქრებდა, თუ ასე მაგრად გაიდგამდა ფესვს, თორემ ღმერთი მოგეცა, მაგ ლაწირაკს დღეს დააყრიდა გიორგი. ხუმრობა ხომ არ არის, ექვსი პროცენტი ეკონომია, ვაა... ამას რას მოვესწარი, პირდაპირ გაოცებული ვარ, — აღელვებული ლაპარაკობდა ალექსი.

— ისე გამოდის, სამართალი არ ყოფილა ამ ქვეყანაზე. ნუთუ მაგის ხელში ჩავარდებით? არა მგონია, გიორგი ასე გაწირონ, — ვასომ ოთახში გაიარ-გამოიარა. — კაცმა რომ თქვას, ყველაზე ძალიან მე ვიჭყლეტები. არ მოამარაგეს: ვასო, პასუხი აგე, დროზე არ გაიცემა ტყავი: ვასო, მოსახსნელი ხარ. ვაა, აი ამის შემდეგ ნახე, ცხვარივით ოთხში რომ ამომიღებენ. მერე ვიღა მიშველის?

— დამშვიდდი, მოევლება რამე, — ჩაერია ლაპარაკში ალექსი.

— არაფერი გამომივიდა, ქვეყანა შევძარი და ერთი დეციც რა არის, ისიც ვერ ვიშოვე. წარმოიდგინეთ, ბათუმშიაც დავუკავშირდი, მაგრამ იმედი არ მოუციათ, — წუწუნებდა უშანგი.

— ერთი გამოსავალია, — წამოხტა ალექსი ადგილიდან, — პარტორგანიზაციის ახალი არჩევნები მალე შესდგება, იქ უნდა დავრაზმოთ ხალხი, აუცილებლად უნდა გაშავდეს. მერე ფაბრიკაშიც აღარ დაედგომება სახელგატეხილს, თვითონვე გაიქცევა.

— დავიღუპე, მშობლები მეცოდებიან თორემ, ჩემი თავი ჯანიდამას იქით ყოფილა, — ისევ დაიწუწუნა ვასომ, — რა ძალა მადგა, ჩემთვის ვგდებულიყავი, ყველაფერს ისა სჯობდა.

— იმედს ნუ დაკარგავთ, გამოსავალს ვიპოვით, — დამშვიდა უშანგიმ.

მოულოდნელად კარი გაიღო და შვანგირაძის დამრგვალებული მეუღლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდა. ისეთი შეშინებული სახე ჰქონდა, რომ უშანგიმ ვერ მოითმინა ღრ ხმამაღლა შესძახა:

— რა დაგემართა, ასმათ, ადამიანის ფერი არ გადევს სახეზე?!

ასმათს ხმა არ ამოუღია. სტუმრებს მოერიდა, რაც არ უნდა იყოს ოჯახის ამბავი იყო და ასე საქვეყნოდ თავის გაბიაბრუებაც არ უნდოდა. გაბრაზებულმა რვეულის ფურცელი მიახალა ქმარს და გარეთ გავიდა.

უშანგი ცოლს გამოუდგა. დერეფანში ერთ წუთს შეჩერდა, ჯიბიდან სათვალე ამოიღო, ცხვირზე გაიკეთა და ფურცელი ჩაათვალიერა.

„ჩემო საყვარელო შშობლებო, იმედია აპატიებთ თქვენს თავნება გოგონას, თქვენდა დაუკითხავად ვიქორწინე გურამთან, გთხოვთ დაგვლოცოთ, მივდეკართ სოფელში. ეთერი“.

უშანგი თუმცა ამას არ ელოდა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ძალიან არცა წყენია, პირიქით, თავის გადარჩენის იმედი მიეცა. ოთახში შევიდა, კარადა გამოაღო, პიჯაკი გადაიცვა და წასასვლელად მოემზადა. უშანგი რომ ასეთ ფაციფუცში დაინახა, ასმათი ქმარს მივარდა.

— უშანგი, გენაცვალე, სისხლი კი არ დაღვარო და საცოდაობა არ დაატრიალო, ის გომბიო სახლში წამოათრიე, მაგრამ არაფერი ავნო.

— ქალო, წავალ, უნდა გავიგო, რა დღეშია ის გოგო, — მოიშორა ჩამოკონწიალებული ცოლი უშანგიმ.

თავი მეთვრამეტე

შვანგრიაძე ეზოში სწორედ მაშინ შევიდა, როცა სტუმრები ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს სვამდნენ, დიდხანს ყოყმანობდა, შესულიყო თუ არა. „ვის რა ეკითხებოდა, შვილია და როგორც უნდა ისე მოექცევა“. სახე ცხვირახოცით შეიმშრალა. კიბის საფეხურები აიარა, მოაჯირთან შეჩერდა. თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო უხერხულობა. ვერავის ხედავდა, მაგრამ ნაცნობი ხმები ესმოდა. მიხვდა, ვინც იყვნენ მოწვეულნი. „ამისათვის ვიტანჯებოდი ჩემი სიცოცხლე? ამ გლეხუჯა ბიჭისთვის?“ აივანს მოსცილდა და კიბესთან შეჩერდა. სოფელს მოავლო თვალი.

რამდენი ხანია ამ სოფელში აღარ ყოფილა!.. უბნის ბოლოში მამისეული ახლი შეამჩნია, მოაგონდა შშობელი დედა, ბავშვობა და ცრემლები ვეღარ შეიკავა. ოთახიდან მორიგი სადღეგრძელო შემოესმა. გაირინდა, ყური მიუგდო, ხმა ემცნაურა, უფრო დაძაბა სმენა. „მამაჩემია!“ — ხმამაღლა წამოიძახა და მოწოლილი დარდი გაუორკეცდა.

— არა და არა. როგორ შევუერიგდე, რანაირად მოვითმინო, დამცირებულმა სადღა გამოვყო თავი, ანდა რა პასუხი გავცე გიორგის? იქნება ვცდები? იქნებ კარგი ვაჟკაცი დადგეს გურამი? არა, მე არასოდეს ვცდები, ჩემი სიძობის ღირსი არ არის. ფუფუნებაში გაზრდილმა გოგომ როგორ უნდა გაუძლოს სიღარიბეს?

ოთახიდან ისევ ესტატეს ხმა მოესმა. ყური მიუგდო. „რამდენი ხანია მამა აღარ მინახავს. ალბათ დაბერდა საცოდავი“. გულმა მამისკენ გაუწია. მოხუცის გაბარებული ხმა გარკვევით ესმოდა.

— შვილო! ბედნიერი ვარ, ამ დღესაც მოვესწარი, წვითა და დაგვით გამოზრდილმა ჩემმა უშანგიმ სიბერეში მაინც გამახარა. ჩემი ეთერი, ჩემი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ერთადერთი სიხარული, მშობლიურ სოფელში გაათხოვა. ჩემო მოკეთენო! გურამი ჩვენს სოფელში თითით საჩვენებელი ვაქაცია, ღირსი იყო კარგი ბედისა და ღმერთმა გააბედნიერა.

უშანგი დაბარბაცდა, ძლივს შეიკავა თავი, მოაჯირს წაავლო ხელი.

— რა ქენ? როგორ მოვიქცე? — ვინ იცის, მერამდენეჯერ ეკითხებოდა თავს და ვეღარ გადაწყვიტა, როგორ ემოქმედნა. ესტატეს ხმამ მოლად მოშალა, „როგორი ბედნიერია მოხუცი“. სადღაც გულის კუნჭულში სიბრალულის სიმმა დაიკენესა. უცებ შიში და მორიდება გაუქრა, გაბედულად გაემართა კარისაკენ. ოთახში შევიდა. თვალში ეცა ეთერის სიხარულით გაბადრული სახე, ასეთი მიმზიდველი არასოდეს უნახავს შვილი.

ოთახში მოულოდნელად სიწყნარე დამკვიდრდა. სუფრის თავში ფეხზე მდგომ ესტატეს სათქმელი ტუჩებზე დაკკდა და დაკვირვებით შეხედა ახლადშემოსულს.

უშანგი ერთხანს დაიბნა, მაგრამ უკუსაქცევი გზა აღარ ჰქონდა, ახლა სხვანაირად მოქცევა არ ივარგებდა და აკი ამიტომაც პირდაპირ შვილთან მივიდა, სიყვარულით აკოცა შუბლზე, მერე გურამს მიუბრუნდა და ძლივს წაილულღუღა: „დამილოცნიხართ, იბედნიერეთო“. მისი სახე იმ წუთში მხოლოდ მორჩილებას გამოხატავდა.

ოთახი ყიჟინამ გააყრუა, ყველას უნდოდა ხელი ჩამოერთმია უშანგისათვის. უშანგი მამასთან მივიდა.

— მოდი, შვილო, ვეღარც კი გიცნობდი, როგორ შეცვლილხარ, — ესტატე შვილს მკერდზე იკრავდა.

— მამა, ჩემო საყვარელო, მიგატოვე, ვიცი, მაპატიე, ახლა აღარ დაგტოვებ. შენთან ვიქნები ყოველთვის, — ეჩურჩულებოდა უშანგი.

სიწყნარე ჩამოვარდა. უშანგიმ ესტატეს ლიტრიანი ყანწი ჩამოართვა და დაბალი ხმით წამოიწყო.

— შვილო, ეთერ, ჩემო გურამ, ბედნიერნი იყავით, ჩვენი სიცოცხლე და ჯანმრთელობა ეთერის შეგალიეთ, აბა თქვენ იცით, სიყვარულითა და მეგობრობით ყველა მოკეთენი გაგეხარებინოთ. იდიდეგრძელეთ!

ესტატემ შვილი გვერდით მოისვა. მოხუცი ორმაგად ბედნიერი იყო. სხვა რაღა უნდოდა, საწადელი აუხდა, ეთერი თავის სოფელში გათხოვდა...

— არჩილ! სულ გამოცვლილხარ, გეტყობა სოფელმა გაგაახალგაზრდავა, მალე მეც პენსიაში გავალ და აუცილებლად სოფელში დავბრუნდები. დავსხდეთ ხოლმე ერთად და მოვიგონოთ წარსული ამბები, — შემთვრალ მამას სულ დაავიწყდა წეღანდელი ფიქრები, გული მოიბრუნა სიძეზე და ახლა გულწრფელად ებაასებოდა არჩილს.

— რა სჯობია სოფელს, მართლაც რომ დავისვენე სუფთა ჰაერზე, სულ დამავიწყდა ჩემი წლები, ასე მგონია ახლა ვარ-მეთქი ჯეელი!

— ეს შენი უფროსი ვაჟია, არჩილ? — ხელით ანიშნა თენგიზზე, რომელიც ფეხზე იდგა და სტუმრებს უმასპინძლდებოდა.

— ჩემია. გახსოვს? თითის სიგრძე ბიჭი იყო.

— სოფელში დარჩა?

— დარჩა, აქ არჩია მუშაობა.

— კოლმეურნეობაში თუ?

— კოლმეურნეობაში.

— ყურადღება! — დაიძახა ამ დროს ესტატემ და ორი მომცრო ყანწი ასწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამით ნეფე-დედოფლის მშობლების სადღეგრძელო მინდა შევსვა, არჩილს შეეხმიანა, — ჩემო არჩილ! ნატოს დაუძახე, უიმისოდ ეს სადღეგრძელო არ შეისმის.

თენგიზი სწრაფად გავარდა აივანზე, დედას გასძახა. ნატო ხილაბანდის სწორებით შემოვიდა. უშანგი წამოდგა, ნატოს მიუახლოვდა და გადაკოცნა.

— გაგიმარჯოთ, შრომისმოყვარე და კეთილი ადამიანები ხართ, მარადჟამს იყავით გამარჯვებულნი. თქვენთან ერთად მოხუცი ესტატეც ხარობს, არ ჰგონია თუ ბედნიერებას მოვესწრებოდი, გვიბედნიეროს ჩვენი გურამი და ეთერი...

— მეორე ყანწით, ჩემი შვილისა და რძლის სადღეგრძელო მინდა შევსვა. ჰემს უშანგის გაუმარჯოს! მისი ბედნიერებით თქვენც დამტკბარიყავით, შვილებო! — გასძახა გურამს და ეთერს და სულმოუთქმელად დაცალა ორივე ყანწი.

— ალავერდი შენთანა ვარ, ილარიონ! — ესტატემ ყანწები ილიკოს გადაეღოცა.

დილით, ქორწილი ისევ გაგრძელდა. რიგრიგობით შემოდიოდნენ უბნის ქალები, ტაბაკზე დაწყობილი ძღვენი მოჰქონდათ, ზოგს ინდაური დაებრაწა ჭითლად, გვერდით თონის პურები მიეწყო, დოქით ღვინო ხომ ყველას მოჰქონდა. მამაკაცები უკან მოსდევდნენ ქალებს, ლოცავდნენ გურამს და ეთერს და ბაშლილ სუფრას მიაშურებდნენ.

საღამო ხანს ქალაქელი სტუმრები წამოშალნენ. საბოლოოდ დალოცეს არჩილის ოჯახი და გზაზე გავიდნენ.

მთელ ღამეს ალარ მოცილებია გურამი დარჩენილ სტუმრებს. ყაყანა გიორგიმ და მოსიცამ შუაში ჩაისვეს თავიანთი გამოზრდილი და მთელ ღამეს კარგად ჰოილხინეს.

გურამი წასვლის სამზადისს შეუდგა. ნატო ფუსფუსებდა. მურაბით სავსე ქილებს აწყობდა მანქანაში. არც ყურძნის ჯაგნები დავიწყებია. არჩილმა პატარა კასრში ღვინო ჩაასხა. ნანა ციბრუტივით ტრიალებდა. გაზრდილიყო, სკოლას ამთავრებდა, ტანწერწეტა, შავგვრემანი გოგონა სანატრელი სარძლო იყო სოფელში. ნანა მორცხვად მიუახლოვდა ეთერს და დამშვიდობებისას აკოცა.

უშანგიმაც სიძესთან ერთად გადაწყვიტა წასვლა. კიდევ ერთხელ ასწია ყანწი, ესტატეს ალერსიანი სიტყვა უთხრა, მძახლებს დაემშვიდობა და მანქანაში ჩაჯდა.

*

... ივანისელის ბრიგადამ იმედები გაამართლა. საამქროში, სადაც კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები მუშაობდნენ, ახლადშესული ადამიანი უმალ ეგრძნობდა სიხალისეს.

— გივი! როგორაა საქმე?

— არ შევრცხვებით.

— შესრულებას როგორ ვარაუდობთ?

— ორას პროცენტამდე.

— გასულ თვეში...

— ასსამოცდაათი იყო.

— შესძლებთ კი?

— ამა შეხედე ბიჭებს, რა გაუძლებთ ამათ.

— ხომ არაფერი გიჭირთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ჩემო გურამ, გაჯირვება რას მიქვია, იმ დღეს პირობა დადეს ბიჭებმა, მთელ ქვეყანაზე უნდა დაიგუგუნოს ჩვენმა საქმემაო. გესმის? მე მჯერა, რომ ჩვენი ბრიგადა ახალ სიტყვას იტყვის. ილარიონმა შემომითვალა, თქვენ ახალგაზრდები და ჩვენ მოხუცები, ვნახოთ, ვინ ვის აჯობებსო.

— ძველმა ილიკომ ისევ იფეთქა, დაუღალავი მოხუცია.

— თანაც თითქოს სხვათაშორის გამიკრა, ძალიან მომწონს თქვენი ბრიგადის ახალი სახელწოდება და ეცადე, არ ჩამოგართვაო.

— ტყუილი არ გეგონოს, ბევრად აღარ ჩამოგრჩებიან.

— ჯონდო არ დაბრუნებულა?

— არა.

— რა ვქნათ, გივი? ეგ ბიჭი რატომღაც დასაღუპავად არ მემეტება.

— ისეთი დიდი არაფერი მომხდარა, მთვრალი იყო და არევა მომინდომა, თინასთან ერთად მივდიოდი, — გივიმ ტუჩები ყურთან მიუტანა გურამს და რაღაც ჩასჩურჩულა.

— წაიქცა?

— პირველსავე მორტყმაზე. სიმართლე გითხრა, ხელიც არ გამინძრევია. სახეძაღლი, ისე იყო ნასვამი, ვერაფერი გავაწყე, კიდევ კარგი, ერთი ღვთისნიერი მილიციონერი გამოჩნდა, იმას ჩავაბარე.

— ჩვენი სირცხვილია.

— მართალი ხარ, გურამ, მაგრამ...

— მაინც ახალგაზრდაა, ჩემთან სახლში იყო და ცოტა უცნაური ამბავი მომიყვა.

— რა გითხრა ასეთი?

— მგონია ვიღაცამ წააქეზა. ძალიან ნანობს.

— მისი იმედი მაინც არა მაქვს.

— მე მგონია ხელი არ უნდა ვკრათ, დავაბრუნოთ ჩვენთან და მერე ვნახოთ.

— გურამ, შენთვის ყველაფერს გავაკეთებ. ვთხოვ დირექტორს და ჩემდა თავადაც აღარაფერს გამოვედავები.

— მოიცა, გურამ! — შეაჩერა გივიმ მიმავალი მეგობარი.

— სათხოვარი მაქვს, ოღონდ ნედლეულით მომარაგება არ შეგვიფერხონ და დანარჩენს ფიქრი ნუ გექნება.

— რიგზე იქნება ყველაფერი, — დაიმედა გურამმა გივი, მაგრამ გივის სიტყვებმა საგონებელში ჩააგდო: „ერთიც ვნახოთ და ნედლეული დროზე არ მოგვაწოდონ?“

გიორგი, როგორც ყოველთვის კაბინეტში მოკალათებულიყო. პაპიროსის ბოლში ძლივს ჩანდა.

— ამხანაგო გიორგი, ივანისელის ბრიგადამ იმედი გაგვიმართლა.

— როდემდის ეყოფათ ჯანღონე?

— როგორ?

— ისინი ახლა ყველაფერს აკეთებენ, რომ გეგმა შესრულდეს, ბოლოს დაღლილ-დაქანცულებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ.

— თქვენის აზრით, მათი მიღწევები შემთხვევითია?

— მე ასე ვფიქრობ.

— არ არის სწორი, ახალგაზრდული კომუნისტური შრომის ბრიგადა ბზარდი, ძლიერი კოლექტივია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეტისმეტად დიდი წარმოდგენისა ყოფილხარ მაგ ბრიგადაზე.

— მე მწამს მათი, ისინი გაიმარჯვებენ.

— დაუშვათ, რომ ამ ბრიგადამ პირნათლად შეასრულა დავალება, სხვა საამქროებს როგორ ვუშველოთ? იქ ხომ კომუნისტური შრომის ბრიგადები არა გვყავს?

— ილარიონის საამქრომ ამ თვეში ორჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა. ახალგაზრდების ენთუზიაზმმა მოხუცებიც აამოძრავა.

— ვნახოთ! — ჩაილაპარაკა გიორგიმ.

— მე საკამათოდ არ მოვსულვარ, ამხანაგო გიორგი, საამქროები წინანდელზე მეტ ნედლეულს მოითხოვენ, მომარაგებაში ხელი არ უნდა შეგვეშალოს, თორემ მთელი ფაბრიკის მუშაობა შეფერხდება.

— თქვენის აზრით, როგორ უნდა მოვიქცე?

— ნედლეული შეუფერხებლად უნდა შემოდიოდეს ფაბრიკაში.

— ჩემზე ნაკლებად არ იცნობთ ჩვენს მომარაგებელს. თქვენ თვითონ რატომ არ აფრთხილებთ?

— ფაბრიკაში მომარაგების საკითხს ვინც ჩაშლის, დანდობის ღირსი არ არის.

— წინასწარ რატომ ღელავთ?

— არ ვღელავ, თადარიგს ვიჭერ.

— თადარიგს? როგორ?

— მე ვფიქრობ, გამიგებთ.

— მაინც რას ფიქრობთ?

— ფაბრიკის დირექტორმა უნდა იცოდეს, რომ მეურნეობას, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, შემოწმება სჭირდება, ეს თვისებური თადარიგ და იმისი გარანტიაა, რომ ხელი არ შეეშალოს ფაბრიკას მუშაობაში.

— რევიზიის ჩატარებას მოითხოვს?

— დიახ!

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ახლავე დავავალებ ჩვენს ბუღალტრებს.

— რამდენიმე წელია ფაბრიკაში რევიზია არ ჩატარებულა, საჭიროდ მიმაჩნია რევიზია სამინისტროდან გამოვიწვიოთ.

— სამინისტროდან?

— დიახ.

— ჩვენს ბუღალტრებს არ ენდობით?

— ბუღალტერიაც უნდა შემოწმდეს.

— თქვენი წინადადება დასაბუთებულად არ მიმაჩნია.

— კომუნისტური შრომის ბრიგადის მიღწევანი მთელმა ქალაქმა შეიტყო, პრესამ ამ წამოწყებას კარგი შეფასება მისცა და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. მე გეკითხებით, რა უფლება გვაქვს მე და თქვენ, რომ მჭარში არ ამოვუდგეთ მათ?

— რევიზიის დანიშვნის საკითხს მე ვწყვეტ და არა პარტორგანიზაციის მდივანი.

— მართალია, მაგრამ საქმის ინტერესებისათვის მოვითხოვ რევიზიის ჩატარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, უთქვენოდ მივაღწევ ამას.

— ხომ არ დაგავიწყდათ, რომ დირექტორს ელაპარაკები?

— უფლება არა გაქვთ, ასე მომმართოთ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— არც თქვენ გაქვთ უფლება, ჯერ აძაგოთ ადამიანი, საქვეყნოდ თქვენ მოსჭრათ და მერე დაუმოყვრდეთ.

— რა შუაშია აქ დამოყვრება?

— ჰმ! ბავშვივით ნუ მიამიტობ, ქვეყანამ იცის, რატომ შეირთე შვანგირაძის ქალიშვილი, ქონებას დახარბდი. შვანგირაძესთან კუდი-კუდს გადაბი და ფაბრიკასაც გინდა დაეპატრონო.

— ცილს მწამებთ, — წამოიძახა გაბრაზებულმა და თანაც დირექტორის ნათქვამით გაოცებულმა გურამმა.

— ცილს ვინ ვის სწამებს, ამასაც გავარკვევთ.

— თქვენ გინდათ ხელი ამაღებინოთ ჩემს განზრახვაზე?! არა, გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს.

— თანახმა ვარ, მაგრამ გახსოვდეს, შვანგირაძეს თუ რაიმე აღმოაჩნდება, შენც თანამონაწილე იქნები.

— რაო? — შეჰყვირა გურამმა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

— აბა, რა გეგონა? შენი ხათრი რომ არ მქონდეს, შვანგირაძეს ფაბრიკიდან გავაგდებდი. რას იზამ, პარტორგანიზაციის მდივნის სიმამრია, წონა და პატივისცემა აქვს ფაბრიკაში.

— ტყუილად ირჯები, უკანდახევა არ მჩვევია.

— ძალიან კარგი, მომწონს ასეთი ვაჟკაცები, მაგრამ იმაზე რაღას იტყვით, ჯონდი რომ კომუნისტური შრომის ბრიგადირმა ისე სცემა, ფაბრიკიდან გააქცია?

— ივანისელი მაგას არასოდეს იკადრებს. ჯონდი მალე გეახლებათ და ბოდიშს მოიხდის თავისი საქციელის გამო.

— ჭანტურიამ თვითონვე მომიტანა განცხადება, ივანისელს უჩივის.

— ეს მაშინ, ახლა თავის მოქმედებას ჩაუფიქრდა, მგონია გადაწყვეტილი აქვს რაღაც ინტიმური საუბრის ამბავი გამოაქვეყნოს.

დირექტორი უცებ მოეშვა.

— კარგი, გურამ, თავი მოუკვდა ყველას, ჩვენ რატომ უნდა შევაკვდეთ ერთმანეთს?

გურამი აღელვებული უცქეროდა უცებ ხასიათშეცვლილ დირექტორს. ხმა აღარ ამოუღია, არც დამშვიდობებია, აჩქარებული ნაბიჯით გავიდა კარში. გურამი გიორგისაგან შვანგირაძის ავად ხსენებას არ ელოდა და უფრო ამან დააფიქრა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ირაბაული

მონადირის ცდუნება

მე მონადირე თუმცა არა ვარ,
მაინც მთებისკენ მიხმობს ვიღაცა,
გამომადევნებს ჯიხვის ქარავანს
და სავალ ბილიკს კლდეზე მიხაზავს.

მეც ხომ მუხლი მაქვს მთებში ნაცადი
ზვავთა ხმაურში, ქართა ხმაურში,
ჯიხვისთვის სროლა მაინც არ მწადის
და თოფის ლულას უხმოდ დავუშვებ.

მაგრამ მეც მძლია რაღაც ცდუნებამ —
ვესროლე, გულმა ვეღარ გამიძლო,
მოვწყვიტე ჯიხვი მთას და ბუნებას
და გახდა ჩემი ტყვიის სამიზნო.

მოკვდა საბრალო და მიამიტი,
წითლად შეღება მთათა კიდური.
გული დამეწვა და მე ამიტომ
მის წინ დავდექი თავჩაქინდრული.

მერე კისერზე მოვიგდე მყისვე
და გზაზე ფიქრი ვერ მოვიცილე, —
თითქოს მომქონდა საკუთარ კისრით
ჩემგან ჩადენილ ცოდვის სიმძიმე.

წყურვილი გაზაფხულისა

მთიელ მეგობარს

ჩვენ თითქოს ერთად ვიყავით გუშინ
და აკვიფრინდა კვალში ურნატა[1].
ფეხშიშველები ვიდექით ხნულში
და გიშრისფერი ბელტი ბრუნავდა.

მწყობრად მისდევდა გუთანი გუთანს,
რა კარგი იყო კვალის დალოცვა,
სულ გაზაფხული სწყუროდა გულთა
და მიწა თბილი იყო საოცრად;

შევტრფოდით პირველ კვალის გატანას,
ქედანთა ღუღუნს და დაბინდებას,
ცოტა საგზალი, ტყავის მათარა —
ეს იყო ჩვენი ავლადიდება.

წყარონი წმინდა და მწყაზარები
ჩქეფდნენ ჩანჩქრებად დაბნეულები,
ეწაფებოდნენ ამ წყალს ხარები,
შეხსნილი ჰქონდათ აპეურები.

პატარა ხიდი იდო არავზე,
არ მოჰყვებოდა მდინარეს ტივი.
ვუბრუნდებოდით სოფელს შარაგზით
და თან მოგვქონდა სურნელი თივის.

[1] ჩიტია ერთგვარი, სახნავ კვალს დაჰყვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაქრო სამადაშვილი

ჩემი მეზობელი

სხვა რამ ძალაა სიყვარული, მეც ხომ მიყვარდა!
კარპატის მთებში სიყვარულმა ამომიყვანა.

მეგულებოდი აქ და, აჰა, შენი საფლავი...
სახელი დაგრჩა სულ დიდებით დასადაფნავი!

შენი სიკვდილი განა სჯერათ, კვლავ მიგელიან,
ელი, არ მოდის, მაინც ელი... ო, რა ძნელია!

იყავ ალალი, გქონდა რწმენა, მგზნებარე გული,
არ შეუშინდი, მაგრად დასცხე მომხდური ტიალ მტერს.
ცეცხლი არ ჩაქრა შენს კერაზე, მას შენი სული
მარად ლოცვად და სასიკეთოდ თავს დასტრიალებს.

შენს სულში მუდამ მშობლიური ზეცა ბრწყინავდა,
ეტრფოდი მამულს, აკვნის მიწას, ოჯახურ ღადარს.
ტკბილსა და მზიურ საქართველოს მკვიდრს და ბინადარს
ბედის ტრიალმა მიგიჩინა სამარე სადა!

სამაგალითოვ, მოგბაძავენ როგორც პატრიოტს,
გაგაუკვდავა უკვდავ საქმემ, მართალო, მძლავრო,
სანამ აქეთ ვარ, როგორც ქართველს, ვინ მაპატიოს
დროდრო ზრუნვით რომ არ შევეხო შენს საფლავს, ძმაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივან ბუნინი

სუნი

მოსკოვში რომ ჩავედი, ქურდულად ვიქირავე ნომერი არბატის ახლო შესახვევში მიყუჟულ უბრალო სასტუმროში, გამოკეტილი ვცხოვრობდი და გულგადალეული ველოდი ხოლმე მის მოსვლას. ამ დღეების განმავლობაში სულ სამჯერ იყო ჩემთან და ყოველთვის ნაჩქარევად და შემდეგი სიტყვებით შემოდიოდა:

— მე მხოლოდ ერთი წუთით მოვედი...

მოყვარული, აღელვებული ქალისათვის ჩვეული მშვენიერი სიფითრე დაპკრავდა, ხმა უწყდებოდა, და ის ამბავი, რომ ქოლგას სადაც მოხვდებოდა, იქ მიაგდებდა, რადგან ჩქარობდა პირბადე აეწია და გადამხვეოდა, — სიბრალულითა და აღტაცებით შემძრავდა ხოლმე.

— მგონი ეჭვი აქვს, — მეუბნებოდა ის, — თითქოს იცის კიდეც რაღაც; იქნებ გასაღები მოარგო ჩემს მაგიდას და თქვენი რომელიმე წერილი წაიკითხა... მე მგონია, არაფერზე უკან არ დაიხევს, ისეთი სასტიკი და თავმოყვარე ხასიათი აქვს. ერთხელ პირდაპირ მითხრა: „არაფერს მოვერიდები ჩემი სახელის — ქმრისა და ოფიცრის ღირსების დასაცავადო!“. ახლა რატომღაც ყოველ ნაბიჯს პიჩოქავს და ჩვენი გეგმა რომ შესრულდეს, საშინელი სიფრთხილე მმართებს. უკვე ოანახმაა გამიშვას, დავაჯერე, მოვკედები, თუ სამხრეთსა და ზღვას არ ვინახულებ-მეთქი, მაგრამ, ღვთის გულისათვის, მოთმინება იქონიეთ!

თავხედური გეგმა გვქონდა: წავსულიყავით ერთი და იმავე მატარებლით კავკასიაში, ზღვის სანაპიროზე, და სამი-ოთხი კვირა გვეცხოვრა რომელიმე მთლად ველურ ალაგს. მე ვიცნობდი ამ სანაპიროს, ოდესღაც რამდენიმე ხანს სოჭის ახლოს ვცხოვრობდი, — ახალგაზრდა, მარტოკა, — სამუდამოდ დამამახსოვრდა შავ კვიპაროსებს შორის და ცივ, ნაცრისფერ ტალღებთან გატარებული ის საღამოები... და ქალი ფითრდებოდა ხოლმე, როცა ვეუბნებოდი: ახლა კი შენთან ერთად ვიქნები იქ, მთების ჯუნგლებში, ტროპიკულ ზღვასთან-მეთქი. უკანასკნელ წუთამდის არა გვჯეროდა ჩვენი გეგმის განხორციელება, რეტისმეტად დიდ ბედნიერებად გვეჩვენებოდა.

მოსკოვში ცივი წვიმა მოდიოდა, როგორც ჩანდა, ზაფხული უკვე გავიდა და აღარც დაბრუნდებოდა, ტალახი იყო, პირქუში ამინდი, ქუჩები სველად და შავად ბზინავდა გამელეთა გაშლილი ქოლგებითა და ეტლების აწეული, ჭენებისას მოცახცახე ჩარდახებით. სადგურზე რომ მივდიოდი, ბნელი, საძაგელი საღამო იყო და შიშისა და სიცივისაგან გულში რაღაც მეყინებოდა. შლაპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებზე ჩამოვიფხატე და პალტოს საყელოში თავჩარგულმა გადავირბინე სადგური და ბაქანი.

პირველი კლასის პატარა *კუპეში, რომელიც წინასწარ შევუკვეთე, სახურავზე დაცემული წვიმის ხმაური ისმოდა. მაშინვე ჩამოვუშვი ფანჯრის ფარდა*, და როგორც კი ტვირთმზიდავმა სველი ხელი თეთრ წინსაფარზე შეიწმინდა, ნაჩუქარი ფული გამომართვა და გავიდა, კარი გასალებით ჩავკეტე. მერე ფარდა ოდნავ გადავწიე და გავირინდე, თან თვალს არ ვაშორებდი ჭრელ ხალხს, სადგურის ფარნების მიმქრალ შუქზე ბარგით ხელში ვგრონის გასწვრივ რომ მიიჩქაროდა. მასა და მის ქმარს ბაქანზე შემთხვევით რომ არ შევჯახებოდი, დავთქვიფი, მე რაც შეიძლება ადრე მოვსულიყავი, ის კი რაც შეიძლება გვიან. ახლა უკვე მოსული უნდა ყოფილიყვნენ. სულ უფრო და უფრო გაფაცცებთან ვიყურებოდი — ისინი კი არა ჩანდნენ. მეორე ზარი დაჰკრეს — შინისაგან გამაციცა: დაადგიანდა, თუ უკანასკნელ წუთს აღარ გამოუშვა! ამის ვაფიქრება იყო და თვალში მომხვდა ქმრის მაღალი ფიგურა, ოფიცრის კარტუზი, ვიწრო ფარაჯა და ნატის ხელთათმანიანი ხელი, რომელიც ცოლისათვის გაეყარა და ფართოდ მოაბიჯებდა. ფანჯარას მოვწყდი და დივანის კუთხეში დავეცი. მეორე კლასის ვაგონი ვგერდით იყო — წარმოვიდგინე, როგორ საქმიანად შევიდა მასთან ერთად შიგ, მიმოიხედა, კარგად თუ მოაწყო ტვირთმზიდავმაო, ხელთათმანი წაიძრო, კარტუზი მოიხადა, აკოცა, თან პირჯვარი გადასახა... მესამე ზარმა სმენა წამართვა, მატარებლის დაძვრამ კი — გონი... მატარებელი სვლას უმატებდა, ირწეოდა, ირყეოდა, მერე კი თანაბარი სიჩქარით გაიქრა... გამცილებელს, რომელმაც იგი ჩემთან გადმოიყვანა და ბარგი გადმოიტანა, გაყინული ხელით ათმანეთიანი შევაჩეჩე...

რომ შემოვიდა, არც კი უკოცნია, მხოლოდ საბრალოდ გამიღიმა, დივანზე ჩამოჯდა და თმაზე დამაგრებული ქუდის მოხდას შეუდგა.

— სრულებით ვერ შევძელი სადილობა, — მითხრა მან. — მეგონა, ბოლომდე ვერ გავუძლებ ამ საზარელი როლის შესრულებას-მეთქი. საშინლად მწყურია. მომეცი ნარზანი, — პირველად მელაპარაკებოდა „შენობით“, — დარწმუნებული ვარ, უკან გამომყვება. ორი მისამართი მივეცი, გელენჯიკი და გაგრა. და სამი-ოთხი დღის შემდეგ გელენჯიკში გაჩნდება... მაგრამ, ღმერთმა იცოდეს მისი თავი, სიკვდილი სჯობია ამ სატანჯველს...

დილით კორიდორში რომ გამოვედი, იქაურობა მზით იყო სავსე, დახუთული ჰაერი იდგა, საპირფარეშოებიდან საპნის, ოდეკალონისა და დილდილობით სახალხო ვაგონისათვის დამახასიათებელი ყოველგვარი სუნი გამოდიოდა. მტვრით დაფარულ და გამთბარ ფანჯრებს იქით გადაჭიმულიყო გარუჯული სწორი ველი, მოჩანდა ფართო, მტვრიანი გზები, ხარებშებმული ურმები, მიჰქრიდნენ რკინიგზელთა ჯიხურები და მათს ბაღჩებში თავყვითელა მზესუმზირა და წითელი ბალბა... შემდეგ დაიწყო უკიდეგანო შიშველი მინდვრები ყორღანებითა და ძველი საფლავებით, აუტანელი მშრალი მზე, დამტვერილი ღრუბლის მსგავსი ზეცა, მერე პირველი მთების აჩრდილები ჰორიზონტზე...

გელენჯიკიდან და გაგრიდან თითო ღია ბარათი გაუგზავნა ქმარს, წერდა, ჯერ არ ვიცი სად გავჩერდებიო.

მერე სამხრეთისაკენ დავეშვით სანაპიროს გასწვრივ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჩვენ მივაგენით ერთ უდაბურ ადგილს, დაფარულს ჩინარის ტყეებში, აყვავებული ბუჩქნარით, წითელი ხით, მაგნოლიებითა და ბროწეულებით, რომელთა შორისაც აზიდულიყვნენ მარაოსებრი პალმები და ჩამუქებულიყვნენ კეპიპაროსები...

მე ადრე ვიღვიძებდი და სანამ მას ეძინა, ჩაიმდე, რომელსაც შვიდ საათზე შევექეცოდით ხოლმე, გორაკებს მივყვებოდი და უსიერ ტყეში მივდიოდი. მცხუნვარე მზე უკვე ძლიერი, სუფთა და მხიარული იყო. ტყეში ლაჟვარდისფრად ანათებდა, იშლებოდა და ქრებოდა სურნელოვანი ბურუსი, შორეულ ტყიან მწვერვალებს იქით მარად თოვლიანი მთები ქთქათებდა... უკან დაბრუნებისას გამოვიღლიდი ჩვენი სოფლის სიცხისგან გავარვარებულ ბაზარს, რომელიც გაყიდნილი იყო მილებიდან ამოსული დამწვარი წვიას სუნით: გახურებული ვაჭრობა იყო გაჩაღებული, გვერდს ძლივს აუვლიდით ხალხს, მხედრებიან ცხენებსა და ჯორებს, — დილაობით აქ სხვადასხვა ტომის მთიელები ჩამოდიოდნენ, — მოხდენილად დასრიალებდნენ შავ გრძელ ტანსაცმელსა და წითელ ჩუსტებში გამოწყობილი ჩერქეზი ქალები, თავზე რაღაც შავი შემოეხვიათ, და ამ სამგლოვიარო საბურველიდან თვალთა სწრაფ მზერას გამოაციალებდნენ ხოლმე.

მერე მივდიოდით ზღვის პირას, სადაც კაცი არ ჰაჯანებდა, ვბანაობდით და საუზმობამდის მზეზე ვიწექით. საუზმის შემდეგ — საუზმედ სულ ერთთავად შემწვარი თევზი, თეთრი ღვინო, თხილი და ხილი გვქონდა ხოლმე — ჩვენი კრამიტისსახურავიანი ქოხის ცხელ ბინდბუნდში ატანდა დარაბებიდან შემოსული სინათლის მხიარული, მცხუნვარე ზოლები.

როცა სიცხე დაიკლებდა და ფანჯარას გავაღებდით, ზღვის ერთ ნაწილს, ჩვენს ქვემოთ, ფერდობზე მდგარ კეპიპაროსთა შორის ისე სწრაფად და მშვიდად რომ ჩანდა, ფერი იას მიუგავდა და ისე სწრაფად და მშვიდად გართხმულიყო, რტყოდით, ამ სილამაზეს და სიმშვიდეს დასასრული არასოდეს ექნებაო.

ხშირად დაისზე ზღვის იქით საოცარი ღრუბლები შეიყრებოდნენ; ისე დიდებულად გიზგიზებდნენ, რომ ხანდახან ტახტზე წამოწვებოდა, სახეზე დოლბანდის შარფს გადაიფარებდა და ატირდებოდა: კიდევ ორი-სამი კვირაც — ისევ მოსკოვი!

თბილი და უკუნი ღამეები იყო, შავ წყვდიადში დაცურავდნენ, ციმციმებდნენ, ტოპაზოინისფრად ანათებდნენ ციცინათელები, მინის ზანზალაკებს აჟღარუნებდნენ ვასაკები. როცა თვალი სიბნელეს ეჩვეოდა, ზევით ვარსკვლავები და მთის ქოჩრები ჩნდებოდა, სოფლის თავზე იკვეთებოდა ხეები, რომელთაც დღისით ვერ ვამჩნევდით. და მთელი ღამე სოფლის დუქნიდან ისმოდა დოლის ყრუ ბრახუნი და თითქოს სულ ერთი და იმავე გაუთავებელი სიმღერის ყრუ, სევდიანი, უიმედოდ ბედნიერი ღრიალი.

ჩვენს ახლოს, ზღვისპირა ხევში, რომელიც ტყიდან ზღვისკენ ეშვებოდა, კენწებით მოფენილ კალაპოტში სწრაფად მოხტოდა პაწია, გამჭვირვალე წყარო. რა საუცხოოდ იფანტებოდა, ქაფქაფებდა მისი ელვარება იმ იდუმალ ჟამს, როცა მთებსა და ტყეებს გადაღმიდან, ვით რაღაც გასაოცარი არსება, ჩაცივებით იმზირებოდა გვიანი მთვარე!

ხანდახან ღამღამობით მთებიდან დაიძვროდა საზარი ქარიშხალი, სამარესავით შავ, ხმაურიან ტყეებში წამდაუწუმ განიხვნებოდა ჯადოსნური მწვანე უფსკრულები და ზეცის სიღრმეში იმსხვრეოდა წარღვნისდროინდელი ჭექ-ქუხილი. მაშინ ტყეებში იღვიძებდნენ და ჩხაოდნენ არწივის მართვენი, ღრიალებდა ვეფხვი, ღნაოდნენ ტურები... ერთხელ ჩვენს განათებულ ფანჯარას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწყდა მათი ხროვა — ასეთ ღამეებში ისინი ყოველთვის საცხოვრებელ ბინას მიაშურებენ ხოლმე, — ჩვენ ფანჯარა გავაღეთ და ზევიდან დავეუწყეთ ყურება, ისინი კი იდგნენ მოელვარე ნიაღვარში და წკავწკავებდნენ, შემოშვებას გვთხოვდნენ... ქალი უყურებდა მათ და სიხარულით ტიროდა...

ქმარმა ეძება ის გელენჯიკში, გაგრაში, სოჭში. სოჭში ჩამოსვლის მეორე დღეს დილით ზღვაში იბანავა, მერე პირი გაიპარსა, სუფთა თეთრეული და ქათქათა კიტელი ჩაიცვა, თავისი სასტუმროს ტერასაზე ისაუზმა, ერთი ბოთლი შამპანური და შარტრეზიანი ყავა დალია, აუჩქარებლად მოსწია სიგარა. ნომერში დაბრუნდა, დივანზე დაწვა და ორი რევოლვერი დაიხალა საფეთქლებში.

თარგმნა **ნანული ცაგარეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაინრიხ ჰაინე

[illegible]

(ორი თავი მეორე ციკლიდან)

სალამი ზღვისადმი

თალატა! თალატა!
სალამი შენდა, ზღვაო ლაღო, მარადიულო,
ათიათასჯერ გესალმები
მხიარულ გულით, —
როგორც ოდესღაც აღტაცებით გიძღვნიდა სალამს
ათიათასი ბერძნის გული,
ბრძოლით გზნებული,
ჭირში მებრძოლი, მშობელ მხარეს დანატრებული.
ბერძენთა გული, მსოფლიოში ყველგან განთქმული!
ბორგავდნენ ზვირთნი, მძვინვარებდნენ
და გუგუნებდნენ,
ელვის სისწრაფით მზე აფრქვევდა
ვარდისფერ სხივებს,
ზორს მიფრინავდა შემზარავი ხრიალ-ყრანტალით
შიშით დამფრთხალი თოლიების გუნდი ფრთამალი.
სცემდნენ მერნები მაგარ ფლოქვებს და გაისმოდა
ფართა ქოარუნი, გამარჯვების ყიჟინი მძლევი:
თალატა, თალატა!

სალამი შენდა ზღვაო ლაღო, მარადიულო!
მე შენს შრიალში მშობლიური კილო მომესმის.
აბობოქრებულ შენს ტალღათა ლივლივში ვხედავ
ჩემი ბავშვობის მოელვარე სიზმართა ლანდებს;
და მოგონებით ჩემს წინაშე კვლავ ცოცხლდებიან
უსაყვარლესი ჩემი ყრმობის სათამაშონი,
და საშობაო საჩუქრები, ნაირ-ფერადნი,
მარგალიტები, ოქროს თევზნი და ნიჟარები,
შენ რომ ინახავ საიდუმლოდ, ო, ზღვაო, ლაღო,
შენს სიღრმეებში გაბრწყინვებულ ბროლის კოშკებში.

ო, მზეუდაბურ უცხოეთში კვდებოდა გული!
იგი ჭკნებოდა მკერდში ისე, როგორც ყვავილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოტანიკოსის ბნელ კოლოფში მოთავსებული.
თითქოს ვიყავი ჩაკეტილი, მთელი ზამთარი,
საავადმყოფოს ბნელ საკაწში სასომიხდილი,
და დღეს დავტოვე ეს დილეგი მოულოდნელად.
ახლა დამნათის მომხიბვლელი შუქთა არილი,
მზისგან გზნებული ზურმუხტოვან გაზაფხულისა;
თეთრყვავილოვან ხეთა შრიალს ვისმენ საამოს,
ნორჩი ყვავილნი სიხარულით შემომცქერიან.
ჭრელი თვალებით სანეტაროს აფრქვევენ სურნელს,
ლაღი ბუნება სიხალისით სუნთქავს, გუგუნებს,
ლურჯ სივრცეებში ჩიტუნები გალობენ ტკბილად.
თალატა! თალატა!

ო, ჩემო გულო, უშიშარო უკუქცევამიც!
რარიგ გტანჯავდნენ შენ ასულნი ჩრდილოეთისა,
რა ხშირად გჩხვლეტდნენ ბარბაროსულ ულმობელობით—
ცეცხლით მგზნებარე, ძლევამოსილ დიდ თვალებიდან
ისროდნენ ისრებს, მოგიზგიზე ალით გამკვეთელს.
მემუქრებოდნენ ულმობელად გაპობას მკერდის
თავბრუდამხვევი მძაფრ სიტყვათა მრუდე მახვილით.
ბეჩავი თავი, რეტდასხმული, გაოგნებული
გამომიჭედეს, დამიმძიმეს ლურსმულ წერილით.
ამაოდ მეპყრა მათ წინაშე ჩემი ფარხმალი.
მჩხვლეტდნენ ისრები, დარტყმათ ჟღერა ისმოდა ირგვლივ,
და ჩრდილოელი ბარბაროსი ქალებისაგან
გავხდი ძლეული, განდეგილი ზღვის ნაპირისკენ,
ახლა ზღვასთან ვარ, თავისუფლად ვსუნთქავ მის ჰაერს,
და ვესალმები საყვარელ ზღვას, მხსნელსა და მფარველს.
თალატა! თალატა!

ჭექა-ქუხილი

ზღვას ეუფლება შემზარავი ჭექა-ქუხილი,
შავ ღრუბელთა მთებს დაკბილული
ელვა სწვავს, კვეთავს,
სწრაფად იელვებს და სწრაფადვე ჰქრება სივრცეში,
როგორც ნაკვესი კრონიონის თავით ფრქვეული.
აბობოქრებულ წყალზე ზათქით
გრიალებს მეხი.

ლაღად დახტიან თეთრ ტალღათა მარდი მერნები,
მძლე ბორეასის თეთრი რაშნი, დაბადებულნი
ერისთეოსის მომხიბვლელი ფაშატებისგან.
დაჰფრენენ ზანტად ზღვის ფრინველნი, შიშით დამფრთხალნი,
ვით მზარავ სტიქსზე გვამთა ლანდნი, ქარონის ნავით
შორს მიმავალნი იავარად უდაბურ ღამით.

საბრალო ნავი, პაწაწინა, რა მამაცურად
წინ მიიჩქარის; მიქანაობს ბედითი ცეკვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარს ეხვევიან ეოლოსის მარდი ჭაბუკნი,
უვლიან ფერხულს ველურ ყინით აღტყინებულნი.
ერთი სტვენს მძიმედ, მეორე კი უბერავს მძაფრად,
მესამე თითქოს ბანს ამბობსო, ყრუდ დაჰგუგუნებს.
საჭესთან მდგომი მობარბაცე ბოცმანი შიშით
დასცქერის კომპასს:
მთრთოლვარე ხელს საბრალო გემის.
ხელებს აღაპყრობს ზეცისაკენ და ევედრება:
— ო, დამიხსენი, მეომარო გმირო კასტორო,
მუშტით მებრძოლო პოლიდეკო, შენც მომეხმარე!

გერმანულიდან თარგმნა
ხარიტონ ვარდოშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავგუსტ სტრინდბერგი

სიყვარული და ბედი

როცა გუსტავ ფალკმა, მრჩევლის ახალგაზრდა თანაშემწემ, საზეიმოდ სთხოვა ლუიზას მამას მისი ქალიშვილის ხელი, მოხუცმა ჯენტლმენმა მაშინვე ჰკითხა:

— რამდენს იღებთ?

— თვეში ას კრონზე მეტს არა, მაგრამ ლუიზა...

— კმარა! — შეაწყვეტინა ფალკს სასიმამრომ. — ცოტა გქონიათ.

— ო, მაგრამ მე და ლუიზას ისე გვიყვარს ერთმანეთი, ჩვენ ისე გვწამს ერთმანეთისა!

— შეიძლება, მაგრამ ერთი ეს მითხარი, ათას ორასი კრონი თქვენი მთელი წლიური შემოსავალია?

— ჩვენ ერთმანეთი ლიდინგოში გავიცანით.

— ჯამაგირის გარდა კიდევ თუ გაქვთ რაიმე შემოსავალი? — არ ეშვებოდა ლუიზას მშობელი.

— დიახ, ჰო. მე მგონი არ გაგვიჭირდება და მერე ჩვენი სიყვარული...

— დიახ, რასაკვირველია, მაგრ.მ აბა ერთი, ვიანგარიშოთ.

— ოჰ, — მიუგო აღტაცებულმა ხელისმთხოვნელმა. — მე შემიძლია ზედმეტი სამუშაოთი საკმარისი ავიღო.

— რა სამუშაოთი და რამდენი?

— შემიძლია ფრანგული ენა ვასწავლო და თარგმანსაც მოვკიდო ხელი, შემიძლია კორექტორობაც.

— რამდენის თარგმნა შეგიძლიათ? — ჰკითხა ფინანსმომარჯვებულმა მოხუცმა.

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ დღესდღეობით ერთ ფრანგულ წიგნს ვთარგმნი, ნახევარ თაბახს ათ კრონად.

— სულ რამდენი თაბახია?

— ოცდაოთხამდე იქნება.

— კეთილი და პატიოსანი. ესეც ორას ორმოცი. სხვა?

— ოჰ, არ ვიცი, ცოტა არ იყოს სხვაში დარწმუნებული არა ვარ.

— რაო, დარწმუნებული არა ხართ და ცოლის თხოვას აპირებთ? გეტყობათ ქორწინებაზე უცნაური შეხედულება გქონიათ, ყმაწვილო! არა ფიქრობთ, რომ ბავშვები გაგიჩნდებათ და მათ სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა და აღზრდა დასჭირდებათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ შეიძლება ბავშვები ასე მალე არ გაგვიჩნდნენ, — შეესიტყვა ფალკი, — და მე და ლუიზას ისე გვიყვარს ერთმანეთი, რომ...

— რომ შეიძლება სავსებით დაბეჯითებით ვიწინასწარმეტყველოთ ბავშვების გაჩენა, — მერე ლუიზას მამა მოლბა და განაგრძო: — როგორც ვხედავ, ორივეს შეუღლება გადაგიწყვეტიათ და ეჭვი არ მეპარება, რომ ერთმანეთი ჭეშმარიტად გიყვართ. მგონი ბოლოს და ბოლოს თანხმობა უნდა მოგცეთ. მხოლოდ კარგად გამოიყენეთ ქორწინებამდე დარჩენილი დრო და შემოსავალი გაზარდეთ.

ამის გაგონებაზე ახალგაზრდა ფალკს სიხარულის ალმური მოედო და მოხუცს საჯაროდ ხელზე ეამბორა. ღმერთო, რა ბედნიერნი იყვნენ ისიც და მისი ლუიზაც! რა სიამაყით გავიდნენ პირველად სასეირნოდ მკლავგაყრილნი, როგორ ამჩნევდა ყველა ამ დანიშნულთა შუქმფინარ ბედნიერებას.

საღამოობით ფალკი ლუიზას სანახავად მიდიოდა და თან საკორექტორო სამუშაო მოჰქონდა ხოლმე, რაც სასიამამროზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა და მუყაოთ ყმაწვილს საცოლის კოცნას უმსახურებდა.

ერთხელ თეატრშიც წავიდნენ და შინ კუბით დაბრუნდნენ. იმსაღამომდელი სიამოვნება სულ ათი კრონი დაუჯდათ. შემდეგ, რამდენჯერმე, გაკვეთილების მიცემის ნაცვლად ფალკმა საცოლე სასეირნოდ წაიყვანა.

რადგან ქორწილის დღე უკვე კარს იყო მომდგარი, ბინის მოსაწყობად აუცილებელი ნივთების შეძენაზე უნდა ეფიქრათ. იყიდეს კაკლის ხის ორი ლამაზი საწოლი ჩინებული რბილი ლეიბებით და ზღვის იხვის ბუმბულის ნაზი, დალიანდაგებული საბნებით — ლუიზასთვის ლურჯი ფერისა, რადგანაც თავად ქერათმიანი იყო. რასაკვირველია, შეიარეს სოჯახო ნივთების მაღაზიაშიც, სადაც აირჩიეს წითელ შუქფარიანი ლამპა, ვენერას ჩინებული ფაიფურის ქანდაკება, დანა-ჩანგალი და შესანიშნავი ჭიქები; სამზარეულოს ჭურჭლეულობაც დედიკოს წყალობითა და დახმარებით ამოარჩიეს. მრჩევლის თანაშემწეს ცხელი დღე ადგა — ოთახისა და მუშების საძებნელად დარბოდა, თვალყურს ადევნებდა, რომ მთელი ავეჯი ერთად თავმოყრილი ყოფილიყო, წერდა ქვითრებს და რას აღარ აკეთებდა.

— ცხადია, ასეთ ყოფაში გუსტავი გარეშე სამუშაოს ვეღარ მოკიდებდა ხელს, მაგრამ როგორც კი დაქორწინდნენ, ამ საქმეს იოლად შემოუვლიდა. ორივენი მეტისმეტად მომჭირნეობას აპირებდნენ — ორ ოთახზე მეტს არ დაიქირავებდნენ; დიდ ბინაზე უკეთ ხომ პატარა ბინას მოაწყობდნენ! ეს კრონად პირველ სართულზე დაიქირავეს ოროთახიანი ბინა თავისი სამზარეულოთი და საკუჭნაოთი; ლუიზამ კი თქვა, ზემო სართულზე სამოთახიანი ბინა მერჩივნაო, მაგრამ ამასაც ამა რა უშავდა, განა ერთმანეთი ჭეშმარიტად არ უყვარდათ?!

ოთახებიც მოაწყეს. პატარა ოთახი ძალზე წაიგავდა საკურთხეველს, სადაც ორი საწოლი იდგა ერთმანეთის გვერდით, ვით ცხოვრებაში სამოგზაუროდ გამზადებული ორი ეტლი. ლურჯ, დალიანდაგებულ საბანს, გაქთქთქთებულ ზეწრებს, ბალიშისპირებს, რომლებზე ამოქარგული მათი ინიციალებიც შეყვარებულებივით ჩაჰკვროდნენ ერთმანეთს — ყველაფერს ნათელი და მხიარული ელერი დაჰკრავდა. მეორე ოთახში, რომელიც სასტუმროც იყო, სასადილოც და კაბინეტიც, იდგა ათას ორას კრონად ღირებული პიანინო; აქვე იდგა კაკლის ხის დიდი საწერი მაგიდა და სასადილო მაგიდა შესაფერი სკამებით. მოოქროვილჩარჩოიანი დიდი სარკე, დივანი და წიგნების კარადა ოთახს სიმყუდროვეს ანიჭებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორწილი შაბათ საღამოს გადაიხადეს და ბედნიერმა ახალგაზრდა წყვილმა კვირას გვიანობამდე ძინეს. პირველი გუსტავი ადგა და თუმცა მზის ნათელი სხივები ფარდებში იფრქვეოდა, ფანჯარა არ გააღო, მან ანთო წითელსაფარიანი ლამპა, რომელმაც უცნაური ვარდისფერი სხივები მიაფრქვია ფაიფურის ვენერას. ახალგაზრდა ლამაზი ცოლი მოთენთილი და ნასიამოვნები იწვა, ტკბილად ეძინა, რადგან კვირა დღე იყო და იგი არ გაუღვიძებია დილადრიანი ბაზრისაკენ მიმავალი ურმების რახრახს. ეკლესიის ზარები მხიარულად რეკდნენ, თითქოს მამაკაცისა და ქალის შექმნას დღესასწაულობენო.

ვიდრე გუსტავი თეჯირის უკან ტანთ იცვამდა, ლუიზამ გვერდი იცვალა. გუსტავი სამზარეულოში გავიდა. რა თვალისმომჭრელად კრიალებდა და ბრჭყვიალებდა ჭურჭელი, და ეს ყველაფერი მისი და ლუიზასი იყო. მზრუნველს უთხრა, მეზობელ რესტორანში წადით და უთხარით, საუზმე გამოგვიგზავნონო; რესტორნის პატრონს უკვე სცოდნოდა, გუსტავს წინა დღით ეთქვა, ახალი მხოლოდ საჭირო იყო გაეხსენებინათ მისთვის, საუზმის დრომ მოატანაო.

გუსტავი საწოლი ოთახისკენ მიდის და ფრთხილად აკაკუნებს:

— შეიძლება შემოვიდე?

კისკისი მოისმის. მერე კი:

— არა, საყვარელო, ცოტა მოიცადე!

გუსტავი თვითონ შლის მაგიდას. ამასობაში რესტორნიდან საუზმეც მოაქვთ — ახალთახალი თეფშები, დანა-ჩანგალი და ჭიქები აწყვია გაქთქვეთებულ სუფრაზე; ოთახში შემოსულ ლუიზას, რომელსაც მოქარგული ხალათი აცვია, მზის სხივები ეგებებიან; საქორწინო თაიგული მაგიდის თავში დევს. ლუიზა მოთენთილია. გუსტავი მას სავარძელში სვამს და მაგიდასთან მიაგორებს. ერთ ორ ყლუპ ლიქიორს ლუიზა გუნებაზე მოჰყავს, ხიზილალას კი მადაზე. ნეტავი რას იტყოდა დედა, რომ დაეხახა ლუიზა ლიქიორს სვამსო? მაგრამ გათხოვების უპირატესობაც სწორედ ესაა — რასაც გინდა, იმას გაკეთებ.

ახალგაზრდა ქმარი გულისყურით თავს დასტრიალებს თავის მშვენიერ ცოლს. მართლაც და რა სიამის მგვრელია! რა თქმა უნდა, წინათაც, უცოლობისასაც უგემნია გემრიელი საუზმე, მაგრამ ოდესმე განა რაიმე კმაყოფილება ვანუცდია? არასოდეს! ამას ფიქრობს გუსტავი, როცა ხამანწკასა და ლუდს შეექცევა. რა გამოთაყვანებულები არიან ეს მარტოხელები, ცოლს რომ არ ირთავენ! და თან რა ეგოისტები! მათზეც უნდა შემოიღო გადასახადი, აი ისე, როგორც ძაღლებზეა. ლუიზა უფრო ლმობიერია და თავშეკავებით და ნაზად ამბობს: საბრალო ახალგაზრდები, რომლებიც მარტოხელა ცხოვრებას არჩევენ. შეცოდების ღირსნი არიანო. უეჭველია, ცოლის შერთვა რომ შეეძლოთ, შეირთავენ კიდეცო, — ფიქრობს იგი. გუსტავი ცოტა არ იყოს უხერხულობას განიცდის — მართლაც, ბედნიერება ფულით ხომ არ იზომება. არა, რასაკვირველია, არა, მაგრამ არა ღირს ამაზე ფიქრი. მალე სამუშაო თავზესაყრელი ექნება და ყველაფერი აეწყობა. ახლა კი აი ეს საწებლიანი შემწვარი კაკაბი და ბურგუნდიული ვიგემოთ. ეს ფუფუნება ჩინებულ ოქროსფხალასთან ერთად ახალგაზრდა ცოლს ერთი წუთით შიშსა ჰგვრის და მორიდებით ეკითხება გუსტავს, ასე ხელგაშლილ ცხოვრებას განა შეეძლებთო?

გუსტავი კი თავის ლამაზ ცოლს კვლავ ღვინით უვსებს ჭიქას, ამხნევებს და ამ უსაფუძვლო შიშს უქარწყლებს. ერთი დღე ხომ მთელი სიცოცხლე არ არის — ამბობს იგი — და ადამიანი მაშინ უნდა დატკბეს ცხოვრებით, როცა შეუძლია. ოჰ! რა მშვენერია სიცოცხლე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვს სააზზე ჩინებული ორცხენიანი ეტლი მოსრიალებს ჭიშკართან ახალდაქორწინებულები სასეირნოდ მიდიან. ლუიზას ხიბლავს პარკში ეტლით სრიალი, მაშინ, როცა ფეხით მოსეირნე ნაცნობებს ხვდებიან, რომლებიც გაკვირვებითა და შურით ესალმებიან. „ბრჩევლის თანაშემწე მართლაც რომ იღბლიანად დაქორწინდა, — ფიქრობენ ალბათ ისინი, — ფულიანი ქალი ჩაიგდო ხელში. ჩვენ საცოდავები კი ფეხით ვსეირნობთ, რაოდენ უფრო სასიამოვნოა ეტლით სეირნობა ამ რბილ ბალიშებზე ნებივრად გადაწოლილთათვის. ცოლქმრული ცხოვრებაც ამას ჰქვია!“

პირველი თვე გაუთავებელი დროსტარების თვე იყო — მეჯლისები, წვეულებები, სადილ-ვახშმობა, თეატრები, მაგრამ რა საამური განცდის მმგვრელი იყო ლუიზას წამოყვანა მშობლების სახლიდან ღიმით; მათ საკუთარ ჭერქვეშ თავის ნებაზე ყოფნის საშუალება მიეცათ. შინ მოვიდნენ თუ არა, ვახშამი მოამზადეს და მერე გვიანობამდე ისაუბრეს. გუსტავი სულმთლად მომქირნობის მომხრე იყო — სიტყვით, რასაკვირველია. ერთ დღეს პატარძალმა და სახლის მნემ სადილად შებოლილი ორაგული და მოხარშული კარტოფილი მოამზადეს. მერე როგორ შეკამზეს. მაგრამ გუსტავმა ცხვირი აიწია. მეორედაც, როცა ისევ შებოლილი ორაგული და მოხარშული კარტოფილი მოამზადეს, გუსტავმა ორი კაკაბი მოიტანა. ეს კაკბები ბაზარზე ეყიდა ერთ კრნინდ და თავი მოიწონა. კარგად ვივეჭრეო. ლუიზამ კი არ მოუწონა, ადრე მას კაკბები უფრო იაფად ეყიდა. ესეც არ იყოს, ფრინველის ხორცი ძალიან ძვირი ჯდებოდა. მაგრამ არა ღირდა ამისთანა უბრალო რამეზე ქმართან დავა.

რამდენიმე თვის შემდეგ ლუიზა ფალკს რაღაც ავადმყოფობა დასჩემდა. იქნებ გაცივდა? იქნებ ბურჭლისგან მოიწამლა? ექიმმა არხეინად გაიცინა და თქვა, არაფერიაო.

მართლაც რომ უცნაური დიაგნოზი იყო, მაშინ როცა ახალგაზრდა ქალი სერიოზულად ავადმყოფობდა. იქნებ შპალერში დარიშხანი იყო? ფალკმა შპალერის ნახევი მეფფთიაქეს წაუღო და თხოვა, შეამოწმეო. მეაფთიაქემ დაადგინა, შპალერი არავითარ მავნე ნივთიერებას არ შეიცავსო.

რადგან ლუიზას ავადმყოფობამ ხელი არ შეუშვა, მისი მკურნალობა გუსტავმა ითავა. ლუიზამ ფეხის თბილი აბაზანები მიიღო და ერთ თვეში თითქმის სულმთლად გამოკეთდა. ეს მოულოდნელად მოხდა — უფრო ადრე, ვიდრე ორივეს ეგონათ. მაგრამ მაინც რა კარგი იყო მამიკოდ და დედიკოდ გახდომა! რა თქმა უნდა, ბიჭი ეყოლებათ; ახლა იმაზე უნდა იფიქრონ, თუ რა დაარქვან. ამასობაში ლუიზამ ქმარი ცალკე გაიხმო და მოაგონა, ქორწინების შემდეგ ხელი აღარ გაგინძრეგია და არაფერი მიგიმატებია ისედაც მცირე ჯამაგრისთვისო. მერე რა; მართალია, ხელგაშლილად ცხოვრობენ, მაგრამ ახლა საქმე შეტრიალდებოდა და ყველაფერი კარგად წარიმართებოდა.

მეორე დღეს ბრჩევლის თანაშემწე თავის გულთამდ მეგობარ ვექილს ეწვია და თხოვა, თამასუქზე ხელი მომიწერეო. ამით იგი შეძლებდა სესხად აეღო ფული, რაც დასჭირდებოდა აუცილებელი ხარჯებისათვის — ასე განუმარტა ფალკმ თავის მეგობარს. — დიახ, — კვერი დაუკრა სამართლის მსახურმა. — ცოლის შერთვა და ოჯახის შექმნა ძალზე ძვირი საქმეა, მე ჯერაც ვერ გამიბედნიაო. ფალკს შერცხვა ბევრი ხვეწნისა და როცა შინ ცარიელ-ტარიელი დაბრუნდა, ამბავი დაახვედრეს, ვიღაც ორი უცნობი იყო და შენ გიკითხესო. გუსტავმა იფიქრა, ჩემი მეგობარი ლეიტენანტები იქნებოდნენ ვაქსპოლმის გარნიზონიდანო, მაგრამ უთხრეს: ლეიტენანტები არ შეიძლება ყოფილიყვნენ, კარგა ხანშესულები იყვნენო. ოჰ, მაშ ჩემი უფსალული ნაცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები თუ იყვნენ, ალბათ გაიგეს ჩემი დაქორწინების ამბავი და სანახაღად მოვიდნენო. მოახლეს მიუგო, უფსალელები კი არა, სტოკჰოლმელები იყვნენ, ხელთ ჯოხი ეჭირათო. მართლაც რომ საკვირველი იყო, მაგრამ, უეჭველია, ისევ მოაკითხავდნენ.

მერე ახალგაზრდა ქმარი ისევ ბაზარში წავიდა და მარწყვი მოიტანა, რა საკვირველია, იაფად.

— ნახე, — საიმაყოთ მიმართა ცოლს, — ერთი პინტი ამისთანა მარწყვი კრონანახევრად და ისიც ამ დროს!

— ჰო, მაგრამ, გუსტავ, საყვარელო, ჩვენ საიდან შეგვიძლია?

— დარდი ნუ გაქვს, სულიკო, ზედმეტი სამუშაო ვიშოვნე.

— მერე, ვალები?

— ვალები? მერე რა, ახალ დიდ სესხს ავიღებ და სულერთიანად გავისტუმრებ.

— ოჰ, — არ მოეწონა ლუიზას, — ისევ ვალი?

— მერე რა, ამით ცოტა სულს მოვითქვამთ. მაგრამ ღირს განა ლაპარაკი ამნაირ არასასიამოვნო რამეზე? რას იტყვი, ამ მარწყვს ერთი ჭიქა ხერესი არ მოუხდება?

და მოახლეს ერთი ბოთლი, რასაკვირველია, საუკეთესო ხერესი მოატანინა.

იმ დღეს ლუიზამ ძილის შემდეგ, ნაშუადღევს, კვლავ სიტყვა ვალებზე ჩამოაგდო. იმედი ჰქონდა, გუსტავი არ გაბრაზდებოდა. გაბრაზდებოდა? რა თქმა უნდა, არა! რა უნდა ეთქვა? განა ფული უნდა ეთხოვა!

— ბაყალის ვალი არ გაგვისტუმრებია, ყასაბი იმუქრება, მეჯინიბეც თავისას თხოულობს, — აუწყა ლუიზამ.

— მეტი არაფერი? — მიუგო მრჩევლის თანაშემწემ. — ხვალ ყველას ერთად კაპიკ-კაპიკ ჩავასესხებ. მაგრამ მოდი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ; რას იტყოდი პარკში ეტლით გასეირნებაზე? ეტლით არ გინდა? მაშ ტრამვაით წავიდეთ.

ბოლოს ის მოვლენებით აღსავსე დღეც დგება. გუსტავმა ძიძა უნდა დაიჭიროს და მაშინაც კი, როცა თავისი ჩვილი გოგონა ხელთა ჰყავს, ეძახიან, რომ მოვალენი დაწყნაროს. ეს მდგომარეობა მძიმე ტვირთად აწევს და ლამის არის წელში გაწყდეს. მართალია, სათარგმნელ სამუშაოს შოულობს, მაგრამ რა უნდა გააკეთოს, როცა იძულებულია წამდაუწუმ აქეთ-იქით ირბინოს. ასეთ ყოფაში იგი თავის სიმამრს თხოვს შველას. მოხუცი ჯენტლმენი მას ცივად იღებს.

— ამჯერად დაგეხმარები, მაგრამ მერე აღარ. ჩემდათავადაც ბევრი არაფერი გამაჩნია და შენს მეტი სხვაცა მყავს.

ლუიზას რჩეული საჭმელი სჭირდება, წიწილები და საუკეთესო ღვინო. ძიძასაც ფული უნდა. საბედნიეროდ ფალკის ცოლი მალე ისევ ფეხზეა. იგი ისევ ტანწერწეტა გოგონაა. ფერმკრთალობაც ძალიან უხდება; მაგრამ ლუიზას შამა თავის სიძეს სერიოზულად ეუბნება:

— გეთაყვა, ბავშვი მეტი აღარ იყოლიო, თუ არ გინდა სულმთლად დაიქცე.

ერთხანს ფალკის ოჯახს ასულდგმულებდა სიყვარული და მზარდი ვალები, მაგრამ ერთ დღესაც კოტრობამ მიუკაკუნა კარზე, რასაც ქონების კონფისკაციის სუნი უდიოდა. მერე მოხუცი მოვიდა და თან წაიყვანა ლუიზა და შვილიშვილი; როცა ეტლი დაიძრა, მან გულისტკივილით გაიფიქრა, ჩემი ქალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი ვიღაც ახალგაზრდას ვათხოვე და ახლა შერცხვენილი უკან მიმყავსო. ლუიზა სიამოვნებით დარჩებოდა გუსტავთან, მაგრამ საარსებო რომ არაფერი ებადა?!.

საკუთარი თვალით დაინახა, თუ სასამართლოს აღმასრულებლებმა, აი იმ ორმა კაცმა, ხელთ ჯოხი რომ ეჭირათ, როგორ წაიღეს ბინიდან ყველაფერი: ავეჯი, საბნები, ლეიბები, ბალიშისპირები, ზეწრები, ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, და ცარიელი კედლებიდა ატოვეს.

გუსტავისათვის ახლა დაიწყო ნამდვილი ცხოვრება. მან მოახერხა კორექტორის ადგილის შოვნა დილის გაზეთში და ამიტომაც ყოველ ღამე საათობით უჯდა მაგიდას. რადგან მისი გაკოტრება საჯაროდ არ იქნა გამოცხადებული, ნება დართეს სახელმწიფო სამსახურში თავისი ადგილის შენარჩუნებისა, თუმცა რაიმე დაწინაურებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მისმა სიმამრმა ლმობიერება გამოიჩინა და ნება მისცა კვირაობით მოენახულებინა ცოლ-შვილი, ოღონდ მათთან მარტო ყოფნა სასტიკად აუკრძალა. როცა საღამოს რედაქციაში მიდიოდა, ცოლ-შვილი ჭიშკრამდე აცილებდა და იგი სულიერად დაბეჩავებული ემშვიდობებოდა მათ. ალბათ ოცი წელიწადი მოუნდებოდა მთელი ვალების გადახდას; და მერე, მერე კი რა? შეძლებდა ცოლ-შვილის რჩენას? ვერა, ალბათ ვერა. ამასობაში სიმამრი რომ მოკვდომოდა, ცოლ-შვილი უსახლკაროდ დაურჩებოდა. ასე რომ მადლობელიც კი უნდა ყოფილიყო გულქვა მოხუცისა, ვინც ასე შეუბრალებლად გაჰყარა ისინი.

ოჰ! ალბათ ადამიანის ცხოვრება მართლაც ძნიმეა და ულმობელი. ჭეცები იოლად შოულობენ სარჩოს, და ყველა სულდგმულთაგან მხოლოდ ადამიანმა უნდა ღვაროს ოფლი და ციბრუტივით იტრიალოს! სირცხვილია, დიახ, სირცხვილია, რომ ამ ცხოვრებაში ყველას მუქთად არ ერგება კაკბები და მარწყვი.

ინგლისურიდან თარგმნა
ანდრო ბახოკიძემ

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

შარშან ამერიკელი გამოფენა ვინახულე მოსკოვში, ამის შესახებ წერილიც გამოვაქვეყნე „ლიტერატურულ გაზეთში“. გამოფენამ ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა და ეს გულახდილად ვაღიარე.

რა მომწონა მე ამ გამოფენაზე — ეწერდა წერილის დასასრულს — გიგანტური არყის ხეები, რომლებიც ჩამწკრივებულია სოკოლნიკის პარკის ხეივნის გასწვრივ-მეთქი.

როგორაო, უთქვამს ზოგიერთ გულუბრყვილო მკითხველს, რომელთაც ეს ჩემი სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გიგიგია, განა აკაკი ბელიაშვილმა პირველად ნახა თავის სიცოცხლეში სოკოლნიკის პარკის არყის ხეები, რომ მხოლოდ ის მოეწონა, ამერიკის გამოფენაზე კი ღირსშესანიშნავი ვერაფერი შეამჩნიაო?

ცხადია, ვერ გამიგეს. მე იმას კი არ ვამბობდი, რომ ამერიკის გამოფენაზე ვერაფერი შეამჩნიე ღირსშესანიშნავი, ასეთი რამ მათ არც თუ ისე ცოტა ჰქონდათ და ეს კიდეც აღენიშნე წერილში, მაგრამ ამ სიტყვებით მინდოდა მეთქვა, რომ მე ბენებრივ პირობებში წარმოშობილ დიად სილამაზეს მეტ პატივს ვცემ, ვიდრე საჭირხნო წესით დამზადებულ და ღამაზი ეთიკეტებით კოხტა ყუთებში ჩაწყობილ მშვენიერებას-მეთქი.

ამ გამოფენით დანახულმა ამერიკამ ჩემზე, და სერთოდ ძალიან ბევრ მნახველზე, ვერ დასტოვა ის შთაბეჭდილება, რომელსაც მოველოდით.

ახლა კი, სწორედ ერთი წლის შემდეგ, საშუალება მომეცა ამერიკა მთელი სიგრძე-სიგანით მომეველო, მენახა და დამეთვალიერებინა მისი უდიდესი ქალაქები—ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, ჩიკაგო და ლოს-ანჯელესი, მენახა მათი ღირსშესანიშნავი ადგილები, მუზეუმები, თეატრები, კინოფილმები და, ცხადზე ცხადია, ნამდვილი ამერიკა სულაც არ იყო წარმოდგენილი მოსკოვის გამოფენაზე მთელი თავისი აკეთა და კარგით, მთელი თავისი სიდიადით და გრანდიოზულობით, წარმოუდგენელი სისუფთავით და ამავე დროს პარადოქსული სიბინძურით.

ყოველივე ამის შესახებ მინდა ვუთხრა მკითხველს.

*

მოსკოვიდან გამგზავრების წინ ამერიკის საელჩოში მოგვიხდა მისვლა, სადაც უნდა მიგვეღო საზღვარგარეთული პასპორტები ამერიკელი ვიზით. ჩვენი ტურისტული ჯგუფი სპეციალიზებული შემადგენლობისაა. აქ არიან ოთხი რესპუბლიკის კინომუშაკთა წარმომადგენლები, რეჟისორები, ოპერატორები, კინომსახიობები, კინოდრამატურგები და კინომოყვარულები. ყველანი ვესტიბიულში გაგვაჩერეს, საელჩოს ერთერმა მდივანმა ბოდიში მოიხადა, კანცელარიაში ჩემთან თანმირი მიმდინარეობს და პასპორტები აქ უნდა დაგირიგოთო. ცოტახანს გვაცდევინეს, ჩვენ კი ამასობაში კედლებზე დაკიდულ სურათების რეპროდუქციებს ვათვალიერებდით. იქვე გამოვიდა და გულდასმით დაგვიწყო თვალიერება ერთმა უცნაურმა ტიპმა. მწიფური კაცი იყო. ასეთივე მწიფური ულვაშებით, გაცვეთილ ტბილს ჯაგრისს რომ მიეგავდა.

მდიანმა პასპორტები დაგვირიგა, ყველას ბედნიერი მგზაურობა გვისურვა და ჩვენც დავეპირეთ წამოსვლა, მაგრამ ამ დროს იმ მწოლარმა მამაკაცმა შეგვიჭერა, თავი რომელიღაც ამერიკელი გაზეთის კორესპონდენტად გაგვაცნო და დაგვიწყო გამოკითხვა, თუ ვინ ვიყავით და რა მიზნით მივემგზავრებოდით ამერიკაში (ვითომ არ იცოდა). ჩაიწერა რამდენიმე გვარი: ჯგუფის ხელმძღვანელის კინორეჟისორის როშალის, პპიინაშვილის, მწერალ ბორის ლასკინის, კიდევ ერთხელ აგვხედ-დაგვხედა თავისი თარსი თვალით და ხელის დაქნევით ვამოგვემშვიდობა. გამოვედით გარეთ. ყველამ გულდახეთ გაგვიხეკი ჩვენი სახლეთარეთელი პასპორტები, თითქოს ჩვენს შესახებ კიდევ რაიმე ახალს ამოვიკითხავდით მის ფურცლებზე. შემდეგ გვემართეთ სასტუმრო „ნაციონალისაკენ“ და სადგებლო ატრაბუსით შერეტეველს აეროპორტში მივედით.

აეროპორტში სასაკო პროცედურა არცთუ ისე გაგრძელდა, მაგრამ მრ სათზე მეტი ხნით დაგვიანდა ჩვენი გემგზავრება. ალმოჩნდა, რომ ორ უცხოელ ტურისტს თავიანთი პასპორტები სასტუმროში დაჩრენოდათ და წვიდნენ მათ მოსატანად. ჩვენ ათასნარად ეწუალედით იმ ბოთე მოგზაურებს, რადგან ტყეფლუბრალოდ გვეკარგებოდა ქვირფასი დრო, რომელიც პპრიზის დათვალიერებისათვის უნდა გამოგვეყენებინა. სასტარტო მოედანზე კი გველოდებოდა ფრანგული რეკტეტი თვითმფრინავი „კარაველა“, რომელიც ჩვენი „ტუ — 104“-ის გვერდით ჩამდგარიყო დედალი ფრინველივით.

მალე ჩვენი გულმავიწყო ტურისტებიც მოვიდნენ და ჩაესხენდით თვითმფრინავში, იგი ცაში ერთის შუბზეს-ერთელი რაკეტასავით ავარდა, გაქვრა ღრუბლებში, წაეყოდა სულ მალლა, მალლა და კურსი ვარშავისაკენ აიღო. საათნახევარი ფრენის შემდეგ ამ ქალაქში კი დავეშვით, მაგრამ მხოლოდ იმდენი ხნით, რომ „კარაველას“ ახალი მგზავრები მიეღო. ცხადია, პოლონეთის დედაქალაქი ვერ ენახეთ. მალე კვლავ ცაში ვართ, ვარშავას ბარტო ზემოდან გადავეფრინეთ და პარიზისაკენ გავემართეთ. სამოოდე საათის ფრენის შემდეგ პარიზის ახლოს, ორი დღე უნდა გავჩერდეთ.

საფრანგეთის დედაქალაქში გეგმის მიხედვით ორი დღე უნდა გავჩერდეთ.

*

ოთხმოტორიანი რეაქტიური თვითმფრინავი „ბოინგ 707“ ზლაზვნით გავედა სასტარტო ბაკანზე. მას ას ოთხმოცი მგზავრის წაყვანა შეუძლია. აქეს ცალკე სალონი, შემდეგ პირველი კლასის განყოფილება და ბოლოს მეორე კლასისა, რომელშიაც ჩვენ ვისხეიფთ. სალონი და პირველი კლასი თითქმის ცარიელია, მეორე კლასი კი მთლად სავსე. ჩემს წინ მოდის ეიღაც ხნიერი მამაკაცი, რომელსაც ტყეში ტუტუნეარა ბავშვი მოჰყავს და ბოთლებზე ჩამოცმული რეზინის საწოვარით ორთავეს რძეს აწოვებს. მოდის ადგრეთვე ეიღაც ოტლიანი ცოლქმარი და ერთი ზანგი ქალი, მთავაც ტუტუნეარა ბაშვები ჰყავთ და ჩემს გარშემო ისეთი კოლეტრენა გამართეთ, სამაგშო ბაგაში მგონია თავი.

ინ ალრიალდნენ მოტორები, ოდნაკი ტუტუნალი დაიძრა ჩვენი გიგანტი, გაკანდა, გაკანდა, ეიცქირები ფანჯარაში და ვხედავ, რომ უკეკ შენობათა თავზე მიეფრინავთ, სწრაფად მივიწევთ მაღლა და მაღე უკეკ ღრუბლებში შევრგეთ თავი. ხოლო როდესაც ღრუბლებსაც ავცდით და მზეს შეკვეგებეთ, დიქტორმა გამოაცხადა, რომ ჩვენ ინგლისზე მიეფრინავთ. მე ვერ გავიგე, რატომ უნდა გადაგვეკვეთეთ ინგლისის ტერიტორია, რადგან პირდაპირი მიმართულებით თუ წავიდოდით, მაშინ ბრიტანეთის კუნძული, ჩემი ფარაუდით, მარჯვენე უნდა დარჩენილიყო.

სტიუარდესამ გვაჩვენა, როგორ უნდა ჩაგეკეცა ტანზე ავადგებეთ რეზინის ხალათები თუ ეილეტები. რომლებიც მესტეირის ეუდასავით უნდა გაბერო, თუ თვითმფრინავი ოკეანეში ჩავაფდა და შენ როგორმე მოახერხე ზღვაში შეცურვა. აეროეთე ავეიხსნა ყანაბადის ნიღაბის ხმარება, თუ რაიმე მიზეზის გამო ჰაერი არ გეყო.

ღრუბლებს ზემოთ ჩვენი თვითმფრინავი დაახლოებით კიდევ ექვსი ათასი მეტრის სიმაღლეზე ავიდა და გამოეუდექით დღეს. ამიტომ პპრიზში ყოფნისას ჩასასვლელად გამზადებული მზე ახლა არა და არ ჩაღიან, მაგრამ მიეზეიდავდ ინისა, რომ ათასი კილომეტრის სიჩქარით მივფრინავთ საათში, დღეს, საბოლოოდ, მაინც ვერ ვეწეკეთ, რადგან დედამიწა თვითონ მოძრაობს ათას შეიდასამდე კილომეტრის სისწრაფით საათში და ამიტომ ბოლოს მაინც დაღამდა. ერთხანს მივფრინავდით დღისა და ღამის მოჯანზე. მარჯვენე დღე იყო, მარცხნივ სრული ღამე და ღამის ცისკიდურაზე კიაფობდა ცისკრის ერთიდერთი ვარსკვლავი.

ალმათ უახლოეს წლებში, როდესაც აიგება უფრო სწრაფმავალი სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც ორი ათასზე მეტი კილომეტრის სისწრაფით იფრენს ცაში, მოგზაური ეროს ვაფსწრებს. აფრინდება, მაგალითად, ჩვენში მგზავრი დღის თორმეტ საათზე, იფრენს გზაში, ვთქვათ, ხუთ-ექვს საათს და ინავე დღეს ცხრაათ საათზე იქნება ნიუ-იორკში.

უკვე კარგად ბნელოდა, როდესაც ფანჯრებიდან დაეინახე ელექტროსამპების გრძელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთველები დასერილი დედამიწა და სტიუარდესამ გამოგვიცხადა, ჩვენს ქვეშ უკვე ნიუ-იორკეთი, თვითმფრინავის მოტორები კი ისევ გუღმოდგენენ გუგუნებენ და რატომღაც ახლა გაგრძელდა დრო, აღარ დადგა საშველი ჩვენს დფრენას აეროფრომზე. ბოლოს, როგორც იქნა, გავუსწორეთო გასარბენ ბაქანს და დაეშვითო აიდლუპალიის აეროფრომზე.

თვითფრინავით ბევრი მიფრენია, მაგრამ ახლა ზღაპარივით არა მჯერა, რომ სულ რაღაც რვა საათის წინათ საფრანგეთში ვიყავ და ახლა ამერიკის მიწას ვაბიჯებ ფეხს. ღამეა. ელექტრონის სინათლეში ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ მოჩანან გიგანტური თვითფრინავები.

შეეშვით სადგურში, სადაც საბაჟო სასამართლოა ბოლოს ბაჟიანი და პასპორტებისაა. იატაკს ტრიალი გაკეკს. კარგახანს მოგვიხდა ცდა, სანამ ჩვენს პასპორტებში სერტიფიკატებს ჩაკაჩავდნენ და ბარგს განსაჯავდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, მოთავდა პოლისმენების კარკეტი პასპორტებში (განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი წოთელ-ფლიანი მოწმობებისადმი და ეძებდნენ, სხვა ხომ არაფერი წერია შიგაო) და ჩვენს ჩემოდნებში ხელების ფათური.

ჩავსხედით ჩვენთვის განკუთვნილ ავტობუსში, რომელსაც დიდი ასოებით აწერია „აირ კონდიშენენ“ ანუ, ჩვენებურად რომ გამოვთქვათ, ჰაერი კონდიცირებულიაო, ესე იგი ავტობუსში ისეთი დანადგარია, რომელიც საგანგებოდ გაწყენდილ და გაგრილებულ ჰაერს აწვდის მგზავრებს.

ღამის ორის ნახევარი იყო, როდესაც ავტოტრადაზე გავედით და ქალაქისაკენ გავემართეთ. მიუხედავად ასეთი გვიანი დროისა, გზაზე უამრავი მსუბუქი მანქანა მოძრაობს, ისინი უხმაუროდ მისრიალებენ ყოველ მხარეს რამდენიმე მწკრივად. მოჩანან ცალკეული შენობები, ბენზოკოლონკები, ანუ იმათებურად გაზოლინის სადგურები, აქა-იქ ცალიცალიგზელ რეკლამები, მაღაზიები, ღია ლუდხანები და დახლთან, მაღალ ყამბრზე ჩამომჯდარი მოქალაქენი. ჩავუარეთ რაღაც ქარხნის თუ სხვა რამ შენობის სილუეტს, თანდათან უფრო მეტიდროვდება დასახლება, გავედით რომელიღაც გვირაბში ჰუძონის ქვეშ, და უცებთ თავი შეერგეთ ჩაბნელებულ ცათამბჯენების ხეობაში. აქეთ უნდა დაეძინა, რომ ნიუ-იორკის ის ქუჩები, რომლებზედაც მაღაზიები არ არის, საოცრად ცუდადაა განათებული. მხოლოდ აქა-იქ ბეტყვივენ ლამპები და გეგონებათ ჩვენებურ მიყრეებულ ოაიოზში მოხვედით, მაგრამ იქ, სადაც მაღაზიებია, კინოები და კედლებზე აკრული სარეკლამო ფარები, სინათლე უხვად იფრქვევა. განსაკუთრებით დიდი სინათლეა ტაიმს-სკვერის მიდამოებში ბროდვეიზე. ამ პირდაპირ თვალებს გვჭრის სარეკლამო ფარების მოწითალალო სინათე. კარ არის რეკლამა, რომელზედაც შეკი არ მოძრაობდეს, არ ციმციმებდეს, ყოველ წუთში არ იცვლიდეს სურათებს და წარწერებს. რა არ ისახება ზოლმე ამ გიგანტურ ფარებზე. ერთსა და იმავე ფარზე იმდენჯერ იცვლება გამოსახულება, რომ თვლაც კი მომბეზრდა.

ღამის ორი საათი იყო, როდესაც ჩვენი ავტობუსი ბროდვეიზე გავედა. ქუჩებში იმეორებად დაინახავდით გამვლელს, მაგრამ მანქანა მაინც ბევრი მოძრაობდა. ყველა კაფე და რესტორანი ღია იყო. საყურადღებოა, რომ ნიუ-იორკში რესტორნები და კაფეები ოცდათხი საათის განმავლობაში განუწყვეტლად მუშაობენ.

ბინად სასტუმრო „ოფეერორო კლინტონში“ დადგაყენეს. დავბინავდით, მაგრამ სურვილი გვაქვს ქალაქში ცოტა მაინც გავიაროთ და, მიუხედავად გვიანი დროისა, ქუჩაში გავედით. ცოტა კი გვეშინია არ დავიკარგოთ ამ აზაელა ქალაქში, რადგან ინგლისურზე ყველანი მწყრალად ვართ და ჯერ კარგად ისიც კი არ ვიცით, რა ჰქვია ჩვენს სასტუმროს, ან რომელ ქუჩაზე ვართ. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, სულ ათი წუთია საპირო ომისთვის, რომ ნიუ-იორკის ქუჩების გასლვებაში გაერკვე და თუ იცი საყუთარი მისამართი, არავისთვის კითხვაც კი არ გჭირდება, ისე მიაგნებ შენს ბინას. ნიუ-იორკის ქუჩები ერთმანეთის მიმართ პარალელურ და პერპენდიკულარულ ხაზებზეა განლაგებული, მარტო ბროდვეი ჭკვიას მანქანების კუნძულს ალმაცერად თუ დიაგონალურად, ხოლო ყველა დანარჩენი იწოდება: პარალელურები — კუ ქუჩის სიგრძეზე განლაგებული — ავენიუებად, ხოლო პერპენდიკულარული — სტრიტებად. ჩვენი სასტუმრო იმყოფებოდა მეშვიდე ავენიუსა და მეოცდათერთმეტე სტრიტის გადაკვეთაზე.

გავედით ქუჩაზე და დავიწყეთ ხეტიალი ამ გიგანტურ შენობათა ხეობებში. სითბეკ არ გაიხედავ, ყველგან ცამდე ატყორცნილი სახლებია, პირქუში და ჩაბნელებული. არც ერთი ეს ბრავალსართულიანი შენობა საცხოვრებელი არ არის, მათი ბასოლუტური უმრავლესობა დაწესებულებები, კანტორები, ბანკები, უნივერსალური მაღაზიები, სასტუმროები ან საკუთარ სახლებია. აქა-იქ გამოერევა ლამაზი და მომზიბველი ნაგებობანი, მაგრამ უმეტესობა ისეთი უშნო, უგემოვნო და მყვირალა შენობაა, გული აგიჩეკავ. თვითონ ამერიკელები ამბობენ: ნიუ-იორკზე უშნო და ულამაზო ქალაქი მსოფლიოში არ არსებობსო.

ღილას ყველანი ადრიანად ავდექით. სასაუზმოდ იქვე სასტუმროს კაფეტერიუმში ჩავგიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუზმის შემდეგ თორმეტ საათამდე თავისუფალი დრო გვქონდა და მაშინვე გავწიეთ ქალაქში სახეტიალოდ. კვირა დღე იყო და ქუჩები თითქმის ცარიელი დაგეხვედა. აქა-იქ თუ გაისმიოლებდა მანქანა ან თვალს მოჰკრავდი იშვიათ გამვლელს. მთელი ეს უზარმაზარი ქალაქი უკაცრიელსა ჰგავს. ცაში ატყორცნილ შენობათა გიგანტურ კოშკებს შორის ძლიერს აღწევს მზის სხივები. მხოლოდ ამ შენობათა კენწეროებია განათებული. მთელი დანარჩენი ნაწილი შენობისა და თვით ქუჩები სულ ჩრდილებშია ჩაძირული და ამიტომ საამოდ გრილა.

სარეკლამო ლამპები კი განუწყვეტლივ ციმციმებენ, ინთებიან, ქრებიან, ისევ ინთებიან, **სწერენ** და **შლიან ფარგებზე სხვადასხვა წარწერ**ებს. აქ ეს რეკლამები განუწყვეტლად ანთია, დღე და ღამე. **მაღაზიების უმრავლესობა** დაკეტილია. არიან ისეთები, **რომელთაც** გაეროვნება აიძულებთ **სულ ღია ჰქონდეთ თვითანთი საკეპრო, რომ საგანგებოდ გაიიფებული ჩაწოლილი** საქონელი როგორმე მიყიდ-მოყიდონ და ფინანსიური გაეროვნებიდან თავი დაიხსნან.

მთელს ნიუ-იორკში ვერ დაინახავთ ჰაერში **გაბმულ გადამეცმ მავთულს** და ვერ ნახავთ ვერც **ტრამვაის**, ვერც ტროლეიბუსს. მარტო **გრძელი** ავტობუსები დაჰქრიან. ქალაქს აქვს მეტროპოლიტენი, საკმაოდ ბინძური, ბნელი და **ფუსიანმი. ჩვენი ამერიკელი** გიდები ცდილობენ, როგორმე აგვარიდონ მეტროს: არ ღირს ნახვა, საკმაოდ ცუდიაო, გვეუბნებიან. მათ ნახული აქვთ მოსკოვის მეტრო და ამიტომ იციან თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს მათი მეტროპოლიტენი ყოველ ჩვენგანზე, მგზავრებიც იშვიათად ჩადიან ეს მატარებლებსაც დიდხანს უნდა უცადო. ეტყოფა ტრანსპორტის ეს სახეობაც საკმაოდ კრიზისს განიცდის.

ნიუ-იორკში ჩვეულებრივი სამგზავრო მატარებლებიც მიწის ქვეშ გადის. ჩვენს სასტუმროსთანაა სწორედ გიგანტური ვოგზალი, სადაც მატარებლები ამ ცათამბჯენების ქვეშ გავლით შედიან.

ჩავედით ტაიმს-სკვერამდე. აქ არის გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქციის სვეტივით აღმართული, საოცრად ვიწრო და მაღალი შენობა. აქვეა ბევრი კინოთეატრი. ერთ-ერთი ფილმის რეკლამაზე გამოსახულია გიგანტური მ მაკეი, რომელიც პირიდან უშვებს თამბაქოს ბოლს რგოლებს. ამ რგოლებს საგანგებო მოწყობილობა ისერის და ყოველ წუთში ისმის გასროლასავით ხმაური.

ერთ დიდ კინოში მიდიოდა ფართო ეკრანიანი ფილმი „ბენ-გური“. ამ სურათს უკვე წელიწადზე მეტია, რაც განუწყვეტლად უჭერენბენ მაყურებელს. იგი ოთხი საათის განმავლობაში მიდის და მის სანახავად საგანგებოდ უნდა მოიცალოს კაცმა.

ნიუ-იორკში ბევრია კინოთეატრი, სადაც ნახვენად პორნოგრაფიული ფილმებს უჩვენებენ და სარეკლამო ფარგებზე თქვენ დაინახავთ ყოველდ უხამსად გაშიშვლებული ქალების ფოტოებს.

ძალზე იშვიათად წაიწყდებით წიგნის მაღაზიებს. იფიფსანიად გამოცემული წიგნები კი მრავლად აწყვია საგაზეთო კიოსკებში. მაგრამ აქ უმეტესად კომიკსებს ნახავთ. ნამდვილ და დიდ ლიტერატურას იშვიათად თუ მოჰკრავთ თვალს. მე ბევრი ეეძებე სტეინბეკის, ჰემინგუეის, ფოლკნერის, კოლდუელის და სხვა სახელგანთქმული მწერლების წიგნები ამ კიოსკების ვიტრინებში, მაგრამ ერთსაც კი ვერ წავაწყდი. სამაგიეროდ ბევრი იყო ჩემთვის სრულიად უცნობი ავტორები და ყდების ილუსტრაციების მიხედვით ვხედებოდი, თუ როგორი შინაარსის წიგნებთან მქონდა საქმე. ეს ნახვევრად შიშველი ქალი ვიღაცას უღებრებდა რეკოლვერს, ან ვიღაცას მისდევდნენ სროლით, ან მაიმუნისმაგვარი მამაკაცი ახრჩობდა ქალს და სხვა ასეთები. მხოლოდ ერთ კიოსკში შემხედა წესიერი წიგნი. ეს გახლდათ შოლოხოვის „წყნარი დონის“ ამერიკული გამოცემა.

ბროდვეიზე წავაწყდით პორნოგრაფიულ ლიტერატურისა და ალბომების მაღაზიას. ვიტრინაში შედარებით ისეთი სურათებია გამოფენილი, რომელთაც ჩვეულებრივად ყოველ ამერიკულ ჟურნალში ნახავთ: სავსებით შიშველი ქალები სხვადასხვა, ფრიად ერთიერთ პოზებში. ვიტრინიდან მაღაზიაში შეხედავ არ შეიძლება, მთლიანად დაფარულია ქუჩის მხრიდან. ამიტომ მაღაზიაში უნდა შეხედეთ. იქ კი...

თორმეტ საათზე ნიუ-იორკის ამ დოკში მივედით, საიდანაც ყოველ თხუთმეტ წუთში გადის საეკსკურსიო გემები კუნძულ მანჰეტენის გარშემო. ამ კუნძულზეა გაშენებული მთელი ეს ცათამბჯენებიანი ნიუ-იორკი.

გემი საკმაოდ დიდია. ჩვენ არ ვისურვეთ ზედა ბაქანზე ასვლა და გემის ცხვირზე მოვიყარეთ თავი. აქედან უკეთესად ეხედავთ გარემოს.

დაიძრა გემი. გავედით მდინარის შუაგულში და გავეფექეთ გზას. აი, მხოლოდ აქედან შეავიჩნიეთ, თუ როგორი შენობაა ამ ქალაქში მართლა ცათამბჯენი და მათ შორის ნამდვილი გიგანტი—ას ორ სართულიანი სახლი „ემპაიერ სტეიტს ბილდინგი“, რაც ჩვენებურად ნიშნავს ემპაიერის შტატის შენობას. იგი დაახლოებით ოთხასი მეტრის სიმაღლისაა, აგებულია კუნძულ მანჰეტენის ზედ შუაგულში და მთელ ქალაქზე მბრძანებლობს. ნიუ-იორკის ღოკები ერთ დროს უდიდესი იყო მთელ მსოფლიოში. აქ მოდიოდა

გემები ყოველი ქვეყნის კუთხიდან, მაგრამ ახლა აქ გემების მოძრაობა, როგორც ეტყობა, დასულია მინიმუმამდე, და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე დოკი წესრიგში და ახლად შეღებული, ზედ დიდი ასოებით აწერია, თუ როქფელი საზოგადოების ან რომელი ქვეყნის სანაოსნო კომპანიის ეკუთვნის. დაბარჩენი დოკები, როგორც ეტყობა, გაუქმებულია, წყალში ჩაშვებულ ძსხვილ ბოძებზე გამაბოლილი საღოკო ბაჭვები მთლიანად დამპალია. ალაგ-ალაგ კიდევაც დაუწყიათ მათი დაწვა.

გამაკვირვა ის გარემოებამ, რომ ყველა გემშესაღებამი ბეტონის კი არ იყო, არამედ ხისა, და ამ გიგანტური ცათამბჯენების ფონზე პირდაპირ არ გაკვრა, რომ ამ ქალაქს მეჩვიდმეტე თუ მეთვრამეტე საუკუნის დროინდელი პრიმიტიული ნავსაყუდარი აქვს. ამ დოკებში მხოლოდ ორი საოკეანო გემი დავინახე, არცთუ ისე დიდი. ერთი მთგანი მგონი საფრანგეთის უნდა ყოფილიყო.

ნიუ-იორკის კუნძულს ნაირებთან მრავალი ხიდი აერთვნა. ეს საერთოდ გაგონილი მკონდა ბრუკლინის ხიდის სიდიადის და გრანდიოზულობის შესახებ მთელი ლეგენდები, მაგრამ ახლა რომელ ხიდეკენაც არ გავედით, ყველა ბროკლინისა მეგონა: იმდენად დიდია ყოველი მათგანი და იმდენად წააგავენ ისინი ერთმანეთს, რომ შეეძლებელია ასე ერთი შეხედვით გამოიცნო რომელი რომელია.

დაანალეთით სამ საათზე მეტანის გაგრძელდა ჩვენი მოგზაურობა მანჰეტენის გარშემო. მეთანარე ჰეძონი აქ ყველგან ისე დიდია და ღრმა, რომ თავისუფლად მიმოდიან საოკეანო გემები.

ჩავუარეთ თავისუფლების ძეგლს. იგი დაახლოებით ასი მეტრის სიმაღლეზეა ამართული ზღვის ზედაპირიდან. უნდა ბუღანდელად ვთქვა, რომ ჩემზე ეს ძეგლი არ ტოვებს დიდი ხელოვნების ნიშვნის შთაბეჭდილებას. რამდენსაც არ ეუცქირე, ვერ შევეგრძენი, რომ იგი გამოხატავს თავისუფლების დიად სიმბოლოს.

შემოვეარეთ მანჰეტენის ალმოსავლეთის კონცხს, რომელზედაც მოთავსებულია ეოლსტრატის უბანი. აქ ცათამბჯენები საოკეანიური ჯგუფად არიან ამოზრდილნი. გზადაგზა ჩაგვჭრიოვებენ ხოლმე კერძო მეპატრონეთა გლისერები და იახტები. ასთ ბაჭვებზე წამოწოლილან



ზეშველი ქალები და მამაკაცები და ზზეს ეფიცხებიან. ერთ-ერთ დანგრეულ და მტვრეულ დოკის ბაჭნიდან ბიჭუნები ტყაპატყუპით ცვივიან ჰეძონის ფერად, ბინძურ წყალში და ჭუკმპალობენ.

გავუარეთ ძველი ატომანქანების სასაფლაოს. ნახმარი და ფოძველებული ატომანქანანი მდინარის პირას ფორმადაკვეთ ერთმანეთზე დახვავებული. აქ მათ გემებზე ტვირთავენ და ქარხნებში აგზავნიან გადასადნობად.

ჩვენი გემი შეუჩერებლად მიარღვევს ტალღებს. ქალქთა მზიანი დღეა და ჩვენ თვალწინ მიეცურავს კუნძულ მანჰეტენის ფანტასტიური პეიზაჟი. ერთმანეთს ცალიან მრავალსართულიან შენობათა უენაური კონტურები. ოქმოსაღლეთის მხრიდან განსაკუთრებით ბეკრია ხიდი მდინარე ჰუძონზე. სულ ბოლოს გავიარეთ ყველაზე ვიწრო სრუტესთან რვინიგზის გასახსნელი ხიდის შუაში, გავედით ზღვასავით განიერ ჰეძონის მთავარ კალაპოტში და სამხრეთისაკენ დავუხვიეთ. ჩავუარეთ საკმაოდ შემაძლებელ გორაკზე გაშენებულ ნიუ-იორკის იმ ნაწილს, სადაც შვიდი-რვა სართულიანი ადგრის საცხოვრებელი სახლებია საკმაოდ ლამაზად და მიმზიდველად ნაგები. შემდეგ თანდათანობით კვლავ წამოიმართნენ ცათამბჯენები. ჩავუარეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წიგნიერად აყენებულ მრავალსართულიან შენობას, მთელ რიგ დოკებს, და მოგზაურობაც დამთავრდა.

ჩვენ თუ ცქერით დავიღალეთ, ჩვენი თანამგზავრი კინოოპერატორი ფელიქს ვისოკეი გადღებით დაიღალა. მას საკმაოდ ძმიმე კინოაპარატი ეჭირა ხელში და ფუსფუსით ილებდა კადრს კადრზე, იმას არც ჩვენი კინორეჟისორი კ. პიპინაშვილი ჩამორჩებოდა, თუმცა მას საკმაოდ მსუბუქი კინოკამერა ჰქონდა, თექსმეტ მილიმეტრიანი ფირით და ამ თავის კინოკამერატს უფრო მშვენიერ არსებებს უმიზნებდა, ვიდრე სანტერესონ სანახებს. სამთავენი შთაბეჭდილებებით ვიყავით გაბრუებულნი და საკმაოდ დავიღალეთ.

შინ დაბრუნდით ავტობუსით, რომელმაც მოზზიდული რეისით რამდენიმე ჩვენთვის უცნობი ქუჩა შემოგვაცარა. უნდა ითქვას, რომ ჩვენი პირველადელი ინტერესი თანდათან უკვე შენელდა. ეს ცამდე ატყორცნილი სახლები უნებურად ძალზე ერთფეროვნების შთაბეჭდილებას სტოვებს.

მეორე დღეს შევუდექით ქალაქის საფუძვლიან დათვალიერებას. ჩვეულებრივი სამარშრუტო ავტობუსით გავეგზავნეთ ქალაქის შუაგულისაკენ. იქ პირველად ვინახულეთ ეგრეთწოდებული „როკფელერ-სენტერის“ ცათამბჯენთა ანსამბლი. ეს მართლაც რომ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. ცენტრალური ცათამბჯენის წინ ოთხკუთხად ჩაღრმავებულ ეზოში აუზია მოწყობილი და სიმაღლიდან გადმოშვებული ლურჯი, განიერი ჩანჩქერი ხმაურით ეშვება აუზში. ეზოში რესტორანია.

აქ შეგვეგებენ ნიუ-იორკის კინემატოგრაფისტთა კავშირის ხელმძღვანელები. მათ მოისურვეს ჩვენი მიპატიჟება რესტორანში სასადილოდ, ჩვენ კი ავტანეთი სიცხის გამო არც პიჯაკები გვეცვა, არც ჰალსტუკები გვქონდა, ისე კი რესტორანში შესვლა თურმე არ შეეძლებოდა. მასპინძლებმა თავაზიანად შემოგვთავაზეს, აქეთ გამქრალვებელი კანტორა და შეგიძლიათ ახლავე ჩაიცვათ პიჯაკები. ჩვენ მადლობა მოვახსენეთ დაპატიჟებისთვის, ხოლო ნაქირავები პიჯაკების ჩაცმაზე უარი განვაცხადეთ — სხვის ნაცვამეს არ ვიცვამთ-თქო. მე გაკვირვებით დავძინე: თქვე დალოცვილებო, განა თქვენი ამერიკელები არ არიან ევროპაში, არათუ პიჯაკ-ჰალსტუკით, არამედ უშარვლოდ, მოკლე ტრუსებით და მოღლილი გულით ყველგან უტიფრად შეგლოჯინობენ, გნებავთ რესტორანი იყოს, გნებავთ თეატრი და გნებავთ ოჯახური სალონი, აქ რატომ მისდეკენ ასეთ წესებს, თუ სხვაგან თვითონ თქვენ არ იცავთ-მეთქი.

„როოფფელერ-სენტერის“ ცათამბჯენთა ანსამბლის დათვალიერების შემდეგ გავემართეთ ახალი ხელოვნების „მუზეუმისაკენ“ და გზად შეგიარეთ სასტმარო „ასტორიის“ დასათვალიერებლად, სადაც ბინად იყო ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი ამერიკაში ყოფნის დროს. ესაა მართლა გიგანტური შენობა, თუმცა სიდიდით ბევრად არ უნდა აღემატებოდეს სასტუმრო „უკრაინას“ მოსკოვში. სანამ სასტუმროშიდე მივალ-წევდით, რამდენნიმე კვარტალის ფეხით გავლა მოგვიხდა. იმ დღეს სიცხესთან ერთად ჰაერიც საოცრად ნესტიანი იყო და ავტომანქანების ბოლი დაბლა წვებოდა. ამიტომ ქუჩებში ფიქრესავით მიმავალ ავტომანქანათა ბოლის გამო პირდაპირ შეუძლებელი იყო ხუთქვა და თვალებიც გვეწვოდა. მაშინ კი წამომიცდა სიმწრით, ვინც ეს ავტომობილი მოიგონა, იმისი ოჯახი დაიქცეა ღმერთმა-მეთქი. მთელი ეს ქალაქი ნამდვილ ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა.

შევედით სასტუმრო „ასტორიის“ ვესტიბიულში და უცბათ სული მოვითქვით. საამრად გაგრილებული სუფთა ჰაერი, სანეტაროდ მოგველამუნა მთელ სხეულზე. თითქო მართლა სამოთხეში შევსულიყავით. მართალია, მარტო ვესტიბიულის დათვალიერებით დაკმაყოფილდით, მაგრამ იმოდენა დარბაზები იყო და ისეთი საამური სიგრილეა, რომ წამოსვლა აღარ გვინდოდა, ამ კონდიციონერული ჰაერის სუნთქვა გვეჭირა ამყრალებულ ქუჩებში ხეტიალის. ბოლოს მაინც იძულებული ვიყავით მიგვეტოვებინა ეს მდიდრულად მორთული დარბაზები და გავსწიეთ თანამედროვე მუზეუმის დასათვალიერებლად. იგი ნიუ-იორკის ცენტრშია მოთავსებული, 53-ე ქუჩაზე, მეხუთე ავენიუს კუთხეში, და, ცათამბჯენებს შორის საცოდავადაა ჩაეტეკვული. ვესტიბიულეში შესვლისთანავე თქვენს ყურადღებას იპყრობს ქვის კვარტლებეკნენ დადგმული კაკლის ხის ჯიხკი, გალესილ-გაპრილებული, თავ-ბოლო გადაბეჭილი, ერთის სტაკეთი ჩვეულებრივი ნაპობი. ზურგრის მიხედვით ეს არის ქანდაკება, შესრულებული რომელიღაც აბსტრაქციონისტი მხატვრის მიერ. მე ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი მოსაზრება რუს თანამგზავრთა შორის ამ ქანდაკების შესახებ და ვეწერდე მას წმინდაწყლის სისულელეა. ჩვენმა გიდმა მოსტერ კიმმა ძალზე იწყინა და დამიწყო მტკიცება. სულაც არაა სისულელეა, ეს ხელოვნების ნაწარმოებია. მე ღიმილით ვუთხარი, რომ ამ ორმოციოდე წლის წინათ, როდესაც თქვენ ქვეყნად გაჩენის პროექტშიაც კი არ იყავით, მე თვითონ გახლდით კუბიზმის მიმდევარი და ასეთ სისულელეებს ქმნა-დიდებას ვასხამდი, და ახლა თუ თქვენ ეს კუნძი მართლა და რაიმედ მიგაჩნიათ, მით უარესი თქვენთვის-მეთქი.

სტუმრებს შემოგვეგება მუზეუმის ფილმების განყოფილების დირიქტორი მისტერ გრიფიციკეთხეო, რა ნათესაობა გაქვთ ცნობილ კინორეჟისორ გრიფიცთან-თქო. მან ღიმილით გვიხარა. მე ძალიან მსიამოვნებს ასეთი შეკითხვაო რომ მომპრალთავთ, მაგრამ არავითარი ნათესაობა არა მაქვსო.

მან წაგვიყვანა და ჯერ თავისი განყოფილება დაგვათვალიერებინა. ამ მუზეუმში თავმოყრილია მსოფლიოში ყველა ღირსშესანიშნავი ფილმი. არის აგრეთვე ყველაზე პირველად გადაღებული ფილმები, ედისონისა და ლუიერების დროისა.

შეგვიყვანეს ფილმოთეკის სეიფებში და ერთ პატარა საპროექციო დარბაზში ვვიჩვენეს მთელი პროცესი, თუ როგორ ხდება უძველესი ფილმების გაცოცხლება. საქმე ისაა, რომ ძველი ფირი დროთა განმავლობაში იშლება და შეზეგისთანავე იმსხვრევა. ამავე დროს ძველი ფილმებიდან დარჩენილია მხოლოდ ქაღალდის ბაფთაზე გადაღებული პოზიტივის პირი, რომელსაც მაშინ საგანგებოდ ბეჭდავდნენ, როგორც საარქივო დოკუმენტს საავტორო უფლებების დასაცავად. ამ ფოტოასლიდან ამჟამად ამზადებენ ახალ ნეგატივს და იქიდან კი ფილმის ასლს. ჩვენ გვაჩვენეს ამგვარად გაცოცხლებული ძველი დოკუმენტური ფილმი. აქ ნაჩვენები იყო მაშინდელი ავტომობილების რბენა, ავსტრიის იმპერატორის ფრანც იოსების ჩასვლა სადღაც და სხვა ამგვარი ამბები.

შემდეგ გვაჩვენეს რეჟისორ ფოს ბიენიუელის ცნობილი სურრეალისტური სურათი „ანდალუზიელი ძაღლი“. ეს ფილმი მართლაც რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცრებაა თავისი ორიგინალური უაზრობით და შემზარავი კადრებით. ფილმი იწყება თითქოს სრულიად ჩვეულებრივად: დილაა, მოჩანს ქალაქის ქუჩა აიენდარა. ახალგაზრდა კაცი ტყავზე პირს უწყობს სამართველს, მიდის მეორე ოთახში, იქ ხის ახალგაზრდა ქალი, ეაკი მიუახლოვდა, თავი გადაუწია, შემდეგ გამოჩნდა მსხვილი პლანით ქალის თვალი, კადრში შემოდის სამართველიანი ხელი ეაკისა, რომელსაც მოულოდნელად სამართველი თვალის გუგაზე გადაუსვა და შუაზე გადასერა იგი...

ან ასეთი კადრი: დგას იგივე ქალი ქუჩაში და უტრიალეს გარშემო თავის საკუთარ მოკვეთილ ხელს, ვერ ახერხებს მის აღებას, გარშემო გროვდება ხალხი და უზმოდ უიცქერიან ამ სურათს. შემდეგ ამ ხელს კოლოფში ჩაყენებენ და ქალს ეუფლს დაკიდებენ...

ან კიდევ ასეთი: სურათის მთავარი გმირი გამალებით მიიწევს, მაგრამ ვერ კოცნის თავის სასურველ არსებას, იმიტომ რომ მიმაგრებულია ბაწრებით ორ გოგონაზე თუ კვაზზე, ორ მღვდელზე და ოროალზე, რომელზედაც დევს მკვდარი ვირი.

აი, ასეთი რამეებისაგან შედგება მთელი ფილმი და თუ კაცი ნერვების პატრონი არა ხარ, შეიძლება მისი ნახვის შემდეგ მთელი ღამე არ დაეძინოს. მე გამიგონია, რომ კინოთეატრში, ამ ფილმის ჩვენების დროს, ქალები გულშეუხვეხული გაპაჯადათ ხოლმე ეარეთ და ისმოდა მათი ისტერიული კივილი.

საყურადღებოა ისიც, რომ ამკამად ლუის ბიენიეული სავსებით რეალისტურ ფილმებს დგამს და სრულიადაღარ იმეორებს ამ პატ-თლოგიურ ექსპერიმენტებს.

მეორე ფილმი, რომელსაც ეწოდებოდა „მა-წა უპეროდ“, დოკუმენტური იყო და მოგვიანებრობდა ესპანელი გლეხების წარმოდგენილად გაკერავებულ ცხოვრებაზე. სურათი მართლაც შემზარავი იყო და ძალიან წააგავდა თავისი ხასიათით ამ სურრეალისტურ ფილმს. განსაკუთრებით საშინელი სანახაეი იყო შიშნილისაგან გასიებული მკვდარი ბავშვი, ისიც თვალგაბელილი, დედას რომ აეხუტებია.

პატივცემულმა გრიფიცმა ვეიამპო, რომ ამ მეზეუმში, რასაკვირეელია, შეუძლებელია ყველა იმ ფილმის თავმოყრა, რაც მსოფლიოში გადაღებულა, მაგრამ ისინი ცდილობენ შეიძინონ ყველა ღირსშესანიშნაეი ფილმი, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქეს. მათ სახეზეთა რამდენიმე ფილმი ჰქონათ, მაგრამ ქართული ფილმებიდან სამწუხაროდ არც ერთი არ აღმოჩნდათ.

შემდეგ დავთვალეერეთ მეზეუმის სამხატვრო ექსპონატები. აქ უმეტესად თავმოყრილია იმპრესიონისტი, კუბისტი და ეაბსტრაქციონისტი მხატვრებისა თუ მოქანდაკეების ნაწარმოებები, როგორიც არიან, მაგალითად, ეაპლო პიკასო, ფრანს პიკაბია, ეაკ ლევინი, ეან არპი, პოლლაკი და სხვანი. როგორც შემდეგ გავიგე, ამ მეზეუმში ყოფილა აგრეთვე ჩვენი ცნობილი მხატვრების დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის სურათები, მაგრამ ვინაიდან დარბაზების სიმცირის გამო აქ ხშირად ცვლიან ხოლმე ეურათებს, ამჯერად მათი სურათები არ შემხვედრია. აქვეა ცნობილი რეალისტი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევრები, რომელთა შორის უეეჭველად ყურადღებას იპყრობს მუზეუმის ეზოში დადგმული ბალზაკის მთლიანი ფიგურა როდენისა.

ერთ მიყრეულულ ოთახში კიბის ქვეშ დგას ვიღაც ეაბსტრაქციონისტის ნაცოდვილარი: რკინის ეანგანი მილებისაგან და რკინის სამკუთხა თუ ოთხკუთხა ნაჭრებისაგან ნაკეთები გაუგებრობა. ბატონმა გრიფიცმა ღიმილით გვითხრა, რომ დირექტორმა ეს შემოქმედებითი „შედევრი“ ამ მიყრეულულ ოთახში დადგა, რადგან ამ ახუხულეეებული სისულელეთ მაინცდამაინც არ არის აღტაცებულიო.

რა შეიძლება ითქვას აბსტრაქციონისტ მხატვრებზე და მოქანდაკეებზე?

ჩემი აზრით, ამას უნდა ეუწოდოთ ხელოვნების ანასოლუტური დაცემის პერიოდი. მე ვერ წარმომიდგია ხელოვნება გარეშე აზრეენებისა, რაც ყოველთვის ახლდა მას, თვით კუბიზმის პერიოდშიაც, მაგრამ აბსტრაქციონიზმი ესაა სრული უაზრობა და მას ყველაზე მარტივი დეკორატიულობის ფუნქციების მინიჭებაც კი ვერ ამართლებს. ანდა რა დეკორატიულობა უნდა ეეძებოთ ჩარჩოში ჩასმულ ისეთ სურათში, რომელიც სხეა არაფერია, თუ არ ჩვეულებრივი შავი საღებაეით დატყაანლილ ტილო. ერთადერთი დამსახურება აბსტრაქციონიზმისა ისაა, რომ იგი მოგანატრებს ხან შეგაყვარებს ნამდვილ ხელოვნებას, ისევე, როგორც გიჟი შეგაყვარებს ჭკეიანს, ავადმყოფი—ჯანმრთელს, ბოროტი—კეთილს.

ვისაღილეთ, კარგად დავისვენეთ, ფოტო და-კინოაპარატები ავამუშაეეთ და შემდეგ გავემართეთ ნიუ-იორკის უდიდესი თეატრის „რადიო სიტი ჰოლის“ დასათვალიერებლად და წარმოდგენის სანახაეად. ეს თეატრი გარიდან არცთუ ისე გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მით უმეტეს, რომ იგი მოთავსებულია „როკფელერ სენტერის“ ცათამბჯენის ახლო და ამ ცაში ატყორცნილი, სამოცდათ სართულიანი გიგანტის გვერდით პაწაწინად ვეეჩვენება. მაგრამ როდესაც შიგ შეეედით, მაშინ დავინახეთ, თუ რას წარმოადგენდა იგი სიდიდის მხრივ.

თავდაპირველად შეგვიყვანეს ტულისებში,

სადაც მსახიობები ემზადებოდნენ სპექტაკლის დაწყებისათვის. ეს თეატრი სიესტარადო, „ფოილ-ბერჟერის“ მსგავსი. აქ დადგმული სიესტარადო სპექტაკლი, რომელიც წარმოადგენს სპალატო, საცირკო და წმინდა სიესტარადო ნომრების თავისებურ კინგლომერატს, მთელი თვის განმავლობაში განუწყვეტლად მიდის სეანსზე, ხოლო თუ წარმატება ხვდა, შეიძლება მეტ ხანსაც. თეატრი იტევს ექვსი ათას ოთხას მაყურებელს.

სეანსი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. იგი არა მარტო მბრწყინავი, არამედ მთელი იატაკი სეანსისა იმირება დიდ სიღრმეზე, სადაც შეიძლება სწრაფად შესცვალონ დეკორაციები, დიაწყონ საცეკვაოდ გამზადებული ბალერინები და იატაკი ისევე სწრაფად ამოვა მაღლა, ხოლო ზემოდან კოლოსნიკებიდან ანუ. როგორც ჩვენი ლუქსიკონი გვითარგმნის, ცხაურებიდან წამდაუწუმ ეშვება და ერთმანეთს სცვლის ნარნარი დეკორატიული ფარდა. თეატრში ხშირად მიმართავენ ეგრეთწოდებულ ლიუმინესცენციურ ხერხებს და ზღაპრულად ფეერიული სურათები წამდაუწუმ სცვლიან ერთმანეთს. ამ საღამოსაც გვაჩვენეს ელექტროლამპების დახმარებით ნამდვილი შუშხუნების ფანტასმაგორია.

სპექტაკლის დასაწყისი და რამდენიმე სპალატო ნომერი კულისებიდან ვნახეთ, ხოლო შემდეგ გადავედით პარტერში. აქ დარბაზის ვრანდიოზულობამ უფრო გაგვაკვირვა, ვიდრე სპექტაკლმა. პროსკენიუმის თაღის სიმაღლე თერმეტი მეტრია. იგი რკალისებურია, როგორც მთელი დარბაზის ჭერი, რომელიც რაც უფრო შორდება სცენას, მით უფრო დიდდება.

თეატრის ინსამბლის სიამაყეს წარმოადგენს ქალთა სპალატო ჯგუფი „როკეტს“, სადაც ყოველთვის ერთად გამოდის ოცდათექვსმეტი მოცეკვავე ქალი. უნდა ითქვას, რომ ეს ინსამბლი მარილა პრიველხარსხოვნად ცეკვავს, მათი რიტმი და პლასტიკა უზადოა. ბალერინებსაც წესიერად აცეკვიან და ისე უხამსად არ გამოდიან სცენაზე, როგორც პარიზის „ფოლი-ბერჟერში“.

ვესაუბრეთ თეატრის მთავარ რეჟისორს ლეონ ლეონიდო

საათნახევრის გზაა. შედარებით მოწმენდილი ამინდია, არც ძალიან მაღლა მივფრინავთ და დედამიწა ხელისგულივით მოჩანს. მთელი ტერიტორია დაფარულია მწვანე საღებით, პურის ყანებით, ტყიანი მასივებით, დასერილია საავტომობილო გზებით. ყველგან მოჩანს ფერმერების სახლები, ალაგ-ალაგ მოჩანს მცირე ქალაქები. საერთოდ ისეა გადამწვანებული მთელი მიდამო, უნებურად მაგონდება ჩვენი კოლხიდის დაბლობი.

ვაშინგტონი მოსახლეობის რაოდენობით თბილისისოდენაა, ტერიტორიით, ცხადია, გაცილებით მეტია, რადგან აქ, ჯერ ერთი, ცათამბჯენები არ არის. მერე მთელი ქალაქი წარმოადგენს საოცრად განიერი ტეხეზისა და თვალუწვდენელი პარკების სამყაროს.

გადავუარეთ ქალაქს და დავეშვით აეროდრომზე. იგი თითქმის ეკვრის ვაშინგტონს. საჰაერო ვაგზალი არც თუ ისე დიდია და არც მაინცდამაინც მოამბიზღავი. აქ შეგვეგება საელჩოს პირველი მდივანი. ჩავსხედით ავტობუსში და სასტუმროში დაბინავებამდე მიველით საბჭოთა საელჩოში, სადაც ძალიან გულთბილად მიგვიღეს. ვისაუბრეთ, ახალი ამბები გამოვკითხეთ — ო	ა ჩვენი ქვეყნიდან წამოვედით, გაზეთები არ წაგვეკითხა და რა ხდებოდა ამ ქვეყნად, არ ვიცოდით.

საელჩოს თანამშრომლებმა შემოგვიჩვენეს, ვაშინგტონში ცხოვრება ძალიან გვიპრს, აქ წარმოუდგენლად ცხელი ჰაეა და ძალზე ნესტიანი, რადგან ქალაქს გარშემო სულ ჭაობები აკრავსო. მართლაც, ჩვენი თვალით ვნახეთ თვითმფრინავიდან, რომ მთელი ქალაქი ტბებითაა გარემოცული.

საელჩოს შენობა ძველია, მეფისდრონიდელი, საკმაოდ მდიდრული და დიდი დარბაზებით. აქვეა ელინდარბაზიც, სადაც ხშირად უჩვენებენ საბჭოთა ფილმებს.

საუბრის შემდეგ საელჩოს თანამშრომლებმა თავიანთი ავტომანქანებით მიგვიყვანეს სასტუმრო „კომოდორში“. აქედან სულ ახლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიეის პარლამენტის შენობა „კაპიტოლიეში“. სასტუმრო არც თუ ისე დიდია, ჩვენი „თბილისს“ ოდენა ძლივს თუ იქნება.

დავბინავდით და შევუდექით ქალაქის დათვალიერებას.

*

საღამოს ვესტუმრეთ ამერიკელი კინემატოგრაფისტების ასოციაციას, მათ ცალკე შენობა უჭირავთ ვაშინგტონის ცენტრალურ უბანში, საკმაოდ მყუდრო ადგილას. მიღებას დაესწრნენ ამერიკელი კინომოღვაწენი და საბჭოთა საელჩოს ზოგიერთი თანამშრომელი.

გამასპინძლება აქაც ამერიკულ წესზე იყო. მისაღები დარბაზის ერთ-ერთი კუთხე დახლივითაა გამართული, სადაც ზანგი ბარმენი თქვენი სურვილის მიხედვით ყრის ნებით ალებულ ყინულებს ჭიქაში და გიმზადებთ ან კოკტეილს ან ვისკის, ან რომელიმე სახის ვაჟის, ან უბრალოდ კოკა-კოლას. მიხვალთ, აიღებთ გამზადებულ ჭიქას, შემდეგ მიუახლოვდებთ რომელსაც გნებავთ იმ ჯგუფს და ებმებით მუსაიფში.

საუბრის დროს ერთ-ერთმა მანდილოსანმა მომაწოდა მოყავისფერ სასმელი, რომელშიაც ყინულის გროხები ეყარა: ეს შოტლანდიური ვისკი გახლავთო. მოვსვი, ნამდვილი ჩვენებური ანწლის არაყი, მარალი და მომწამალელი, რაზი, მთიულეთში თუ ხევსურეთში რომ ეიპიტურს უწოდებენ, ისეთი. გუნებაში გავიფიქრე, ამას ერთი ჭიქა ჩვენებური მეაგე ქვეშსური ან გურული ადგსა მირჩევნია-მეთქი. ჭიქა ხელუხლებლად მაგიდაზე დავდგი და ბარმენს კოკა-კოლა შევუკვეთე. მართალია, ამასაც ძველებური ბოდლოს სანნის გემო თუ სუნი დაჭკრავს, მაგრამ ეს მოწამალით მაინც არ მომწამალეს.

ჩვენი საუბარი სულ სხვადასხვა საკითხს შეეხებოდა, მაგრამ ერთი უმთავრესი საკითხთაგანი მაინც თანამედროვე კინემატოგრაფიის პრობლემები იყო.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაღვა ამისულაშვილი

ღვინი კაცია

1

ციტრუსებითა და ჩაის პლანტაციებით სახელგანთქმულ გურიაში პირველი გასაუბრება რატომღაც ისეთ ადამიანთან მომიხდა, რომელსაც მუშაობაში ერდემლისა და ჩაქუჩის გარდა არაფერი ჰყვარებია თავისი სიცოცხლის მანძილზე. ეს გახლდათ აცანელი მოხუცი მწყემელი პავლე ჩხაიძე... აი ჩვენ სამწყემლოს გადაღმა, რომელიღაც კოლმეურნის ღია ეზოში ვიმყოფებით. იგი ისე სხაპასხეპით ლაპარაკობს, რომ თითქმის ვერაფერს ვიმახსოვრებ, ხმა კი საოცრად მეცნაურება, სწორედ ასეთი ხმა ჰქონდა მამაჩემს.

აცანელ მწყემელს მარცხენა ხელისგული მწვანე კოინდარზე აქვს დაბჯენილი. აი, ის ზეზე დგება, მეც მასთან ერთად წელში ვიმართები, ვაკვირდები ხელისგულზე, ზედ ნედელი ბალახის ანაბეჭდები მოუჩანს; თითქოს ძარღვებში მშობლიური მიწის ძალა ჩაუდგამ, კაცი ერთბაშად გამოიცალა და, როდესაც სამწყდლოში შემიძღვა, მისი ლაპარაკიც უფრო შთამბეჭდავი გახდა, მაგრამ პარტიის ლენჩხუთის რაიკომის მეორე მდივანმა — თამარ დოლიძემ დამაჩქარა: დროზე ვინახულოთ ჩაის პლანტაციებიო...

მივდივართ და მიმყვება მოხუცი მწყემლის უკანასკნელი სიტყვა, რომელიც ჩაის სასწორის შეკეთებას შეეხებოდა...

— მართალი და სწორი სიტყვა ჰყვარებია აცანელ მწყემელს! — ვეუბნები „მწვანე ოქროს“ ნორჩ ფუფუბზე თავდახრილ თამარს.

— აკი სასწორის შეკეთებაც ამიტომ მიგიყვანეთ! აქ ბუნყვასა და „მწვანე ოქროს“ ერთნაირი სიზუსტით ვწონით. ისე რომ ქვეყნისა და ხალხის წინაშე გასაწმინდებელი არაფერი გვაქვს! — თქვა თამარმა და ბახმაროს თოვლიანი მწვერვალებისკენ მიმახედა. — ხედავთ ყველაზე უნისლო მწვერვალს?

— ვხედავ, ქალბატონო თამარ! — ვუპასუხე.

— კეთილი და პატიოსანი! აი, მაგ მწვერვალს გურულები მზის ამოსვლის გორას უწოდებენ.

— კი მაგრამ გორა ხომ პატარაა?!

— რას ვიზამთ, ასეა, გურულებს არ უყვართ მშობლიური კუთხის განდიდება, გაზვიადება, — მითხრა და ახლა სხვა მწვერვალისაკენ მიმახედა: — აი იმას კი მზის ჩასვლის გორას ვეუწოდებთ.

— არც ეგ მიმაჩნია სწორად!

— სამაგიეროდ, ჩვენ მიგვაჩნია!

— იქნებ იმისათვის, რომ ეგ ვეებერთელა მწვერვალი მართლაც გორასავით ჩანს ხოლმე მზის თვალში, მაგრამ მზე მზე არის, ადამიანი კი — ადამიანი...

თამარი ერთხანს ჩაფიქრდა, მერე კი მკითხა:

— ჩაის კრეფა თუ გინახავთ?

— მინახავს!

— ალბათ კინოში, „დელია-ოდელიათი“ რომ ჰკრეფენ ხოლმე, არა?!

— ვთქვათ, რომ კინოში! მერე, რა არის ამაში ცუდი?!

— ესე იგი, სინამდვილეში გინახავთ, ხომ? მაშინ ბოდაშის მტი არაფერი მეთქმის. ახლა კი წავიდეთ, დავეწიოთ თქვენს მეგობრებს...

წინ მედგა კახიძე, გრიგოლ ჩიქოვანი და ლადო სულაბერიძე მიდიოდნენ, რომელთაც კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი — ლამარა ოფსაზაკი ესაუბრებოდა. მე ისევ თამარის ბოლო შეკითხვაზე ვფიქრობდი და ბრაზი მომდიოდა, რატომ მიეცი საბაბი, რომ ჩემზე ასეთი წარმოდგენა შეექმნა-მეთქი. ვინ არ იცის, რომ ჩაის მოვლა და, განსაკუთრებით, მისი მოკრეფა რთულზე რთული საქმეა და უდიდეს ენერგიასა და შრომას მოითხოვს ადამიანისაგან...

გურიაში წინათაც ვყოფილვარ. მახსოვს, სოფელ ბურნათში ძნელაძეებმა ღია მარანი მიჩვენეს, გარშემო ბზის ხეები ჰქონდა შემოჯარული და სახურავად ვარსკლავებით მოკაზნილი ცა ედგა. კახეთში ქვითკირის მარნები იციან, კარზე ხუთგირვანქიანი ბოქლომები უდევთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია მარანი! ისიც გზის პირას! ამგელულ-ჩამომგელელს შეუძლია ისე აჰბადოს სარქველი მიწაში ჩასმული ჭურს, პატრონმა სულაც ვერა გიიგოს რა.

ეს შთაბეჭდილება თამარს რომ გაეუზიარე, მან ასე მომიგო: გურულებს მარტო მარნის კარი კი არა, გულის კარიც ღია აქვთო... და მართლაც — კეთილი სტუმარი ლამის სულში ჩაისვამს ხოლმე დალიკვილებმა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ლანჩხუთის რაიონის ხელმძღვანელი მეშაკებისა და მშრომელების ის გულთბილი დამოკიდებულება, რომელსაც ჩვენდამი იჩენდნენ ლიტერატურული შეხვედრებისა და რაიონის ღირსშესანიშნაი ადგილების დათვა-, ლიერების დროს.

განსაკუთრებით წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა მიხეილ ვადაკორიამ. ისე შთამბეჭდავად გვიყვებოდა ნინოშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას, თითქოს თავად *ყოფილიყოს ყველაფრის მომსწრე. ასეკვე* წაკითხული და ასკვერ გაგრნილი ჩვენთვის მაინც ახლებურად ელერდა ის წუთებში.

მიხეილ ვადაკორიამ, სახლ-მუზეუმის გარდა, დაგვთვალიერებინა ეგნატე ნინოშვილის კარმიდამოც, სადაც აყვავებულ ხეხილთა შორის ვიხილეთ კაშკაზა წყაროს დაწაფებული პატარა შვილი.

კვირა დღე იყო, წვიმდა... ლანჩხუთელები გამოდარებას ნატრობდნენ: იმ დღეს გურული და კახელი ფეხბურთელები ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ. შეხვდნენ კიდეეც. ბრძოლა თითქმის თანაბრად მიმდინარეობდა. ბოლოს კახელებმა იმარჯვეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ... საღამოობი, როდესაც უკვე ვახშმად ვისხედით, გრიგორ ჩიქოვანმა თავისებურად გამკენწლა გურული მასპინძლების წინაშე: შეხედეთ შალვას, ისე თავმომწონედ ზის, თითქოს ლანჩხუთელების კარში ის ერთადერთი ბუერი მაგას გაეტანოსო.

2

სტუმართმოყვარე ლანჩხუთელებს არ ვეთმოობოდით, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი გავიტანეთ. სხვანაირად ვერც მოვიქცეოდით, რადგან ჩოხატაურში დროზე მიუსვლელობა ყოველად შეუძლებელი იყო — კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, იქაც უნდა მოგვესწრო რამდენიმე ლიტერატურული შეხვედრა რაიონის ახალგაზრდობასთან და ინტელიგენციასთან.

მაწკანა ჩოხატაურის კულტურის სახლის წინ გაჩერდა. დიდძალი ხალხი იჩეოდა. ვიკითხეთ, რა ამბავია. ერთმა წაბლისფერთმიანმა ქალიშვილმა აგვიხსნა, რაიონის სკოლებსა და კლუბებთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერება ტარდებაო. ეს ქალიშვილი ჩოხატაურის კომკავშირის რაიკომის მდივანი — ჯეენ ქერქაძე აღმოჩნდა. ჩვენს შესახვედრად გამოსულიყო. სასტუმროდ იქვე იყო. დაბინავების შემდეგ თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერების დასწრების სურვილი განვაცხადეთ.

ყველანი ლოგაში მოვთავსდით. ფეკალმატრაზს პიანისტები სცვლიდნენ, პიანისტებს — მოცეკვავენი, მოცეკვავეებს — მომღერლები, მომღერლებს — დრამატიული წრის წევრები და ასე შემდეგ... რაიონის ახალგაზრდები ტაშის გრიალში სტოვებენ სცენას. არც მოსულები ჩამორჩებოდნენ. დათვალიერებაზე მოხუცებიც გამოვიდნენ — შესანიშნავად იმღერეს და იცეკვეს კიდეც.

სანახაობა სანახაობით იცვლებოდა. იმდღევანდელი საღამო რაიონის ნამდვილი დღესასწაული იყო. მაყურებელთა საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა ჩიდისთაველმა კოლმეურნე დურგალმა — ტიტიო დუმბაძემ, რომელიც *საკუთარი ხელით შექმნილ ჭიანურზე* ამაღელვებლად შესასრული „სიმღერა რვა კომუნარზე“. თურმე ტექსტიც და სიმღერაც მას ეკუთვნოდა. მე ძალიან დამინტერესა მისმა ცხოვრებამ, მისმა ბიოგრაფიამ და ჯეენ ქერქაძის დახმარებით მეორე დღეს ახლოს გავიცანი.

სასაუზმოდ მიმავალნი მცირე ხანს ჭიეკო ბენდელიანის სახლთან შეეჩერდით. ქეჩა მაღლობზე ადგიოდა და სახელოვანი მფრინავის შშობლიური კარმიდამო ძალიან კარგად ჩანდა. ნაწვიმარზე მწვანე კოინდარი უფრო ფერადად გამხდარიყო. ნიავის ოდნავ წამობერვაზე დაჩირეულ ხეებს შტოებიდან ცვარნანი სცვიოდა და ძაფგამწყდარ ძეწკვებივით იფანტებოდა ბალახებში. სხვენის დირეზე შემოსულუნელ ღაბუა მტრედს ნისკარტი იმე კიდეზირა წონ, თითქოს იმ დფაწტელი ცვარნანის ასაკენკად უნდა დაშვებულიყო ძირს.

დერეფანთან ხის პატარა მოჩი ეგდო, რომლის ერთ მხარეზე მძლავრად დარტყმულ ნაკეახს ჯერ კიდევ უძაგძაგებდა ტარი. კაცს ეგოინებოდა, ჭიეკო ბენდელიანი ეს წუთია აქ ყოფილა და ახლა სამრეკ სოლის გამოსატანად შესულიყო. ფიქრში წასულებს უეცრად თვითმფრინავის გუგუნი მოგვესმა. ცას ავხედეთ, მაგრამ რას დავინახავდით, როცა თვრად შედედებული ნისლი გართხმულიყო კიდთაკიდემდე. მე და ჯეენ მზერა ტიტიო დუმბაძეზე გადაეტანეთ. ჩიდისთაველ ვაკაკაცს ნიკაპი სველ მესერზე დაეყრდნო და თვალებში ცრემლი მორეოდა. იმ წუთში ალბათ გმირულად დაუბუდ თანამემამულეზე ახალ სტრიქონებს ჩარხავდა გუნებაში საკუთარ ჭიანურზე დასამღერებლად.

ჩემმა შეკითხვამ გამოარკვია:

— ამხანაგო ტიტიკო, ბენდელიანს ალმათ ახლოს იცნობდით, არა?

— ბენდელიანს მე კი არა, მთელი ქვეყანა იცნობდა ახლოს, ჩემო კარგო! — თქვა ტიტიკომ, სველ მესერის ნიკაპი მოარიდა და ახლა მარჯვენა ხელი ჩაიგლო, თითქოს სიმაგრე გაუსინჯოთ.

— ეჰე, რას ნიშნავს, რომ შენი ნაოსტატარია ეგ მესერი?! შენ, ოდნავადაც არ შექანებული, — გამომწვევად წაულაპარაკა ჯენიმ.

თითქოს ძველი ჭრილობა გაეხსნოთ, ტიტიკომ ერთი მწარედ ჩაიღიმა, ხოლო თქვით არაფერი უთქვამს. არ ვიცი, ჯენის ნათქვამი რამდენად მართალი იყო, მაგრამ იმ წუთში მე მსურდა დამეჯერებინა, რომ მთელი ხიდისთავი და ჩოხატაური მისი აშენებული იყო...

ჩემს შეკითხვაზე — სამამული ომში შენც თუ იღებდი მონაწილეობას-მეთქი, თავდაჩრეკილად ორიოდე სიტყვა ძლივს გაიმეტა:

— ვიღებდი, თორემ ჩემი გმირობით ქვეყანა გავაკვირვე, აი!..

— მაგრე რად ამბობ, ტიტიკო? ყველა პატიოსანი მეომარი მე გმირად მიმაჩნია! — მოვუჭერი მოალედ.

— არა, შეგობარო! გმირები ისინი იყვნენ, რომლებმაც სამშობლოსთვის თავი დასდეს და შინ ალარ დაბრუნებულან.

— სამაგიეროდ მათი გმირული სული დაბრუნდა, რომელიც დღენიადაგ არ გვასვენებს და გამამჯავრებიდან გამამჯავრებამდე მოგვიწოდებს!— იყო ჩემი პასუხი.

— სიტყვაში ვერ შეგდაავებით და, ეფიქრობ, არცაა საჭირო. მოკლედ, მე ასე მჯერა და...

ტიტიკოს დაუბოლოებელმა სიტყვამ გამახსენა ხალხური ლექსის ერთი ფრაგმენტი:

„ნეტავი, ჩემო დედაო,
არაბეთამდე გვარა,
ერთ კიდეე დაგბადებიყო,
ჩემსავით ბეჩავ კი არა“.

კარგია, როდესაც ადამიანი თავისი თავის უკმაყოფილოა. ამგვარი ქცევა სხვების თვალში მას ერთიორად ამაღლებს. ტიტიკო დუმბაძეც სწორედ ასეთი ადამიანი გამოდგა და მისი სიტყვები მე მხოლოდ დიღსულოვნებად მივიღე.

ხიდისთაველ მომდერალს, ჭიანურის შესანიშნავ დამკერალსა და საუკეთესო დურგალს, ჭარანის ფრონტზე უბრძოლია, იქ უშნეები ბლინდაჟები, სადაზვერვო პუნქტები, უმიდეგია დანგრეული ხიდები, პონტონები, ნაეტ-კები და ბორნები. მეც ხომ უკრაინის ფრონტზე ვიბრძოდი. ვინ იცის, ტიტიკო დუმბაძის აგებულ ბლინდაჟებში მეც გამოვეკი კოშმარული ღამე. მეც ვმდგარვარ მის გაკეთებულ პონტონებზე...

ეს მოკრძალებული და სიტყვაძუნწი ხიდისთაველი ვეკაკაცი მშობლიურ გურიაში სამამული ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ დაბრუნებულა... დაბრუნებულა და დიდხანს არ უნებივრებია ოჯრის მარჯვენა, დრიზე დაუწყია მუშობა ხიდისთავის კოლმეურნეობაში. მის პატიოსნებასა და თავდადებულ შრომაზე ბევრი რამ გვითხრა მეორე დღეს, ხიდისთაში ყოფნის ღრმს, კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარემ ბენო სიხარულიძემ.

საგულისხმოა ერთი დეტალი: ტიტიკო დუმბაძეს როგორც კი გაუვლია, სამამული ომში დაღუპულ თავმჯერიძის ოჯახს ქვეკი სახლი თავზე ენგრეკოო, მაშინვე გამგზავრებულა სოფელ ზენობანაში და ორიოდე კვირის განმავლობაში ორთვალიანი ოდა-სახლი წამოუშენიმავს. თავმჯერიძის ოჯახის წევრები დღესაც მადლიერების გრძნობით არიან გამსჭვალულნი ტიტიკო დუმბაძის მიმართ და თითქმის ყოველ დღესასწაულზე იგი თავმჯერიძეების სასტუმრო სტუმარია ხოლმე. მისივე ხელით არის შესრულებული ბგრეთვე ხიდისთავის საშუალო სკოლის სადუგრკო სამუშაოები, რისთვისაც ხიდისთაველი მშრომელები, მასწავლებლები და მოსწავლე ახალგაზრდები დიდის პატივისცემით ეპყრობიან ამ კეთილშობილ ოსტატს, კეთილშობილ ადამიანს.

ხიდისთავის კოლმეურნეობა, რომელიც ექვსამდე სოფელს ეერთიანებს, ერთ-ერთ საუკეთესო კოლმეურნეობად ითვლება ჩოხატაურის რაიონში; პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილების შემდეგ ბევრი საინტერესო პერსპექტივა გადაიშალა მის წინაშე.

ხიდისთავს შუაზე ჰყოფს მდინარე გუბაზოული და ისედაც ლამაზ სოფელს უფრო მიმზიდველსა ხდის. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ხიდზე, რომელიც ხიდისთავის ორ მხარეს ერთმანეთთან აკავშირებს. ყამთასელისაგან ისეა დაცხავებული, რომ კაცი თამამად ვერ გაივლის ზედ. მაგრამ ბენო სიხარულიძემ განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება მისი კაპიტალური შეკეთება.

მდინარის მარცხენა ნაპრის ჩაშენებული აქვს ქვითკირის სქელი ჯვარი, რომელიც წყალდიდობისგან იცავს სოფლის ნეტრე ნახეკარს. ჯვბერთან ახლოს სასადილოა. არც აქ დავიწყებიათ მოსწრებული ხუმრობა ეურულებს. განსაკუთრებით სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს, რომლის სახელი რატომღაც ვერ დავიმახსოვრე. იგი სასადილოსთან შედგა და ყველანი ჯვბერისკენ შეგვაგზავნილა:

— ძამიკოებო, არ გეგონოთ, რომ ეგ ჯვბერი მართლა სოფელს იცავს წყალდიდობისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელს კი არა, სინამდვილეში აგერ, იმ საქათმეს იცავს, მაგრამ დაცვა რა ჭირად უნდა, როცა შიგ ერთ ყელტატეკელი ქათამსაც ვერ დაინახავს კაცი, გულით რომ უნდოდეს...

ჩვენი ხმამაღალი სიცილი მდინარის შხეულს შეუერთდა და სახეზე მხოლოდ ცარიელი ღიმილიღა შეგვრჩა. კომკავშირის რაკომის პირველმა მდივანმა რეზო თედორაძემ, რომელიც იმჟამად მეგზურობას გვიწევდა, სოფლსაბჭოს თავმჯდომარე უპასუხოდ არ დასტოვა: ხუმრობა ხუმრობად დარჩეს და, ჩვენ ახლა ერისთავის სასახლეში მიგვიჭერებაო. ამ დროს ბენო სიხარულიძემ ზზა გადაგვიღობა და გვითხრა: არც ისე გვაქვს საქმე, ასე ადვილად რომ დაგვისხლტეთ ხელიდანო.

როგორც იყო, კოლმეურნეობის მანქანათ ერისთავის სასახლის სანახავად გორაბერეკეთულსაკენ დავიძარით. გზაში რეზო თედორაძემ გულისტკივილით მოგვმართა, რა იქნებოდა, ჩემი სოფელი — ინეიფლიც ვენახათო.

მივადექით გორაბერეკეთულს, სადაც ერისთავის სასახლის გარდა, მნახველთა დიდ ყურადღებას იპყრობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და საყრდენ-სანჩენებელი კოლმეურნეობა. ტექნიკუმში თითქმის საქართველოს ყველა კუთხის ახალგაზრდები სწავლობენ. აი, სწორედ ამ ახალგაზრდებთან მოგვიწყეს სახელდახელო ლიტერატურული შეხვედრა, რის შემდეგ დავათვალიერეთ ერისთავის სასახლე და მისი ვეებერთელა ბაღი, რომელიც დიდად არ ჩამოუვარდება ზუგდიდისა და წინანდლის სახელგანთქმულ ბაღებს.

ბრტყელი, ლუჯლოდიანი გალავნით შემორაკლილ სასახლის კართან შეგვხვდა ერთი ახოვანი ჭაბუკი. დირექტორმა გვითხრა: ხევსურეთიდან არის ეს წარჩინებული მოსწავლე, იენობდეთო... მისმა ადლიანმა მტკაველმა და ბორხოსმიერმა ხმამ წამით შორეულ წარსულში ჩაგვძირა ყველანი. მას რომ ეკრობული პიჯაკის ნაცვლად აბჯარი სცმოდა, ალბათ ძველ საუკუნეთა მთელ სურნელებას შეეგრძნობდით. პრაქტიული და თეორიული ცოდნით აღჭურვილი ხვალ ის ხევსურეთი საქართველოს ყველა კუთხის შვილებთან ერთად, დოსტაქარიული მოგვლინება ლიხსიქითა თუ ლიხსაქეთა საკოლმეურნეო მინდვრებს, ხოდაბუნებს, ზვრებსა და ბაღებს...

შევდიგართ სასახლის გალავანში. მარჯვენა პირღია ქოცოები იყურებიან მიწის წიაღიდან. შიგ ალბათ საზედაშო ღვინოებს თუ აყენებდნენ ჩვენი წინაპრები. ახლა დაძველებულან, დაბზარულან და წვიმის ჩაყვითლებული წყალიღა მოსჩანს მათ ფსკერში... აჰა, ქვედა სართულში მოთავსებული მარანიც, ქვითკირის საწნახელი, ჩანჩელებული ქვევრები, ხის ჩიფურება და ტარიელ მკლავაძის მკლავის ოდენა ყანწები შთაგონებას ახალებენ და გვიადვილებენ დეკაცა წინაპრების წარმოსახვას...

აი, ზემო სართულიც, დიასახლისი ოთახში გვეპატრეკება. დაცვაოთ ბაღში სიარულით შეეიებულებს მდეღარე ჩაიღნიდან ამომავალი ორთქლი საამურად გვეჩენება. ტექნიკუმის დირექტორი საყვედურით მიმართავს რეზო თედორაძეს, რატომ ჯერ არ წამოიიყვანეთ, მასძლიერ უყვარს აქაურობაო. ამ სიტყვაზე მე თვალწინ დამიდგა წინადღით ნანახი ჩოხაატარის ერთ-ერთი ჩაის პლანტაცია, სადაც კოლმეურნე ქალებთან ერთად ძირს უთოსნიდა ჩაის ბუჩქებს ჯერნ ქერქაქეც. თავფოხის ხელეურივით შემოგრაგნილ წაბლისფერ თმაზე თქონად წამოსული წვიმის წვეთები ციცინათელებად დასეოდნენ კომკავშირელ ქალიშვილს,— და ხიდისთავში გასამგზავრებლად დაძრულებს თეთრად დაბურულებულ სიერცეში თითქოს გზას გვინათებდა იმ ციცინათელების შუქი.

ძნელია ყველაფრის გახსენება. კაცმა რომ თქვას, ეს არც არის აუცილებელი. მე მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიებ იმ ძველ, გატეხილ, ქანგიან ბორკილს, რომელიც ჩემს თანამგზავრებთან ერთად ვნახე ჩოხაატარის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ასეთივე ბორკილი უფრო ადრე ჩვენ ვიხილეთ სოფელ ჩირგვეთში, ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში. „ბორკილები მუზეუმებში“, — სიმბოლიურად ქღერს ეს ორი სიტყვა. დიახ, სწორედ იქ არის მათი ადგილი. გაჩეთ კი ყველაფერი უბორკილოა. გაზაფხულს ფრთები გაუშლია კიდით-კიდამდე და სიცოცხლის უკვდავებას დასწფფია მთელი გურია, განახლებული ჩვენი გურია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭარხალიშვილი

ფაუსტი და თანამედროვეობა

(მ. კვესელავას „ფაუსტური პარადიგმების“ გამო)

ფაუსტური თემა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი მარადიული თემაა. საუკუნეთა მანძილზე ხალხთა მხატვრული ფანტაზია და სიტყვაკაზმული მწერლობა ქმნიდა კაცობრიობის მომავლისათვის მებრძოლთა ტიტანურ სახეებს, რომელთაც რეფორმაციის პერიოდიდან იოჰან ფაუსტის მებრძოლი სახეც შეემატა. ფაუსტი უადრესად მახლობელი აღმოჩნდა მომდევნო საუკუნეების პროგრესული აზრისათვის, რადგან ფაუსტური თემა გაშლისა და განვითარების შესანიშნავ საშუალებას აძლევდა. საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე, როცა ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლა გადაშენებულ ფაზაში შეიდა, ფაუსტური გმირები საზოგადოების პროგრესისათვის მებრძოლებად გვევლინებიან; ისინი გრძნობენ ადამიანის გონებისა და ნებისყოფის ძალას, სამყაროს საიდუმლოებათა, ცხოვრების არსის შეცნობის აუცილებლობას, მაგრამ ჯერ კიდევ არ იციან სინამდვილის განვითარებისა და შემეცნების პროცესის ობიექტური კანონზომიერებანი. იმ მრავალ მწერალთაგან, რომლებმაც XVI—XVIII საუკუნეებში და შემდეგაც დაამეშავეს ფაუსტის თემა ან მისი რომელიმე ვარიაცია, არსებითად მხოლოდ გოეთე მიუახლოვდა ამ კანონზომიერებათა მეცნიერულ გაგებას. სწორედ გოეთეს „ფაუსტია“ ის ნაწარმოები, რომელშიაც განმანათლებლური იდეოლოგიის საფუძველზე ახლებურად გაშუქდა ფაუსტური ბრძოლის მეთოდები და მიზნები. ფაქტიურად ის, რაც ახალ საუკუნეებში ფაუსტურის ცნებაში იგულისხმება (დაუცხრომელი ძიება ჭეშმარიტებისა, სწრაფვა უკეთესი მერმისისაკენ და სხვ.), სწორედ გოეთეს „ფაუსტთანაა“ დაკავშირებული. ამდენად ბუნებრივია, რომ „ფაუსტური პარადიგმების“ ავტორის ნაშრომში ცენტრალური ადგილი უჭირავს გოეთეს ამ უკვდავ ქმნილებას. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფრო კონკრეტულად მოვსაზღვრა, რა იგულისხმება „ფაუსტურში“ ამ ცნების „ეიფრო“ და „ფართო“ გაგებით, ვინაიდან ნაშრომში ფაუსტურის ზოგადი და კონკრეტული ნიშნები ხშირად ისეთ ვრცელ ასპექტში და დიდი მასალის ფონზეა მოცემული, რომ ძნელი ხდება „სპეციფიკური ფაუსტურის“ გამოყოფა იმ ზოგადსაკაცობრიოდან, რომელსაც ფაუსტური ასე თუ ისე ყოველთვის უკავშირდება. ეფიქრობ, შეიძლებოდა უფრო მკვეთრად აღნიშნულიყო, რომ უკვე XVI საუკუნიდან მზადდება ის, რაც გოეთესთან „ფაუსტურის“ სახით ფორმდება, სწორედ გოეთესეული მიგვაჩნია „ფაუსტურის“ კონკრეტულ შინაარსად, და მხოლოდ შემდეგ გვეჩვენებინა მისი პარადიგმული განვითარება ახალი საუკუნეების მწერლობაში.

„ფაუსტური“, ნაშრომის ავტორისათვის, „უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული ცნებაა, ისტორიული განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე წარმოშობილი და გარკვეულ მხატვრულ სახეებში ჩაბოყალებებული“ (გვ. 40), ხოლო თვით ფაუსტი—„საყოველთაო პროგრესისა და ჭეშმარიტების ძიების კომპლექსური ლიტერატურული სახე, რომელიც დემონური გზით ცდილობს დასძლიოს ადამიანური შეზღუდულობა და მიაღწიოს ქვეყნისა და პიროვნების სრულყოფას“ (გვ. 51). დროთა განმავლობაში ფაუსტური ცნების შინაარსი თანდათან იესება მშვენიერების, სიკეთის, სიყვარულის, ბედნიერების, შრომის თავისუფლებისა და სოციალური ჰარმონიის იდეებით. საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო ასპექტში „ფაუსტური“ ნიშნავს ადამიანის სწრაფვას სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობისაკენ, ხოლო ამ პროცესში — თვით ადამიანის ამაღლებას საკუთარი უმწეობის შეგრძნებიდან თავისუფლების ბრძოლით მოპოვების შეგნებამდე, კოლექტიური შრომით სინამდვილის გარდაქმნის მოთხოვნამდე. ამგვარად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგებული „ფაუსტური“, როგორც შრომის ავტორი აღნიშნავს, „ყოველთვის შეიცავს თანადროულობის კვინტესენციას“ და შესაძლებელს ხდის, რომ მისი ყოველი ახალი გამოვლენა ცხოვრების ღიმაგალ განვითარების ეხმაურებოდეს.

შრომის ავტორი კარგად გრძნობს ფაუსტური თემებისა და მოტივების ახლო კავშირს თანამედროვე ცხოვრებასთან, ფაუსტმცოდნეობის მთავარ ნაკლად იგი სწორედ „თანამედროვე პრობლემების უგულებელყოფას“ თვლის. ისე, როგორც გოეთემ „ფაუსტზე თქმულების მეთხებით მისი თანამედროვეობის იდეები გამოხატა“ (ჩერნიშევსკი), ასევე, შრომის ავტორის აზრით, ფაუსტური თემა ამა თუ იმ სახით პასუხია სათანადო ეპოქის უაღრესად მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებზე. ახლაც, წერს მ. კვესელავა, ფაუსტური პარადიგმები „ჩვენი ეპოქის ორი იდეოლოგიური ბანაკის უმთავრეს პრობლემებს შეიცავენ და ხალხთა მისწრაფებების არსს გამოხატავენ“ (გვ. 25). შრომაში ნათლადაა ნაჩვენები, რომ ფაუსტური იდეა თავისი არსით ახალი, უკლასო საზოგადოების მშენებელი ხალხის სულიერი კულტურისკენაა მიმართული; რომ ფაუსტური ტრადიცია მეგზკვიდრეობით მიიღო ჩვენი დროის მოწინავე მწერლობამ. „ფაუსტური პარადიგმების“ ავტორს არც ის ავიწყდება, რომ XX საუკუნის ბურჟუაზიულ-დეკადენტურ ლიტერატურაში მარადიული წინსვლისა და სრულყოფის ამაღლებულ ფაუსტურ იდეას მოლიანად გამოეცალა პიზიტიური შინაარსი და „არაფრის არაფერში გაარაფრების“ ნიჰილისტურ გაგებამდე დავიდა.

ფაუსტური პრობლემების თანამედროვეობასთან ცხოველმყოფელი კავშირის გამო შრომის ავტორმა მთავარ ამოცანად ამ პრობლემების კომპლექსური შესწავლა დაისახა. ეს გაბედული ცდა, რაც არსებითად პირველია ფაუსტმცოდნეობაში, მისასალმებელია, რადგან სწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან ახლებურად გამოჩნდა საუკუნეთა მანძილზე თავმოყრილი მასალა და მისი გააზრებაც ღღეანდელი მეცნიერული ღონის შესაბამისად მოხდა.

მ. კვესელავამ შეძლო ფაუსტზე თქმულებათა ტექსტების კრიტიკული შესწავლა და ფაუსტური პარადიგმების ხალხური საფუძვლების გამოკვლევა. ავტორი უარაყოფს კ. ფიშერის, გ. ოსბორნის, ე. ფალეგონისა და სხვათა შეხედულებებს, რომელთა მიხედვითაც ფაუსტურ თქმულებათა ძირები შეა საუკუნეების თეოლოგიურ და მაგიურ თქმულებათა ციკლში უნდა ვეძიოთ; შრომის ავტორის სიტყვებით, „ფაუსტური იდეების განვითარება უნდა განხილულ იქნეს, როგორც კაცობრიობის მარადიული პროგრესისა და ადამიანების სრულყოფისათვის ბრძოლის გამომხატველი მითოლოგიის, მაგიისტალური ხაზის გაგრძელება“ (გვ. 20). ეს ხაზი შრომის ავტორისათვის იწყება მაშინ, როცა ადამიანის ფანტაზიამ ბილგამეში, ამირანი და პრომეთე წარმოშვა.

შრომის ავტორი გულმოდგინედ სწავლობს როგორც თქმულების ხალხურ ვერსიებს, ასევე მისი ლიტერატურული დამუშავების თითქმის ყველა მნიშვნელოვან ცდას. თქმულების გერმანული და ინგლისური ვერსიების ღრმა ანალიზის შემდეგ იგი ფართო ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ასპექტში ერცლად ახასიათებს მსოფლიო ლიტერატურის ისეთ ცნობილ ნაწარმოებებს, როგორიცაა მარლოუს დრამა „დოქტორ ფაუსტის ტრაგიკული ისტორია“, გოეთეს „ფაუსტი“, თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“, ფაუსტური ნაწარმოებები „ზტურმ უნდ დრანგის“ მწერლობაში, ჰაინესა და ლენინგის ფაუსტური ფრაგმენტები და სხვ.

ფაუსტური პრობლემის განსაკრში ვრცელი ფაქტობრივი და ტექსტუალური მასალის დალაგების საფუძველზე „ფაუსტური პარადიგმების“ ავტორი იმ პრინციპულ თვალსაზრისს იცავს, რომ „გოეთემდე ფაუსტური პარადიგმები განვითარების ერთ მაგისტრალს მიჰყვება. ამის შემდეგ კი ორ სხვადასხვა მიმართულებას იღებს: ერთი მხრივეს ბურჟუაზიული დეკადანსის ხაზს, ხოლო მეორე კვლავ ადამიანობის გზით მიდის და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების მოწინავე პროგრესულ იდეებში სახიერდება“ (გვ. 25).

ფაუსტური სახის ლიტერატურული პარადიგმების პირველწყაროდ ავტორი მარტო ფაუსტის შესახებ არსებულ თქმულებებსა და ლეგენდებს კი არ თვლის, არამედ თვითონ დოქტორ იოჰან ფაუსტსაც, როგორც ისტორიულ პიროვნებას, რეფორმაციის პერიოდის ტიპიურ წარმომადგენელსა და თვალსაჩინო მოღვაწეს (გვ. 123).

ავტორი დეტალურად სწავლობს იოჰან შპისის ადრეულ და შემდეგ გადამუშავებულ საბოლოო ვარიანტს, გ. ო. ვიღმანის 1590 წელს გამოცემულ ვარიანტს (რომელიც 4-ჯერ აღემატება შპისისას), 1674 წლის ი. პფიცერის ვარიანტს, 1725 წელს ენნმე „მორწმუნე ქრისტიანის“ მიერ მაინის ფრანკფურტში და შემდეგ ლაიფციგში გამოქვეყნებულ ვარიანტს და სხვა გამოცემებს.

ასევე ვრცლად განიხილავს იგი მაგიური თქმულებების (die Magussagen) წარმოშობის ისტორიას ღიმსაღლური და ანტიკური თქმულებებიდან დაწყებული რეფორმაციის პერიოდამდე. იგი, მართალია, პირობითად, მაგრამ მაინც იღებს ამგვარ თქმულებათა განვითარების ისტორიაში კუნო ფიშერისეულ ოთხ პერიოდს:

1. ძველ ქრისტიანულს, 2. ძველ ეკლესიურს, 3. შუა საუკუნეობრივს და 4. რეფორმაციის პერიოდისას. ამ თანმიმდევრობით მსჯელობს იგი ისეთ ძველ ქრისტიანულ და საკაცობრივ თქმულებებზე, როგორიცაა თქმულებები სიმონ მოგვის, კიპრიანე ანტიოქიელის, თეოფილუსის შესახებ და ცხადჰყოფს, რომ ამგვარი თქმულებები, რომლებიც ორთოდოქსული საკალესიო მოძღვრების საფუძველზეა შექმნილი და ძირითადად კათოლიკური ეკლესიის მეშვეობით ღვთისგან განდგომილ ადამიანთა და ეშმაკისაგან ცთუნებულთა ღვთაებრივი საწყისისაკენ მობრუნებას გვიჩვენებენ, დიდად განსხვავებიან რეფორმაციის პერიოდის თქმულებებისაგან, კერძოდ, თქმულებებისაგან ფაუსტზე.

ავტორი სწორად ვარაუდობს, რომ ფაუსტური თქმულების სოციალური ძირები თვით რეფორმაციის პერიოდის საერთო ისტორიულ ვითარებაში უნდა ვეძიოთ, ხოლო მწერგნობრულ-ფოლკლორული საწყისება უპირატესად ამ ადრეულ თქმულებებში, რომლებშიც ძლიერი იყო საერო მოტივები და უშუალოდ გამოვლინდა მიწიერი ცხოვრების ძალა და ხალხის ჯანსაღი ფანტაზია. კიპრიანესა და თეოფილუსზე უფრო ახლოს, ცხადია, ხალხური ფაუსტთან გიდგამეშის, ამირანის, პრომეთეს სახეებია. ტრადიციულ მაგიურ თქმულებათა გმირები ადამიანური ახშოვნენ ღვთაებრივის განსადიდებლად, ხოლო „საიდუმლოებათა ერთბაშად განმეშვრეტელ და ფარულის მხილველი“ ბრძენი — ხეთერ-შუმერული თქმულების გმირი გილგამეში, ქართულ-ბერძნული წარმოშობის ამირანი-პრომეთე, ადამიანის ბედნიერებისათვის წამებული, „ყველაზე კეთილშობილი წმიდანი“ — ტიტანური ძალის ის ადამიანია, რომელიც ზეციურ ძალებს ებრძვინან ხალხის ბედნიერებისათვის. სწორედ მათი თვისებების თავისებური განაზღვავა თქმულებები ფაუსტზე, როდესაც მათი გმირი აღორძინების ეპოქის ტიტანი-ჰუმანისტია, მებრძოლი გონებითა და მეცნიერებით.

ფაუსტურის ისტორიული ტრადიცია ამგვარ ზოგად ისპეკტში შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ სპეციფიკური ფაუსტური კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილესთანაა დაკავშირებული, ესაა რენესანსის ეპოქა, კერძოდ, რეფორმაციის პერიოდის პლებეურ-რევოლუციური მოძრაობა და მისი იდეოლოგია. ამიტომაა, რომ ფაუსტურ გმირებს არ აქვაოფილებთ ბურჟუაზიული სინამდვილე, მისგან თავის დაღწევას ცდილობენ, მაგრამ ამას მხოლოდ ზებუნებრივი ძალების დახმარებით ახერხებენ, ისინი მხოლოდ ფანტაზიაში, წარმოსახვაში უსწრებენ სინამდვილეს და, როგორც ენგელსი ამბობს, სინამდვილესთან პირველი შეხებისთანავე უნდა დაბრუნებულნენ იმ ვიწრო ჩარჩოებს, რომლებიც იმდროინდელ პირობებს შეეფერებოდა („ბელეთა ომი გერმანიაში“, გვ. 49).

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს დოქტორ ფაუსტზე არსებული თქმულებების ინგლისურ ვერსიებს, მათი დამშავების კონკრეტულ-ლტერატურულ ნიშუს—მარლოუს დრამას „დოქტორ ფაუსტის ტრაგიკული ისტორია“, ხოლო შემდეგ იმ ნაწარმოებებს, რომელთა ავტორები დემონური პერსონაჟების თავისებურ გაგებას იძლევიან. ამ ასპექტში ვრცლად განიხილავს მილტონის „დაკარგული სამოთხეს“, რომელიც, ავტორის აზრით, „გაღღენთილია ფაუსტური იდეებით“, „სატანა კი სანიშუოა და მისაბაძია ინგლისის დემონური ლიტერატურისათვის“ (გვ. 282).

შრომის ავტორი იცავს იმ თვალსაზრისს, რომ მარლოუ კარგად იცნობდა შპისსეული წეგნის ინგლისურ თარგმანს, საერთოდ გერმანელ თქმულებებს იოჰან ფაუსტზე, მაგრამ მხოლოდ ეს თქმულებები არ ყოფილა შთაგონების წყარო დრამატურგისათვის. იგი კარგად იცნობს დ „ინგლისური ფაუსტის“ სახის შექმნისათვის ივენებს ძველ ინგლისურ თქმულებებსაც, რომლებშიც დამუშავებულია სატანის ბრძოლისა და მაგიურ ძიებათა თემები.

შრომის ავტორი მარლოუს დრამის ანალიზის საფუძველზე მართებულად ასკვნის, რომ დრამატურგმა, რომელიც თავისი ათეიტური და ანტიმონარქისტული შეხედულებებითაა ცნობილი, შპისსეული ვარიანტის საწინააღმდეგოდ, მაგიასთან ფაუსტის მისვლის მიზეზების ძიება თეოლოგიის სფეროს მიღმა დაიწყო. მართალია, მარლოუს ფაუსტიც, როგორც თვითონ ამბობს, „ყველებურად მოჩვენებითი თეოლოგი“ უნდა იყოს ინკვიზიციის მძვინვარების გამო, მაგრამ თავისი რწმენით აღორძინების ეპოქის ადამიანია, რომელიც იბრძვის მეცნიერების გათავისუფლებისათვის თეოლოგიური ზღუდეებისგან.

მარლოუს დრამა აღორძინების ეპოქის მოწინავე იდეების გამომხატველი ნაწარმოებია, რომელშიც თქმულების დედაზარი თავისუფალია თეოლოგიური ბურუსისაგან. ინგლისელმა დრამატურგმა უარჰყო მეფისტოფელისა და ჯოჯოხეთის რელიგიური გაგება და ისინი ცხოვრებისეული, ადამიანური სიკეთისა და სისუსტის სიმბოლოებად აქცია (გვ. 262, 267).

მარლოუს „ფაუსტი“ ერთადერთი მნიშვნელოვანი ინგლისური ლიტერატურული პარადიგმაა ფაუსტურ თემაზე. VII საუკუნის ბარდის — კედმონის სტანის სახიდან დაწყებული მილტონთა და ბაირონით დამთავრებული, ინგლისურ ლიტერატურაში უმთავრესად მუშავდება ზეციურ ძალთა წინააღმდეგ სატანური ამბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხების თემა სხვადასხვა ვარიაციით, ვიწროდ გაგებული ფაუსტური სახე კი ხან ფარსის პერსონაჟია (მონტფორტი), ხან პაროდიის (რ. გრინი), ხან კი ირონიულადაა ნახსენები (შექსპირი, სვიფტი და სხვ.).

ფაუსტური თემა, როგორც მოსალოდნელი იყო, უპირატესად იმ ხალხის ცხოვრებაში განვითარდა, რომლის წიაღშიაც წარმოიშვა.

გოეთეს გენიალურ ქმნილებამდე ფაუსტური თემის დამუშავებით გერმანელი ლიტერატორი გამდიდრეს ლესინგმა, მიფლერმა, კლინგერმა, ლენცმა, ფოსმა და სხვა ცნობილმა მწერლებმა.

ლესინგის „ფაუსტი" (ფრანგმენტი და დარჩენილი მასალები) განმანათლებელთა საუკუნის ლიტერატურული ძეგლი უნდა ყოფილიყო. საკუთარ ცოდნასა და გონების სიძლიერეში დარწმუნებული ლესინგის ფაუსტი თავს აღწევს ჯოჯოხეთს, მეფისტოფელს დემონურ ზემოქმედებასაც. ლესინგის ფაუსტი ცდილობს რაციონალისტური ფილოსოფია ცხოვრების ფილოსოფიად გარდაქმნას, მაგრამ მას ჯერ კიდევ აკლია პრაქტიკული ზემქმედების კონკრეტული უნარი. ამიტომ იგი უპირატესად ინდივიდუალისტი და განდგომილი მოაზროვნეა. ამის შეგრძნება კი XVIII საუკუნის ფაუსტურ გმირებში ეროვნულ გულგატეხილობას და აზროვნების სფეროში ჩაკეტვისაკენ მისწრაფებას იწვევს. ამგვარი მისწრაფება აშკარად შეიმჩნევა „ზტურმ უნდ დრანგის" წარმომადგენელთა შემოქმედებაში, იდეალსა და სინამდვილეს შორის წინააღმდეგობათა ამსახველ ნაწარმოებებში. ფრიდრიპ მიულერის ფაუსტს („სიტუაცია ფაუსტის ცხოვრებიდან", „ფაუსტის ცხოვრება და სიკვდილი"), მაგალითად, საერთოდ აღარ ინტერესებს შეცნიერება, რადგან იცის, რომ ამ გზით მისთვის შეუძლებელია სამყაროს არსის წვდომა, უფრო მეტიც, მას თავისი ვიწრო სფერო მოფეტბნია და ნაცვლად ზოგად კანონზომიერებათა შემეცნებისა, ამ სფეროს მოწყობა უფრო ინტერესებს, მაგრამ ამასაც ვერ ახერხებს: მორჩილად მიჰყვება მეფისტოფელს ჯოჯოხეთში. ფაუტი რენესანსის ადამიანს უფრო ჰგავს „ცხოვრებასა და სიკვდილში", მაგრამ, მიუხედავად სოციალური მტივეს გაძლიერებისა, აქაც ვერ ახერხებს „თავის თავზე ამაღლებას", ბორტი სულების დაძლევას. სოციალური მოტივი — ფეოდალური დესპოტიზმის უარყოფა — უფრო ძლიერია ფრიდრიპ მაქსიმილიან კლინგერის რომაში „ფაუსტის ცხოვრება, საქმეები და ჯოჯოხეთში ბოსავლა", მაგრამ თვით გმირი, რომელიც ადამიანში ადამიანურ შესაძლებლობათა დაგმობისა და ზებუნებრივ თვისებათა შემენის მეოხებით ცდილობს ცხოვრების არსის წვდომას, საბოლოოდ ლეგიოთანის დემონური სურვილების შემსრულებელი უფროა, ვიდრე საკუთარი ხვედ[illegible] მგბრძოლი.

ფაუსტური იდეა თვისობრივად ახალ საფეხურზე გოეთემ აიყვანა. ფაქტიურად მან ამ პირველმა აავსო ეს იდეა ისეთი შინაარსით, რაც პოზიტიური გაგებით ახალ საუკუნეებში იგულისხმება ხოლმე „ფაუსტურში". ცხოვრების არსის დაფარულებელი ძიება, ადამიანური სიკეთე და ქველმოქმედება, ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მშვენიერების ამოცნობა, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლა—ასეთია ამ ცნების ზოგიერთი არსებითი ნიშნები. ხალხურ თქმულებათა ჯაბსაღი იდეა გოეთემ ახლებურად ამეტყველა, განმანათლებლური იდეოლოგიის მონაპოვართა საფუძველზე ადვილად დაძლია „შტურმერთა" ინდივიდუალიზმი და „ფაუსტში" ადამიანური ქმედების რეალისტური პროგრამა გადაგვიშალა. არსებითად მხოლოდ გოეთემ მოახერხა ფაუსტის შეიარაღება მეცნიერულ-თეორიული ცოდნთა და ქმედების პრაქტიკული უნარით; მხოლოდ გოეთეს ფაუსტმა მიაგნო იმ ცხოვრებისეულ ძალას, რომელიც თვით ცხოვრება უნდა შეეცალოს — ესაა ხალხის თავისუფალი შრომა.

გოეთეს შემდეგ ფაუსტური თემა გერმანიაში დაამუშავეს ნ. ლენაუმ, ჰ. ჰაინემ, ფრ. შპალ-ჰაგენმა, კ. გუტკოუმა, ო. რაუმბახმა, ე. იაკობსონმა და კიდევ მრავალმა სხვამ. საინტერესოა, რომ ლენაუმ და ჰაინემ ისევ აღადგინეს ფაუსტის ისტორიის ტრაგიკული ფინალი: „მსოფლიო სევდით" შეპარობილი ლენაუს ფაუსტი გამოსავალს თვითმკვლელობაში პოულობს, ხოლო ჰაინეს ფაუსტი მეფისტოფელს ისევ ჯოჯოხეთში მიჰყავს. ამგვარი ფინალით ორივე მწერალმა გამოხატა სამყაროს სიიდუმლეთათვის მიუწვდომლობით გამოწვეული რომანტიკული სევდა.

XIX — XX საუკუნეების ლიტერატურულ მოვლენათა დახასიათების დროს ავტორი ცდილობს ფაუსტური თემისა თუ იდეის გამოძახილი იპოვოს ცალკეულ მწერალთა ნაწარმოებებში. ეს ცდა ხშირად გამართლებულია (მაგ., ბაირონის ფილოსოფიური პოემების, ბალზაკის „მაგრენს ტყავის" ანალიზისას და სხვ.), მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ისეთი მწერლების დახასიათებისას, როგორიცაა ოსკარ უაილდი, მეტერლინკი, ა. ფრანსი, რ. როლანი, გერმანელი და ფრანგი რომანტიკოსები, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, რემარკი და სხვ. შრომის ავტორი ზოგჯერ ივიწყებს იმას, რასაც ის „სპეციფიკურ" ან „საკუთრივ ფაუსტურს" უწოდებს და „ფაუსტურთან" აკავშირებს ისეთ თემებსა და მოტივებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, სხვაგვარ ახსნასა და გაგებას მოითხოვენ.

ასე, მაგალითად, რაკი ლენაუს, ჰაინესა და ბაირონს აქვთ ფაუსტური თუ ფაუსტურის მსგავსი ნაწარმოები, ანდა ბალზაკს „შაგრენის ტყავი“, აუცილებელი არაა, რომ ვრცლად ვილაპარაკოთ რომანტიზმსა და რეალიზმზე, ამ სკოლათა თითქმის ყველა წარმომადგენელზე. ვრცელი მიმოხილვა მოსალოდნელი იყო განათლების საუკუნის მწერლობის გარჩევისას. მაგრამ სწორედ ეს ნაწილი შედარებით მოკლე და სქემატური. წიგნის ორივე ნაწილში, განსაკუთრებით მეორეში, ვრცლადაა დახასიათებული XX საუკუნის რევოლიუციონერ-დეკადენტური მიმდინარეობანი ფილოსოფიისა და ხელოვნებაში, მაგრამ ერთიანს შეეფეცილა მსჯელობა განმანათლებლური ფილოსოფიისა და XX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის შესახებ, ეს კი კარგი მასალაა ფაუსტური პოზიტიური ფონისათვის.

თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსის“, პოლ ვალერის „ჩემი ფაუსტისა“ და კიდევ ორიოდე ნაწარმოების გამო შრომის II ნაწილში განხილულია XX საუკუნის თითქმის მთელი ფილოსოფია და ლიტერატურა, რაც, ვფიქრობთ, არ იყო საჭირო. მთავარია ფაუსტურ თემასთან დაკავშირებული მოტივების შესწავლა განსაკუთრებით და სპეციალურად ამ მოტივებზე დაწერილ ნაწარმოებებში და არა ის, თუ რა მიმართულებაშია ასეთ ნაწარმოებში აღძრული საკითხები საერთოდ სხვა ნაწარმოებებთან. ასე, მაგალითად, რადგან „დოქტორ ფაუსტში“ ფაუსტური იდეა ხელოვნების სფეროშია გაშლილი, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საკმაოდ ვრცელად განვიხილოთ ის ნაწარმოებები, რომლებშიც ხელოვნებისა და ხელოვანის ბედზეა ლაპარაკი, მაგ., „ქან კრისტოფი“ ან „მარტნ იდენი“; ასევე გაუგებარია, რატომ არიან „ტრაგიული ფაუსტური მეამბოხენი“ ისსენის ბრანდი, ან ჰაუპტმანის ჰაინრიხი („ჩაძირული ზარი“).

შრომის ავტორის დიდი დამსახურებაა ფაუსტური თემისა და მისი პარადიგმების ამეტყველება თანამედროვეობის ასპექტში. ავტორი რამდენჯერმე იმეორებს იმ აზრს, რომ ფაუსტური თემა „სულ ახალ-ახალ პარადიგმულ ფორმებში მოითხოვს განსახიერებას, სანამ თავის სრულოფოვას მომავლის კომუნისტური საზოგადოების მაღალ-ჰუმანურ ლიტერატურაში მიაღწევდეს“ (გვ. 25). სავსებით კანონზომიერია ის ფაქტი, რომ ფაუსტური იდეები პროგრესული კულტურის საგანძურში შეეფეცილა მათი შემოქმედებითი გააზრების საფუძველზე მომავალშიც შეიძლება შეიქმნას მსატვრული ნაწარმოებები, მაგრამ ცხადია ისიც, რომ „სრულოფოფზე“ უნდა ემსჯელოთ კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით, და არა ზოგადად. წიგნის ორივე ნაწილში იგრძნობა, რომ ავტორს სპეციფიკური ფაუსტური ნაშრომები არა აქვს ისე მკვეთრად გამოყოფილი გოეთეს შემდგომდროინდელ ნაწარმოებებში, როგორც ეს XVI — XVIII საუკუნეების ფაუსტურ ნაწარმოებთა ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზისას ჩანდა. ამას მიუთითებს თვით ავტორის დასკვნა მეორე წიგნის დასასრულს: „ფაუსტური ავიღეთ და ამ მაგალითზე ვცადეთ გვიჩვენებინა კვლიი და ბორტი ძალების ბრძოლის პარადიგმული განვითარება“ (გვ. 691). ფაუსტური პარადიგმების კვლიი და ბორტი ძალების ბრძოლის პარადიგმებთან გაიგივებამ შეიძლება გამოიწვიოს თემის საზღვრების ისეთი გაფართოება, რომ დავკარგოთ „საკუთრივ ფაუსტური“.

მ. კვეხელავას შრომაში განხილულია ფაუსტურ თემაზე შექმნილი თითქმის ყველა ნაწარმოები. დასასრულია მხოლოდ, რომ ავტორს გამორჩენია ილია სალვინსკის ტრაგედია „ფაუსტის კითხვისას“ და ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის „სულელი და სიკვდილი“, რომელსაც „დეკადენტურ ფაუსტს“ უწოდებენ.

ფაუსტური თემის დიდი საზოგადოებრივ-კულტურული მნიშვნელობა, მისი რეზონანსი, რომელიც საუკუნეებს წყდება, თემის ღრმა ხალხური ბუნებით აიხსნება. ცნობილია, რომ რაც უფრო ღრმაა მოვლენის საზოგადოებრივი ძირები, მით უფრო დიდია მისი მნიშვნელობა კაცობრიობის კულტურული განვითარების ისტორიაში. ეს კარგად იცის „ფაუსტური პარადიგმების“ ავტორმა და ამიტომაც, თემის ფართო ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ასპექტში გაშლასთან ერთად, დამაჯერებლად გვიჩვენებს მის ადამიანურ, ხალხურ, ცხოვრებისეულ ხასიათს, მარადიული სიცოცხლის უნარს. ასეთი უნარი მეკითხვება დღესაც. ეს მეცნიერულად დასაბუთა და ცხადჰყო მ. კვეხელავამ, რომლის „ფაუსტური პარადიგმები“, როგორც ფაუსტური თემის კომპლექსური შესწავლის პირველი ცდა, საბჭოთა ფაუსტოლოგიის ახალი მიღწევაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან ცაგიშვილი

მივიწყებული რეჟისორი და „ღალატი“ გერლინის სცენაზე

ხშირად გვსმენია და წაგვიკითხავს ჯაბადარის ქართული სტუდია-თეატრის შესახებ ძველ პრესასა და ახალ მემუარულ ლიტერატურაში. ა. ფევრალსკის მონოგრაფიაში[1] ჯაბადარი ორგან არის ხახსენები — ერთგან, როგორც შ. დადიანის „გუშინდელნის“ დამდგმელი, ხოლო მეორეგან ნათქვამია: „1918 წელს ჩამოყალიბდა თეატრალური სტუდია გიორგი ჯაბადარის ხელმძღვანელობით, რომელშიც თავი მოიყარა თეატრალურმა ახალგაზრდობამ. ამ სტუდიის ბევრმა აღზრდილმა შემდგომში წამყვანი ადგილი დიაკავა თეატრებში. მათ შორის იყვნენ: ვ. ანჯაფარიძე, ფ. ანთაძე, ა. ვახტანგ, შ. ღამბაშიძე, მ. გელოვანი, ფ. ძნელაძე დ. მეგვია, მ. ჭიაურელი“.

ა. ვ. ფევრალსკისთან მიმოწერის შემდეგ გადავწყვიტეთ ჩვენს ხელთ არსებული მცირე დოკუმენტური მასალების საფუძველზე სტატია დაგვეწერა, ამავე დროს ჯაბადარის ძმისაგან პარიზიდან მივიღეთ გიორგის სანტერესო და სრულიად უცნობი ხელთნაწერები, მათ შორის „შენიშვნები ქართულ თეატრზე“ და „ღალატი“ ბერლინის სცენაზე“.

ქართული თეატრალური სტუდიის ერთ-ერთ-ი ფუძემდებელი, გიორგი ჯაბადარი დაიბადა თბილისში 1888 წლის 2 ივნისს, თავისი დროის ეამორნინული ქართველი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბადარის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლების შემდეგ, სხვა ძმებთან ერთად, 1902 წელს გიორგი სასწავლებლად ბრიუსელში გაგზავნეს. შემდეგ საფუძვლიანი ცოდნა შეიძინა ევროპის კულტურულ ცენტრებში. კარძოდ სწავლობდა და სარეჟისორო ხელოვნებას დაეუფლა ცნობილი გერმანელი მსახიობის, რეჟისორისა და თეატრალური მოღვაწის მაქს რეინჰარდტის (1873—1943) თეატრალურ აკადემიაში. გ. ჯაბადარი უცნოეთიდან 1918 წელს დაბრუნდა სამკრთველოში და საგარეჯოში დაბინავდა. ამ დროისათვის ქართული თეატრი კრიზისს განიცდიდა. მეტად მწვავედ იგრძნობოდა ძველი თაობის შემცველ მსახიობთა სიმცირე. მართალია, ახალგაზრდა ძალები აქა-იქ გამოჩნდნენ, მაგრამ მენშევიკური მთავრობის ხელში შემოქმედებითი ზრდის პერსპექტივები მათ არ გაჩნდნათ. დრამატიულმა საზოგადოებამ, შეძლებულთა ერთ-ჯგუფთან ერთად, გ. ჯაბადარი თბილისში დაიბარა და ქართული თეატრის განახლებისა და მსახიობთა ახალი თაობის მოსამზადებელი საქმიანობის ხელმძღვანელობა შესთავაზა. მცირე ყოყმანის შემდეგ ახალგაზრდა რეჟისორი მუშაობას შეუდგა, მხოლოდ ამ პირობით, რომ სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნებოდა და სტუდიაში მიიღებდა მხოლოდ ახალგაზრდობას. ქართული თეატრის განახლების ორგანიზატორს ორი წელი — პირველი წარმოდგენის დადგმამდე — უსასყიდლოდ უნდა ემუშავა. სტუდიის საჭიროებისათვის განუთვნილი თანხა დრამატიულ საზოგადოებასა და მეცენატთა ჯგუფს უნდა გამოეღო.

უჯამაგირო რეჟისორმა გვერდში ამოიყენა ახალგაზრდა რეჟისორი მიხეილ ქორელი, დრამატიული სტუდია ჩამოაყალიბა, გარშემო შემოიკრიბა ხელოვნებით გატაცებული, ენერგიული ახალგაზრდები და ქართული თეატრის განახლების საქმეს შეუდგა.

ჯაბადარის სტუდია მიზნად ისახავდა ახალი მეთოდებითა და ხერხებით სცენის წარმოდგენას, კულტურული თეატრის ჩამოყალიბებას. მართლაც სტუდიაში შეიმჩნეოდა ჭეშმარიტ ხელოვნთა მუყაითი შრომა, მისწრაფება სიახლისაკენ, და ახალგაზრდა სტუდიელების მუშაობას ზოგჯერ სტანისლავსკის „თეატრ-სტუდიისა“ შემოქმედებას ადარებენენ. ქართული კლუბის ერთ მცირე ოთახში, რომელიც სამხატვროც იყო, სარეჟისოროც და სარეპეტიციოც, ისახებოდა ახალი ქართული თეატრის აღორძინების გეგმები. „ჩემი მიზანი იყო, — წერდა შემდეგ გიორგი, — დამეყენებინა თეატრი ისეთ ნიადაგზე, როგორც მოწყობილია ევროპაში, შემექმნა ახალგაზრდა ძალები... ყოფილიყო ანსამბლი, ისე როგორც თანამედროვე თეატრშია და არა ისე, როგორც წინათ იყო: ერთი

[1] Февральский А., Театр имени Руставели. «Искусство» 1959 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმე როლი არ ყოფილიყო გამოჩენილი. ჩვენ გვინდოდა დაგვეყარებინა დისციპლინა ჩვენს სამშენ, დისციპლინა მკაცრი და არა ისეთი, როგორიც გამეფებული იყო ქართულ თეატრში“.

მაგრამ უსახსრობის, უბინაობისა და მოუწყობელი სცენა-დარბაზის გარდა სამეს მრავალი წინააღმდეგობა გადაეღობა. ქართული თეატრის განახლების ამ წამოწყებას, სამწუხაროდ, ბევრი მტერი გამოუჩნდა. ზოგიერთი ცრუმტერიები ალმაცერად უყურებდა და აბრკოლებდა სტუდიისა და მისი მეთაურის მუშაობას. „ჯაბა-ტალიტებმა“ ნაკისრი ვალდებულება, რა თქმა უნდა, არ შეასრულეს და განკუთვნილ თანხის მხოლოდ ერთი მეათედი გამოიღეს. დრამატიულ სტუდიას ბევრი არაფერი ებადა და ქართული თეატრის განახლებას სამეე ჩიზნი მოემეწყვდა. ხელისუფლება ქართული თეატრით სულაც არ იყო დაინტერესებული. გ. ა. ჯაბადარი იგონებს: „ერა გვქონდა ერთი პატარა ოთახიც კი და სამადლოთ ხან ვინ შეგვიკედლებდა და ხან ვინ. თითქოს ძალად, ჩვენთვის ყოველისფერი გაძნელდა, ყოველმხრიდან თავს გვესეეოდნენ, ყოველმხრიდან ინტრიგებს ეწეოდნენ, სცდილობდნენ სამეე ჩაეფეშათ, რადგან ნათლად გრძნობდა მეკრიც-კი, რომ სტუდიამ ქართულ დრამატიულ ხელოვნებაში შეიტანა ახალი სხვა, რომ სტუდიაში არ იყო ლოთობა, გარყვნილება, რომ სტუდიელებმა იცოდნენ როლები და ძველებს არაფრით წაგვდნენ“.

ყოველივე ეს, ცხადია, არაფრად ეპიტნავებოდათ ქართული თეატრის განახლების მტრებს, მაგრამ სტუდია მაინც მტაციედ იდგა, მოთმინებით იტანდა ყოველგვარ გასაჭირს და ახალგზრდული გატაცებით მუშაობდა. ზოგიერთი რეცენზენტის ტენდენციური გამოსვლა სტუდიელებს მხოლოდ ახალ ენერგიას მატებდა. ფელ რომ ალარ ჰქონდათ, ფინანსიური კრახის თავიდან ასაცილებლად მოლაპარაკება დაიწყეს ერთ-ერთ კოოპერატივთან. მოშურნეებმა აქაც სცადეს წყლის ამღვრევა, სტუდიის საწინააღმდეგო ანონიმური წერილები მიაყარეს კოოპერატივის გამგეობას. მაგრამ ჯაბადარის სტუდიამ მაინც მიიღო საჭირო სუფსიდია იმ პირობით, რომ სათავეში ყოფილიყო კოლეგია. მართალია, რეკისორს ზღუდადდა ასეთი პირობა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა, ოღონდ კი ეს ახალი საქმე არ ჩაშლილიყო. ბაბო გამოეკეი ოგონებს, ჯაბადარი საინტერესო რეკისორი და პედაგოგი იყო, დიდი გამოცდილებით და გამოვნებით მუშაობდა სახეების სწორ გახსნაზე, სიტყვის წარმოთქმაზეო. საზოგადოება მოუთმენლად ელოდა სტუდიის მუშაობის ნაყოფს.

სტუდიელები ქართველი მაყურებლის წინაშე პირველად წარსდგნენ ბრიე „სარწმუნოებიდან“. სტუდიის პირველ საბრძოლო ნათლობაში ბალ-გაზრდა მსახიობთა ფალანგის პლეადას, მათს დახვეწილ თამაშს ხელოვანთა მტაციე ხელისა და ნაყოფიერი შრომის კვალი ანნდა. ყურნალი „თეატრი და მუსიკა“ წერდა: „სტუდიის ახალგაზრდა მეშაკებს, მათს შორის უმთავრესად ანკაფარიძის ასულს, ეტყობოდათ ხელი რეკისორისა, რომელსაც დიდი მეშაობა გაუწევია მათ მომზადებაში... როგორც რომ სამხატვრო ნაწილი, აგრეთვე სალიტერატურო და უმთავრესად მკვიდრ ნიადაგზე დგას. სტილიზაციის პრინციპი სტუდიაში სავსებით დაცულია“.

„სარწმუნოების“ შემდეგ საარტისტო საზოგადოებაში დიდდა ა. ი. სუმბათაშვილ-იუანის „ღალატი“, შემდეგ კი თვით ჯაბადარის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი „ვითა ფოთლები“, ამას მოაყოლეს ჭინტერშვილის „ბუტრუნი“, რისტანის „ორი პიერო“ ანუ „ფეთრი ვახშაში“ და სხვ. „სარწმუნოებასთან“ შედარებით, მართალია, ზოგიერთი დადგმა უფერულად ჩატარდა (მაგალითად, „ღალატი“), რაც კარგად იგრძნეს რეკისორმა და მსახიობებმაც, მაგრამ ჯაბადარის შრომამ ნაყოფი მაინც გამოიღო. სტუდიის დადგმებს ს. ახმეტელმა „დაუთოებული წარმოდგენები“ უწოდა, ხოლო ა. ფალავამ „კორექტიული“. გ. ჯაბადარმა ასეთი კრიტიკა და ზოგიერთი მიეკვრძოებელი რეცენზენტის სამართლიანი შენიშვნები მიიღო და თავის მხრივ განაცხადა: „ვანა მეტის გაკეთება შეიძლებოდა ერთ წელწადში? მიზანი ჯერ-ჯერობით ის იყო, რომ ჩვენი წარმოდგენები ყოფილიყო „კორექტიული“ და „დაუთოებული“, რომ ყველას სცოდნოდათ როლები, მიზანსაცენები და ეს როლები შესრულებული ყოფილიყო, ინტონაციის მხრივ, შეგნებით სწორად და არა ისე ყალბად როგორც აქამდის. ერთ წელწადში მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო“.

სტუდიას მიზნად ჰქონდა დასახული ძველი ქართული დრამატურგების ნაწარმოებებიც დაედგა და ამისათვის შეეხსწავლა ქალაქისა და სოფლის იმ ხანის ყოფა-ცხოვრება, რომელიც აეტრის ჰქონდა აღწერილი; ამასთანავე ჯაბადარს განზრახული ჰქონდა მოეწყო სტუდიის ტურნე პროვინციებში. მაგრამ სამწუხაროდ კოოპერატივიდან სუსპიდის მიღების „ორი თვის მეშაობის შემდეგ, — როგორც გულისტკივილით თვით აღნიშნავდა გ. ჯაბადარი, — ციხე შიგნიდან გატეხა ზოგიერთ პირთა წყალობით. ინტრიგები დაიწყო შიგნით. ჩვენი ნაკლი არის შური. და ეს შური იმდენად უფრო უკეტტური პირთა შორის, რომელთაც თვითონ საქმის გაკეთების უნარი არა აქვთ და სცდილობენ სხვისი გაკეთებული საქმე ჩაშლონ და გაფუჭონ“. კარგად წამოწყებული საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲐᲘᲤᲣᲨᲐ, თუმცა გიორგი ჯაᲯᲐᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ უანგარო მოღვაწეობამ მთლად უნაყოფოდ არ ჩაიარა და ქართულ თეატრს აღუზარდა ნიჭიერი მუშაკები: ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, ᲑᲐᲑᲐ ᲓᲐᲛᲠᲘᲐᲜᲘᲡ, ელენე ციმაკურიძე, აკაკი ვასაძე, გიორგი სარჩიმელიძე, გიორგი ყიფშიძე (ფრონსპირელი) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ თავიანი მოწაფეების—მსახიობებისა და ᲮᲚᲝᲠᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ მოყვარულთათვის გ. ჯაᲯᲐᲓᲐᲠᲘᲐ თბილისში 1918 წელს გამოსცა საინტერესო და დღეისათვის ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ „დიქეია“, რომელშიც განხილულია ზოგიერთი პრობლემატური, ქართული თეატრალური ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ საკერი და ამკამადაც საყურადღებო საკითხი. ამ საᲙᲘᲗᲮᲘᲡ და საგულისხმო შრომის ავტორი მაგალითებთან, ფაქტიური მასალების მოშველიებითა და უცხოური ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ დამოწმებითა ღრმა ანალიზს უკეთებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ᲭᲚᲘᲡ დაყენება, ᲡᲣᲠᲜᲘᲚᲘᲡ გამომეᲠᲐᲜᲘᲡ, გამოთქმის დახვეᲠᲐ, მახვილის დასმა, ძირითად და მნიშვნელოვან სიტყვათა გამორჩევა, სწორი კილოს დაუფლება და ᲭᲚᲘᲡ ᲜᲘᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ შეთვისება. „დიქეიაში“ ᲛᲣᲚᲢᲘᲞᲚᲝᲠᲐᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ გ. ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲚᲘᲡ, თუ როგორ უნდა იკითხებოდეს ᲗᲝᲛᲝ რუსთაველის, გრ. ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ, Ლ. ᲑᲐᲠᲐᲛᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ილიას, აკაკის ᲬᲐᲬᲠᲐᲛᲝᲑᲔᲑᲘᲡ და ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ. ავტორი იშველებს და ᲘᲛᲘᲛᲬᲛᲔᲑᲡ სულხან-საᲑᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ, ᲗᲐᲮᲐᲜᲬᲛᲔᲚᲘᲡ, ალ. ᲑᲐᲮᲐᲜᲬᲛᲔᲚᲘᲡ, დავით ᲩᲣᲑᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ და ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ უცხოელ ᲛᲬᲔᲣᲠᲔᲑᲡᲗᲐ.

გ. ჯაᲯᲐᲓᲐᲠᲘᲐ „ᲔᲗᲝᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲔᲑᲘᲡ“ გარდა ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘᲓᲐᲜ თარგმნა მ. ᲛᲔᲢᲠᲚᲘᲜᲚᲘᲡ 6-ᲛᲝᲛᲪᲘᲠᲔᲓᲘᲐᲜᲘ ᲤᲔᲪᲘᲠᲘᲐ: „ᲚᲣᲠᲯᲘ ᲤᲠᲘᲜᲪᲔᲡᲘ“, რომელიც თბილისში სახელმწᲘᲤᲝ გამომცემლობამ დაბეჭდა 1922 წელს.

როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწᲘᲤᲝ დრამატიული თეატრი 1920 წლის 15 ოქტომბერს გიიხსნა. მაყურებელს უჩვენეს გიორგი ჯაᲯᲐᲓᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲗᲘᲡ 1919 წელს სტუდიაში განხორციელებული შ. დადიანის „გუშინდელნის“ განახლებული დადგმა. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ თეატრის ამ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ მოვლენის შესახებ გ. ჯაᲯᲐᲓᲐᲠᲘ უცხოეთში დაᲬᲔᲠᲘᲠᲘᲐ მცირე, 16-გვერდიანი მოგონება. ᲩᲕᲔᲜ ᲮᲔᲚᲗᲐᲐ მისი მხოლოდ მეთვᲘᲤᲣᲚᲘᲗᲘ გვერდი, რომელშიც ნათქვამია: „ᲐᲡᲔ თუ რასა ᲗᲕᲘᲗᲔᲒᲒ, სია ᲬᲐᲠᲓᲒᲠᲘᲡ მთავრობას, მაგრამ მთავრობამ უარი სთქვა, ფულს ვერ მოგცემთო. საინტერესოა, რომ სახელმწᲘᲤᲝ დასში, გარდა ᲝᲠᲘ თუ სამისა, სულ სტუდიის მოწაფეᲑᲘ მოᲛᲙᲕᲚᲔᲜᲘᲡ. სტუდიამ გამოსახა და შესᲬᲘᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ თეატრის ᲘᲡᲘᲗᲝᲜ ძალები, როგორიც არიან: გ. ანჯაფარიძე, თ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲪᲐᲛᲪᲘᲜᲐᲫᲔ, ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲪᲐᲛᲪᲘᲜᲐᲫᲔ

მეჩვიდმეტე საუკუნის ... ... „ღალატი“ ბერლინის სცენაზე

ბულ ენაზე დადგმის სურვილი გ. ჯაბადარს ჯერ კიდევ მსოფლიო იმპერიალისტური ომის გაჩაღებამდე ჰქონია. ახალგაზრდა მწერალმა დეკანისა და გ. ჯაბადარმა პიესა თარგმნეს კიდევ ფრანგულად. ზეინაბის როლი სარა ბერნარს უნდა შეესრულებინა, მაგრამ მან უკანასკნელი მონოლოგის შეცვლა მოისურვა— „ზეინაბმა თავი არ უნდა მოიკლასო“. დრამატურგი არ დათანხმდა მონოლოგისა და ფინალის შეცვლაზე და განაზრახი განუხორციელებელი დარჩათ.

1933 წლის აპრილის დამდეგს ბერლინში მცხოვრებ გ. ჯაბადარის ოჯახში, როდესაც ქართულ თეატრზე საუბრობდნენ, გადაწყდა „ღალატი“ გერმანულად დაედგათ. ამ საქმეს ბევრი დაბრკოლება გადაეღობა. საქონი იყო დიდი სცენა. ბერლინში მხოლოდ ექვსი თეატრი იყო ისეთი, რომლის სცენაზეც პიესა დიდგმებოდა, დანარჩენებზე არამც თუ დეკორაციების სწრაფი გამოცვლა, არამედ თვით დეკორაციებიც ვერ მოთავსდებოდა. ამასთანავე სახელმწიფო თეატრის იმედი არ უნდა ჰქონდათ, ხოლო კერძო თეატრებში საქონი იყო დიდი თანხა წინასწარი ხარჯვებისათვის. მიუხედავად ამისა გეორგიმ და მისმა მეუღლემ პიესა გერმანულად საგულდაგულოდ გადათარგმნეს, უმნიშვნელო ცვლილება შეიტანეს და საგანგებოდ ნაყიდ გასამრავლებელ მანქანაზე 35 ცალი დაბეჭდეს. მთგან ორი ეგზემპლარი წარუდგინეს გერმანიის საპროპაგანდო სამინისტროს, რომლის უნებართვოდ პიესების დადგმა აკრძალული იყო.

1934 წლის მაისში დაპირებული 5-6 ათასი მარკის მაგიერ გ. ჯაბადარს 4750 მარკა გადაეცეს. ქართველმა რეჟისორმა 14 დღით იქირავა ბერლინის ერთ-ერთი საუკეთესო სამხატვრო თეატრი („Théatre des Westens“), შეუკვეთა დეკორაციები, კოსტუმები და დაიწყო მსახიობების ძებნა. მცირე თანხით ცნობილ მსახიობთა მოწვევა შეუძლებელი იყო. ძალიან ბევრი გამოცდილ, მაგრამ შემადგენლობა მაინც მოიკუმლებდა. მაგალითად, ოთარაშვილს, ისახარისა და სულეიმანის როლების შემსრულებელი რეჟისორს არ აკმაყოფილებდა.

ზეინაბს ანსახიერებდა ცნობილი მსახიობი გერტა მიულერი, რომელმაც როლში ბევრი ახალი კარგი ნიუანსი შეიტანა და განაცვიფრა რეპეტიციაზე დამსწრენი, განსაკუთრებით ქართველები. გ. ჯაბადარი იგონებდა: „საქმე იქამდის მივიდა, რომ მესამე მოქმედების უკანასკნელ სცენაში, როდესაც ზეინაბი ეუბნება ოთარ-ბეგს: „საქართველოღაა, ოთარ, საქართველო!“, გერტა მიულერი ისე ამბობდა ამ სიტყვებს, რომ არამც თუ დამსწრე ქართველობა პირდაპირ აკვნეთინა, არამედ მეც-კი, რომელსაც არავითარი უფლება არა მაქვს გრძნობას მივეცე, — მეც-კი, — უნდა გამოვტყდე, — ძლივს შეეიკავე ცრემლები... „ღალატი“ მე ხშირად დამიდგავს, ბევრი ზეინაბი მინახავს როგორც ქართულ, აგრეთვე რუსულ სცენაზე, მაგრამ გერტა მიულერისთანა არც ერთი, არსად, არასოდეს“.

ასევე კარგი იყო ანანიას როლის შემსრულებელი კუტრ ჰარცეგი. მიულერს გარდა, ყველას ძალიან დიდი მუშაობა დაჭირდა საქონო ტონისა და ინტერპრეტაციის მისაღწევად, მაგრამ 30 რეპეტიციის შემდეგ პიესა დიდებულად მომზადდა. დარჩა ერთი-ორი გენერალური რეპეტიცია. დაბეჭდილი აფიშებიც-კი გამოსაკვრელად მოამზადეს. პრემიერა 27 სექტემბრისათვის იყო დანიშნული, მაგრამ უფფლობამ აქაც თავისი გაიტანა და კარგად დაწყებული საქმე ჩაიფუშა. არტისტები დაიქსაქსნენ, თეატრის პატრონმა შენობა სხვას მიაქირავა და „ღალატის“ დამდგმელებს ჯარიმის სახით ვალი დაედოთ. ერთი თვის შემდეგ, ვალის გადასახდელად და საქმის გამოსასწორებლად 10.000 მარკა გახდა საჭირო. ერთი ქართველი მეცენატის შ. ქარუმიძის დახმარებით ეს ფულიც იშოვეს და გადასცეს დანიშნულ კაცს, რომელმაც ყველა ანგარიშები გასწორა. ამოდენა ფული დახარჯა და სამწუხაროდ პიესა კი ვერ დაიდგა. სამაგიეროდ „ღალატს“ ისეთი რეკლამა გაუკეთდა პრესასა და თეატრალურ წრეებში, რომ თითქმის ყველამ იცოდა პიესის დადგმის რომანტიული თავგადასავალი.

მაგრამ გ. ჯაბადარი და მისი თანამოაზრენი არ დაწყნარებულან, 6.000 მარკა გამოძებნეს და 1935 წლის იანვრიდან ხელახლა შეუდგნენ „ღალატის“ დადგმის სამზადისს. შუაგულ თეატრალურ სეზონში სათანადო შენობის შოვნა შეუძლებელი გახდა და რიახსტეატრ კამერამ უმძიმესი ფინანსიური პირობები წამოაყენა. ძიებასა და შეხლა-შემოხლაში ზაფხული მოახლოდდა. 25 ივნისს როგორც იყო გ. ჯაბადარმა დიდი თანხა მიიღო და ახალი ენერგიით შეუდგა სემბათაშვილის დრამის რეპეტიციებს.

დაპოლის, 1935 წლის სექტემბერში, ბერლინის სამხატვრო თეატრში „ღალატი“ დაიდგა. ანშლაგების მიუხედავად, გაწეული ხარჯი შემოსავალს არ დაუფარავს, მაგრამ სამაგიეროდ მაყურებელი და პრესა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ამ უდავოდ დიდ ქართულ საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲔᲜᲘᲜᲒ ᲜᲝᲠᲒᲔᲗᲘ

ᲛᲔᲢᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ინგლისელების სურვილის თანახმად, მისის ჰენდერსონთან ერთად ო

შერპა შევარჩიე. ძლიერი რაზმი გამოვიდა. მასში შევიდნენ ეევერესტის ვეტერანთა უმრავლესობა, შეეიარეული ექსპედიციებისა და 1951 წლის სადაზვერვო ექსპედიციის მონაწილენი. ხნით ყველაზე უფროსი ჩემი ძველი მეგობარი დავა ტპონდუპი იყო. ის თითქმის ორმოცდაათ წელს იყო მიტანებული და სასმელზედაც არ ამბობდა უარს, მაინც ერთ-ერთ საუკეთესო მთასელად ითვლებოდა[1]. უმცროსება ჩემი დისწულები იყვნენ — ტოპგეი, ერთი წლის წინ სამხრეთ უანგრიზე რომ ავიდა, და გომბუ (ჩემ დის ლამუ კიასს შვილი); მისი იმედიც მქონდა. ძარგად მახსოვდა 1951 წლის უსიამოვნებანი და მისის ჰენდერსონის სიტყვები. ჩვენი ხალხი გვეფერთხილე. ფულზე დავას ნუ ატეხავთ — ბაქშიში მოსალოდნელი არ არის და არც უნდა მოითხოვოთ-მეთქი. თუ რაიმე გაუგებრობა წარმოიშვა, მე მომმართეთ და შეეეცდები, საქმიანი ისე მოეგვარო, რომ უკმაყოფილო არავინ დარჩეს-მეთქი.

უკვე შეეუდექი სირდარის მოვალეობის შესრულებას, მისგან გამომდინარე ყოველგვარი სიძნელეებით. მალე მთასელეიც უნდა გავმხდარიყავი. ისევ ის ორმაგი სამუშაო მელოდა, რომელმაც ერთ დროს შეეიარაელებთან გამწყვიტა წელში. მაგრამ სხვა გზა არ იყო. ეევერესტზე ასვლისთვის ყოველგვარ სამუშაოზე თანახმა ვიყავი, ჟურნალის მრეცხავიდან დაწყებული და იეტის მეზობობით დამთავრებული.

დარჯილინგიდან გასვლის დღიდ 1 მარტი დაინიშნა. რაც უფრო ახლოვდებოდა ეს დღე, მით უფრო გაცხარებით ვემზადებოდით და ვდელავდით. ექსპედიციას ბევრი ქალი გამოჰყვა, ზოგი ნაძრე ბახრამდე და ზოგიც სპაზო ბანაკამდე; ამბობენ, ჩვენი წასვლის შემდეგ ტონინგ სოონგ ბუტი უპატრონოდ მიტოვებულ სოფელს ჰგავდაო. რაკი შეეიარაელები ასე ახლოს მივიდნენ მწვერვალთან, იერიშის წარმატებით დამთავრება ახლა უფრო მოსალოდნელი იყო, ვიდრე ოდესმე. დიდის ამბით გაგვაცილეს. მეგობრებთან გამოსამშვიდობებლად რომ შევდიოდი, მხრებზე განსაკუთრებულ ყელსახვევებს — კხადას მახვევდნენ. ჩემმა მეგობარმა მიტრამ (მე მას რობი ბაბუს ვეძახი) ინდოეთის პატარა ალმი მომცა და მითხრა, „სანუკვარ ადგილს მიიტანეო". ნიმამ, ჩემმა უმცროსმა ქალიშვილმა, ლერკ-წითელი ფანქრის ნაღრღნები ჩამბარა, რომლითაც სკოლაში ხატავდა; შევპირდი, ამასაც „სანუკვარ ადგილას" მივიტან, თუ ღმერთი ისურვებს და მოწყალებას მოიღებს-მეთქი. მერე ერთმანეთს დავემშვიდობეთ. მიხაროდა, ოჯახს შინ ნახ რომ გამოვეთხოვე და არა ხალხის თვალწინ. არ მიყვარს ასეთ დროს საკუთარი გრძნობებიან გამომზეურება.

ისევ ნაცნობ გზას დავადექით: ჯერ ქვემოთ, ბარში, შემდეგ მატარებლით დასავლეთისკენ — რაქსაულამდე. იქიდან ზემოთ — ნეპალში. ტანზე სხვადასხვა ექსპედიციაში მიღებული ტანსაცმელი გვეცვა და, ალბათ, ჩინეული სანახაგიც ვიყავით. კატმანდუში რამდენიმე ინგლისელი დაგვხვდა. დანარჩენები თითქმის უკანმოლ ჩამოვიდნენ ჩვენთან ერთად. პოლკოვნიკ ჰანტის, მაიორ უილიასა და ჰილარის გარდა, კიდევ შვიდნი ალპინისტნი მოიყარა თავი. ესენი იყვნენ: ტომ ბურდილონი, ჩარლზ ევანსი, ალფრედ გრეგორი, ჯორჯ ლოუ (ისიც ახალზელანდიელი), უილფრიდ ნოისი, ჯორჯ ბენდი და მაიკლ უესტმეკოტი. ჩამოვიდნენ აგრეთვე ექსპედიციის ექიმი მაიკლ უორეი, მეცნიერი გრიფიტ პაფი, რომელსაც სხვადასხვა

[1] დავა ტპონდუპი იმეამად ავადმყოფობდა. დარჯილინგიდან ჩვენთან ერთად წამოსვლა ვერ შეიძლო და მოგვიანებით სპაზოო ბანაკში შემოგვეერთდა.

* გაგრძელება. იხ. ცისკარი, № 4, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახის დაკვირვებები უნდა გწერმოვნინა, და კინოოპერატორი ტომ სტანტონი. ცოტა მოგვიანებით ჩამოვიდა „ტაიმსის“ კორესპონდენტი ჯლეს მორისი (ექსპედიციას მისი გზეთიც აფინანსებდა).

ინგლისელები ძალიან გულთბილად შეგვხვდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, შეხვედრა და, დაწყო კიდეც გართულება. როცა ასეთ გაუგებრობებზე ვლაპარაკობ (უნდა გავიმეორო, რაც უკვე ვთქვი), ვცდილობ გულწრფელი ვიყო, ღღვნიშნო მხოლოდ ის, რაც ნამდვილად მოხდა, არ მინდა გავამტყუნო.ან ვინმეს ეუსაყვედურო. არსებობს შერპული თქმა — დიდმა ოჯახმა შფოთიც იცის. მართლაც, არ მახსოვს ექსპედიცია, რომელშე ყველაფერს თავიდან ბოლომდე უმტკივნეულოდ ჩაევლოს. მაგრამ 1953 წლის ექსპედიცია სხვებისაგან იმით განსხვავდება, რომ მას შემდგომში პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია. სხვადასხვა ჯგუფის ადამიანებმა სურვილისამებრ დაამახინჯეს ფაქტები, და ბოლოს, ბევრმა რამემ სულ სხვანაირი, სინამდვილეში არარსებული ელფერი მიიღო. პოლკოვნიკი ჯონ ჰანტი (დღეს უკვე ბრიგადირი სერ ჯონი) ექსპედიციაზე დაწერილ წიგნში, თითქმის სულ არ ახსენებს ამ უთანხმოებებს [1]. იქნება, ის მართალიც იყო, რადგან თვითონ ინგლისელი იყო და ოფიციალურ ანგარიშსაც ინგლისელებისთვის წერდა. ცხადია, ევერესტის აღების სიდიდეზეთან შედარებით, იქ მომხდარ გაუგებრობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ ყოველი ადამიანი თავის ისტორიასაც ისე ყვება, როგორც ცხოვრობს. და მხოლოდ საკუთარ თვალსაზრისს ეყრდნობა. ჩემი ისტორია „ოფიციალური“ ისტორია როდია. მე არა ვარ ინგლისელი, მე შერპი ვარ. მე უნდა გიამბოთ ის, რაც ენახე და განვიცადე მე თვითონ და არა ვინმე სხვამ, თორემ ეს წიგნი არც გულწრფელი იქნება და არც არაფრად ეღირება.

სამე პირველად კატმანდუში ჩამოსელის დღეს გართულდა. შერპებს ღამის გასათევად გამოგვიყვეს გარაჟი, ბრიტანეთის საელჩოს ყოფილი თავლა (ალპინისტები კი საელჩოში მოეწყვნენ). შერპებს ეს არ მოეწონათ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ გარაჟში სპარეარეში არ იყო. ძალიან მეძნელება ეუსაყვედურო მათ ამის გამო. ჩვენმა ხალხმა დიდი ხანია გადაამეიჯა „ყუღლის“ დონეს; შერპების უკმაყოფილება ინგლისელებს ვაცნობე და პროტესტის ნიშნად ვცდილ ხალხი სასტუმროში წამეყვანა; მაგრამ უკვე გვიან იყო. თანაც, გაუგებრობას გაღრმავება კი არა, მოგვარება უნდოდდა. და შერპებს ვუთხარი: რაც შეიძლება მოხერხებულად მოვეწყოთ. რა გვიჭირს, ერთი ღამე კაცი წყალში ჩადგება-მეთქი.

მზიდავებმა ცოტა კიდეკ იბერტყუნეს, მაგრამ, ბოლოს, მაინც დამთანხმდნენ და დასაწოლად მოემზადნენ. მართალია, ჩემთვის ცალკე ოთახი გამოყვეს, მაგრამ მე შერპებთან ერთად დავრჩი გარაჟში. ღილით შერპებმა მაინც გადაუხდეს სამადიერო, გარაჟის წინ მდებარე ბილიკი საპრიფარეშოდ აქციეს. საელჩოს გაცეცხლებული მოსამსახურეები შერპების ლანძღვა-გინებას მოჰყვნენ, მაგრამ მათთვის ყურადღება არავის მოუქცევია.

პირველად სწორედ აქ გავეცინა პრესას; შემდეგშიც არა ერთხელ მქონია მასთან საქმე. მე უკვე ვთქვი, ექსპედიციის ხარჯის ნაწილი „ტაიმსმა“ აანაზღაურა-მეთქი. ამიტომ სხვა გაზეთებისთვის რაიმე ცნობის მიწოდება აკრძალული იყო. მაგრამ გარაჟთან მომხდარი ინციდენტი სწრაფად გახმაურდა და, რაკი მე არავითარი საერთო არ მქონდა „ტაიმსთან“, ეურნალისტებიც დაუყოვნებლივ შემომესივნენ. „სავანგაზო არაფერი მომხდარა“, — ვთქვი მე. მაგრამ ყველა კორესპონდენტი როდია კეთილსინდისიერი. საშუალოზოდ, უნდა ვალიარო, რომ, ურთიერთობის კამწყვეტების მიზნით, ჩემი სიტყვები დამამახინჯეს. პრესას, მოვბის არ ეოლ, შეუძლია ადამიანი ცაშიც აიყვანოს და ტალაზშიც ამოსვარის. ეს ერთი მეორე გაკვეთილია მივიღე ევერესტის აღებისას.

ა'ი ეყო თუ ისე, რამდენიმე საათის შემდეგ, პრესაც უკან დარჩა და გარაჟიც. ავტობუსით ვიმგზავრეთ ბხადგაონამდე. კატმანდუს აღმოსავლეთით რამდენიმე კილომეტრზე მდებარე ქალაქამდე. — ეს თავმოყრილი იყო ექსპედიციის აღტურვილობა. დიიწყო ჩვეულებრივი საზრუნავი: ტვირთის შეკრა ბარდანებად, მათი განაწილება მრავალრიცხოვან ნებალელ-ბზიდავს შორის და სხვა მრავალი. უამისოდ, ცხადია, დიდ ქარავანს ვერ გაამგზავრებ.

აქაც ატედა აყალმაყალი. გამოირკვა, რომ შერპებს საექსპედიციო ტანსაცმელსა და აღტურვილობას, (საძილე ტომრების გარდა) სოლო ქუმბუში მისვლამდე არ მისცემდნენ. ამან შერპები გარაჟის ამბავზე უარესად აღელვა.

— რატომ? — კითხულობენ ისინი. — სხვა ექსპედიციების დროს ხომ ერთბაშად გვაძლევდნენ ნივთებს. ახლაც ასე მოგვცენ.

მაგრამ პოლკოვნიკ ჰანტს მიაჩნია, ნივთები რომ ახლავე დავარიგო, მთებისთვის კარგად აღარ შეინახებიო. ისევ ორ ცეცხლშეა ვიყავი და ვცდილობდი ზავი ჩამომეგდო.

— ტყუილუბრალოდ ტეხავთ აურზაურს! — ვეუბნებოდი შერპებს. — ნივთები რომ ახლა დავარიგოთ, თქვენე უნდა ითრითო. არ გრი-

[1] ჯ. ჰანტი. ევერესტზე ასვლა, საზღვარგარეთული ლიტერატურის გამომცემლობა. მოსკოვი, 1956 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენიათ ნეპალელმა მზიდავებმა ატარონ?

როგორც იქნა, წავედით. როგორც ყოველი დიდი ექსპედიცია, ჩვენც ორ რაზმად დავიყარით — ერთი დღის, შუალედით. პირველ კოლონას მე ვხელმძღვანელობდი, მეორეს — მაიორი უაილი. უაილი შესანიშნავი ადამიანი იყო, თავისუფლად ლაპარაკობდა ნეპალურ ენაზე და ადგილობრივ მზიდავებს ძალიან კარგად ეპყრობოდა. მიუხედავად ამისა, ორივეს ბევრი საბრძანავი გვქონდა: ცუდ დასაწყისს განუწყვეტელი საჩიჭრები და უსიამოვნებანი მოჰყვა. ხან ერთი რაღაც არ იყო ისე, როგორც საჭიროა და ხან მეორე. ჭამაზეც ატყდა დავა: ინგლისელები ძირითადად ჩამოტანილი დაკონსერვებული პროდუქტებით იკვებებოდნენ. ხოლო შერპებისთვის სანოვაგეს ადგილზე ყიდულობდნენ. მაგრამ შერპები ამბობდნენ, ყველანი ერთად უნდა ვეჭამდეთო, ზოგიერთ საკითხში შერპები სწორად მიმპარნია, ზოგში არა — და ასეც ვეუბნებოდი. ყველაზე მეტად მაშინ ვბრაზობდი, როცა გარკვეულად არაფერს ამბობდნენ და თავისთვის ბუზღუნებდნენ. მე ბუნებით ასეთი ვარ — რასაც ვფიქრობ, პირდაპირ უნდა ვთქვა და მინდა, რომ სხვებიც ასევე მოიქცნენ.

— კარგი, ეეყოფთ! — ვეუბნებოდი მათ. — თავი დაანებეთ წვრილმანებზე კინკლობას — მთა გეიცდის!

და ჩვენც მივამბჯენდით ზეკეთ-ქვეკეთ, ზეკეთ-ქვეკეთ, ბორკაკებზე, მინდვრებსა და მდინარეებზე. უსიამოვნებების მიუხედავად, მთები ჩვეულებრივად მოქმედებდნენ ჩემზე — დღითიდღე უკეთ ვგრძნობდი თავს. პირველად მეშინოდა კიდეც. ვფიქრობდი, შეცდომა ჩავიდინე რომ წამოვედი, ავადმყოფობამ ძალზე დამრია-მეთქი ხელი. ახლა ეშეი ალარ მეპარებოდა, რომ ჯანზე კარგად ვიყავი და ღმერთს მადლობა შევწირე. ოღაც ვეკრესსზე და მომავალ დიდ ღღეებზე დაფფიქრდებოდი, ამხანაგების ჩვეული ბებერი ქალთების კრიახდაც არ მიღიოდა.

მე სავსებით მაკმაყოფილებდა პირადად ჩემი ურთიერთობა ინგლისელებთან. თუმცა ეს არ იყო შეეიკარიელებთან ურთიერთობასავით ძალდატანებული და ამხანაგური. ერთ დროს მე და ლამბერს სულ ერთ კარავში გვეძინა, მაგრამ ახლა არც ერთ ინგლისელთან არ მჭირნია საერთო კარავი. ჩვენ არ ვხუმრობდით და არ ვაბარაზებდით ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, პოლკოვნიკი ჰანტი შესანიშნავი ადამიანი და სატკეფთესო ხელმძღვანელი იყო. პილარის, რომელთანაც უკვე მაშინ ვამეკნეს საერთო ენა, თავი მშვიდად და მეგობრულად ეჭირა; დანარჩენი ალპინისტებიც ყურადღებით და აღერსიანად მეპყრობოდნენ.

— კარგი, დავუშვათ, რომ ისინი ისეთები არ არიან, როგორც შეეიკარიელები, — ეუბნებოდი უკმაყოფილო შერპ ამხანაგებს, — მაგრამ რატომ მაინცდამაინც ისეთები უნდა იყვნენ? ინგლისელები სხვა ხალხია. უფრო მეტი იფიქრეთ მთაზე, ნაკლები საკუთარ ბრალზე. უამაყოფილებაზე და ყველაფერი კარგად წავა.

25 მარტს ნამრე ბაზარში მივედით. ისევ მხურვალე მიღება, სიმღერები, ცეკვები და ჩანგის ნიაღვარი. ტამიდან ისევ გადმოვიდნენ ჩემ სანახავად დედა და სხვა ნათესავები; პოლკოვნიკ ჰანტს რომ შეხვდა, დედამ დალოცა ისიც და მთელი ექსპედიციაც. დედაც ანგ ლამესსავით მეუბნებოდა, ძალიან ხმირად იგდებ თავს საფრთხეში ეევრესტის გულისთვისო და მევედრებოდა, ფრთხილად იყავიო.

— ნუ წუხარ, ამა ლა, — ვუპასუხებ მე. — ჩანს ამჯერად მივალწევთ მწვერვალს და მერე იქით წასვლა ალარ დამჭირდება.

ვიმედოვნებდი, რომ ეს ასეც მოხდებოდა.

ნამრედან ტიანგბოჩეს მონასტრისკენ გზეკმართეთ; იქ უნდა ყოფილიყო ჩვენი ერთგვარი დროებითი ბაზა. აქ მოხდა ორგანიზაციული ხასიათის ყველაზე დიდი და უკანასკნელი გართულება. კამათი ისევ ტანსაცმელისა და აღჭურვილობის ირგვლივ ატყდა: ინგლისელებმა შერპებს ნივთები დაურიგეს და უთხრეს — მათი უმრავლესობა ექსპედიციის შემდეგ უკან უნდა დაბრუნოთო. ამაზე აქამდე არანაირი აურზაური ატყდა. ყველა წინანდელი ექსპედიციების, მათ შორის, ინგლისური ექსპედიციების დროსაც, ნივთებს სრულ საკუთრებაში, ყოველგვარი პირობების გარეშე, იძლეოდნენ; ამჯერად შერპების უმეტესობამ ვანაცხადა, თუ ძველ წესებს არ დაიცავთ, სულაც არ წამოვალთო. პოლკოვნიკ ჰანტს უმართებელოდ მიაჩნდა ნივთების ტაეიერებრალოდ ჩუქება; მისი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ნივთებს დაარიგებდნენ ექსპედიციის შემდეგ, როგორც ჯილდოს კარგი მუშაობისთვის. მაგრამ შერპებს ასეთი იდეა არ მოეწონათ. ისინი ტანსაცმელს და აღჭურვილობას ჯამაგირის ნაწილად თვლიდნენ და უარს ამბობდნენ გზის გაგრძელებაზე, თუ ტანსაცმელს სწორედ ამ პირობით არ მიიღებენ.

მთელი ექსპედიციის განმავლობაში ახლა დამიდგა ყველაზე მძიმე დრო. მე და მაიორი უაილი, რომელიც ასევე ყოველნაირად ცდილობდა ზავის ჩამოგდებას, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდით. შერპებს, ისევე როგორც ინგლისელებს, მიაჩნდათ, რომ მე მეორე მხარის წარმომადგენელი ვარ. ინგლისელები იმიტომ ამლევენ მეტ, ფულს, რომ იმათ მხარეზე დადგეს. ხანდახან ვნანობდი კიდეც, უბრალო მზიდავი რად არ ვარ-მეთქი და ერთხელ მაიორ უაილს ვეუბნები:

— ეროთ მოიხსენეთ. მე მაქვს შეეიცარული აღჭურვილობა და იმით ვისარგებლე. ჩემი

ინგლისური ნივთები სხვებს მივცეთ, იქნება ამით დაწყნარდნენ.

რა თქმა უნდა, ამ გზით ვერაფერს გავხდებოდით. კამთი და ლანძოკა-გინება არ შეწყვეტილა, სანამ ყველა შერპისათვის მისაღები პირობა არ მოვნახეთ. ამ პირობაც არ დაეთანხმა მხოლოდ ორი შერპი — პასანგ ჰხუტარა (ოოკეი) და ანგ დაკა; ორივემ დატოვა ექსპედიცია და სახლში დაბრუნდა. პასანგის წასვლას ვნანობდი. ის მეტად ნიჭიერი და ჭკვიანი კაცია, თანაც სირდარის თანაშემწედ მუშაობდა. მაგრამ პასანგი პოლოტკოსიევი იქცეოდა: ყველა უთანხმოების და უსიამოვნების მოთავეს ის იყო; მისი და ანგ დაკას წასვლის შემდეგ ყველანი დაწყნარდნენ. სულ არ მეშინია ვაღიარო, რომ თავისუფლად ამოვისუნთქე. ყოველთვის შეჯავრებული ბუზღუნი და წვრილმანზე ჩხუბი დიადი საქმის დროს. როცა ადამიანები, მთებში მიდიან, თხუნელების ბორკეცები უნდა დაივიწყონ. დიდი საქმე დიდსულოვნებას მოითხოვს.

ერთხანს თვალს ვაყოლებდი ქოკეის, დაბანდა, რომლებიც ბილიკით ნამჩე ბაზრისაკენ ეშვებოდნენ, მერე მოვბრუნდი და სხვა შერპებს შევხედე. მათ საქმისთვის მოეკიდათ ხელი. ნაწყენობა აღარ ეტყობოდათ. მაშინ გავხედე იმას, რაც წინ იყო: მთები, ხეობები, მყინვარები, მათ ზემოთ კი უზარმაზარ კოშკებად ამაროული დიდი მწვერვალები ამა დაბლაში და ტავეენე, ნუსტე და ლოტცე. აი, მათ უკან, თოვლის მტკრის ღრუბელში გაბეკეული ეკერესტიც, ძველთაძველი ჩიმოლუნგპა. ყველაფერი დამავიწყდა; უსიამოვნებანი, კამთი, ჩხუბი — ყოველივე ერთბაშად გაშრა. ქვეყნიერებაზე სხვას არაფერს არ ჰქონდა აზრი და მნიშვნელობა — არსებობდა მხოლოდ ეკერესტი, ბრძოლა და ოცნება.

— აბა, წავსულვართ! — დავიყვირე მე.

და გავიფიქრე: „დიახ, წავსულვართ მაა ასალებად. ზევით, ზევით... ამჯერად, მეშვიდედ — თვით მწვერვალამდე“.

ახლა, ან არასოდეს...

მეშვიდედ

შერპები მუშაობენ და საუბრობენ. ხან მშობლიურ ენაზე, ხან ნეპალურად, დროდადრო ინგლისურსაც ურევენ...

— მზადა ხართ?

— ა ჩა — ყველაფერი რიგზეა.

— მხოლოდ, ხუსიერ, — ფრთხილად იყავით. ბარა სპურო, — წინ დიდი გზა გვიდევს.

წავედით. მივდივართ ზემოთ, მყინვარზე, მორენებზე.

— ა ჩა?

— არა, არაა ა ჩა. ტო ი ე! ეშმაკმა დალახვროს (თან ერთი მაგარი გადაპურჭყუბა). ბარგი მივარდება!

— კაი ჩი ნა. არაფერია.

— ტოი ე! (გადაპურჭყუბა). როგორ თუ არაფერია! უნდა გავჩერდე. კუჩე კუჩე. თუ შეიძლება.

— აპ კე ეკამ. როგორც გინდა. მოიცა, მოგეხმარები... ახლა ა ჩა?

— ა ჩა. თუჯი ჩეი. გმადლობთ.

— ამა წავედით. ოღონდ, ხუსიერ, აქ ციცაბია.

— ძალიან ციცაბია. ტოი ე!

ისევ გადაპურჭყუბა. ისევ ზევით მივცოცავთ. ისევ მყინვარები და მორენები — და, ბოლოს, მორიგი ბანაკი.

— შაბაშ! კარგად ვიმუშავეთ! ძალიან არ გავართვით თავი?!

— კაცმა რომ თქვას, დღეევნდელი მუშაობისთვის ბაჭშიში ვვერგება.

— ან თუნდაც თითო ფიალა ჩანგი.

— ჩანგი რომ გვქონდეს, საკეთილო თავს ვადღეგრძელებდით... ტაში, დელაი! კარგად იყავეი!

— თვითონ ტაში, დელაი! ყველას გაგვიმარჯოს!

— შერპა სინდაბად! გაუმარჯოს შერპებს!

თიანგბოჩედან პირდაპირ ეკერესტზე არ წავსულვართ. პოლკოვნიკ ჰანტის გეგმით, ჯგუფი თავდაპირველად ჰაერს უნდა შეგუებოდა და აღეზრდილიყო ევარჯიშა; ამ მიზნით სამ რაზმად დავიყავით და მახლობელ მთებს მივაშურეთ. ჰანტი, ლოუ, გრეგორი, მე და ხუთი შერპი ერთ რაზმში შევდიოდით. ძირითადი ბანაკი 5.200 მეტრის სიმაღლეზე გვქონდა, ნუპტსეს მყინვარზე ევარჯიშობდით, დაახლოებით ერთი კვირა ვაწყობდით ასკელს, ვჩრიდით საფეხურებს, ვამოწმებდით ყანგბადის აპარატურას, ერთი სიტყვით, ყოველმხრივ ვემზადებოდით ნამდვილი მუშაობისთვის. ამის შემდეგ თიანგბოჩეში დავბრუნდით და, სხვა რაზმებთან ერთად, გზის გაკვალვა დავიწყეთ ქუმბუს მყინვარისკენ, ძირითადი ბანაკის გაშლა დიდი ყინულვარდნილის ძირში იყო ნავარაუდევი.

პასანგ ჰპუტარის წასვლის შემდეგ ინგლისელები და შერპები გაცილებით უკეთ შეეწყვნენ ერთმანეთს, მაგრამ დროდადრო მაინც იჩენდა თავს გაუგებრობა. განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი კვება იყო. შერპები ტვირთის წონაზეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიოდნენ: საწვრთნელი ასელების დროს ინგლისელებმა კაცზე სამოცი ფუტი დააწესეს. მზიდავები ამბობდნენ, ეს მეტისმეტად ბევრიაო. როგორც იქნა, დავიყოლიე ინგლისელები, რომ ტვირთი ორმოცდაათ ფუტამდე შეეკცირებინათ. პოლოს, ცოტა წალაპარაკები მეც მომივიდა. საქმე ეხებოდა ნაპრალებზე გასადები ხიდების გასაკეთებელ მასალას, რომელიც მთებში უნდა აგვეტანა. ალპინისტებმა მსუბუქი, გრძელი დასაწალი ლითონის კიბე ჩამოიტანეს ინგლისისდან. მათის აზრით, ეს იკმარებდა. მე შევედავე: ნაპრალები ბევრი, ძალიან ბევრი იქნება და დიდძალ დროს წაგვართმევს კიბის აქეთ-იქით გადატან-გადმოტანა, მორებით კი მუდმივი გადასასვლელების გაკეთება შეიძლება-მეთქი. ინგლისელებს ყველაზე მეტად ის აწუხებდათ, რომ მასალის გადასატანი ფული უნდა გადიხადათ შერაბებისათვის. მაგრამ მე ჩემი დავიერეე და ბოლოს დამთანხმდნენ.

ამის მერე შერაბება და ინგლისელებს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა. თითქმის არაეითარი გაუგებრობა აღარ მომხდარა. ექსპედიცია ძალიან დიდი იყო და წესებიც თითქმის სამხედრო გვქონდა; რასაკვირველია, ბევრ ჩვენგანს უფრო თავისუფალი ატმოსფერი და ნაკლები ფორმალობა ერჩია. მაგრამ ყველაზე თავგამოდებული მომჩივანებიც იძულებელი გახდნენ ელიარებინათ, რომ ყველაფერი ჩინებულად იყო მოწყობილი. ჰანტი — ჩვენ მას პოლკოვნიკ საგიბს ეეძახდით — დროდადრო ისე იქცეოდა, თითქოს სამხედრო ქვეგანაყოფი ვყოფილიყავით, მაგრამ ყოველთვის სამართლიანი და ყურადღებიანი იყო. მაიორი უაილი, როგორც უკვე ვთქვი, ტრანსპორტის შესანიშნავი უფროსი აღმოჩნდა. დანარჩენ ალპინისტებს ახლოს რომ გვეცანი, დავრწმუნდი, რომ ისინიც სიმპათიური და ალერსიანი ადამიანები იყვნენ და, თუ პატარა გაუგებრობებს მეკონა აქ საუბარი, არა იმიტომ, რომ ჩვენი კეთილი მეგობრებისა და ამხანაგებისთვის რაიმე მესაყვედურებინა, — მინდა ზუსტად აღვწერო ის ამბები, რომლებსაც შემდეგში ყოველნაირად ამახსოვდებენ. როცა ყოველგვარ უსიამოვნებასა და გაუგებრობას ბოლო მოეღო, ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ იყო. **როგორც** სირფარი და თანაც მთასავლელი მუდამ ორ ცეცხლშუა ვიყავი და ასეთი მდგომარეობა სრულიად არ მომწონდა.

ძირითად ბანაკში მუშაობა გახურებული იყო. მოდიოდა ახალ-ახალი ტვირთი და ახარისხებდნენ. გარშემო კარვები მომრაველდა. ბანაკი ახალშენს დაემსგავსა. აქ თავი მოეყარა უამრავ ხალხს — არა მარტო ექსპედიციის უშუალო მონაწილეებს, არამედ ასობით ადგილობრივ შერპს, ქალს და კაცს.

ჰილარის ხელმძღვანელობით ჯგუფმა ბრძანა: ამ მაშინვე დიფეო ასელი ზევით, ყინულევარდნილზე. ამ დროს მე ძირითადად მაიორ უაილისთან ვმუშაობდი და თვალყურს ვადევნებდი, მრავალტონიანი ტვირთის ამოზიდვა არ შეწყვეტილიყო. ექსპედიციის თვითეულ მონაწილეს მკაცრად განსაზღვრული მოვალეობა ეკისრა — ზოგი ყინულევარდნილზე მუშაობდა მარშრუტის გასაკვალავად, ზოგი აქუჩრეიოლას ეზიდებოდა, სხვები ქანგბადის აპარატურაზე, რადიოაპარატურასა და მედიკამენტებზე იყვნენ. მიმაგრებული და ა. შ. ექიმებმა ყველა მონაწილის ჯანმრთელობა შეამოწმეს. სამუშაოოდ ერთ-ერთი შერპი ვეტერანის გიოტსენის ტანი ტული არ მოეწონათ. მაღლა ასელის ნება არ მისცეს. ჭოკიესა და ანგ დავასაც თუ ჩავეელით, ჩვენი რაზმი სამი კაცით შემცირდა; თუმცა, ამ დროს დავა ტხონდუმპაც მოგვისწრო. ძირითად ბანაკს ზემოთ ორმოცამდე მზიდავს უნდა ემუშავა; მათგან ოცდაეხუთი კაცი დასავლეთ ცირკსა და მის ზემო უბანზე იყო გაბარებული.

